

პეპერსი

60860 I

საქმისა და გონების



ბლექვაით

ბაეგრეა

ლეგენდა

წიგნი

I

თბილისი 2015

ავტორი — **ბლექვაიტი**

დიზაინერი — **ვ. ჯულელი**

5 99 20 24 13

წინასიტყვაობა

ეს წიგნი ადამიანთა მოდგმის ცოდვა-მადღზეა... რა ემართება სიძულვილით შეპყრობილ ადამიანს?! განდიდების მანიას გონება დაუბინდავს მისთვის... მხეცად უქცევია... მხოლოდ საკუთარი წარმატება სჭირდება... ირგვლივ მყოფთაგან ვერაფერს ამჩნევს... ვერ გრძნობს როგორ გარიყულა... ბრძანებებს იძლევა... შემსრულებლებთან ავყიაობს... მათ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს არად აგდებს... მის ირგვლივ ყველას ანადგურებს... საკუთარი ოჯახიც კი ეზედმეტება... მათაც ირონიით უყურებს... ამ დროს თავად არარაობაა... არავის უყვარს... არავის სჭირდება...

დიახ, ზიზღს დაუბინდავს ჟორდანის გონება, პატარა პრინცესას ზიზღს... პრინცესა ბააგრა ერთადერთი შთამომავალია მისი სახელობის მეფეთა დინასტიიდან... მტრად მოკიდებულ ჟორდანს სიამოვნებას ჰგვრის, იმის გაფიქრებაც კი, თუ როგორ გაანადგურებს... თვალებს როგორ დასთხრის, ხელებს როგორ დააჭრის სახელოვანი მოდგმის ერთადერთ მემკვიდრეს, მოდგმისა, რომელმაც ქვეყნად სიყვარული, ერთგულება, ადამიანთა შორის სიმშვიდე დაამკვიდრა. პატარა პრინცესას კაცთმოძულე ჟორდანმა ჯერ საყვარელი მამა მოუკლა მოტყუებით... შემდეგ დედა დედოფალი და ძმები.

პატარა პრინცესა დინასტიის ერთგულმა რაინდებმა გადაარჩინეს... მათ განარიდეს ცოდვის კალოს... გოგონას თითქოს ყველა რაინდის ძალა მიეცა... საოცარი სიმამაცით გაურბის სიკვდილს, ყოველ ნაბიჯზე რომ ჩასაფრებია... საოცარი ტანდემი გოგონასა და არწივის ბოროტებაზე გამარჯვების სიმბოლოა, ავტორის სულის ხმაა.

ავტორი თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება კიდევ ერთ

გმირს, რომელიც მამაც, პატარა პრინცესას გვერდით დაუდგება, დაიფარავს საშინელებათა მქნელთაგან, თავანყვეტილნი რომ ცელავენ სიცოცხლეს, სიკეთეს, სიყვარულს.

ალექსანდრე მიწა იმედა, თეთრი არწივი — სურვილი. ბააგრა მარტოხელა გმირია, ნანარმოების სიუჟეტი აძლიერებს ამ ყოველივეს, ფინალი კი ამართლებს იმედს, რომ ავტორის ბობოქარი სული შებმია სიცოცხლის, ცხოვრების ორომტრიალს... ვინც ეძებს იპოვის, ვინც გასცემს — მიეცემა, ასე უახლოვდება ადამიანი ტაძარს. „ბააგრა“ ტაძარია. უფლის მიერ დანატოვარი ქვემარტების შეცნობისა და დაცვის ტაძარი!

მინდა წარმატება და ბედნიერება ვუსურვო ავტორს, რომელიც ქართულ ენას სათანადოდ ვერ ფლობს, თუმცა მისი ნაწერები ბევრ ადამიანს ჩაახედებს საკუთარ სულში და გულგრილობას შეებრძოლება.

ამჯერად თქვენ წინაშეა თხზულების პირველი ნაწილი, გაგრძელება იქნება... დაუსრულებლად...

ნარგიზ ბალანჩივაძე
ფილოლოგი

შურის აღზევა

ამქვეყანაზე, ათეული საუკუნის წინათ, სახელმწიფო არსებობდა, საოცარი, ლამაზი მთებით, ულრანი ტყეებით, კამკამა მდინარეებით, უთვალავი ტბით, ულამაზესი ჩანჩქერებით, უმდიდრესი ცხოველთა სამყაროთი; რა ფრინველს არ შეხვდებოდი აქ, რომელ ხილს არ დააგემოვნებდი, მაგრამ ამ ენით აუნერელი ბუნების გარდა, სახელმწიფომ სახელი გაითქვა ვაზით... დედამიწაზე სხვაგან არსად ხარობს ეს კეთილშობილი მცენარე, აქ დაყენებული ღვინის დაგემოვნებას ყველა ნატრობდა, დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოდოდნენ მზის და ვაზის ქვეყნის სანახავად, აქ სალამოც საოცარი იყო. უნდა გენახა სეირნობის ჟამს მორთულ-მოკაზმული ხალხი, დასასვენებლად ბაღნარებში გასულნი, ვერ გაარჩევდი ვინ თავადი იყო და ვინ გლეხი. ყველა პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა ერთურთს.

ამ სახელმწიფოს მმართველები რჩეული დინასტიიდან იყვნენ. დინასტიას „ბააგრა“ ერქვა. მეფე ნადირობის ტრფიალი იყო, სწორედ ნადირობისას „გადავარდა“ კლდიდან. მისი დაღუპვის შემდეგ ქვეყანას მისი მეუღლე — დედოფალი ანნა მართავდა. მათ სამი შვილი ჰყავდათ: თექვსმეტი წლის პრინცი მარიო, თვრამეტი წლის მარიუსი და რვა წლის პრინცესა — ბააგრა.

ბააგრების დინასტია რჩეული იყო იმიტაც, რომ საუკუნეების მანძილზე იბადებოდა ვაჟი, რომელსაც რჩეულთაგან რჩეულად აღიარებდნენ, რადგან მას დაბადებიდან მოჰყვებოდა ნიშანი: სქელი წარბები და არწივისებური ცხვირი. ვისაც რჩეულთაგან დაბადებიდან ასეთი ნიშანი აღმოაჩნდებოდა, სწორედ ის იყო „რჩეულთაგან რჩეული“. მათ ერთი საოცრებაც მოსდევდათ, გენეტიკურად, სახეზე გასხვივოსნება ეფინებოდათ.

ყველას გასაკვირად, რაც მანამდე არ მომხდარა არასოდეს, ბააგრების დინასტიაში დაიბადა ერთადერთი გოგონა, რომელსაც ეს ყოველივე დაბადებიდან თან დაჰყვა; სწორედ პატარა პრინცესას ერგო პატივი ეტარებინა დინასტიის სახელი. მას „ბააგრა“ დაარქვეს. პატარა, პუტკუნა პრინცესას ძლიერ უყვარდა ტკბილეული, წელზე მუდამ კამფეტებით სავსე ქისა ეკიდა. ბააგრა ხშირად იპარებოდა სასახლიდან. პატარა, ისეთი აზრიანი და მოხერხებული იყო, ყველას აოცებდა თავისი საქციელით იპარებოდა ნაცნობებთან, ნათესავებთან. მას არავინ უშლიდა სტუმრობას, მხოლოდ მარტო სიარულს უკრძალავდნენ. დედოფალი ანნა უხერხულად გრძნობდა თავს. პრინცესას, სასახლეში, ტკბილეული თავზე საყრელი ჰქონდა, მაგრამ მას სხვისი დამზადებული მრავალფეროვნება იზიდავდა. პატარა პრინცესას სახელმწიფოში ყველა იცნობდა, სადაც სტუმრობდა, ისე შევიდოდა, არც ეძახდა მასპინძელს. პირდაპირ, სამზარეულოში შეძვრებოდა და რაც ტკბილეული იყო „ანადგურებდა“, თან რასაც გამოიყოლებდა, გზაში, თანატოლებს უწილადებდა. ხშირად კარიდან შესვლა ეზარებოდა და ფანჯრიდან გადადიოდა, უკანაც იქიდან ძვრებოდა. ბევრმა მასპინძელმა არც იცოდა ბააგრას სტუმრობის შესახებ, მხოლოდ გასვლისას თუ მოჰკრავდნენ თვალს. სიცილით და ხუმრობით ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ: „ტკბილეული ბრძოლის ველზე დაეცა, ბააგრამ გაიმარჯვა“... ძმებისთვის პრინცესას ცალკე ჰქონდა ტკბილეული. ყველას უყვარდა პატარა აბეზარი პრინცესა, სტუმრად ეპატიჟებოდნენ, ეფერებოდნენ... ბააგრას კი თავის თანატოლებთან უყვარდა თამაშიც და ტკბილეულის მირთმეცაც. სულ 8 წლის იყო, არაფერი აინტერესებდა, რაც უფროსებისთვის დარდად ითვლებოდა. პრინცესას შავზე შავი თმა ჰქონდა მხრებზე ჩამოყრილი. შავ-შავი სქელი წარბები და ბააგრების სახისთვის

დამახასიათებელი „საოცარი ნათელი“, თითქოს გაფრქვევას ლამობდა ირგვლივ. წარბები მაღავდნენ მის სილამაზეს, ამავე დროს, ძლიერ, მეფურ შეხედულებას ანიჭებდნენ. ცხვირი პატარა, კუს-კუსა, რომელიც მართლაც წააგავდა არწივის ნისკარტს. ბააგრას, სადაც არ უნდა წასულიყო, თან ახლდა პატარა, თეთრი არწივი. იგი მას მამამ უსახსოვრა სიკვდილამდე, ნადირობისას უპოვია კლდის მწვერვალზე, მკვდარ დედა არწივთან ერთად ბუდეში, ფრთებქვეშ დამალული, რომელიც საოცარი ხმით ყიოდა. თუმცა ფრენა არ იცოდა. გაოცებას, თურმე, ვერც მეფე და ვერც არწივის ნაშიერი ვერ მაღავდნენ. პირველად ხედავდა პატარა მართვე ადამიანს. ასე მოხვდა იგი ჩვენს პრინცესასთან. ბააგრა ბავშვივით უვლიდა პატარა ფრინველს, ღამით ერთ სანოლში ეძინათ. იზრდებოდა ნელ-ნელა, ბააგრასთან ერთად; ფრენაც ბააგრამ ასწავლა. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. არწივი დედალი იყო.

„წმინდა მიწის“ მეფემ, რომელსაც ყველა ქვეყანა აღიარებდა, რჩეულებისგან რჩეულის დაბადება რომ გაიგო, თანაც გოგონასი, გაოცდა ძლიერ. მით უფრო მაშინ, ამ ამბავს თეთრი არწივიც რომ დაემატა. დიდი ფიქრის შემდეგ თქვა: „ის ერთადერთი გოგოა რჩეულთაგან-რჩეული, დედოფალთ დედოფალი და მეფეთ მეფე იქნება. ხელმწიფემ წმინდა მთაზე მცხოვრებ ბერებს თეთრი ოქროსაგან ჩამოასხმევინა დედოფლის გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შეამკობინა და თავად ჩაუტანა საჩუქრად ბააგრას... დედოფალმა ანნამ გვირგვინი სასახლის სამალავში შეინახა, სანამ პრინცესა ზრდასრული არ გახდებოდა, რჩეულის გვირგვინი იქ უნდა ყოფილიყო. სამალავი მხოლოდ დედოფალმა და პრინცებმა იცოდნენ.

გადიოდა დრო, ბააგრა სწავლასა და თამაშში ატარებდა დღეებს. უფროსი ძმა სულ აწვალებდა პრინცესას, ხან რით და ხან როგორ, სასახლეში სულ მათი ყვირილისა და

ჩხუბის ხმა ისმოდა. ბააგრა მარიუსს არ ეპუებოდა, მარიო კი აშველებდა და-ძმას. საინტერესო ის იყო, რომ თეთრი არწივი ყოველთვის ბააგრას მხარეს იყო. ამ ორომტრიალის დროს აფრინდებოდა და ისე ყიოდა, მთელი სასახლე ფეხზე იდგა. ფრინველი მარიუსსაც ვერ იმეტებდა ჩასაკორტნად და სიმწრისაგან ყიოდა. პრინცი კი გასაბრაზებლად უყვიროდა ბააგრას: „თქვენ ორნი... სულელი გოგოები ხართ!“ პრინცესა გამწარებული დაედევნებოდა ძმას. მარიუსი გაიქცეოდა და სიცილისაგან მიწაზე გორავდა.

სასახლეში ბააგრა მალლა, კომკში ცხოვრობდა. მისი ფანჯრიდან ზღაპრული ხედი იშლებოდა: იქვე ტყე იყო, კლდიდან ჩანჩქერი ჩამოდიოდა, გაშლილი მდელო ზღვასავით ლივლივებდა. ირგვლივ ბუნებას ენით აღუწერელი სილამაზე გამოექანდაკებინა. ახლა სასახლის ეზო იშვიათი ჯიშის, ნაირფერი ყვავილნარით იყო მორთულ-მოკაზმული. უზარმაზარი ბუჩქები, მარმარილოს თეთრი და მწვანე ფერის ანგელოზები, საოცარი ნაქანდაკარი ირმები. ყველა მხრიდან საოცარი სილამაზე გიმზერდა. უცხო ქვეყნიებიდან მოსულთ აოგნებდათ ეს საოცრება. მათ შემოქმედს მოიკითხავდნენ, იქნებ თავიანთ ქვეყანაშიც გაეშენებინათ ასეთი ბაღნარი.

მთელ ქვეყანას მოედო ბააგრასა და თეთრი არწივის მეგობრობის ამბავი.

ბააგრების ქვეყანაში ცხოვრობდა თავადთა დინასტია სახელად „ჟორდანი“. დინასტია ძალიან დაახლოებული იყო მეფის კართან. თავადთა დინასტიის მთავარსაც „ჟორდანი“ ერქვა. მასაც დიდი მამული ჰქონდა. „დუღდა და გადმოდუღდა“ მისი ქონება. დედამიწაზე ალბათ არ იყო ისეთი რამ, რაც ჟორდანს არ ებადა. მაგრამ შურიც და ბოლმაც მოზღვავებულად ჰქონდა. მეფობა უნდოდა, ეს ყოველივე როდი აკმაყოფილებდა. ბააგრასა და თეთრ არწივს, რომ დაინახავდა, სახე შეეშლებოდა: „ეს უნდა

გახდეს დედოფალი და მე მეფობა არ უნდა მეღირსოს?!“
პატარა პრინცესა გრძნობდა უზნეო თავადის ბოროტ
მზერას და არ უყვარდა ჟორდანი. ბოროტ თავადს ერთი
დაახლოებული მონა ჰყავდა, სახელად „ნოზა“. ერთ დღეს
თავადმა იხმო იგი: „როგორ ხარ ნოზა, ცოლ-შვილი რო-
გორ გყავს?!“. მონამ ფარისევლურად გაუღიმა: „თქვენ-
ნი წყალობით თავადო, კარგად ვართ, თქვენ იცოცხლეთ
დიდხანს და ჯანმრთელად“. ჟორდანმა ზევიდან დახედა
მონას, მიუახლოვდა, გადაეხვია და ჩაულაპარაკა: „მე,
როგორც შვილს გიყურებ, იმედი არ გამიცრუო“... ნო-
ზამ ჟორდანს შეხედა კვლავ ფარისევლურად და უპასუ-
ხა „მონინებით“: „თქვენ მეტი თავადო, მე და ჩემს ოჯახს
პატრონი არავინ გვყავს, თქვენზე ამოგვდის მზე და
მთვარე, ჩემი ოჯახის მამა ბრძანდებით... თავადმა გაუ-
ღიმა და უბრძანა ჩამომჯდარიყო. ნოზა ჩამოჯდა, ჟორ-
დანი გვერდზე მიუჯდა, საღამო ხანი იყო, ამინდი ფუჭ-
დებოდა, თავადმა ჩახედა მონას თვალებში, ღმუილით
ჩაუცინა და დაიწყო: „შენ უნდა გამომყვე, რასაც გეტყვი,
ის უნდა გააკეთო, როდემდე უნდა იყო მსახური და უყუ-
რო ბააგრების დროსტარებას, რით ხარ მაგათზე ნაკლე-
ბი, სიმაღლე გაკლია, თუ ჭკუა?! მე შვილივით გიყურებ,
ჩემი შვილები კი მეტს იმსახურებენ. შენ თვითონ უნდა
გყავდეს მოსამსახურე — ნოზა!“ მონამ გაიკვირვა, თან
ეამა თავადის ნაუბარი: „ეს როგორ, ბატონო, ჩემი წინაპ-
რები ყველანი გლეხები იყვნენ, არავინ და არასდროს ჩვე-
ნი მსახური არ ყოფილა, იქით ვემსახურებოდით ჩვენ“.
ჟორდანმა შეანწყვეტინა ნოზას საუბარი და სერიოზული
სახით მიუგო: „ჩემმა სიყვარულმა შენდამი და შენი ოჯა-
ხის მიმართ ასეთი რამ მაფიქრებინა: თქვენი ოჯახი ღირ-
სია, ბააგრების ქონების რაღაც ნაწილი გადმოგცეთ“.
მონა შეშინდა, თან გაიკვირვა: „მაშინებთ თავადო! რაც
ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, თქვენ

მხოლოდ მიბრძანეთ, ისედაც მეზიზღებიან ბააგრები“... „ყველაფერს გააკეთებ ნოზა?!“ ამ სიტყვებით ჟორდანი ფეხზე წამოდგა, ნოზაც წამოხტა მათხოვარი ძალღივით. თავადმა ხელი დაადო მონას მხარზე და დაჯდომა უბრძანა. ისევ გაუმეორა: „ყველაფერს გააკეთებ ნოზა?!“ ნოზამ ისევ წამოდგომა დააპირა, თავადმა ისევ დასვა. მონამ თავი ასწია და უპასუხა: „კი, ყველაფერს გავაკეთებ, მიბრძანეთ!!!“ ჟორდანი ისევ ჩამოუჯდა გვერდით, ხელი გადახვია და სიტყვა გააგრძელა: „მე მგონი, ყინულოვანი ქვეყანა გაგონილი გექნება“. თანხმობის ნიშნად, ნოზამ თავი დაუქნია და ჩურჩულით უპასუხა: „კი, გამიგია, ჩემო ბატონო“; თითქოს მისი პასუხი არავის უნდა გაეგონა. „ჰოდა, კარგია, მაგ ქვეყანაში აჯანყება მოხდა, მეფე და თავადები ყველა ამონყვიტეს, აჯანყებულთა ბელადს კარგად ვიცნობ, მას ოქროთი და ვერცხლით ვეხმარებოდი — „ლენი“ ჰქვია, ძალიან ძლიერი ჯარი ჰყავს, — „ცოფიან ძალებს“ ეძახიან, არავის ინდობენ, ძალზე ბევრნი არიან. მინდა მასთან ჩახვიდე, წერილი გადასცე ჩემგან და უამბო, რომ ბევრ კარგს ვლაპარაკობთ მასზე; იმას ვამბობ, რომ ლენს თუ მოუნდა მთელ სახელმწიფოებს დაიპყრობს! თან ლაპარაკში უნდა შეაპარო, რომ აქ, ჩვენთან, დიდ თუ პატარამ, ყველამ იცის რას ამბობს დედოფალი ანაა ლენზე — „რომ იგი ერთი სულელი და ბოროტი „ცოფიანი ძაღლია“. შეძლებ ამ ყველაფრის შესრულებას, ისე, რომ არ შეშინდე, ნოზა?! ნოზა მოსმენილით ხარობდა: „რის შიში ბატონო, სიხარულით შევასრულებ ყველაფერს — მივხვდი, რაც გაქვთ ჩაფიქრებული, ბატონო! მიბრძანეთ, როდის გავემგზავრო, ასეთი საქმისთვის მე ყოველთვის მზად ვარ!!! ჟორდანი ჩაფიქრდა: „მაშინ მალე მოემზადე, მე წერილი უბეში მიდევს, ჩემი ცხენი წაიყვანე. დიდი დრო არ დაგჭირდება იქ ჩასასვლელად, მე ვფიქრობ, ასეც იქნება, ლენი ჯარს გამოგაყოლებს, სანამ ქალაქს მიუახლოვდები,

უნდა შემატყობინო. აქ არიან კიდევ თავადები, რომლებსაც ბააგრების განადგურება უნდათ“.

არ გასულა დიდი დრო, ცხენზე ამხედრებული ნოზა — ჩექმაში დამალული წერილით, გზას ადგა ყინულოვანი ქვეყნისაკენ.

ადამიანთა შური ერთმანეთის მიმართ ქმნის ბოროტებას, სადაც იღვრება უმანკო სისხლი, სადაც ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან.

გავიდა თითქმის ორი თვე, ნოზა მიუახლოვდა ყინულოვანი ქვეყნის ქალაქს, რომელსაც გარს უზარმაზარი ქვის გალავანი ერტყა. ქვის კედელი ყინვისგან სულ გათეთრებულიყო. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ანათებდა. ნოზას თვალებს უბრმავებდა ეს სითეთრე. მიადგა კარიბჭეს. იქ რამდენიმე ცოფიანი შეიარაღებული ჯარისკაცი იდგა. სახეები გასიებული და დანითლებული ჰქონდათ, მათი ბოროტი, ცხოველური გამოსხედავა მხოლოდ ერთს მეტყველებდა: „სისხლისმსმელი“ ბოროტები იყვნენ, ყველა მათგანი სისხლში იყო ამოსვრილი. ნოზა მივიდა მათთან და აუწყა, რომ ლენტან იყო მოსული ბააგრების ქვეყნიდან. ერთ-ერთი ჯარისკაცი უმაღვე ლენისკენ გაეშურა, მოახსენა მოსულზე. ნოზა ქალაქში შეუშვეს, გზა სულ თოვლიანი იყო, აშკარა იყო სისხლის კვალი. ხისგან აგებულ დიდ ციხე-კოშკს მიუახლოვდნენ, ხის დიდი ჭიმქარი გაიღო, ნოზა შიშმა შეიპყრო, უყურებდა, როგორ მიათრევდნენ გვამებს, ერთ ადგილზე აგროვებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, თან თბებოდნენ ამ ცეცხლზე. დამხვდურებმა იგრძნეს მოსულის შიში, ყველა ახარხარდა, თან ნოზას უყვიროდნენ: „ჭკუით თუ არ მოიქცევი, შენც ამ ცეცხლში დაგწვავთ“. ნოზა დაიზაფრა, ჯარისკაცები უფრო ძლიერ ახარხარდნენ, „შიკრიკი“ შიშისაგან აკანკალებული ცოფიანების ბელადს — ლენს წარუდგინეს. დიდი ხის კარს იქით, უზარმაზარი დარბაზის ბოლოს, დიდი ბუხარი იყო,

ცეცხლი გიზგიზებდა, იქვე ტახტი იდგა, რომელზეც ლენინი იყო წამოწოლილი. დარბაზში გრძელი მაგიდა იდგა სასმელ-საჭმელით დახუნძლული. იატაკი სულ სისხლით იყო მოთხვრილი. რამოდენიმე ქვის უზარმაზარი ბოძი ამაგრებდა დარბაზის ჭერს, აქაც ყინავდა. ნოზა მიუახლოვდა ტახტს. ბუხრის სითბო იგრძნო — ტახტზე წამოწოლილი დაბალი, ჩასუქებული, მელოტი მამაკაცი, რომელიც ამ პოზაში მიირთმევდა ხორცის სისხლიან, დიდ ნაჭერს, ლენინი ბრძანდებოდა. ნოზამ კანკალით მიანოდა წერილი ბელადს. ლენს მისთვის არც შეუხედავს, ისე ჩამოართვა და წაიკითხა ჟორდანის გზავნილი. უცებ ტახტიდან წამოხტა, ძლიერ დაარტყა ნოზას მხარზე ხელი და თითქმის ყვირით მიუგო: „მე მეგონა დავავინყდი ჩემს ძმას — ჟორდანს! ჯარს კი არა, ლეგიონს გაგაყოლებ, უთვალავს, ამის მეტი რა მყავს. შენ, შიკრიკო, ხომ იცი, ჩვენ „წითელ ცოფიანებს რატომ გვეძახიან?!“ ლენი თვალეზგადმოკარკლული შესცქეროდა ნოზას. პირსახე სისხლში ჰქონდა მოსვრილი, თან უცინოდა. ნოზა შიშისგან ისევ კანკალებდა: „არ ვიცი, ბატონო! არა!..“ ლენმა თავში ჩაარტყა სტუმარს ხორცის ნაჭერი, მერე პირში ჩაუტენა და მიუგო: „იმიტომ გვეძახიან „ცოფიან წითლებს“, სადაც გავივლით, ყველაფერს სისხლით ვღებავთ... ჩვენზე ძლიერი ჯარი არ არსებობს, გაიგე?! საქონელო!“ დაამთავრა ლენმა და ისევ ჩატენა ნოზას ხორცი პირში — ბოლომდე. იგი ცალკე შიშისაგან და ცალკე ხორცისაგან კინალამ დაიხრჩო. კანკალით უამბო ყველაფერი ლენს, ისე, როგორც ჟორდანმა დააბარა. ყინულოვანი ქვეყნის მბრძანებელი გაბრაზდა და ჯარის მეთაურად მისი ყველაზე ახლო მეგობარი — დერჟი დანიშნა. თან დააბარა გამწარებულმა, რომ პატარა პრინცესა არ მოეკლათ, მხოლოდ ხელები მოეკვეთათ და თვალეზი დაეთხარათ, აუცილებლად ცოცხალი დაეტოვებინათ, მოკვეთილი ხელები მასთან მოეტანათ. არ იკადრა, თვითონ

გაჰყოლოდა ჯარს, რადგან ბააგრების სახელმწიფო დიდი არ იყო. ბოროტმა აზრებმა პატარა პრინცესას დიდი საფრთხე შეუქმნეს.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ნოზა ძალზე დიდი ჯარით, არც ისე შორს ბააგრების ქალაქიდან, კლდეებს შორის დაბინავდა. შემდეგ ქალაქს მიაშურა, რომ ჟორდანი გაეფრთხილებინა. ქალაქამდე რამდენიმე სოფელი უნდა გაგველო, ქალაქს კი ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთი, დიდი, უზარმაზარი ჭიშკრიდან, გარშემო ქვის კედელი იყო აღმართული. მეორე შესასვლელი მდინარიდან იყო. მდინარე დიდი და ჩქარი იყო, თუმცა ფონის მოძებნა შეიძლებოდა, სწორედ აქედან უნდა აყოლოდი დინებას მალა, იქედან ქალაქში კიბეები ადიოდა, ბააგრების სასახლესთან ახლოს. შემდეგ ტყეზე გრძელდებოდა... აღუწერელი იყო აქაური სილამაზე.

ნოზა მთავარ შესასვლელს მიადგა. ჭიშკართან რამდენიმე შეიარაღებული მცველი იდგა. მიუახლოვდა ქალაქის უზარმაზარ კარიბჭეს. შესვლა დააპირა. წინ ერთი მცველი გადაუდგა, ცხენზე ამხედრებულ მომხდურს. იგი ხმლის გარეშე იყო. მომხდური დაიბნა, ნერვიულობა შეეცყო. ჯარისკაცმა ხელი ჩაავლო ცხენის აღვირს, დაჟინებით დააკვირდა მოსულს და მიუგო: „რამდენი ხანია, ქალაქიდან გასულხარ ნოზა, სად იყავი, შენ ხომ სოფელში არავინ გყავს?!“ ნოზამ დაბნეული ღიმილით უპასუხა: „სანადიროდ ვიყავი, ტყეში გზა ამებნა, ხმალი და მშვილდისარი დამეკარგა, ბედზე გამოვალნიე ტყიდან და სოფელს შევაფარე თავი, შემომხედე, რა დღეში ვარ, შიმშილისაგან ველარ ვლაპარაკობ, გაიწიე, გზა მომეცი, თავი მიბრუის, არ ჩამოვვარდე ცხენიდან“. მცველი ისევ დააკვირდა ნოზას და მის ცხენს. შეუშვა ქალაქში. მერე იქ მდგომ სხვა მცველებს მიუახლოვდა, თან მიმავალ ნოზას თვალს არ ამორებდა. ეჭვი შეეპარა, ხელით ანიშნა იქ მდგომთ ნო-

ზასკენ: „შეხედეთ, ამბობს შიმშილისგან თავი მიბრუნისო, ცრუობს, ქალაქს რომ მოაღწიო, ოთხი სოფელი უნდა გამოიარო, გლეხები ნებისმიერ სოფელში გაუმასპინძლებოდნენ. ტყეში დავიკარგეო, რამდენიმე თვეა, რაც ქალაქში არ გამოჩენილა, ამ დროში, ტყეში ან მგელი, ან დათვი შეჭამდა, ფოცხვერზე რომ არაფერი ვთქვათ. თან მარტო იყო... ტყუის აშკარად, უფროსს უნდა შევატყობინო. უნამუსოები არიან ეგ გლეხიც და მისი თავადიც“. ჯარისკაცები დაეთანხმნენ. დაკვირვებული კარისკაცი მაშინვე უფროსისკენ გაეშურა. მივიდა მცველთათვის განკუთვნილ არც ისე დიდ კოშკში, შევიდა უფროსის ოთახში, ყველაფერი მოახსენა ნოზას შესახებ. უფროსი დაფიქრდა და უბრძანა, თვალყური ედევნებინათ.

ამ დროისათვის ნოზა ჟორდანის სამფლობელოში მივიდა. მსახურებს უბრძანა — მისი მოსვლა ეცნობებინათ. ეს ისეთი ტონი იყო, თითქოს უკვე თავადი იყო. მსახურებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ესლა გვაკლდა თავადად... საქონელი“, მერე ჟორდანის სასახლისაკენ გაეშურნენ. მსახურებს გაუკვირდათ ნოზას ქედმაღლობა, ზიზღიანი მიმართვა მათ მიმართ.

ჟორდანს დიდი სასახლე ჰქონდა მაღალი კოშკით. ქალაქის ბოლოს. მის კოშკს რომ შეხედავდი, ტანში ცივი ჟრუანტელი დაგივლიდა. ეზოში ხეები ნახევრად დამხმარიყვნენ, ყვავილები ჩამომჭკნარიყვნენ, აუზში წყალი დამშრალიყო. იქაურობა მიტოვებულივით იყო. გამოჩნდა ჟორდანი, კოშკის კიბეებზე ჩამოდიოდა, თან აკვირდებოდა ბაღში მდგომ ნოზას. დანახვისთანავე მოსულმა დამხვდურს გაუღიმა. თავადი მიხვდა, რომ ყველაფერი კარგად იყო. ნოზამ კიბეებთან მიიღბინა, მუხლებზე დადგა, თავი დახარა და ბატონს ასე მიესალმა. ჟორდანი მიუახლოვდა, წამოაყენა ფეხზე, ჩაეხუტა, თვალეებში ჩახედა, ორივე ხელი მხრებზე დაადო: — „შენს გამოხედვაში ვხედავ,

რომ ყველაფერი ისეა, როგორც მე მინდა, მითხარი, გამახარე, ნოზა... მალე!“ ნოზამ ამოისუნთქა, ამაყად ასწია თავი: „როგორც მიბრძანეთ, თავადო, ყველაფერი ისე გავაკეთე, ვნახე ლენი და ვუამბე, რაც მიბრძანეთ, გენახათ, თავადო, როგორ გაცოფდა, გამწარებულმა თავის ჯარს და თქვენ გიბრძანათ, პატარა ბააგრას ხელები დააჭრათ, თვალები დასთხაროთ. დაჭრილი ხელები მას მიაერთვათ. ისე, აუცილებლად, პრინციესა ცოცხალი უნდა დავტოვოთ, რომ მთელი ცხოვრება იწვალოს. ჯარი კი, თავადო, უთვალავი გამომაყოლა, ჩვენი სოფლები რომ იწყება, იქ არიან ახლოს, დამალულები კლდეებში. ისე, თავადო, მართლაც ცოფიანები არიან. აქ ქვას ქვაზე არ დატოვებენ. ჯარის მეთაურად დერჟი დანიშნა. ასე თქვა, რომ თქვენ მას ახლოს იცნობთ“. ჟორდანის სიხარულს ზღვარი არ ჰქონდა: „აი, გამახარე, ჩემო კარგო, იცოდე ნოზა, შენ დიდი ჯილდო გელოდება, ბააგრებს კი მე მივხედავ. იმ თეთრ არნივს ფრთებს დავაჭრი, ბააგრას ხელებთან ერთად, თვალებსაც მე ამოვთხრი ბააგრას, თან დიდი სიამოვნებით. ჰო, ნოზა, რა მინდა გკითხო, თვითონ ლენი რატომ არ ჩამოვიდა?!“ „ასე თქვა, თავადო, პატარა სახელმწიფოა და თავს ვერ შევირცხვენო მათთან ბრძოლაში, ბააგრას ხელებს რომ გამომიგზავნით, მერე ჩამოვალო აუცილებლად. უნდა ვნახო ერთი, როგორ და სად ცხოვრობსო ჟორდანი“. „როგორ... როგორ?! პატარა არისო ჩვენი სახელმწიფო, არა?! კარგია, კარგი, ასე გამოდის, არ გამიჭირდება მე მეფობა, შენ კი ჩემი მარჯვენა ხელი იქნები — ლენს ხარკს გავუგზავნით, ოქროს სახით; ყველაფერი კარგად მიდის, ახლა აღარ უნდა გავჩერდეთ, მეც გამოგყვები, ამაღამვე უნდა ავანიოკოთ ქალაქი, სოფლებს ავუაროთ, გლახებს მერე დავესხათ, ცოცხლები გვჭირდებიან, ხომ ეგრეა ნოზა?!“ ნოზა იცინოდა და კბილებს აკრაჭუნებდა ბოროტად. ბურტყუნებდა თითქოს თავისთვის: „კი, თავადო, ცოცხ-

ლები გვჭირდებიან, მონები გვჭირდება ჩვენ!..“ ჟორდანი კმაყოფილი გაეშურა კომპიუსაკენ, მალე დაბრუნდა მომზადებული გზისთვის. ამხედრდნენ ნოზა და ჟორდანი ცხენებზე და გაეშურნენ ქალაქის გასასვლელისაკენ. თავადმა შეამჩნია რომ კვალზე ვიღაც მოჰყვებოდა, დაეჭვდა, ნოზას ჰკითხა, რამე, საეჭვო ხომ არ შეამჩნიეო მან უამბო იმ კარისკაცზე. ჟორდანი დაიძაბა, ჩაფიქრდა, ნოზას უბრძანა, მდინარისკენ გადაეხვიათ. მიუხალოვდნენ მდინარეს, ცხენებიდან ჩამოხდნენ, გარშემო ბუჩქები და ხეები იყო. ნაპირიდან ქალაქი ჩანდა, საკმაოდ შორს, თავადმა მონას აცნობა, რომ უთვალთვალეზდნენ, ის, ვინც მათ კვალს მოჰყვებოდა უნდა მოეკლათ, ნოზა უშიშრად დაეთანხმა ბატონს. ჟორდანი მდინარეს მიუახლოვდა, ნაპირთან ჩამოჯდა. ნოზა მდინარის ნაპირს აუყვავა მალლა, ნელ-ნელა შემოუარა მოთვალთვალეს უკნიდან, მას ცხენი ხეზე ჰყავდა მიბმული, თვითონ კი ბუჩქებსა და ხეებს შორის ჩამალულიყო. იგი ჟორდანს უყურებდა, ნოზა მინაზე დანვა, ხოხვით, ჩუმად ათვალთვალეზდა დამალულს. უეცრად, უკნიდან ჯარისკაცი დაადგა, ხმალი კისერზე მიაბჯინა, ნოზა შიშისგან გაშეშდა, თავი არც გაუნძრევია... „მე მეძებ, ნოზა ბატონო?! „ნოზამ თავი ახლალა შემოატრიალა, შეხედა ჯარისკაცს, ის იყო, იცნო ჭიშკართან რომ შეაჩერა... „შენ რაში მჭირდები, მე და ჩემს ბატონს ცხენების ქურდი გვეგონე, ვხედავდით, როგორ გვითვალთვალეზდი“... „რის ცხენის ქურდი, რას მატყუებ, ათეული წლებია, ამ ქალაქში ნემსი არ დაკარგულა, რის ქურდი, რა ქურდი, მითხარი სიმართლე, რას მატყუებ?!“ უფრო ძლიერ მიაბჯინა ხმალი, ნოზა აკანკალდა შიშისგან. ამ დროს ჟორდანის ხმა გაისმა: „რა ხდება, რა არის, ჯარისკაცო?!“ ჯარისკაცმა ხმალი მოაშორა ნოზა და თავმდაბლად გასცა პასუხი თავადს. მან იცოდა, რომ ჟორდანი დედოფალ ანასთან და ბააგრების დინასტიასთან ძალიან დაახლოებული იყო: „ბატონო ჩე-

მო, ბრძანება მაქვს, ნოზას თვალყური ვადევნო, საეჭვოდ იქცევა, ჩემო ბატონო“... ჟორდანი მიუახლოვდა მცველს, ხელი დაადო მხარზე და ღიმილით უთხრა: „ეს ჩემი მსახურია, შტერია, ვერ ხედავთ?! რას აკეთებს შტერი საეჭვოს? ნუ მაცინებთ, ვინ გიბრძანათ მისი თვალთვალი?!“ ჯარისკაცმა ხმალი ქარქაშში ჩააგო... პასუხის გასაცემად მოემზადა, გასწორდა... ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, წამოხტა ნოზა და ზურგში გაუყარა ხმალი. მომაკვდავი ჯარისკაცი ჟორდანის თვალეებს დააკვირდა, მოწყვეტით დაეცა მიწაზე უსულოდ. ჟორდანი არც განძრეულა, გაბრაზებულმა ნოზას მიუგო: „ვერ დააცადე? ეთქვა, ვინ დაავალა შენი თვალთვალი?!“ ნოზამ გაიცინა და ხმალი ამოაძრო ქრილობიდან მიცვალებულს, დაიხარა და მისივე პერანგით განმინდა ხმალი, თან ჟორდანს უპასუხა: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაავალა, ჩემო ბატონო! ამ ღამით მაინც ყველა მოკვდება“. თითქოს არაფერი მომხდარიყოს... „კარგი, მალე წავიდეთ, ეს ჯარისკაცი ბუჩქებში დამალე, ცხენი აუშვი... არა, არა, მოიცა, ცხენს, სჯობს ფეხები მოამტვრიო და ისე აუშვა, თუ ნახეს, იტყვიან, „ჯარისკაცი ფეხით განაგრძობს თვალთვალსო“. გახარებულმა ნოზამ შეასრულა, რაც უბრძანა ბატონმა. „მალლა, მდინარეს რომ ავუყვებით, ნაპირთან ნავებია დაბმული, ხომ არ სჯობია, ნავი ავიყვანოთ და ისე გავაგრძელოთ გზა, ბატონო ჩემო!“ — დაამთავრა ნოზამ. ჟორდანი დაეთანხმა. ცოტა ხანში ორივე ნავში ისხდნენ და მდინარის დინებას მიჰყვებოდნენ. დაღამებისას მიუახლოვდნენ კლდეებს შორის დაბანაკებულ ცოფიან მეომრებს. ჯარის დანახვაზე ჟორდანის სიხარულს ზღვარი არ ჰქონდა. იგი გაკვირვებული უყურებდა ცოფიანების უთვალავ ლაშქარს. უმაღვე მთავარსარდალი დერჟი მოძებნა, სიხარულით გადაეხვია და საფარში შეჰყვა. იქ, მიწაზე ხალიჩები იყო გაფენილი, დერჟი, ჟორდანი, ნოზა და რამდენიმე ცოფიანი მეომარი ხალი-

ჩებზე დასხდნენ. შუაში პატარა ცეცხლი ენთო. ჟორდანმა დაიწყო: „გამიხარდა, რომ გნახეთ, ამ დღეს ჩემი ოცნების ასრულების დასაწყისს ვარქმევ“. მეომრები დაკვირვებით უსმენდნენ მოსულს, დერჟმა გაიციინა და მიუგო: „ჩვენი ნახვა თუ შენი ოცნების დასაწყისია, მაშინ შენი ოცნება უჩვენოდ არ ახდება“. „ეგრეა, ეგრე, დერჟი! მართალს ამბობ!“ „მოდი, ჯორდან, ის გვითხარი, ქალაქში როგორ შევიდეთ, რომელი გზაა უკეთესი“. ყველა მეომარი დაიძაბა, ნოზა გასუსული იყო. ხედავდა, ყველა მეომარი დაგეშილი მკვლელი რომ იყო. „კარგით, ახლა ყველაფერს აგიხსნით, ქალაქში ორი შესასვლელია, ერთი — მთავარი ჭიშკრიდან, მეორე მდინარიდან. კარგი იქნება, მდინარიდან მიუშვათ მეომრები. ისინი შუა ქალაქიდან დაესხმიან თავს ბააგრების ხალხს. ჩვენ პირდაპირ მივადგეთ — ქალაქის შესასვლელს, ომს არავინ ელოდება. შუა ღამეს რომ გადასცილდება, მაშინაა კარგი, მთელ ქალაქს სძინავს. ნავებია საჭირო, ვიცი, საიდანაც უნდა ვიშოვოთ, მოახსენა ჟორდანმა დერჟს. ამ უკანასკნელმა ხელი ასწია და თქვა: „ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, ავდგეთ და ახლავე დავესხნათ ქალაქს“. ნამოდგა, ყველა მას აჰყვა და საფარიდან გამოვიდნენ.

უთვალავი რაოდენობის ჯარისკაცი იყო კლდეებს შორის განლაგებული. დერჟი შეჩერდა გადახედა ჯარს: „ჯორდან, რას იტყვი?!“ „ჟორდანმა შეხედა დერჟს თამამად წარმოთქვა: „ნოზამ წაიყვანოს ჯარი ნაპირისკენ, მდინარე დიდია, მაგარამ დინება ნელი აქვს, ნაპირზე უამრავი ნავია, აყოლებაზე რამოდენიმე სოფელია, თითქმის ყველა ოჯახს თავისი ნავი აქვს, რაც მალე ნავლენ, მით უკეთესია. რამდენიც ჩაეტევა ნავებში, აყვნიენ დინებას. დანარჩენი აქ დაელოდება უკან დაბრუნებულ ნავებს, მერე ისინი ავლენ, ჩვენ კი, ბატონო! პირდაპირ ქალაქის კარიბჭესთან მივიდეთ, ჩვენი ჯარით. ქალაქი დიდი არაა, სულ ბოლოს ჩემი სახლი დგას. ჯარისკაცები გავაფრთხილოთ, მას არ

შეეხოვნ. დანარჩენი ყველაფერი გადაბუგონ. პატარა ბა-
აგრას მე მივხედავ; ვიცი, ლენმა რაც დაგაბარათ“. დერჟი
და ყველა იქ მყოფი ყურადღებით უსმენდნენ ჟორდანს.
ერთ-ერთმა ცოფიანმა მეომარმა მიმართა (ამ ჯარისკაც-
საც ეტყობოდა უფროსობა): „ჩვენ ქალაქის აღება არ გვა-
დარდება, ჩათვალეთ, რომ ქალაქი გადაბუგულია. მთავა-
რია, ის პატარა არ გაგვექცეს. ბააგრა, თუ რა ჰქვია, ლენის
ბრძანება, ჩვენთვის, ყველა კანონზე მაღლა დგას“. ჟორ-
დანს გაეცინა: „სად უნდა გაგვექცეს, ის რვა წლისაა, მთა-
ვარია, არ შემოგვაკვდეს შემთხვევით, ვიცი ლენმა მისი
ცოცხლად დატოვება გვიბრძანა, რომ მთელი ცხოვრება
ენამოს“. „ჰოდა, ისე მოვიქცეთ, როგორც გვიბრძანა ბე-
ლადმა. ჩვენს ბელადზე ძლიერი მეომარი ამქვეყნად არავი-
ნაა. ვინც მაგის ბრძანებას არ ასრულებს, ისიც მოკვდება“.
ნოზამ ფარისევლურად შეხედა მეომარს: „კი, მართალია,
ძალზე ძლიერი და ჭკვიანი ბელადია; ეგეთი, არც გამიგია
სხვა, ვინმე, სადმე, ყოფილიყოს“. დერჟმა ჟორდანს გადა-
ხედა, შემდეგ ნოზას, როგორც პირუტყვებს: „შენზე, ლენს
მოყოლილი აქვს, როგორ ეხმარებოდით, ჰოდა, ქალაქს რომ
დავიპყრობთ, შენ იმეფებ აქ, ესეც ლენმა დამაბარა. ასე,
რომ, ჯორდან, პატივისცემას არ ვივინყებთ“. დიდხანს არ
უსაუბრიათ, ყველა თავის გზას დაადგა. ნოზა მდინარი-
საკენ გაეშურა, ჯარის თანხლებით. ჟორდანი და დერჟი,
ცოფიანებთან ერთად ქალაქის მთავარი შესასვლელისა-
კენ დაიძრნენ. ცოტა ხანში, სოფლების ავლით, ქალაქს მი-
უახლოვდნენ. სიბნელეში ჯარი მთებს ამოეფარა. „ბატონო
დერჟ, მე წავიყვან სამ მეომარს ჭიშკრისაკენ, იქედან
განიშნებთ, რომ თქვენ წამოხვიდეთ“. აღმოხდა ჟორდანს.
დერჟი დაეთანხმა, მეტ-ნაკლებად გლეხურად ჩაცმული
სამი მეომარი ამოარჩია. ჯარი კარგად იყო შეიარაღებუ-
ლი შუბებით, მშვილდ-ისრებით, ხმლებით. ჟორდანი და
სამი ცოფიანი მეომარი ცხენებზე ამხედრდნენ, ხმლები

ზურგებზე დაიმაგრეს, დანები ჩექმებში ჩამალეს. ნელ-ნელა, აუჩქარებლივ, ქალაქის კარიბჭისაკენ გაემართნენ. ამ დროს, ნოზა, თავის ჯარით, უკვე ასული იყო ქალაქის მეორე შესასვლელთან ახლოს, ნავები უკან დაეშვნენ, რომ მეორე ნაკადი ამოეყვანათ. მოღრუბლული იყო... დრო შუალამეს გადასცდა, ჟორდანსა და სამ მეომარს წინ დიდი მინდორი გადაეშალა. ირგვლივ მთები ესაზღვრებოდა. ერთ-ერთ მთასთან მდინარე გადიოდა, რომელიც ქალაქს თითქმის შუაზე ჰკვეთდა. ამ შესასვლელთანაც მცველები მორიგეობდნენ. ცხენზე ამხედრებული ჟორდანი მიადგარკინის უზარმაზარ კარიბჭეს. გარეთ არავინ იყო. ჩამოქვეითდა, მიწიდან ქვა აიღო და კარზე რამდენჯერმე დააბრაახუნა. ცოფიანები, ცხენებზე ამხედრებულნი, მზად იყვნენ ბრძოლისათვის. კარიბჭეზე პატარა სარკმელი გაიღო, შიგნიდან მცველმა გამოიხედა, ყვირილით მიმართა: „რა არის, ვინ ხარ, ამ შუალამისას რას აბრაახუნებ?! გაჩერდი!“ ჟორდანმა მშვიდად უპასუხა: „მე ვარ, ჟორდანი, სტუმრებთან ერთად, გამიღეთ კარი, სოფელში ვქეიფობდი და შემომალამდა“. გუშაგმა ყურადღებით დაათვალიერა სამივე მხლებელი, მოეჩვენა, რომ შეიარაღებულნი არ იყვნენ, სიბნელეში სახეები ვერ გაარჩია. წამიერად სამარისებური სიჩუმე ჩამონვა. ჟორდანმა ვერ მოითმინა და უყვირა ჯარისკაცს: „რას გვათვალიერებ, ვერ მცნობ ამხელა კაცს?!“ ღამენათევმა და დაღლილმა მცველმა, ჟორდანს რომ არ ეყვირა, უზარმაზარი კარი მაშინვე გაუღო, თუმცა სიდიდის გამო, ნელ-ნელა იღებოდა, მაღლა ჯაჭვით იყო დამაგრებული და ორ კაცს უწევდა დიდი დოღურის დატრიალება, გაისმა რკინის ღრჭიალი, კარის აწევა დაიწყო. ჟორდანის მხლებლებმა ჩექმებიდან უჩუმრად დანები მოიმარჯვეს. ამ დროს დერჟი მოუთმენლად ელოდებოდა ნიშანს, ცოფიანები მზად იყვნენ ქალაქზე თავდასხმისათვის. ჯოჯოხეთი ელოდა ბააგრების სამეფოს.

ამ დროს პატარა ბააგრა და თეთრი არწივი ლოგინში ერთად იწვნიენ. პრინცესას გულში ჰყავდა ჩაკრული მეგობარი, არწივს ნისკარტი გოგონას თმებში ჩაეფლო. ღრმა ძილით არ ეძინათ. პატარებს უბედურება უახლოვდებოდა.

კარიბჭე ღია იყო. ჟორდანი ფეხით შევიდა. ცხენს აღვირით იჭერდა. სამი ცოფიანიც მიჰყვა. მიუახლოვდა უზარმაზარ დოლურას, იქვე მდგომ მცველს გაუღიმა, მცველმა კარიბჭის დახურვა დააპირა. მოსულმა ხმალი დაუსვა სახეზე, ახლა მეორეს მიუტრიალდა, კარისკაცი მოულოდნელობისგან გაშეშდა. ჟორდანიმა გონს მოსვლა არ აცალა, მასაც გაუყარა მუცელში ხმალი. ორივე უსულოდ დაეცა. ჟორდანიმა ხმალი დოლურაში გაჭედა, კარი რომ არ დაკეტილიყო. ერთ-ერთი გუშაგი, შუბით ხელში, ჟორდანისაკენ გამოიქცა. აქ ცოფიანიმა მეომარმა მიუსწრო და ზურგში ჩასცა დანა. კიდევ რამდენიმე მცველი გამოცვივდა. ვერცერთმა ვერ მოასწრო შუბისა და ხმლის გამოყენება. ნამებში ყველა მათგანი მიწაზე უსულოდ ეგდო. ჟორდანიმა კედლიდან ჩირალდანი ჩამოხსნა, გავარდა კარიბჭისაკენ და ნიშანი მისცა დერჟს, ქალაქისკენ დაძრულიყვნენ. იმდენად დიდი იყო მათი რაოდენობა, რომ გუგუნის ხმამ მთელი ქალაქი ააზანზარა. ხალხს გამოეღვიძა. პატარა ბააგრა და თერთი არწივი ფანჯარასთან მივიდნენ. პრინცესა ნამძინარევე თვალებს იფშვნიტდა. არწივი ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუპდა. ცოფიანები ანთებული ჩირალდნებით მოადგნენ ქალაქს. ბრძოლა გაჩაღდა — ნამძინარევი ქალაქელები და ყოველიმხრიდან ცოფიანები. ნოზა არ დაელოდა მეორე ნაკადის ამოსვლას და ბრძოლაში ჩაერთო. ყოველი მხრიდან შემზარავი ყვირილი, ქალების ტირილი, ბავშვების წივილი ისმოდა. ქალაქი ბრძოლამ მოიცვა.

პატარა პრინცესა დაბნეული, გაოცებული უყურებდა ამ შემზარავ სურათს. მისი ოთახი კოშკის თავზე იყო, აქედან ყველაფერი ხელისგულზე ჩანდა. ქალაქში ყვე-

ლაფერს ცეცხლი ეკიდა. შემზარავ ხმაურს მოეცვა ბა-
აგრების ქალაქი.

დედოფალი ანნა პრინცესას ოთახში შემოვარდა, გულ-
ში ჩაიკრა ბააგრა და ფანჯარას მოაშორა. ისევ ლოგინში
ჩაანვინა. არწივიც პრინცესასთან მოფრინდა. გოგონამ ჩა-
იკრა გულში. დედას დაბნეული გადაეხვია. დედოფალი მო-
ეფერა და დაარიგა: „ფანჯარას არ მიუახლოვდეთ, ისარი
არ მოგხვდეთ, ოთახიდან არ გახვიდეთ. არ შეშინდე ბააგ-
რა! არ ვიცი, ვინ დაგვესხა თავს“. დედოფალი ახლა არწივს
მოეფერა, შვილს ლოყაზე აკოცა და გააგრძელა: „ოთახი-
დან არ გახვიდეთ, მე მალე მოვალ“. ჩქარი ნაბიჯით გავიდა
თავად ოთახიდან. ბააგრა სანოლში გაირინდა. ფანჯრიდან
საშინელი ხმები ისმოდა. ცეცხლის შუქი პრინცესას ოთახს
ანათებდა. პატარამ ვერ მოითმინა და თეთრ არწივთან
ერთად, კედელ-კედელ, ფანჯარას მიუხალოვდა. ქალაქი
ცეცხლში იყო გახვეული. ცოფიანი მეომრები არავის ინ-
დობდნენ, საშინელი ბრძოლა იყო. სახედასიებულნი, სის-
ხლიანი თვალებით, მართლაც, ცოფიანებს ჰგავდნენ. დე-
დოფალ ანნას მეომრები თეთრ ტანსაცმელში, ზევიდან
ჯაჭვის პერანგებით, შავი შარვლებით და ჩექმებით იყვნენ
შემოსილნი. მათ „თეთრ ჯარისკაცებს“ უწოდებდნენ. დე-
დოფალს თორმეტი რაინდი ჰყავდა. თორმეტივეს „თეთრ
რაინდებს“ ეძახდნენ. მთავარ რაინდს „მენი“ ერქვა. შე-
დარებაც არ შეიძლებოდა რიცხოვრივ დედოფლის ჯარსა
და ცოფიანების ჯარს შორის, მომხდური უთვალავი იყო.
„თეთრ მეომრებს“ გლახობაც შემოუერთდა, მაინც მცი-
რენი იყვნენ. ქალაქი ალყაში იყო.

ბააგრების სასახლეს, მშენებლობისას, გვირაბი დაატა-
ნეს, საიდუმლოდ, ძალზე გრძელი. ეს გვირაბი მდინარის
ქვეშ გადიოდა.

დედოფალი ანნა მიხვდა, რომ ვინმეს გაგზავნას და დახ-
მარების თხოვნას აზრი აღარ ჰქონდა. ასევე ძალზე დიდი

საფრთხე არსებობდა გვირაბის გამოაშკარავებისა. გათენდა, ბრძოლა არ წყდებოდა. ქალაქი მთლიანად იწვოდა. არცერთ შენობას სახურავი აღარ ჰქონდა. ერთადერთი ჟორდანის სასახლე იდგა ხელშეუხებელი. ორი ავსული — ჟორდანი და ნოზა ერთად იდგნენ და გახარებული ადევნებდნენ თვალს თავიანთ ნამოქმედარს. „არ ინერვიულო, ჩემს სასახლეში იცხოვრებ“, — სიცილით უთხრა თავადმა მონას. აბა, ნოზას რა ადარდებდა, მისი უბადრუკი ქოხი იწვოდა. „არც ვდარდობ, ბატონო!“ — უპასუხა ამაყად. მშვიდად აგრძელებდა ისრების სროლას.

უცებ ჟორდანმა, ბააგრების სასახლის თავზე, კომპი ფანჯარასთან მდგომი პატარა პრინცესა, თავის თეთრ არწივთან ერთად, დაინახა; მაშინვე ნოზას უბრძანა მშვილდი და ისრები მიეწოდებინა. მონამ უმალ შეასრულა ბატონის ბრძანება, მანაც შენიშნა „სამიზნე“, გაიკვირვა: „თავადო, რას აკეთებთ, ის ხომ ცოცხალი გვჭირდება, მხოლოდ ხელები უნდა მოვკვეთოთ და თვალელები დავთხაროთ“. ჟორდანმა მშვილდი მოჭიმა და გაბრაზებულმა უპასუხა: „აღარ გაბედო და არ მასწავლო, რა უნდა ვქნა. ბააგრას მე დავთხრი თვალეებს, ისე, რომ მიყუროს როგორ ვთხრი, არწივი მინდა მოვკლა, თეთრი არწივი. იგი ყოველთვის მაცოფებდა, მეზიზღება მისი სითეთრე“. ისარი დაუმიზნა. გაისმა მის უკან ყვირილის ხმა. ეს დერჟი იყო, მხედართმთავარი: „რას აკეთებ, ის ცოცხალი უნდა დარჩეს“. იგი მიხვდა, რომ ფანჯარასთან, თეთრ არწივთან ერთად ბააგრა იდგა. ჟორდანს ისარი გაუვარდა, დერჟისკენ შემოტრიალდა და იყვირა: „არწივს ვესვრი, არწივს!!!“ დერჟმა გაიგონა ეს და ბრძოლა განაგრძო. ისარმა არწივს ფეხებშუა გაუარა და ოთახის კედელში ჩაერჭო. ჟორდანი გამწარდა. ნოზას დაუყვირა: „კიდევ მომანოდე ისარი, მალე! მალე!“ პატარა პრინცესა დააკვირდა ბრძოლის ველს და დაინახა, ვინ ისროდა მათ-

კენ ისრებს. გაშეშდა, ჟორდანი იცნო, მონაც, გაახსენდა, როგორ იყო მამასთან ჟორდანი, როგორ დროს ატარებდა, როგორ სადღეგრძელოებს ეუბნებოდა მეფეს, მის ძმებს. ისიც გაახსენდა პატარას როგორ ეხუტებოდა დედა დედოფალს თავად, რადგან გრძნობდა ფარისეველი ჟორდანის შავ გულს, მის ბოროტ ზრახვებს. ეს ყოველივე იგრძნო თავადმაც, პატარა პრინცესასაგან. გამართლდა ბააგრას მართალი აზრი. ის ხომ რჩეული იყო — რჩეულთა შორის. ამ დროს გაცოფებული ჟორდანი უკვე ნოზას უყვიროდა: „შენც ესროლე, გამოტვინებულო, ორივე მოვკლათ!!!“ შეშინებულმა მონამ დაუმიზნა. ბააგრამ არწივი გულზე მიიხუტა და ფანჯარას მოშორდა. ორი ისარი ისევ ჩაერჭო კედელს. არწივმა თავი დაიძვრინა პრინცესას მკლავებიდან და შურდულივით გავარდა ფანჯრიდან. ფრთებშეკეცილმა ვილაც მიზანში ამოიღო. იგი ჟორდანისაკენ მიჰქროდა. ისრების წვიმა წამოვიდა ფრინველისაკენ. იგერიებდა. მიუახლოვდა ავსულს, ჟორდანმა მოასწრო ერთი ისრის გასროლაც, არწივმა მკერდი გაჰკრა ისარს, ამოტრიალდა, გაშალა ფრთები, აიცილა სხვა ისარიც, ისევ შეიკეცა ფრთები, გასწორდა. ჟორდანმა მოასწრო სახეზე ხელების აფარება. ფრინველი ხელებში ეცა, ჩაარტყა ნისკარტი თავში, ამოტრიალდა, გაშალა ისევ ფრთები და პრინცესასაკენ გაფრინდა. ბააგრა ხედავდა მეგობრის გმირობას, თვითონაც სწყუროდა ბოროტებასთან ომი. მივარდა კედელთან, ჩამოხსნა ხმალი, ისევ ფანჯარასთან მიირბინა, ხმალი მოიმარჯვა და დაიყვირა: „დაგხოცავთ, მხეცებო, დაგხოცავთ“... არწივი შეფრინდა ფანჯარაში ყვილით. ბააგრა მოტრიალდა და კარისკენ გაიქცა, დააბრახუნა, კარი უმაღვე გაიღო. კარში რაინდი იდგა. თეთრი არწივი კარებზე შესკუპდა, ბააგრას ხმალი მხარზე ედო. ხმალი მძიმე იყო პატარა პრინცესასთვის, მაგრამ: „გაგვიშვით მე და ჩემმა არწივმა უნდა ვიბრძო-

ლოთ, დედას უნდა ვუთხრა, რომ ჟორდანია მოლალა-ტე, გაგვიშვით“. რაინდი გააოცა გოგონას შემართებამ: „ვერ გაგვიშვებთ, პრინცესა! ბრძანება მაქვს დედოფლისაგან!“ — ბააგრა ოთახიდან გავიდა და კიბეზე დაეშვა, არწივიც თან მიჰყვა, თან ბააგრას თვალს არ აცილებდა. პრინცესა უშიშრად, ამაყად განაგრძობდა გზას. რაინდმა გაუსწრო და ჩასასვლელთან გზა გადაუღობა. გოგონა გაჩერდა, თავი ჩალუნა, მხრიდან ხმალი მოიშორა, იატაკზე დააბჯინა წვერით: — „გამატარე, რაინდო“. პასუხი: „მე დედოფლის ბრძანებას ვასრულებ, ჩემო პრინცესა“. ბააგრამ თავი ასწია, თვალებში შეხედა რაინდს: „ახლა მე გიბრძანებ, ნამომყევი ბრძოლის ველზე, ერთად ვიბრძოლოთ!“ არწივმა დაიყვილა, პატარა პრინცესას ნათქვამში უდიდესი ძალა იყო. რაინდს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. რვა წლის გოგონა და ასეთი თავდადება?! ის ხომ სულ ბავშვი იყო, რომელსაც მხოლოდ თამაში და ტკბილეული უყვარდა. დაბნეულმა იშიშვლა ხმალი, გულზე მიიდო, თავი დახარა, მუხლებზე დაეცა: „ჩემო პრინცესა, მე ფიცი მაქვს დედოფალთან დადებული, ჩემო გოგონავ“... ახლა ბააგრა გააოცა რაინდის მოწინებამ. ხმალი ისევ მხარზე დაიდო, ჩაფიქრდა, შეხედა ერთგულ რაინდს და არწივს: „დედოფლის ბრძანებას არც მე დავარღვევ, მაგრამ ერთს გიბრძანებთ! ოთახის კარი ღია იყოს და თქვენც ჩვენთან დარჩით. ეს ბრძანებაა!“ დაასრულა პრინცესამ. რაინდმა ისევ მოწინებით მიუგო: „როგორც მიბრძანებთ, პრინცესა!!!“ გახარებული, მშვიდად წამოდგა და ხმალი ქარქაშში ჩააგო. ბააგრას ძლიერ მოეწონა რაინდის საქციელი; ესამოვნა, რომ როგორც ბავშვს, ისე არ მოექცნენ. ამაყად ბრძანა: „თავისუფლად რაინდო, თავისუფლად!“ პრინცესა თავის ოთახში დაბრუნდა, რაინდთან და არწივთან ერთად.

ჟორდანს კლანჭებისგან ხელები გადატყავებოდა, თავიდანაც სისხლი სდიოდა. ეს თეთრი არწივის გმირობა

იყო. ბრძოლა არ ჩერდებოდა. მსხვერპლი დიდი იყო. ქალაქი სისხლში ცურავდა.

ბააგრა უჩუმრად მიუახლოვდა ფანჯარას, გადახედა ბრძოლის ველს, არც დედა და არც ძმები არ ჩანდნენ. ძალიან ნუხდა, არწივი ხელში აიყვანა, სიყვარულით მიიკრა მკერდზე, პრინცესა ამაყობდა თავის უშიშარი მეგობრით. თვითონაც დაწყნარდა, შიში რომ სძლია. თუმცა ოთახში ვერ ისვენებდა. ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა. არწივს გულში იკრავდა. რაინდი შემოსასვლელიდან ადევნებდა თვალყურს, ფანჯრიდან ისარი არ ესროლათ. ორი ნყვილი სევდიანი თვალი ხშირად აწყდებოდა ერთურთს.

ბრძოლის ხმაური, შემზარავი ყვირილი, ხმლების ჭახაჭუხი ექოდ იღვრებოდა ოთახში. საღამო ხანს დედოფალი ანნა გამოჩნდა, ხმლით ხელში შემოვიდა ოთახში. თეთრი კაბა სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. წელს ზემოთ ჯაჭვის პერანგი ეცვა. შუბლზე შავი ბაფთა ჰქონდა ნაკრული, თმას უმაგრებდა. დედოფალს პრინცეები შემოჰყვნენ. სანოლზე ჩამოჯდა და ბააგრას უხმო. მარიო და მარიუსი ოთახში შეჩერდნენ, დას უყურებდნენ, დაღლილები, ორივე ოფლში იწურებოდა. რაინდი კარებშუა გაჩერდა. დედამ თმები შეუსწორა პრინცესას: „ბააგრა, ხომ არ გეშინია, შვილო?!“ მაგრად ჩაიკრა გულში დედის ხელი გოგონამ „არა, დედა, არ მეშინია, არა!!!“ თამამად შეხედა დედოფალს... დედამ გაუღიმა. ოთახის კარიდან რაინდი ერთი ნაბიჯით გამოინია: „დედოფალო, ძლივს გავაჩერე, ხმალმომარჯვებული, არწივთან ერთად მიბრძანდებოდა საბრძოლველად, უშიშარია ბააგრა, დედოფალო!“ უსმენდა რაინდს დედოფალი, შემოტრიალდა და პრინცესას ცხვირზე თითი მოუთათუნა. „ვიცი, რომ არ გეშინია, მაგრამ გთხოვ, ასე აღარ მოიქცე“. ბააგრამ ორივე ხელი მუხლებზე დაიდო: „ჟორდანი დავინახე, ეგ მოღალატე, ძალიან გავბრაზდი“. დედამ გულში ჩაიხუტა: „ვიცი, ყველაფერი ვიცი, შვილო! ახლა, მოდი,

ყველამ ცოტა ხანს დავისვენოთ, შენ რაინდს დაუჯერე, აქ რომ არ ვიქნები, კარგი?!“ პატარას თავი დედის მკერდზე ედო და ისე ჩაილაპარაკა: „კარგი, დედა, კარგი“. ძმებმა ძლიერ გაიხარეს ბააგრას სიმამაცით. ერთმანეთში საუბარი გააბეს, ყველამ თავისი აზრი გამოთქვა.

ბააგრას გამთენიისას გაელვია. არწივი სანოლის თავზე იჯდა და პრინცესას დაჰყურებდა. პრინცეები ოთახში აღარ იყვნენ, კარი ღია იყო. ბრძოლის ხმა არ წყდებოდა. სასახლეში არცერთი მსახური არ იყო, რადგან დედოფალი ღამ-ღამობით თავიანთ სახლებში უშვებდა, ცდილობდა ზედმეტად არ შეენუხებინა ისინი. სასახლეში მხოლოდ მცველები რჩებოდნენ, ისიც სასახლის გარშემო.

გათენდა მეოთხე დღე. ახლა ბრძოლა უკვე სასახლის კიბეებზე გრძელდებოდა. დედოფალი ისევ ბააგრას ოთახში ამოვიდა. პრინცესა იწვა, არწივთან ჩახუტებული. უმაღვე გადმოტრიალდა. დედოფალი ფანჯარას მიუახლოვდა და დაიყვირა: „შენყვიტეთ ბრძოლა“.

ყველა გაირინდა. თეთრ მეომრებს გაუკვირდათ; ვერ გაიგეს, რას ფიქრობდა დედოფალი.

„რა ხდება?!“ ანნამ ახლა ცოფიანების მხედართმთავარს მიმართა: „ეი, შენ!“ თან ხმალი ფანჯრიდან გაჰყო.

მხედართმთავარი დერჟი ცხენზე ამხედრებულიყო, მანაც ასნია ხმალი მალლა და ბრძოლის შეჩერება ბრძანა.

იქვე, ახლოს, ჟორდანი იდგა, მაშინვე მივარდა დერჟთან, დაუდგა წინ: „რალაცის მოტყუება უნდა, არ დაიჯეროთ ბრძოლა მოგებული გვაქვს“. დერჟმა არ მოუსმინა მოლალატეს და დედოფალს მიმართა: „რა გინდა, სთქვი, დედოფალო!“ ქალმა გადახედა თავის მეომრებს, გლახებს: „მე ჩაგბარდებით, აღარ იბრძოლოთ“. ჟორდანმა ისევ დერჟს მიმართა: „არ დაუჯეროთ, არა!“ ზურგი დედოფალს შეაქცია. დერჟმა ძლივს აღირსა პასუხი თანამოაზრეს: „სად წავა, ქალაქი ჩემს ხელშია“. ამ სიტყვებით დედო-

ფალს ახედა: „კარგი, დედოფალო! თანახმა ვარ“. „მაშინ დრო მომეცით, ბავშვებს უნდა დავემშვიდობო, ჩაგბარდებით“. — დაუბრუნა პასუხი დედოფალმა. დერჟისგან თანხმობა მიიღო. ოღონდ დედოფალი ფანჯარას არ უნდა მოშორებოდა, რომ დერჟს ყველაფერი დაენახა. ისევ გადახედა ჟორდანს: „ახლა სად წავა, შენ უყურე ჟორდან, ფანჯარას არ მოშორდეს. დედოფალი ფანჯარას არ მოშორებია. ოთახში ხუთი რაინდი შემოვიდა, მათ პრინციებიც შემოჰყვინენ. კარი ჩაკეტეს და თათბირი დაიწყეს. პრინცესას არწივი მკერდზე ჰყავდა მიკრული. მარიუსი დაჭრილი იყო. მხარზე სისხლი სდიოდა, ჭრილობას ყურადღებას არ აქცევდა. ყველა დედოფალს შესცქეროდა: „თქვენ, რაინდებო, აქედან ბავშვებს გამოქვაბულით გაიყვანთ“. მარიუსმა დედას შეხედა და დაიყვირა: „მე უშენოდ არსად წავალ“. იგივე გაიმეორა მარიომ. დედოფალმა ორივეს გადახედა. კარგად იცოდა, რომ ბიჭებს ძალით ვერაფერს გააკეთებინებდა, ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ბააგრა საწოლიდან ჩამოხტა: „არც მე წავალ, დედას გარეშე, არსად!“ მარიუსი, რომელიც ყოველთვის აწვალებდა და ემუქრებოდა დას, მიუახლოვდა პრინცესას, ცალ მუხლზე დაიჩოქა, ხმალი გულზე მიიდო, თავი დახარა და მიმართა: „ჩემო პრინცესა, ჩემი ქცევების გამო თქვენს მიმართ, მინდა პატიება ვითხოვო და ჩემს პრინცესას მინდა ვუთხრა, რომ ყოველთვის მიყვარდა ჩემი და, სიყვარულის გამო, ვეხუმრებოდი და ვანვალედი“. მარიუსი გაჩუმდა, იდგა ასე ცალ მუხლზე, თავაუნეველად. ყველა დუმდა და ბააგრას უყურებდა. პრინცესა დაბნეული იდგა, ჯერ გაიღიმა, მერე გაიცინა, მარიუსს დახედა, დააკვირდა რაინდებს, შეხედა მარიოს, მზერა დედისკენ გადაიტანა და გაშეშდა. პრინცესა მიხვდა, რომ დედა და ძმები ბრძოლას სიკვდილამდე აპირებდნენ. ცრემლები მოადგა, გული აუჩქარდა. ისევ მარიუსს დახედა: „წამოდექი, მარიუს“. მარიუსი არ განძრეულა, თა-

ვაუნევლად უპასუხა: „ჩემო პრინცესა, ჩემი დაიკო მპატი-
ობს მე“, ამ სიტყვებზე ბააგრა მუხლებზე დაეცა, გადაეხ-
ვია მარიუსს და აცრემლებულმა უთხრა: „მეც მიყვარხარ,
ჩემო ძმაო, არაფერი მაქვს საპატიებელი, იქეთ გთხოვთ,
მარტო არ დამტოვო“. დედოფალი ფანჯარას არ მოსცი-
ლებია: „ახლა მაგის დრო არ არის, ადექით ორივენი! ისე
იქნება, როგორც მე ვიტყვი“. წამოდგა მარიუსი და ბააგ-
რაც წამოაყენა. მარიო პრინცესას მიუახლოვდა, გაამხნე-
ვა. ყველა დედოფალს უცდიდა. აწინამ რაინდ მენის უბრძა-
ნა, კარს ზემოდან ამოელო რომელიღაც ქვა და იქედან რა-
ღაც ნივთი მიეწოდებინა. მენიმ შეასრულა დედოფლის
ბრძანება. ამოაგდო კედლიდან უზარმაზარი ქვა, იქიდან
ნაჭერში შეხვეული ნივთი გამოიღო და დედოფალს მიანო-
და. ყველა ინტერესით უყურებდა მომხდარს და ნივთს. „ამ
ნაჭერში გვირგვინია, იგი ბააგრას ეკუთვნის, ეს საჩუქარი
წმინდა მიწის მეფემ მას მიუძღვნა. ასეთი ძღვენი ჩვენს
დინასტიას არ ახსოვს. არავინ იცის, რა ძალა აქვს ამ გვირ-
გვინს, ამას მხოლოდ ბააგრა გაიგებს, როცა ოცდაერთი
წლის გახდება. ეს გვირგვინი პრინცესას უნდა დაეღო ყვე-
ლაზე მაღალ მთაზე — მზის ამოსვლისას, ზუსტად ოცდა-
ერთი წლის რომ გახდება, მაშინ, ან არასდროს, ეს შენ უნ-
და დაიმახსოვრო ბააგრა! ყველაზე კარგად ხომ გესმის,
შვილო“. პრინცესა დაბნეული უსმენდა დედას, მაგრამ
ყველაფერს იმახსოვრებდა. დედოფალმა უბრძანა, გვირგ-
ვინი, ასე გახვეული, გოგონას ზურგზე დაემაგრებინათ.
რაინდებმა შეასრულეს ბრძანება უჩუმრად. ბააგრა მიუახ-
ლოვდა დედას, თავი ასწია, თვალცრემლიანმა დედოფალ-
მა ხელში აიყვანა, ცხირი ცხვირზე მიადო. გაეთამაშა, გაუ-
ლიმა. „მომისმინე, შვილო, ახლა რაინდებს გაჰყვები, წმინ-
და მიწაზე მიგიყვანენ — მეფესთან... ის მოგხედავს. მე და
შენი ძმები შევეცდებით, მალე გნახოთ. მთავარი, დაიმახ-
სოვრე! არასდროს არაფრის და არავისი შეგეშინდეს“.

პრინცესა ხმას ვერ იღებდა, გადაეხვია, ძლიერად ჩაეხუტა დედას. „გვირგვინის ამბავი კი, მეფემ იცის, მან გაჩუქა ეს გვირგვინი, არ დაგავინწყდეს ბააგრა, ვინ ხარ — შვილო!..“ დედოფალი მიეაღერსა გოგონას, ჩამოსვა... მენი მიუახლოვდა დედოფალს... „დედოფალო! ყველა მოვასწრებთ გაქცევას“. ანნა რაინდს დააკვირდა, ჩაიცინა... „გაქცევა, რომ მდომოდა, რაინდო, აქამდე გავიქცეოდი ხომ იცი, ხალხს როგორ ვუყვარდი და ახლა გავიქცე?! მათ სიყვარულს ვერ გავექცევი. ბააგრა ნაიყვანეთ წმინდა მიწაზე... იჩქარეთ!!!“ პრინცესას ოთახში კედლიდან, ერთ-ერთ კუთხეში ორი დიდი ქვა გამოიღეს, მარიო და მარიუსი ემშვიდობებოდნენ დაიკოს და თეთრ არწივს. არწივი უეცრად დედოფალთან მიფრინდა, მის ფეხებთან დადგა, თან ყიოდა. ანნამ არწივი ხელში აიყვანა, ნისკარტზე მოეფერა, ყურში რალაც ჩარსჩურჩულა და გაუშვა. გასასვლელად ყველანი მზად იყვნენ. რაინდებმა ხმლები, მშვილდ-ისრები, დანები მოიმარაგეს, ცოტა საკვებიც ჰქონდათ გზისთვის. მარიუსი ოთახიდან გაიქცა და მალევე დაბრუნდა. ბააგრას წინ დაიჩოქა და წელზე პრინცესას რამდენიმე ქისა მიამაგრა. გოგონა უსიტყვოდ თმებზე ეფერებოდა ძმას. ქისები ტკპილეულით იყო სავსე. დედოფალი ცრემლებს ძლივს იკავებდა: „იჩქარეთ!“ ბააგრა დედასთან მივარდა, ფეხებზე შემოეხვია — დედოფალმა ცრემლები ვედარ შეიკავა. „მენი! მე ვთქვი იჩქარეთ-მეთქი!“ უკანასკნელად აკოცა გოგონას თავზე, მენიმ ხელში აიყვანა პრინცესა. ხუთი რაინდი, ბააგრა და თეთრი არწივი გვირაბში შევიდნენ, პრინცებმა ქვები ისევ უკან, კედელში შეალაგეს, ოსტატურად დაფარეს, რომ არავის შეემჩნია. დედოფალი ფანჯრისკენ შეტრიალდა და შესძახა: „მოვდივარ“, შემოტრიალდა შვილებისაკენ, აიღო ხმალი და თავისუფლად, ნყნარად წარმოთქვა: „ვიცი, უშიშრები ხართ, მარტო უნდა მივიდე იმ ცხოველთან, თქვენ მერე გააკეთეთ თქვენი სა-

კეთებელი. დედამ შვილების სიკვდილი არ უნდა ნახოს“. ძმები ხმას არ იღებდნენ. უყურებდნენ დედას, ისე, როგორც მეომრები მეომარს. დედოფალი მიუახლოვდა ორივეს, გულში ჩაიკრა, შუბლზე აკოცა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. პრინციები ფანჯარას მისცვივდნენ. ზევიდან უყურებდნენ, დედა კიბეზე როდის გამოჩნდებოდა. გაილო სასახლის ორი უზარმაზარი კარი. დედოფალი ანნა თეთრ კაბაში, ტყავის სპილოსძვლისფერ ჩექმებში, ხელში ხმლით, საოცარი სანახავი იყო. თითქოს არაფერი ხდებოდა. თითქოს სადღაც, დღესასწაულისთვის მომზადებულიყო. თეთრი მეომრები და რამდენიმე რაინდი გლეხებთან ერთად გაირინდნენ. დაძაბულნი ელოდნენ, რა მოხდებოდა. ცოფიანი მეომრები სიხარულით იცინოდნენ. დედოფალი ნელ-ნელა დაეშვა კიბეზე. ისე, რომ თავი არავის დაუხარა. ჟორდანი და ნოზა ვირთხებივით ცოფიან მეომრებს ამოეფარნენ. იქიდან უყურებდნენ დედოფალს. მარიო და მარიუსი დაიძახნენ. დედოფალმა ჩამოიარა კიბეები. გაჩერდა. მხედართმთავარ დერჟს თვალი-თვალში გაუყარა. ხმალი მიწაში ჩაარჭო. გზა გააგრძელა. დერჟამდე ათი ნაბიჯიღა რჩებოდა. ყველა გააოგნა დედოფლის საქციელმა. დუმილი ჩამონვა. სუნთქვა შეეკრათ. მარიო და მარიუსი დაიბნენ, ვერ ხვდებოდნენ, რა მოხდა: — დედოფალს გზა გაუნთავისუფლეს. ყველა მისი თვალების დანახვას ლამობდა. ის მხოლოდ დერჟს უყურებდა. მიუახლოვდა, ერთი ნაბიჯი აშორებდათ. ცოფიანს ხმალი ხელში ეჭირა. დედოფალმა ჟორდანს გადახედა, მან ორივე მოლაღატე იმთავითვე შენიშნა. შიშისაგან ვირთხებმა უკან დაიხიეს, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო. ეს ყველაფერი დერჟმა შენიშნა და გაიცინა: „ესენი არიან თქვენი თავადები, როცა გვინდა ვიყიდით, როცა გვინდა გავყიდით“. დედოფალმა ახლა უფრო მედგრად გაუსწორა თვალები დერჟს: „ჩემს უკან გაიხედე, ასი თავადი დგას, შენ აქ მხო-

ლოდ ერთ ცხოველს ხედავ!“ დერჟი გაბრაზდა: „კარგი, გაჩუმდი, შენი დრო დამთავრდა. თავი დახარე და სასახლისკენ გამატარე, ტახტზე უნდა დავჯდე!“ დედოფალი არც განძრეულა. აუჩქარებლად, მტკიცედ უპასუხა: „თვალეებში ჩამხედე!“ დერჟი გაოგნდა თითქოს დრო გაჩერდა! უცებ შიში მოეძალა. ხმალი მალლა ასნია დასარტყმელად. დედოფალმა ანნამ კაბის სახელოდან დანა გამოაძრო და დერჟს უმალ ყელში გაუყარა. მხედართმთავარს თვალეები გადმოეკარკლა, ხმალი დაუვარდა. დედოფალმა არ დააყოვნა, დანა ბოლომდე შეუყარა. დერჟი დაეცა. დედოფალმა მოტრიალებაც ვერ მოასწრო, ზურგში რამდენიმე ხმალი მოხვდა. დედოფალიც დაეცა. ბრძოლა განახლდა — დანებებას არავინ აპირებდა.

მარიო და მარიუსი ფანჯრიდან ხედავდნენ, რაც მოხდა. უცებ მარიო ადგილს მოსწყდა და გასასვლელისაკენ გაიქცა. შეჩერდა, შემოტრიალდა, მარიუსი ისევ ფანჯარასთან იდგა გაშეშებული. „აქეთ მოიხედე მარიუს“, უყვირა ძმამ. არ განძრეულა, გაშტერებული უყურებდა, როგორ იწვა დედამისი მიწაზე, სისხლში. მარიო მივარდა, მხარში ხელი ჩაავლო, შემოატრიალა: „თვალეებში ჩამხედე“. ისევ არ შერხეულა. მარიომ დაუყვირა: „თვალეებში ჩამხედე, თვალეებში“. მარიუსი შემოტრიალდა, ხმალი მოიმარჯვა, უსიტყვოდ, გამწარებული ოთახიდან გავარდა. მარიო დაიბნა თითქოს, მაგრამ მაშინვე ძმას მიჰყვა. ორივენი კიბეებზე დაეშვნენ. გამეხებულნი ხოცავდნენ გზად შემხვედრ ცოფიანებს პრინცები. საოცარ ძალას გრძნობდნენ. ისინი პატარაობიდან იცნობდნენ და სწავლობდნენ საბრძოლო ხელოვნებას, მაგრამ ეს შეტევა რაღაც სხვა იყო.

ქალაქში ქალები და ბავშვები სარდაფებში დამალეს, ჟორდანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დედოფალი მოკლეს, ცოფიანების მხედართმთავარიც. ვერაგმა თავის მონა ბრძოლის დროს შეაჩერა და დაარიგა: „შე, შტერო!

ბრძოლის დროს ცოფიანები წინ გაუშვი, ფრთხილათ იყავი, არ დაიჭრა, ეს ქალაქი უკვე ჩვენია... ცოტანილა დარჩნენ, სალამომდე ვერ გაუძლებენ. უყურე! ის ღორისშვილები, მარიო და მარიუსი არ მოგვეპარონ“...

ამ დროს რაინდები, ბააგრასთან და თეთრ არწივთან ერთად, გვირაბში ღრმად შესულნი გზას აგრძელებდნენ. გვირაბი საკმაოდ ფართოდ იყო გამოთხრილი. ნელგამართულნი მიაბიჯებდნენ. რაინდი მენი წოდებითაც უფროსი იყო და წლოვანებითაც. დანარჩენი ოთხნი, ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისანი, სახელად: ლაკი, დენი, ძმები სანი და სონი. მენი წინ მიუძღოდათ, ჩირაღდნით ხელში. მხარზე არწივი ეჯდა. მენის უკან დენი მიჰყვებოდა, მასაც ჩირაღდანი ეჭირა, მერე ბააგრა მიბაჯბაჯებდა. დანარჩენი სამი უკან მოჰყვებოდნენ. გვირაბში სამარისებური სიჩუმე იყო, სინესტეც იგრძნობოდა. ხუთივე რაინდი მალალი და ტანი იყო. ყველას სუნთქვა უჭირდა. მენი გზადაგზა ბააგრას უყვებოდა, სად იყო მოწყობილი ხაფანგები, რომ პრინცესას სცოდნოდა საჭირო შემთხვევისთვის ხაფანგები, ზოგი ორმოს სახით, ზოგი ქვების ჩამოცვენით, რამოდენიმე ადგილას იყო ოსტატურად შენიღბული. გვირაბიც და ხაფანგებიც ათეული წლის განმავლობაში კეთდებოდა. მასზე მხოლოდ რაინდები მუშაობდნენ, რადგან სხვებს არ ენდობოდნენ. ბააგრა სულგანაბული უსმენდა მენის, იმახსოვრებდა ხაფანგების ადგილებს. წლოვანების მიუხედავად, პრინცესა ძალიან ჭკვიანი იყო. ღირსეულად მიბაჯბაჯებდა გვირაბში, არაფერს იმჩნევდა... გულში გრძნობდა, რომ ველარასოდეს ნახავდა საყვარელ დედიკოს და ძმებს... არც მთლად იწყვეტდა იმედს... მან პირველად ნახა ომის საშინელება... ჩაფიქრებული, მდუმარედ მიჰყვებოდა რაინდებს გვირაბში, სადაც საშინელი ნესტი სუნთქვას უხუთავდა. მენის ხელი ჩაავლო, რაინდმა გამოხედა და გაუღიმა, გოგონამაც გაუღიმა. მენიმ იგრძნო, რომ გოგონას

ძალიან უჭირდა. არწივი დენის შეასვა მხარზე, ჩირაღდანი ძმებს მიაწოდა. აიყვანა ბააგრა და ზურგზე შეისვა. რაინდებს უბრძანა სირბილით გაეგრძელებინათ გზა. წინ ახლა დენი მირბოდა, რიგ-რიგობით ისვამდნენ რაინდები ზურგზე პრინცესას. ვის ზურგზეც იჯდა გოგონა, ის რაინდებს შუა იდგა. ბააგრას სული ეხუთებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. რაინდებიც ვერ უძლებდნენ ნესტს და უჰაერობას, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ. არწივი მაღიმალ სიმწრისაგან დაიყვილებდა, თან თვალს არ აშორებდა პრინცესას. ჩქარობდნენ, დაძაბულობა მატულობდა, გვირაბს თითქოს ბოლო არ ჰქონდა.

ქალაქში ამ დროს ბრძოლა არ წყდებოდა. აშკარად ჩანდა თეთრი მეომრები ცოტანი დარჩნენ, მაგრამ დანებებას არავინ აპირებდა. ბრძოლის ბედი გადანყვეტილი იყო, ბოროტებამ დროებით იმარჯვა სიკეთეზე. დედოფალი ანნა მიწაზე, სისხლის ტბაში იწვა. პრინცები თავზე ედგნენ დედას და ისე იბრძოდნენ გააფრთებულნი. ორთავე დაჭრილი იყო. არცერთი შორდებოდა დედა დედოფალს. მარიუსი ორი ხმლით იბრძოდა გამალებით. თვალები ტკივლისაგან ჩასისხლიანებული ჰქონდათ. ყოველივე ამას ჟორდანი და ნოზა აკვირდებოდნენ. ბოლოს თავადმა მონას უბრძანა, აეყვანა რამდენიმე ცოფიანი მეომარი და სასახლეში შეეღწიათ. კოშკიდან ისრებით ჩაეხოცათ პრინცები. ბრძანებაზე ნოზას გაეცინა: „თავადო! შეხედეთ რამდენნი დარჩნენ. ოცი მეომარიც არ იქნება, საცაა ყველას ბოლოს მოუღებენ ცოფიანები, ამათ გულისთვის შევწუხდეთ?!“ „რასაც გეუბნები, ის გააკეთე, შე ღორისშვილო!“ გამწარებულმა შეუღრინა მონას. იგი უსიტყვოდ შეტრიალდა. მეომრებს უხმო და კოშკისაკენ წაუძღვა. გაბოროტებული ფიქრობდა: „ახლა ვარ ღორისშვილი, დამაცადე, გაგიხსენებ ამას, მაგის დროც მოვა“.

პრინცები და ცოცხლად გადარჩენილი რამოდენიმე თეთრი მეომარი წრეში იდგნენ. თავგანწირვით იგერიებდ-

ნენ ველურებს. თვალეებში ყველას სიკვდილი უჩანდა. თუმცა მათი სიმამაცე ბოროტებას ამარცხებდა, ცოფიანები შეშინებულნი და გაოგნებულნი უწევდნენ წინააღმდეგობას. თეთრი მეომრები ფარების გარეშე იბრძოდნენ. მარიუსს ისევ ორი ხმალი ეჭირა. სულ წინ ცდილობდა ებძროლა. ირგვლივ ვერაფერს გრძნობდა ვერ ხედავდა, — ვერც მტრის სიმრავლეს და ვერც თავიანთ სიმცირეს. შეშლილს ჰგავდა.

ფარისეველი მონა უკვე კოშკში ასულიყო. ცოფიან მეომრებს უბრძანა, ისრები დაემიზნებინათ თეთრი მეომრებისთვის. თვითონ მიზანში პრინციები ამოიღო. ფიქრობდა, პირველი რომელი მოეკლა. თითქოს რაღაც უხაროდა. ამ დროს ერთ-ერთმა თეთრმა მეომარმა შენიშნა, როგორ უმიზნებდნენ მათ კოშკიდან და დაიყვირა: „ფრთხილად, კოშკიდან ისრებს გვესვრიან“. ფარების მომარჯვება გვიანი იყო, უამრავი ისარი მათკენ მოფრინავდა. მარიომ ფარის მომარჯვება მოახერხა, ძმისკენ მიეშურა, რომ მარიუსის ზურგი დაეცვა. ვერ მოასწრო, მარიუსს ოთხი ისარი მოხვდა: სამი — ზურგში, ერთიც — ყელში. ამან მარიუსი წინ გადაისროლა. თავი შეიკავა, არ დაცემულიყო. მარჯვენა ხელით ხმალი მიწაში ჩაარჭო და დაეყრდნო, მარცხენათი ხმალი მალლა ასწია და არაბუნებრივად დაიყვირა: „ბა-აგრა“. ეცადა ისევ გაბრძოლება, მაგრამ ხმალი ხელიდან გაუვარდა, ძალა ეცლებოდა, თავი დახარა დედისკენ შეტრიალდა, მუხლებზე დაეცა, კიდევ ერთხელ დახედა დედას. პირიდან სისხლმა იჩქეფა. დედის გვამს დაეცა. ამის მნახველმა მარიომ ფარი გადააგდო და ისე გააგრძელა ბრძოლა. ნოზამ არავის მისცა უფლება პრინციისთვის ისარი ესროლა, თავად დაუმიზნა. ხელსაყრელ დროს ელოდა, გაუშვა ისარი და მკერდში მოხვდა მარიოს. დაჭრილი შეჩერდა, ახედა ნოზას მალლა, ნოზამ გაიცინა, პრინციმა ისარი მკერდშივე ჩაიტეხა, მიწაზე დაეცა, წამით გაირინდა, დედის ფეხებთან მიხობდა, ჩაეხუტა და სული განუტევა.

ნოზამ და ცოფიანებმა ბააგრების ყველა მეომარი დახოცეს. ჟორდანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაწყნარდა, წელში გაიმართა და სასახლეს მიაშურა. გამწარებული ბააგრას ეძებდა, მალე მიხვდა, რომ პრინცესა სასახლეში აღარ იყო. გადახედა დახოცილ რაინდებს, ვერ ნახა მენი, ძმები სონი და სანი. მიხვდა, პრინცესა მათ წაიყვანეს. გაცოფდა, მივარდა დედოფლისა და პრინცების გვამებს და დაიღმუილა: „დერჟი სასახლეში დაასვენეთ... ესენი კი ქალაქის შემოსასვლელში კედელზე ჩამოჰკიდეთ, ყველამ ნახოს, რა ვუქენით ბააგრებს. მიდით, გამოყარეთ გლეხები, სადმე იქნებიან შემალულები, ყველა დახოცეთ და მდინარეში გადაყარეთ“. ცოფიანი მეომრები ნოზას ბრძანების შესრულებას შეუდგნენ.

როგორც იქნა რაინდებმა და ბააგრამ გააღწიეს გვირაბის ბოლოს. გასასვლელი ჭერში იყო, ხის კიბეებით. ძალიან მძიმე კარი ჰქონდა, გარედან მიწა ეყარა. რამდენიმე წელი არავის აუხდია, ზედ ბალახიც მოდებულებიყო. ბააგრა და არწივი კედელთან დასვეს. საქმეს შეუდგნენ, ძალიან ძნელად ეძებდნენ გამოსავალს. პრინცესა და არწივი თავს ძალიან ცუდად გრძნობდნენ. როგორც იქნა ნაწილობრივ გაასუფთავეს და ასწიეს კარი, შიგ ფარი დაატანეს. პირველ რიგში ბააგრა ასწიეს გამოღებული კარამდის, რათა გოგონას ცოტა სუფთა ჰაერი მაინც ჩაესუნთქა. პატარამ მაშინვე დაიყვირა: „არწივი!“ რაინდები არწივს მიუტრიალდნენ, ფრინველი ფრთებს შლიდა. მოსულიერდნენ თუ არა, მაშინვე შეუდგნენ კარის ბოლომდე გახსნას. ცოტა წვალეების შემდეგ გვირაბიდან ამოვიდნენ. შუაგულ ტყეში აღმოჩნდნენ. გამოსასვლელი რაინდებმა ისევ კარგად შენიღბეს. ტყის იდუმალებამ ცოტა ხნით მოსულთ დაავიწყა მწარე სინამდვილე. იქვე ჩამოსხდნენ მოსასვენებლად. არწივი ხეზე შემოსკუპდა, ფრთებს ნისკარტით ისუფთავებდა. „მომისმინეთ ყველამ, აქედან, რაც შეიძლება, შორს

უნდა წავიდეთ... მალე დაღამდება, ღამე კი ტყეში სიარული საშიშია. ჩვენთან ბააგრა... ძალის მოკრება გვჭირდება, დანარჩენი დაღამებისას ვილაპარაკოთ, ძალზე გრძელი გზა გველის“... დაასრულა მენმა. პრინცესა ხეს მიჰყუდებოდა და სიყვარულით შესცქეროდა თეთრ არწივს. ტყე მდიდარი იყო ფლორითაც და ფაუნითაც, ამავე დროს საშიშიც, ყველანი გზას გაუდგნენ. ისევ ისე მიაბიჯებდნენ. პრინცესა რაინდებს შუაში ჩაეყენებინათ, არწივი ხიდან-ხეზე დაფრინავდა, თან თვალს არ აშორებდა მეგობრებს. ბააგრა არწივის ყურადღებას გრძნობდა და სიამაყით ივსებოდა. რაინდებმა იცოდნენ ამ ულამაზესი ტყის ავან-ჩავანი. ისიც იცოდნენ, რომ ტყეში ბევრი მტაცებელი ბინადრობდა. ამიტომ გზას სიფრთხილით მიიკვლევდნენ. ღამით ტყეში გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო. რაინდები ყურადღებით ათვალიერებდნენ გარემოს. ყველა ჩუმად იყო. განსაკუთრებით ფოცხვერები და გველები იყვნენ საშიში. ისინი უჩუმრად ესხმოდნენ თავს მსხვერპლს და გადარჩენა შეუძლებელი იყო. უფრო ფოცხვერის შიში ჰქონდათ, კარგად იცოდნენ მათი ემმაკობის ამბავი, ამიტომ ხმლები ყველას მომარჯვებელი ჰქონდა.

ღამემ მოუსწროთ. ლაკიმ არწივი ზურგზე შეისვა, სიბნელეში ფრთებით სადმე რომ არ გახლართულიყო. ყველა რაინდი ბააგრაზე ფიქრობდა. პრინცესამ არწივი ლაკის ჩამოართვა და გულში ჩაიხუტა. ფრინველმა თავი გოგონას თმებში ჩარგო. ჩაეძინა. მენიმ ბააგრა ზურგზე შეისვა. მასაც მალე ჩაეძინა. რაინდს ცალი ხელით პრინცესა ეჭირა, მეორეთი კი არწივი, რომ არ გაგუდულიყო. ხმალი ქარქაშში დააბრუნა. შუაში ჩაუდგა დანარჩენებს და ისე გააგრძელეს გზა... ჩირაღდნები ანთებული ჰქონდათ, მაგრამ სიარული მაინც უჭირდათ. გზას ტყის ხმაურიც ამძაფრებდა. არწივიც და ბააგრაც უკვე ღრმა ძილს მიეცნენ. რაინდები, მათი შემხედვარე, ერთმანეთს გადახედავდნენ.

უხაროდად და ილიმოდნენ. პატარა მეგობრების სიმშვიდე ძალას ჰმატებდათ რაინდებს.

ამ დროს, ბააგრების სასახლეში, საოცარი თავყრილობა გამართულიყო: ჟორდანს, ნოზას და ცოფიან მეომრებს შორის. ქალაქი კი ისევ ბობოქრობდა. ცოფიანთა სისასტიკეს ზღვარი არ უჩნდა. მოღალატე თავადი დედოფალ ანნას ტახტზე მოკალათდა. ხის საწოლზე დერჟი დაესვენებინათ. ჯორდან გარს ცოფიანი მეომრები შემოხვეოდნენ. ყველა დარჩენილი მოსახლეობის ადგილ-მდებარეობას კითხულობდა. ჟორდანმა მეომრებს გადახედა, მარჯვენა ხელი ასწია, ყველა გაჩუმდა. „პირველ რიგში, ვნუხვარ თქვენი მხედართმთავრის სიკვდილზე ვერაგი დედოფლისაგან. დერჟი ჩემი მეგობარი იყო. ძლიერი და ჭკვიანი, ისე დავკრძალავთ, როგორც მას შეჭფერის. ახლა კი მთავარი, მე თქვენს ბელადს ლენს — ჩემს მამას ვუნოდე, რადგან მე მამა აღარ მყავს, რაც მან გვიბრძანა უსიკვდილოდ უნდა შევასრულოთ. პატარა პრინცესა რაინდებმა გააპარეს. შორს ვერ წავლენ. დავიჭერთ და ბააგრას თავის ჭკვიან თვალებს დავთხრით. ხელებსაც მოვკვეთთ და ლენს გავუგზავნით. აუცილებლად ცოცხალი უნდა გადარჩეს, რომ მთელი ცხოვრება ეწამოს და ყველამ უყუროს მის ყოფას. თქვენ კარგად იომეთ, ახლა დილამდე დაისვენეთ, დილით კი, ხუთ ჯგუფად დავიყოთ, თითოში ასი მეომარი, სხვადასხვა მიმართულებით გავემუროთ ბააგრას საძებნელად. წარმატების შემთხვევაში ყველას ოქროთი დაგაჯილდოებთ“. ოქროს გაგონებაზე მეომრებმა ხმლები მაღლა ასწიეს და საშინელი ყვირილი ატეხეს. ჟორდანმა ისევ ასწია ხელი. გააჩუმა ყველა და განაგრძო: „ერთი არ მითქვამს, მე არ ვიცი, ვინ იყო დერჟის ახლო მეგობარი. მინდა ვიცოდე — ვინ შეცვლის მას?! ახლა მეც დადლილი ვარ, უნდა დავისვენო, თქვენც დამტოვეთ და დაისვენეთ“... ცოფიანები შეტრიალდნენ და ლაპარაკ-ლაპარაკით, კმაყოფილებმა დარბაზი დატო-

ვეს. აქ მხოლოდ ნოზა და რამოდენიმე მოლალატე თავადი დარჩნენ. ერთ-ერთი წინ წამოდგა და ფარისევლურად ჟორდანს მიეახლა: „ისე გამოდის, რომ ახლა ჩვენი მეფე თქვენ ბრძანდებით, ვფიქრობ, რომ არ ვჩქარობ... უბრალოდ მაინტერესებს, ჩვენ რა გველის შემდგომში?!“ განდიდების მანიით შეპყრობილი ჟორდანი ზემოდან გადმოჰყურებდა იქ მყოფთ. თავადები უხერხულად შეიშმუშნენ, ელოდნენ, რას ბრძანებდა მათი ახალი მეფე. „მეფედ რომ ვეკურთხები, მერე ვილაპარაკოთ დანარჩენზე. თქვენ კი, ხვალ, დილიდან, ცოცხალი ვინც დარჩა გლეხებიდან, ყველა შეკრიბეთ და ქალაქი გაასუფთავებინეთ. მე სანამ ბააგრას ვიპოვი, ყველაფერი მოაწესრიგეთ. ცოფიან მეომრებს არაფერი აწყენინოთ, არ დაგვემდურონ, ისინი კიდევ დაგვჭირდებიან. როგორც კი ჩემს სანადელს ავისრულებ, დავბრუნდები და იმავე დღეს ვეკურთხები მეფედ. ძალიან საინტერესოა, საიდან გააპარეს რაინდებმა პრინცესა. ვიცი, სადღაც აქ საიდუმლო გასასვლელია. სასახლე დიდია, მაგრამ მეც დიდხანს ვაპირებ მეფობას, ოდესმე მაინც მივაგნებ, მეფემ ხომ უნდა იცოდეს ყველაფერი“ — დაამთავრა ჟორდანმა და გაიცინა. ნოზამ და თავადებმა ტაში შემოსცხეს — „ახალი მეფე“ ტახტზე მოკალათდა. „კარგით, თავადებო! ახლა წადით, უნდა დავისვენო ნოზა! შენ დარჩი!“ თავჩალუნულმა თავადებმა დარბაზი უკანსვლით დატოვეს. ჟორდანი ტახტიდან წამოდგა რამდენიმე კიბე ჩაიარა, შეჩერდა — ხელები ზემოთ აღაპყრო და გახარებულმა შესძახა: „ეს ყველაფერი ჩემია!!!“ ნოზას შეხედა და უბრძანა, დედოფლის ოთახი მოემზადებინა მისთვის, დასასვენებლად, რამდენიმე ცოფიანი მეომარი შემოსასვლელთან დაეყენებინა, რაც მთავარია, მისი ცოლ-შვილი აქ ამოეყვანა.

რაინდები გზას განაგრძობდნენ. მხოლოდ ერთხელ ასწია პრინცესამ თავი შეშინებულმა და ისევ ძილს მიეცა. ეს ზუსტად იმ დროს მოხდა, როცა დედამისს და მის ძმებს

თოკებით ქალაქის შესასვლელში ჰკიდებდნენ. რაინდებმა ერთმანეთს გადახედეს, ლაკიმ ჩაილაპარაკა: „რალაც უბედურება მოხდა“. დამნუხრებულებმა გზა გააგრძელეს. ყველას ცუდი განცდა დაეუფლა. უცებ ხეზე რალაც შენიშნა სანიმ. ვერც ერთმა გაარჩია რა იყო. ბნელოდა. „ფოცხვერის მეტი სხვა რა იქნება, ჩაიჩურჩულა სანიმ. რაინდებმა შორიდან მოუარეს, რალაც აედევნათ შორიახლოს. ყველა ჩირალდანი აანთეს, ისევ აგრძელებდნენ გზას. ყველა მზად იყო მდევარს შერკინებოდნენ, თან ცდილობდნენ პრინცესას არ გაღვიძებოდა. ფოცხვერი იყო, თუმცა თავდასხმას არ აპირებდა. ცოტა ხანში, მეორეც გამოჩნდა, ორი უკვე საშიში იყო. რაინდები არ შეჩერებულან. სონი უკან მიჰყვებოდა, ხმალანეული, მხეცებს ესაუბრებოდა, თითქოს ესმოდათ მისი: „მოდით, მოდით, ჩექმებს შევიკერავ თქვენგან. მოდით აქ, მოდით, ჩექმებს შევიკერავ თქვენგან. მოდით აქ, მოდით! ფოცხვერები ჩუმად მისდევდნენ რაინდებს. სონის ლაპარაკზე იღრინებოდნენ. მთელი ღამე მენის ზურგით მიჰყავდა ბააგრა და არწივი. თენდებოდა, ფოცხვერები გაუჩინარდნენ. დაღლილი რაინდები უმაღვე მინაზე დაეყარნენ. ყველამ შვებით ამოისუნთქა — არწივს გაღვიძა. მენიმ ნაზად ჩამოსვა, ისე რომ პრინცესას არ გაღვიძებოდა. არწივი ხეზე აფრინდა, იქიდან გადმოხედა მეგობარს. ლაკი მენის მიუახლოვდა, ფრთხილად აიყვანა ბააგრა, გულში ჩაიხუტა მძინარე და ხის ძირას მოკალათდა. მენიმ მხრები გაშალა, ღრმად ამოისუნთქა და ბალახზე მიწვა უსიტყვოდ. არწივი ხიდან ჩამოფრინდა და ბააგრას კალთაში ჩაუჯდა. რაინდებს გაეცინათ. ერთ-ერთმა ქისიდან ხორცის ნაჭერი ამოიღო და არწივს მიანოდა. ფრინველმა სტაცა ნისკარტი და პრინცესას კალთაში მოათავსა საკვები. თავი ისევ გოგონას თმებში ჩამალა. „შეხედეთ, არ შეჭამა, ბააგრს უნახავს, ასეთი რამ არ დამინახავს და არც გამიგონია. არწივი ადამიანს უნახავს ხორცს“. ამ დროს

არნივი მალლა აფრინდა, ტყეში ჩაიმალა და უმაღლ გამოჩინდა. ბრჭყალებში კურდღელი ეჭირა. მსხვერპლი ფეხებთან მიუგდო რაინდებს და ისევ პრინცესას მიუბრუნდა. ყველას გაეცინა. „მიდით გაატყავთ კურდღელი და შევწვით, ხედავთ?! ფრინველთა მეფემ ძღვენი მოგვართვა, ორ ხელმწიფეს ვიცავთ“. — წარმოთქვა სიხარულით მენიმ. ყველა იცინოდა. „ჩვენი გაჩერება არ იქნება, სანამ ძალა გვაქვს, რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ, ბააგრა გაიღვიძებს, დანაყრდება და გზას გავუდგებით, ფოცხვერებიც სადღაც ახლოს არიან. უნდა გავშორდეთ“. — გააგრძელა მენიმ. ცოტა ხანში პრინცესამაც გაიღვიძა, არნივს მოეფერა, კალთიდან ხორცის ნაჭერი აიღო, შუაზე გაყო და ნახევარი არნივს უწილადა. არნივმა მიირთვა თავის ულუფა, ფრთები გაშალა, დაიყვილა... ბააგრამაც ცოტა შეჭამა, ქისიდან კანფეტები ამოიღო, რაინდებს დაურიგა და მიუგო: „მე მზად ვარ, შეგვიძლია გზა განვაგრძოთ“. პრინცესამ არც იცოდა, რომ რაინდები მთელი ღამე გზაში იყვნენ. არც ფოცხვერებზე იცოდა რამე. რაინდებმა ერთმანეთს გადახედეს, დათანხმდნენ გზა განეგრძოთ. „ბააგრა, ის ხორცის ნაჭერი არნივს მივეცი, მან კი შენ შევინახა, ჩვენ კურდღელი მოგვართვა“, ამცნო ლაკიმ გოგონას მეგობრის ერთგულება. პრინცესამ არნივს მიუღუტუნა: „სულ ასე იქცევა, უჩემოდ ლუკმას არ შეჭამს. ერთხელ სოფელში წამიყვანეს, მაშინ პატარა იყო, ოთახში ჩავკეტეთ, სამი დღის შემდეგ გვაცნობეს, რომ საჭმელს პირს არ აკარებდა, სასახლეში დავბრუნდით, ოთახში რომ შევედი მკერდზე მეცა და ნისკარტით კოცნა დამიწყო... ჩემი მიწოდებული ხორცის ნაჭერი მიირთვა. საწყალი, მოწყენილი თვალებით მიყურებდა. მას შემდეგ არასოდეს მიმიტოვებია, სულ ერთად ვართ, როგორც დები“. „კარგით, ავდგეთ და გავუდგეთ გზას, რამენაირად დაღამებამდე უნდა ვიაროთ შეუჩერებლივ. ისე, რომ ვთქვათ ფოცხვერებმა გვაიძუ-

ლეს ასე გვევლო, ახლაც მაგათი დამსახურებაა, რომ გზას უნდა დავადგეთ. ზოგი ქირი, მართლაც, მარგებელია“. — ნარმოთქვა მენიმ.

ბააგრების სასახლეში ჟორდანმა გაიღვიძა, მას ცოფიანების ახალი მხედართმთავარი ელოდებოდა — სახელად „ბოლი“. შეხვედრისას ჟორდანი მთელი სერიოზულობით შეეკითხა: „მზად არის ხუთი ჯგუფი გასამგზავრებლად?!“ „მზად არიან, ყველაზე კარგები შევარჩიეთ“. „კარგია, კარგი, შენ, ბოლი, აიყვან ჯარს, რამდენიც გჭირდება და სოფლებში გაემგზავრები. ტყულად ხალხი არ დახოცოთ. ნესრიგს დაამყარებ, მცირე რაოდენობის ჯარს დატოვებ ზედამხედველად. ზოგ გლესს აქეთ გამოგზავნი, აქ მუშაობაა საჭირო. დანარჩენ ჯარს გაჰყვები ყინულოვან ქვეყანაში. მე ხარკს და ძღვენს გაგატან ლენისთვის. ყველაფერს უამბობ, მთავარიც მოახსენე: როგორც გმირი, დერჟი იქ მინდა დავასაფლავო... ჰკითხე! თანახმაა, თუ არა“. ბოლიმ უპასუხა: „ყველაფერი გასაგებია. მოხუცებს რა ვუყოთ, რაში გვარგიან, იქნებ დავხოცოთ?!“ „ეს არ მიფიქრია, კარგი თქვი, შენ უკეთ იცი, რა უნდა ქნა, წამოიყვანე ყველა, ხალხს უთხარი, სამუშაოდ მიმყავს-თქო. გზაში კი მდინარეში ჩაახრჩეთ“. — დაეთანხმა თავადი. — „კარგით, ასე მოვიქცევი, კიდევ რაიმეს ხომ არ დამაბარებთ?!“ „ჩემი თავადებიც წაიყვანე, სოფელში რაინდებისა და ბააგრების ნათესავები არიან, ყველა უსიტყვოდ ამოხოცეთ“. — დაამატა „ახალმა მეფემ“. ბოლოს გაეცინა: „გასართობიც გამოგვიჩნდა, სასახლიდან გავიდნენ, კიბეებზე გაჩერდნენ, ზემოდან დაჰყურებდნენ გაპარტახებულ ქალაქს. ამ ყველაფრით ჟორდანი უსაზღვროდ გახარებული კმაყოფილი იყო... ქალაქი ცეცხლში იყო გახვეული მოხუცებისა და ქალების გვამებს მდინარეში ჰყრიდნენ. კიბეებზე ნოზამ ამოირბინა: „თავადო, დიდი ხარი ინვება შამფურზე ხომ არ მიირთმევთ, თითქმის მთელი ჯარი იქ არის“. ჟორდანი დაეთანხმა: „წავიდეთ,

თან მეომრებს დაველაპარაკები“. ამ სიტყვებით ჟორდანმა ბოლის მხარზე ხელი დაადო, წინ გზა დაუთმო. თან არიგებდა, ხარკს და ძღვენს რომ გაატანდა ლენისთან, ფრთხილად ყოფილიყო. ამაზე ბოლის ეცინებოდა. ქალაქში ერთ ადგილას დიდი მუხა იდგა. ცეცხლი იქ დაენთოთ ცოფიანებს და შამფურზე უზარმაზარ ხარს წვავდნენ. თავადი მიუახლოვდა მათ, შუაში ჩადგა: „ჩემო მეგობარო! იცით, ვის უნდა დავედევნოთ. მთავარი არავის დაგავინყდეთ, ბააგრა ცოცხალი გვჭირდება, ლენის ბრძანებას შევასრულებთ და გავუშვებთ“. ატყდა ყვირილი: „ჩვენ არაფერი გვავინყდება, რატომ უნდა გავუშვათ. გვყავდეს ბრმა მასხარა“. სიცილი აუტყდათ ველურებს. „მთავარია, არ მოკლათ და ვისაც გინდათ გყავდეთ „მასხარა“ — წარმოთქვა ჟორდანმა, შეტრიალდა ცეცხლისაკენ, მიუახლოვდა ხარს, ამოიღო ხმალი, უკანა ბარკალზე რამდენჯერმე ჩამოჰკრა, მოსჭრა დიდი ნაჭერი და მხეცივით შეექცა. ახლა ჯარისკაცები მიადგნენ და დაუნყეს ჩეხვა. ნოზა და ჟორდანი მხეცივით ჭამდნენ და სვამდნენ, თან სიცილით იხოცებოდნენ. ბოლი ცოფიანების დაყოფას შეუდგა. ჟორდანმა და ნოზამ სასახლის სამალავს მიაშურეს, — უზარმაზარ ოთახს იატაკის ქვეშ, სადაც ბააგრების სახელმწიფოს ქონება ინახებოდა. ჟორდანმა იცოდა სად იყო შესასვლელი. ერთ-ერთ კედელს მიანვა, გაიხსნა და შევიდნენ, კიბეებზე დაეშვნენ, კედლებზე ჩირაღდნებს ანთებდნენ, უცებ ნოზა გაშეშდა. პირდაღებული მიაშტერდა, იატაკზე უთვალავ ოქრო-ვერცხლს, ძვირფას ქვებს და ნაკეთობანს. ნანახმა ისე გააბრუა, გაიფიქრა ჟორდანი მოეკლა. ამ უკნასკნელმა ერთი ტომარა აავსო ძვირფასეულობით და ნოზასკენ მიტრიალდა: „რას გაშტერებულხარ, აქ შენი წილიც არის, როცა საჭირო იქნება, მოგცემ. ახლა მოდი, ეს ტომარა წამოიღე, ბოლის უნდა გავატანოთ. დანარჩენზე ენას კბილი დააჭირე!“ ნოზა ისევ გაშტერებული იდგა, ახლა ჟორდანს უყურებდა თვალებში. ჟორდანი გაბრაზდა, ხმა-

ლი იშიშვლა და დაუყვირა: „მოეთრიე აქ შე იდიოტო. ნოზამ თავი გააქნია, თვალები მოაშორა, ენა გადმოუვარდა, „კი, კი, ახლავე, თავადო! ახლავე, დავიბენი, ასეთი სიმდიდრე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს!“ ოქროს ციებ-ცხელებამ კინალამ მოკლა ნოზა. ტვირთი აიღო და კიბეებს აჰყვა.

ცოფიანების ჯარი ორად გაიყო. ნახევარი სოფლებისაკენ დაიძრა, იქედან ყინულოვან ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ ბოლთან და რამდენიმე მოლალატე თავადთან ერთად. ჟორდანი კი, ხუთასკაციან მხედრობასთან და რამდენიმე თავადთან ერთად, ნელ-ნელა ტოვებდა ქალაქს. ქალაქში ქალები და ბავშვები მუშაობდნენ. ცოფიანი მეომრები მათ სასტიკად ექცეოდნენ. ქალაქის გასასვლელში ჟორდანი-მა ცხენი შეაჩერა. კედელზე ჩამოკიდებულ დედოფალს და პრინციებს ახედა. ცხენი ყალყზე შეაყენა და ახარხარდა. შემდეგ მის „ერთგულ“ თავადებს მიუბრუნდა, რომლებიც აცილებდნენ: „ახლა თქვენ იცით, რამდენიმე დღე თქვენ მიხედეთ ქალაქს, ყველაფერი მომიმზადეთ, ჩემი ოჯახი არ შეანუხოთ“... თავადებმა მონებივით დახარეს თავები, ყველაფერზე დაეთანხმნენ. სულ თორმეტი იყვნენ. ჟორდანი-მა დაამთავრა ბრძანება, ცხენს დეზი ჰკრა და გააჭენა. უკან მიჰყვნიენ სხვებიც. ქალაქის კედელთან ბული დადგა. მიუ-ახლოვდნენ მდინარეს და ცხენებით გადაცურეს მეორე ნაპირზე ჟორდანი ჩამოქვეთიდა, უხმო ნოზას და სამ თავადს: „მომისმინეთ კარგად, ხუთ ჯგუფად ვიყოფით, ვინც უფრო მალე მიაგნებს ბააგრას, სხვა ოთხ ჯგუფს უნდა შეატყობინოს. ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ. იცით ეს მდინარეც, ტყეებიც და მთებიც, ის რაინდები, ბააგრა რომ გააპარეს, ყველა თავდადებულია. მეშინია თეთრი მეომრებიც არ ახლდეთ. მაგრამ, მგონი გვირაბს არავის ენდობიან. მკვდარ რაინდებს ზუსტად ხუთი აკლიათ. ხუთივე საშიშია; იცოდეთ, ეგენი უკან არ დაიხევენ, ახლა კი მე, ჩემს მეომრებთან ერთად, მალლა, მთებში ავალ — შენ — ნოზა, შენებთან

ერთად ტყეში ნახვალ, თქვენ დაბლა ჩაუყვებით მდინარეს, მდინარის შემოსახვევთან ჯერ ერთი ჯგუფი შევა ტყეში, მეორე მხარეს — მეორე ჯგუფი... მესამე ჯგუფი მდინარეს ჩანჩქერამდე ჩაუყვება, თუ არაფერი, უკან დაბრუნდება და დანარჩენ ორ ჯგუფს დაელოდება... მათი მიგნებისთანავე ვატყობინებთ ერთმანეთს. გასაგებია?“ ნოზა გაშტერებული სიფათით ჩაფიქრებული იდგა, თავი დაეხარა, უცებ ასწია თავი, თითქოს რაღაც აღმოაჩინა: „ყველაფერი გასაგებია, თავადლო! მაგრამ რაღა მაინცდამაინც მდინარის ზემო ნაწილში უნდა ვექებოთ. იქნებ გვირაბი სხვა მხარესაა გათხრილი?!“ „შეუძლებელია, ზუსტად ვიცი, სადღაც აქეთ არიან, არც ისე შორს, თან ცხენებიც არ ეყოლებათ, ეგენი მკვდარი ზღვისკენ წავლენ, გავიყოთ ახლა, არ დაგავინყდეთ, ბააგრა ცოცხალი მჭირდება“... „გასაგებია თავადლო, ყველაფერი ისე იქნება, თქვენ რომ გაგიხარდებათ“ დაუყვავა როზამ. ყველანი ცხენებზე ამხედრდნენ და თავთავიანთ მინიშნებულ ადგილებს მიეშურნენ. ნოზა ზუსტად რაინდებისა და ბააგრას გზას დაადგა. თავისი ჯგუფი ტყეში გაშალა, თითოეულ ბუჩქს აკვირდებოდნენ.

რაინდები და ბააგრა აჩქარებულნი განაგრძობდნენ გზას, წინ ჩანჩქერი დახვდათ მდინარეზე. „მდინარე უნდა გადავცუროთ, დროს მოვიგებთ“ თქვა მენიმ. ბააგრას გადახედა და ჰკითხა: „ცურვა იცით პრინცესა?!“ „კი, კი ვიცი, მენი, ჩვენთან, მდინარეში, სულ წყალში არ ვიყავი?!“ მენიმ დანარჩენებს მოუხმო: „წყალში წრე შევკრათ, ბააგრა შუაში იქნება, ასე გავცუროთ. ყველა ყურადღებით იქნება, მართალია, დიდი მანძილი არ არის, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ბააგრას მაინც მივაბათ წელზე ჩვენი ქამრები“. მენი მაშინვე მიუახლოვდა ბააგრას, ნაჭერში გახვეული გვირგვინი შეუმონწა. მხარზე ხელი დაადო: „ხომ არ გეშინია ბააგრა?!“ პრინცესამ გაუღიმა: რისი უნდა მეშინოდეს, რაინდებთან ერთად ვარ, ჩემი არწივიც ჩემთანაა.

გზაში დამცხა, ახლა გავვრილდები“. ყველა რაინდს უხაროდა პატარა პრინცესას სითამამე. სანიმ ბააგრას წელზე ქამრები დაუმაგრა, ხელზე დაიხვია. ასწიეს ფარები მალლა, ისრები დაიმაგრეს, ხმლებთან და მშვილდებთან ერთად. ყველა წყალში შევიდა. პრინცესა მართლაც კარგად ცურავდა. დინება არც ისე ძლიერი იყო. ყველანი დინების მიმართულებით მიცურავდნენ. ადვილად გადალახეს მდინარე. ტანსაცმელი განურეს. ბააგრამ კაბა ზედ ჩამოიწურა. ხეზე მჯდომ არწივს ახედა და დაუსტვინა. არწივმა მდინარეს გადმოუფრინა და პრინცესას ფეხებთან გაჩერდა. გოგონამ ხელში აიყვანა, მდინარესთან მიიყვანა, ფეხებით წყალში ჩასვა, ნაზად ასხამდა მეგობარს წყალს, თან ჩურჩულით ესაუბრებოდა: „შენ გოგო ხარ, თეთრი, ყოველთვის სუფთად და ლამაზად უნდა გამოიყურებოდე“. — არწივი მორჩილად იდგა, სიამოვნებდა ბანაობა, თან თავის პრინცესას ხელით. ბანაობას მორჩნენ. ფრთები დაიფერთხა. იყივლა. საოცარი სანახავი იყო ეს ყოველივე. მენიმ უბრძანა ყველას, გზას დადგომოდნენ. გარემო ისეთი წარმტაცი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი. ჩანჩქერისა და მდინარის ხმაური, ჩიტების ჭიკჭიკი საოცარ ჰარმონიას ქმნიდა. ბააგრა ფიქრებმა გაიტაცა, დედაზე და ძმებზე იმედი მაინც ჰქონდა, რომ ცოცხლები იქნებოდნენ. რაინდები კი, დარწმუნებულნი იყვნენ, ცოფიანები მათ ცოცხლებს არ დატოვებდნენ. ამ თემამზე საუბარს გაურბოდნენ. როგორც ყოველთვის, ბააგრა შუაში ჩაიყენეს, ცუდ გზებზე ხელში აიყვანდნენ, პრინცესას ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა, თუმცა ერიდებოდა ეთქვა, ზურგის მაგივრად მხრებზე შეესვათ. მენიმ იცოდა ეს და ხშირად შემოასკუპებდა თავის მხრებზე. პრინცესა შუბლზე მოხვევდა ხელებს რაინდს და ლამაზად იღიმოდა. არწივი ხან წინ გაფრინდებოდა, ხან უკან, თითქოს ფრთხილობდა, ხიფათი ხომ არ ელოდათ.

ამ დროს ბოლი, თავის ცოფიანებთან ერთად, სოფლებს

შეესია. სოფლის მოსახლეობა დაიბნა. მოღალატე თავადები ცოფიანებს მიანიშნებდნენ, ვინ უნდა დაეხოცათ. გლებს ამცირებდნენ, ბილწავდნენ მათ ოჯახებს, ყველას არ კლავდნენ. სასტიკი და დაუნდობელი ბოლი ცოფიანებს ძირითადად მოხუცებს ახოცინებდა და მდინარეში აყრევინებდა. მოღალატე თავადები სიხარულით ინანილებდნენ ერთმანეთში სოფლებს. ხალხში კი იდგა ერთი ვაი-ვიში, ბევრს ასეთ ყოფას სიკვდილი ერჩია. ყველა სოფელში ბოლი ტოვებდა ცოფიანების მცირე რაზმს. დედოფალ ანნას ნათესავმა და ახლობელმა თავადებმა, რაინდთა ოჯახის წევრებმა, ტყეში გახიზვნა მოახერხეს, მალულად.

ჟორდანი, თავის ჯგუფთან ერთად, მთებში გამეხებულნი ეძებდა პრინცესას და რაინდებს. სიჩქარეში ბევრი მეომარი დაკარგა. ისინი კლდეებიდან გადაიჩიხნენ. სისხლისმსმელ მოღალატეს ეს ნაკლებად ანალვლებდა. მისი მხეცური სურვილი იყო ბააგრა შეეპყრო. იცოდა, როგორ ვერ იტანდა პრინცესა მას, როგორ იცოდა პატარა გოგონამ მისი მოღალატე ბუნება და დაუნდობელი სული, სწორედ ეს იყო რომ აცოფებდა ჟორდანს. სახე სიმწრისაგან დაუსივდა. სხვა ჯგუფებიც ეძებდნენ. მხოლოდ ერთი ასეული იდგა პრინცესას კვალზე. ეს მლიქვნელი და გაიძვერა ნოზა იყო. თუმცა მან ეს არ იცოდა. ცხენებს არ აჩქარებდა. კარგად ზვერავედა ადგილმდებარეობას, ეძებდა, სადმე ხომ არ იყვნენ ჩამალულები.

რაინდები გზას აგრძელებდნენ, „მალე დაღამდება, ორნი ნადით და მახლობლად რაიმე მოინადირეთ. ღამე კარგად უნდა დავისვენოთ, დილით კი კლდეზე ასვლა მოგვინწევს, იქ ძალზე ვიწრო ბილიკია, სიფრთხილე გვმართებს“. ამიტომ კარგად უნდა დავისვენოთ, თან უნდა დავნაყრდეთ, კლდეზე ასვლა-ჩასვლა დიდ დროს ნავართმევს... კლდეზე გაჩერება სახიფათოა“. — დაარიგა მენიმ თავისიანები. სანიმ მშვილდი აიღო, ისრები მოი-

მარჯვა, გამართა მშვილდი და რაინდებს გადახედა: „ვი-საც გინდათ, გამომყევით“. ტყის მაღლობს შეუდგა, ახლა სონიმ მოიმარჯვა მშვილდ-ისარი და ძმას გაჰყვა ტყეში. საოცარი ფლორა და ფაუნა იყო. იმდენად მრავალფეროვანი, რომ ვერც ჩამოთვლიდი. ცოტა ხანიც კი არ იყო გასული, რომ ძმებმა მხრებზე გადებული გარეული ღორი მოიტანეს. მზე ჩადიოდა. ღამდებოდა.

ნოზა და მისი ჯგუფი მდინარეს მიუახლოვდნენ. ზუსტად იმ ადგილას გაჩერდნენ, საიდანაც რაინდებმა და პრინცესამ გადაცურეს. ნოზა ცხენიდან ჩამოხდა, მდინარესთან მივიდა, დააკვირდა მეორე მხარეს, თვალები დახუჭა, ჰაერი შეიყნოსა ძალღვივით, თითქოს უნდოდა სუნი ეგრძნო პრინცესასი, მას ხომ ნელსაცხებლებით ანებივრებდნენ. ვერაფერი იგრძნო, ჯგუფს ცხენებიდან ჩამოქვეითება უბრძანა: „ღამე აქ მოვისვენებთ, დილით მდინარეს გადავცურავთ. ცხენები აქ უნდა დავტოვოთ, ათეული დარჩება. ვგრძნობ, ამ გზით მიდიან, ოჰ! როგორ ვგრძნობ...“ ამ სიტყვებით გახედა მდინარის მეორე ნაპირს. ერთ-ერთმა მეომარმა ჩაილაპარაკა: „ჩვენი ცხენები რატომ უნდა დავტოვოთ, გავცუროთ ცხენებით“.

„აბა, მაჩვენე, მუხლამდე შეიყვანე ცხენი მდინარეში, მიდი, მიდი“... ცოფიანმა მიიყვანა პირუტყვი მდინარესთან... ჩაყო წინა ფეხები წყალში და გაჩერდა... მეომარი აღვირით შეეცადა მდინარეში შეეყვანა პირუტყვი“... ამოდ, მათრახი გადაჰკრა, ცხენი ორ უკანა ფეხზე დადგა, წინა ფეხები მეომარს ჩაარტყა, მეომარი მდინარეში გადავარდა. ცხენი შეშინებული გავარდა. ცოფიანი მდინარიდან ამოვიდა. ნოზას მიუახლოვდა: „ეს რა იყო?!“ იკითხა ნოზამ, ცოფიანები გულიანად იცინოდნენ, „არ შედის პირუტყვი ამ მდინარეში, ეშინია, არავინ იცის, რატომ?“ ეს თქვა და ხის ძირას წამოწვა. ცოფიანები სანადიროდ გაეშურნენ.

ნოზა და ბააგრა ერთმანეთისაგან კარგა დიდ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი.

დაღამებისას რაინდებმა მოსასვენებლად შესაფერისი ადგილი ამოირჩიეს, ისეთი, რომ კოცნის შუქი შესამჩნევი არ ყოფილიყო. გაატყავეს გარეული ღორი, საგანგებოდ გაკეთებულ ხის შამფურზე წამოაგეს, შეწვას შეუდგნენ. ბააგრა ხის ძირას, ზურგით ხეზე მიყრდნობილი ტკბილეულს მიირთმევდა. იმავე ხეზე იჯდა თეთრი არნივიც. ის უმ ხორცს შეექცეოდა, რაინდებმა მიართვეს. პრინცესა ხუთივე რაინდს პატარაობიდან იცნობდა... თუმცა ასეთი ძლიერები თუ იყვნენ, არ ეგონა... ნაომრები, დაღლილები; თითოეული მათი მოძრობა, გამოხედვა, დაფიქრებული, დაძაბული, ფრთხილი, ამავე დროს, საოცრად თავისუფალი იყო; ეტყობოდათ, რომ ყოველთვის მზად იყვნენ ბრძოლისათვის. ბააგრა აკვირდებოდა რაინდებს, ძალა ემატებოდა. სიყვარულით ათვალთქვებდა თითოეულ მათგანს. რაინდები შემწვარ ხორცს მიირთმევდნენ. ერთმანეთში საუბრობდნენ. უცებ ლაკიმ ყველა გააჩუმა: „მინდა, რომ ყველამ თავისი აზრი გამოხატოს, რომელი გზით წავიდეთ, შენ დაიწყე, მენი!“ ძმებიდან ერთ-ერთმა მენის დაასწრო: „მართალია, მენი ჩვენი უფროსია, მისი სიტყვა სიტყვაა, მაგრამ მთებს იქით გზა არ იცის, მკვდარ ზღვასთან არასოდეს ყოფილა“. სანი გაჩუმდა და მენის შეხედა: „მართალია, არ ვყოფილვარ, არც მთის იქით ვიცი გზა, ვინც იცის, ის გაგვიძღვეს, მეტი რა ვთქვა, ჩვენთვის მთავარია, ბააგრა მივუყვანოთ წმინდა მიწის მეფეს“. საუბარში სონი ჩაერია: „წმინდა მიწამდე რომ მივალწიოთ ასე, ფეხით სიარულით, რამდენმა მთვარემ უნდა გაიაროს. მრავალი დღე დაგვჭირდება, თან არავინ უნდა გვნახოს, ისე უნდა მივიდეთ მკვდარ ზღვამდე, ყველამ ვიციოთ რა სახიფათოა, თუ გაიგეს, რომ პრინცესა ჩვენთანაა“. ახლა ლაკიმ დაიწყო: „რა დროც არ უნდა დაგვჭირდეს, ბააგრამ წმინდა მიწაზე ფეხი უნდა დადგას“. „რა

მანცდამანც ნმინდა მინა დაიჩემა ყველამ?! მესმის, დედოფლის ბძრანებაა და ვასრულებთ, უკან არ ვიხევთ, მაგრამ სანამ იქ ჩავალთ, ერთი ზამთარი ცეცხლოვან ქვეყანაში გავჩერდეთ, დრო მოვიგოთ და ჩვენი ძებნაც შეწყდება. იქნებ რომელიმეს ჰგონია, თავი დაგვანებეს და ახლა არ გვეძებენ?!" მენიმ ჯოხი აიღო და ნაკვერჩხალი აურია. ცეცხლს უყურებდა. თავაულებლად დაიწყო: „რაინდებო! საქმე იმაშია, რომ ჩვენ — ხუთივეს და ამ პატარების (ბააგრა და არნივი იგულისხმა) ამონყვეტა უნდათ, იქამდე არ მოისვენებენ, რა დროც არ უნდა გავიდეს, სანამ სანადელს არ შეისრულებენ, ჟორდანმა კარგად იცის, რატომ უნდა ბააგრას დინასტიის განადგურება, ათასეული წლის წინ გამოგზავნეს ისინი ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს დასახმარებლად წმინდა მიწიდან, მანამდე მოსვენებას არ გვაძლევდა მტერი... ბააგრას დინასტიამ გადაგვარჩინა. მერე, რაც ხდებოდა, იმ სისხლიან ომებში, მეფეები ბააგრები იყვნენ. შესაშური იყო მათი თავდადება ჩვენი მიწისათვის. სასახლეში კი არ იმალებოდნენ. ასე აღკვეთეს მტრის ბოგინი. შემდეგ გადანყვიტეს წმინდა მიწაზე დაბრუნება. ყველა ფეხზე დადგა, თავადი თუ გლეხი. ხალხს არ უღალატეს, დარჩნენ ჩვენს მიწაზე. მას შემდეგ რამდენი საუკუნე გავიდა. ეს ყველაფერი იცის იმ გაიძვერა ჟორდანმა. ამიტომ გადანყვიტა ცოფიანებს დამეგობრებოდა. ისინი ბევრნი არიან. ჟორდანმა ისიც იცის, რომ ჩვენს რჩეულს, ჩვენს პრინცესას წმინდა მიწის მეფე დაეხმარება. თუმცა მას რიცხვმრავალი ჯარი არ ჰყავს. მაგრამ ცოფიანები ვერასოდეს გაბედავენ წმინდა მიწაზე მისვლას. ეშინიათ მხეცებს. ასე, რომ გაჩერებას აზრი არა აქვს, პირიქით, სახიფათოა. გვირგვინი, რომელიც თან გვაქვს, წმინდა მიწის მეფემ აჩუქა ბააგრას; ამბობენ, ბერების გაკეთებულიაო. ძმებმა შეანყვეტინეს მენის თხრობა, თითქმის ერთდროულად წამოიძახეს: „არ შეიძლება გვირგვინი გვაჩვენოთ“. ლაკის გაეცინა: „რა მოგდით, არ

გრცხვენიათ, პატარებივით იქცევით, ბააგრასი მაინც შეგ-
რცხვეთ“. მენი უსმენდა რაინდებს და თან პრინცესას აკ-
ვირდებოდა. ბააგრამ ზურგიდან ნაჭერში გახვეული გვირგ-
ვინი მოიხსნა და გაშალა. გვირგვინი ხელში აიღო. არწივი
ხის ტოტიდან ჩამოფრინდა, ღამით ხედვა უჭირდა, კინაღამ
ნისკარტით მინაში ჩაერჭო. გოგონამ ხელში აიყვანა მეგო-
ბარი, გულში ჩაიკრა, სონის მიუახლოვდა, ყველა მას შეაჯ-
ქერდა. ფეხზე წამოუდგნენ. სიჩუმემ დაისადგურა. სონი
ცალ მუხლზე დაეცა, ხმაღს სწვდა, გულზე მიიღო: „მაპატი-
ეთ, პრინცესა, მე მხოლოდ მაინტერესებდა გვირგვინის
ნახვა“... ბააგრამ უბრალოდ გაუწოდა გვირგვინი და მის
გვერდით ჩამოჯდა... „ნახე, სონი, აიღე, მხოლოდ ფეხზე წა-
მოდექი, გამომართვი გვირგვინი...“ სონი დაიბნა. „აიღე, გა-
მომართვი, რომ გეუბნებიან“... შემოუძახა მენიმ... სონიმ,
ორივე ხელით, ნაზად გამომართვა გვირგვინი, ჩამოჯდა და
გულისყურით ათვალიერებდა... პრინცესამ სონის თავი
მკერდზე დაადო თანატოლივით... თვითონაც შეათვალიე-
რა გვირგვინი. სონი თითებით ეხებოდა, აკვირდებოდა, რა
იყო გვირგვინზე გამოსახული, ძვირფას ქვებს არც კი ამჩ-
ნევდა: „ვინ არის გვირგვინზე ამოტვიფრული სამი ადამიან-
ნი, რატომ არის ვერცხლის?!“ სანიმ გადახედა ძმას და
პრინცესას: „მეც ვნახავ პრინცესა, თუ ნებას დამრთავთ“.
გოგონამ თავაუღებლად მიუგო: „ნახე, სანი, ყველამ ნა-
ხეთ“, სანიმ გამომართვა, სონის არ უნდოდა, ძმამ შეუბღვი-
რა: „სხვებსაც უნდა ნახვა“. „რა! გიჟებსაც ანიტერესებთ?!“
ჩაიციანა... მენი ჩაერთო საუბარში: „ეს გვირგვინი ვერცხ-
ლის კი არა, თეთრი ოქროსია. ეს სამი წმინდა მთაზე მცხოვ-
რები ბერია. მათი დაამზადებულია გვირგვინი, მეორე მხა-
რეს არწივი და გველია ამოტვიფრული. ეს რას ნიშნავს,
არავინ იცის. გვირგვინის თავზე მწვანე ქვა, ბრილიანტისაა,
გარშემო შავი ქვებიც ბრილიანტებია“. მწვანე ქვა გარგა-
რის ხელა იყო, ხოლო შავი ბრილიანტები გარგარის კურკის

ხელა. შავი ქვეები რვა ცალი იყო. შორიდან საოცრად ბრწყინავდა გვირგვინი, განსაკუთრებით ცეცხლის ალზე. „რატომ ამბობენ, ამ გვირგვინს სასწაულის მოხდენა შეუძლიაო, რა სასწაულია“? — შეეკითხა ლაკი მენის. „ამ გვირგვინის სასწაულების ამბავი მხოლოდ ბააგრას მამამ იცოდა. შემდეგ ბააგრა გაიგებს, როცა ოცდაერთი წლის გახდება, მას, რაც მამამისმა იცოდა მისი გვირგვინი, გარდაცვალების შემდეგ, ისევე წმინდა მინაზე დააბრუნეს. ეს გვირგვინი მხოლოდ ბააგრასათვის გააკეთეს“. დენი ხეზე იყო მიყუდებული. ირგვლივ რაც ხდებოდა, არ აინტერესებდა, მხოლოდ ბააგრას მიშტერებოდა და ფიქრობდა: „რა მაგრად უჭირავს თავი, ამ პატარა გოგოს“. სონიმ პრინცესას შეხედა: „ბააგრას დაბადებიდან ვიცნობ, რატომ ამბობენ, რომ არწივისებურად ცხვირი აქვს, სულაც არა, აბა, შეხედეთ, ძალიან, კარგი ცხვირი აქვს“. „აი, დააკვირდი, ცოტა მაინც მიამსგავსე, აი, შენ კოდალასებრი ცხვირი გაქვს“. გაეხუმრა სონის. იმანაც უპასუხოდ როდი დატოვა... „მე ნორმალური ცხვირი მაქვს, თქვენ ცხვირებს შეხედეთ“. ყველა იცინოდა. სონი რაინდი იყო, მაგრამ გაპრანჭვა უყვარდა ძალზე სიმპათიური ყმანვილი იყო. დიდად არ ეპიტნავა მენის ხუმრობა. რაინდებს ეს არ გამოჰპარვიათ. უარესი სიცილი ატეხეს. ბააგრამ სონის მკერდიდან თავი ასწია, შეხედა მის ცხვირს, თითებშუა მოიქცია, ნაზად მოუჭირა, აქეთ-იქეთ გაუნია და ჩაილაპარაკა: „მე მგონი, მართლაც კოდალას ნისკარტს მიუგავს“. სონი გაშეშდა. ბააგრამ ცხვირიდან ხელი მოაშორა. ნამოდგა გაბრაზებული და ჩაიდუდღუნა: „ქალაქში მე ყველაზე სიმპათიური ვიყავი, ყველა გოგო მე მიყურებდა. შეხედეთ თქვენს ცხვირებს, ბააგრას შეეკითხეთ, რას იტყვის!“ სონიმ პრინცესას გადახედა: „პრინცესა თქვით, რომ მე ყველაზე სიმპათიური ვარ!“ რაინდებს კვლავ სიცილი აუტყდათ, თავს ვერ იკავებდნენ. იმ დროს არავის ახსოვდა, რა უბედურებას დააღწიეს თავი. ბააგრამ

სიცილი შეწყვიტა. შეხედა ყველა რაინდს სერიოზული სახით, თითქოს დიდი ქალი ყოფილიყოს და მთელი ძალისხმევით წარმოთქვა: „ახლა, ყველას რომ გადავხედე და დავფიქრდი“... პრინცესა შეჩერდა, მიუახლოვდა სონის, მიაწოდა ნაჭერი და სთხოვა გვირგვინი შეეხვია, ისევ ზურგზე დაემაგრებინა მისთვის. მერე გააგრძელა: „ჰო, სონი, რომ ვუყურებ თითოეულ თქვენთაგანს, ვფიქრობ, რომ შენ ისეთი სიმპატიური ხარ, გოგოებმა“... ბააგრა ისევ შეჩერდა, ყველას გადახედა, სონის მიაჩერდა, სონი მოუთმენლად ელოდა სათქმელს. სანიმ ვერ მოითმინა და სიცილი აუვარდა, თან პრინცესას მიუგო: „თქვი, თქვი ბააგრა“ გოგონამ თავი ჩალუნა, თითები ტუჩებზე მიიდო, თავი ისევ ასწია. ლაკიმ დაასწრო და წამოიძახა: „გოგოებმა, რაო, რა... თქვი, მალე, ბააგრა, გოგოებმა რა?!“ პრინცესამ გააგრძელა: „სონი ისეთი სიმპატიურია, რომ მე ვფიქრობ, გოგოები მოიტაცებენ“. ისევ დაასწრეს ბააგრას. ყველამ გიჟური სიცილი ატეხა. ყველაზე უფროსმა და სერიოზულმა რაინდმა მენიმაც კი ვერ შეიკავა სიცილი. სიცილისაგან მინაზე კოტრიალობდა. ისე იცინოდნენ, თითქოს სიცილისგან გული მისდიოდათ. დენი ყვიროდა: „დამიჭირეთ, თორემ წავიქცევი“. სონი ხის ძირას ჩამოჯდა, ჩაიდო პირში ჩხირი და თავისთვის ბურტყუნებდა: „იცინეთ, იცინეთ“. გაბრაზებული შესცქეროდა მოძმეთ. პრინცესა თავის ადგილას დაბრუნდა, ხის ძირას ჩამოჯდა, არწივი კალთაში ჩაისვა და ეფერებოდა. სონის ძმა ისევ მინაზე კოტრიალობდა. იგუდებოდა სიცილით. ფეხზე ცეცხლის ნაკიდებაც კი ვერ იგრძნო. ამის შემხედვარე სონისაც გაეცინა. ყველანი გულიანად ხარხარებდნენ. ცოტა ხანში ყველანი მიჩუმდნენ. მხოლოდ ტყის ხმაური ისმოდა. ბააგრა ისევ არწივს ეფერებოდა. სიჩუმე დენიმ დაარღვია: „იცით, რაზე ვფიქრობ, ჩვენ წინ დიდი გზა გვაქვს, ვინც შეგვხვდება, ყველას ხომ არ დავხოცავთ?!“ „ვერ გავიგე, რაზე ლაპარაკობ?!“ კითხვა შეუბრუნა ლაკიმ. „რა, და,

ბააგრას ვინც ნახავს ყველა იცნობს, ასეთი წარბები არცერთ გოგონაზე არ მინახავს, ყველამ იცის, რომ ეს ბააგრების დინასტიის მახასიათებელია“. „ისე, მართალია, ყველა იცნობს ბააგრას, ჩვენც საფრთხეში ჩავცვივდებით“. — დაამატა მენიმ. გახარებული სონი ადგილს მოსწყდა: „დავუთხელოთ წარბები პრინცესას“. „დავუთხელოთ“. დაადასტურა მანიმ. რაინდებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველა ბააგრას მიუახლოვდა. „რეებს ამბობთ?!“ გაკვირვებით წამოძახა პრინცესამ. უარზე დადგა. როგორღაც დაითანხმეს. შემოუსხდნენ გოგონას გარშემო და დაიწყეს წარბების პუტვა დანით. სათითაოდ აცლიდნენ, თან ამბობდნენ, კიდევ კარგი, მთლად მამამისივით წარბები არა აქვს, თორემ მაშინ გენახა“. ხანდახან გოგონა სიმწრისაგან წამოიყვირებდა, უმაღვე არწივიც იყივლებდა. ერთჯერ არ შეუჩერებია პატარას რაინდები. როგორც იქნა საქმეს მორჩნენ. მენიმ თითებით გაუსწორა პრინცესას დარჩენილი წარბები. უცებ უკან დაიხია და გაშეშდა. ყველა გაოცებული შესცქეროდა პრინცესას, თითქოს თვალები შუბლზე დაასხდათ. ბააგრა ვერ მიხვდა, რა მოხდა. „რა არის, სულ დამლუპეთ, რა მიქენით, დღისით გაგეკეთებინათ, ამ შუალამისას რომ გამამწარეთ, რა გამოვიდოდა, რა?!“ პატარას ეგონა რაინდებმა დაამახინჯეს. ისინი კი დუმდნენ. სქელ წარბებქვეშ ენით აუწერელი სილამაზე იმალებოდა. თითქოს სიბნელეში შუქი აინთოო, ისე გამოანათა. რაინდების დადუმების მიზეზიც პრინცესას დამალული მშვენიერება იყო. ასეთი სილამაზე არასოდეს უნახავთ. ამ დროს ღრენის ხმა გაისმა. რაინდებმა ჩირალდნები მოიმარჯვეს. ტყისკენ მიანათეს. მათ შორიახლოს ორი ფოცხვერი იდგა, თითქოს თავდასხმისათვის ემზადებოდა. ლაკი დააკვირდა მოსულთ და გაკვირვებით ჩაილაპარაკა: „ესენი ის ფოცხვერები არიან, წინა დამით რომ მოგვდევენ“. დენიმ წინ გადადგა ნაბიჯი. ჩირალდანი მალლა ასწია, შეხედა მხეცებს და უკან დაიხია:

„ჰო, ისინი არიან. ეტყობა დღისით ჩუმად მოგვდევენ, ამოგვიჩემეს. ამათ თუ ვინმე ამოიჩემეს ვერაფრით შეაჩერებ“. სანიმ და მენიმაც ასწიეს ჩირალდნები. დააკვირდნენ. „არა, სხვები იქნებიან, მდინარეს ხომ ვერ გადმოცურავდნენ, იქ ხომ ცხოველი ვერ შედის“. ლაკი ღრმად სუნთქავდა. დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა: „ამათ წრე დაარტყეს ჩანჩქერს, გვერდიდან აჰყვნენ, იქ მდინარე ღრმა არაა, თან დიდი ლოდებია. იქიდან გადმოვიდნენ. ეს რამხელა გზა გამოიარეს, ჩვენ რომ დაგვწეოდნენ, ამოგვიჩემეს!“ სონის გაეცინა, აიღო მშვილდისარი, მოჭიმა: „რამდენს ლაპარაკობთ, გაჩუმდით, ახლა ორივეს მივასიკვდილებ“. ლაკიმ შეხედა, როგორ უმიზნებდა სონი ფოცხვერებს. შეშინებულმა დაიყვირა: „რას შვრები, გვლუპავ?!“ ამ სიტყვებით მშვილდისარი გააგდებინა რაინდს. სონიმ გაკვირვებით შეხედა ლაკის: „რა ჰქენი?!“ ლაკიმ შეხედა ბააგრას, მენის ეხუტებოდა, არწივით ხელში. „მამაჩემი მონადირე იყო განთქმული, ფოცხვერზე მიყვებოდა ხშირად, თურმე მათ შურისძიება იციან. კარგი მეხსიერება აქვთ. ერთხელ, ნადირობისას გადაჰყრიან, ერთი მათგანი შემოკვდომია. ამის გამო, ცოტა ხანში ნადირობა სულ მიატოვა, ამბობდა, „ფოცხვერებმა ამოიჩემესო“. ქალაქიდანაც აღარ გადიოდა. მერე, ერთხელაც, ღამით, ფოცხვერი შეგვივარდა სახლში, მამაჩემი დაგლიჯა. ჩვენთან ერთად ბააგრაა, ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავს თუ დაგვესხმიან, მაშინ დავხოცოთ. ამ ორის გარდა, კიდევ იქნებიან ახლომახლო, სიფრთხილე გვმართებს. ღმუილის ხმა გაისმა, რაინდებმა უკან მიიხედეს. მათ უკან მგლებისა და ტურების ხროვა მოდიოდა. რაინდები ბრძოლისთვის მოემზადნენ. კოცონთან ახლოს გამაგრდნენ, ცეცხლს შეუჟკეთეს, წრეში დადგნენ, ბააგრა შუაში ჩაიყენეს, მოიმარჯვეს იარაღი. სონიმ მომხდურთ ისრები დაუშინა. პრინცესა დაიბნა, ძლიერად იკრავდა თეთრ არწივს მკერდში. ყველა რაინდი მზად იყო ბრძოლისთვის. უეცრად ის ორი ფოცხვე-

რი დაიძრა, რაინდებთან ახლოს, ხეზე ახტნენ, იქ მოკალათდნენ. პირვანდელ ადგილას კიდევ რამოდენიმე ფოცხვერი გამოჩნდა. ყველამ ფარებით დაიფარა თავი. ხეზე მოკალათებული ფოცხვერები თითქოს ნახტომისათვის ემზადებოდნენ. მგლები და ტურები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ რაინდებს. ფოცხვერებმა ღრენა ატეხეს, დანარჩენები რაინდებისაკენ წამოვიდნენ. ბააგრა კვლავ რაინდების შუაში იდგა, არწივს ისევ გულში იკრავდა. რაინდები მიხვდნენ, — ამ შემოსევას ვერ გაუმკლავდებოდნენ. მენიმ ბააგრას დაუყვირა: „ბააგრა, თვალეები დახუჭე!“ პრინცესა უშიშრად იდგა. გრძნობდა, რომ ეს მისი ბოლო წუთები იყო. არწივს თვალეებზე ხელი ააფარა. ნაჭერი გაშალა და გვირგვინი თავზე დაიდგა. დიდი აღმოჩნდა პატარა პრინცესასათვის. ცხვირზე ჩამოუვიდა. იდგა ასე, ცხვირზე ჩამოფხატული გვირგვინით. უყურებდა, როგორ მორბოდნენ ფოცხვერები, ნელში გაიმართა, მხრები გაისწორა და არწივს მიუგო: „წუ გემინია, პატარავ, მე შენთან ვარ!“ არწივი ბააგრას უფრო ძლიერად მიეხუტა, გული ბაგაბუგით უცემდა. ის სიბნელეში მაინც ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ცუდის მოახლოებას გრძნობდა. სონიმ პრინცესას გადახედა, ფარი თავზე ასწია, ჩაავლო ხელი ხმაღს ძლიერად და ბააგრას მიმართა: „ბააგრა, თვალეები დახუჭე“. თითქოს ყველანი მზად იყვნენ სიკვდილისათვის. გამოსავალი არსაით ჩანდა. პრინცესამ თავი ასწია. შეხედა ხეზე შემომსხდარ ფოცხვერებს, ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს. მინაზე მყოფმა ფოცხვერებმა სირბილს აუჩქარეს. რაინდებს მიუახლოვდნენ, გაიყვნენ, რაინდები მათ შორის აღმოჩნდნენ. ხეზე მსხდომებმა ნახტომი გააკეთეს, რაინდებმა ფარები აიფარეს მოსაგერიებლად. ბააგრას თვალეები არ დაუხუჭავს. გაბრაზდა, რომ არაფერი შეეძლო. გულში ფიქრობდა: „პატარა მაინც არ ვიყო“. ფოცხვერებმა ზემოდან გადაუფრინეს რაინდებს და მგლებს და ტურებს ზედ დაახტნენ. მაშინვე დაუწყეს მათ გლეჯვა.

რამოდენიმე ფოცხვერი რაინდების ფარებს გადაახტნენ და ისე ჩაერთვნენ ბრძოლაში. ფოცხვერები და რაინდები გვერდიგვერდ იბრძოდნენ, ხროვის წინააღმდეგ. ერთი ფოცხვერი რაინდების ფეხებთან დაეცა, სონიმ ხმალი ფარებს შორის გაატარა და უკანა ფეხებში მძიმედ დაჭრა. რას წარმოიდგენდა რაინდი, რომ ფოცხვერები მათ საშველად მოვიდნენ. დაჭრილი ფოცხვერი მიწაზე გაუნძრევლად იწვა. უკან ფეხებზე სისხლი სდიოდა. პრინცესამ ეს დაინახა, არწივი მიწაზე დასვა. კაბაზე მკლავი მოიხია, ნაჭერი ფოცხვერს ჭრილობაზე დაადო, თან ხელი დააჭირა. ფოცხვერმა თავი ასწია. პრინცესა უშიშრად უყურებდა: „ნუ გეშინია“, ჩაულაპარაკა. მხეცმა თავი მშვიდად დადო მიწაზე. მგლებმა და ტურებმა უკან დაიხიეს. ფოცხვერები დაედევნენ. დაახლოებით, თხუთმეტი-ოცი იქნებოდა. რაინდები ბააგრას მიუბრუნდნენ. ყველა დაჭრილ ფოცხვერთან მივიდა. პრინცესა ფოცხვერის ფეხებთან იჯდა და შეხვეული ფეხი ეჭირა. არწივიც ბააგრას კალთაში მოკალათდა. „რა მოუვიდა ფოცხვერს?!“ იკითხა მენმა. სონიმ რაინდებს გადახედა. „მე რა ვიცოდი, თავზე დამახტა, ჰოდა ხმალი მოვუქნიე“. ამოილულლულლა. ლაკი შეშინდა, გაბრაზდა: „დანარჩენები დაბრუნდებიან და თუ ეს ფოცხვერი დაილუპა, ჩვენც მიცვალებულები ვართ; ჩვენ კი არა, ეს ფოცხვერები ბააგრას იცავდნენ. რამხელა გზა გამოიარეს, ჩვენი პრინცესა მართლაც რჩეულთაგან რჩეულია. რაღაც უნდა ვუშველოთ ფოცხვერს. სიკვდილი დაუშვებელია“. „რა ჩვენი ბრალია, ჩვენ რა ვიცოდით“. — დაუმატა სონიმ. მენიმ სონის შეხედა: „რომ დაბრუნდებიან, მათ უთხარი, არ ვიცოდით, უნდა გავვეფრთხილებინე-თქო“. ტყიდან ერთი ღრიალისა და ბრდღვინვის ხმა ისმოდა. ფოცხვერები ბოლომდე იბრძოდნენ. მენიმ სონის ხელი დაადო. მერე ფოცხვერს მიუახლოვდა, ბააგრას გვერდით ჩამოჯდა. ჭრილობიდან ხელი ააღებინა, დაათვალიერა, ისევ სონის გახედა: „სონი პერანგი გა-

იხადე“. მან უსიტყვოდ გაიხადა თეთრი პერანგი, შუაზე გახია და მენის მიანოდა. მენიმ წელზე დამაგრებული ქისა მოიხსნა, ხელზე რაღაც დაიყარა და ფოცხვერს ჭრილობაზე დაადო. ფოცხვერმა უცებ თავი წამოსწია, მენის შეუღრინა, რაინდი უკან გადახტა: „წამალმა გაამწარა! ეს კარგია!“.

ისევ ფრთხილად მიუახლოვდა და ჭრილობის გადახვევას შეუდგა. ფოცხვერმა ისევ დაუღრინა, წამოდგომას შეეცადა. ბააგრამ მენის გვირგვინი მიანოდა, არწივი ხელში აიყვანა, მენის პერანგის ნაჭერი სთხოვა. არწივი მხარზე შეისვა, მერე ნაზად აუწია ფოცხვერს ფეხი და ჭრილობა წელწელა გადაუხვია. ამ დროს ფოცხვერი კატასავით ნაზად კრუტუნებდა. „მე ვფიქრობ, გადარჩება.“ თქვა მენიმ. „ნეტავ ეგრე იყოს, იქნებ ვერც მიხვდნენ დანარჩენები, რომ ჩვენ დაგჭერით“, ინატრა ლაკიმ. ამ დროს ტოტების ლანალუნი და უცნაური ხმაური გაისმა... ფოცხვერები ბრუნდებოდნენ... აი, გამოჩნდნენ, თავისუფალი, ღირსეული მოძრაობებით. თითქოს რაინდები ბრუნდებოდნენ გამარჯვებულნი; მოფერება სწყუროდათ, მიუახლოვდნენ რაინდებს და დაჭრილ მოძმეს. იმ ორმა ისევ ხეზე ყოფნა ამჯობინა, იქიდან აკვირდებოდნენ მიდამოს. პრინცესამ ფოცხვერს დაჭრილ ფეხზე ნახვევი შეუსწორა, სწრაფად, შეშინებულმა; მერე არწივს სწვდა, გულში ჩაიკრა. ეს რომ მხეცებმა დაინახეს, იგრძნეს გოგონას დაბნეულობა. დაჭრილი ფოცხვერი უყურებდა მოძმეებს, პრინცესასთან ახლო მყოფი ფოცხვერი კი მიწაზე დანვა, თავი დახარა და მისკენ გახიხიდა. სხვები შეჩერდნენ. დაჭრილი ფოცხვერიც მიხიხიდა გოგონასთან, ცხვირი მის ჩექმებს დაადო. ბააგრა გაოცდა, არ იცოდა, რა ექნა. „პრინცესა, მოეფერე“. წასჩურჩულა მენიმ და გზა გაუნთავისუფლა. გოგონა მოეფერა დაჭრილს და ახლა სხვებისკენ მიემშურა უშიშრად. მენი შეუმჩნეველად მიჰყვებოდა უკან. ერთი ფოცხვერი მიუახლოვდა დაჭრილ მოძმეს, ჭრილობა დასუნა, ალოკა, თავი მოატრიალა და რა-

ინდებისაკენ გასწია. დანარჩენები რაინდებს გარს შემორტყმოდნენ. მენიმ ბააგრა ხელში აიყვანა. დაჭრილი ფოცხვერი მათი მეთაური აღმოჩნდა. ყველა მას უყურებდა. იმ ერთმა ფოცხვერმა ყველა რაინდს ჩამოურა. დაყნოსა. მენიმ ბააგრა სონის მიაწოდა. იცოდა, რომ ცხოველები ძალზე მგრძობიარენი არიან. ისიც იცოდა, რას ეძებდა. ფოცხვერი სონის მიადგა. ვერ მოასწრო დაყნოსვა. გაჩერდა, თითქოს ჩაფიქრდა ღრმად. მიუხალოვდა, მოულოდნელად შეტრიალდა და წინ დაუდგა. „არავინ არ გაინძრეთ, ხმა არ ამოიღოთ“, ჩუმად ჩაილაპარაკა ლაკიმ. უმაღლეს ფოცხვერმა მძვინვარედ დაიღრინა. ღრენა-ღრენით უკან დაიწია, შეჩერდა და თათებით მიწას ფხაჭნიდა, ისე ძლიერ, რომ ყველაფერი ამოგლიჯა გარშემო. ფოცხვერი ამ საქციელით მოითხოვდა, რომ სონის პრინცესა ხელიდან გაეშვა, მასთან ბრძოლა ჰქონდა ფოცხვერს განზრახული. „ბააგრა ხელიდან არ გაუშვა, თორემ მაშინვე დაგგლეჯს, არაფერი თქვათ“. ისევ გააფრთხილა ლაკიმ მეგობრები. მხეცმა ახლა ლაკის შეხედა და დაუღრინა. ლაკიმ თავი დახარა. მხეცი დარწმუნდა, რომ რაინდი ბააგრას ხელიდან არ გაუშვებდა. ღრენით გაშორდა სონის და დაჭრილ მოძმეს მიუწვა. ყველა დანარჩენმაც მას მიბაძა. მხოლოდ ხეზე მსხდომი ორი ფოცხვერი ფხიზლად აყურადებდა გარემოს. „მე მგონი, ყველაფერმა ჩაიარა, რაც ხდება, ყველაფერი სასწაულია; ვფიქრობ, შეიძლება ჩვენც ჩამოვსხდეთ“. ხმის ამოუღებლად ჩაიმუხლენ. სონიმ დააპირა პრინცესა გვერდზე მოესვა. ბელადმა ფოცხვერმა ეს შეამჩნია, მაშინვე წამოჰყო თავი, დაიღრინა და სონისკენ წამოსვლა დააპირა. მენიმ იყვირა: „ბააგრა ხელში აიყვანე, მალე!“ სონიმ პრინცესა ისევ გულში ჩაიკრა, თან ისე სწრაფად და ძლიერად, რომ არწივმა დაიყვილა. ფოცხვერი უცებ გაჩერდა, სონის დაუღრინა და დაჭრილ მოძმეს მიუწვა. ეს რომ დაინახეს რაინდებმა, სონის ძმას სიცილი აუტყდა. „სასაცილოა ეს ყველაფერი?!

ჩაილაპარაკა ლაკიმ. სონიმ უფრო ძლიერად გაიცინა, გვერდზე გადაბრუნდა და სიცილით თქვა: „სონის ხმალი აღარ დასჭირდება, ბააგრა ეყოლება მკერდში ჩაკრული დედასავით“. რაინდებმა ძლივს გაიცინეს, პრინცესასაც გაეცინა, მიუბრუნდა და სონის ცხვირზე აკოცა. სონის არ ეცინებოდა. უფრო მაგრად ჩაიკრა პრინცესა გულში, ხეს მიეყუდა და გაბრაზებულმა თავის ძმას გადახედა. წინამძღოლი ფოცხვერი თვალს არ აშორებდა. სონი ხედავდა ამას და ბააგრას მაგრად იხუტებდა. პრინცესამ თავი უკან გასწია, შეხედა რაინდს: „სონი, ასე მაგრად ნუ მიხუტებ, არ დამახრჩო, იცოდე, მერე მართლა დაგგლეჯენ“. თან ჩაიცინა. „კარგი, კარგი, უნებლიედ მომდის, ბოდიში“. ყველა რაინდი დამშვიდდა, ფოცხვერების აღარ ეშინოდათ, აღარც დაძინების... მათ ყველაზე ფრთხილი მხეცები იცავდნენ. მხოლოდ სონი გადახედავდა მალიმალ დაჭრილ ფოცხვერს, გულში მის დაძინებაზე ოცნებობდა. ყოველ შეხედვაზე უღრენდა.

ამ დროს სოფლებიდან გამოქცეული ხალხი ტყეს აფარებდა თავს: — ქალები, ბავშვები, თავადების ნათესავები, რაინდების ოჯახები. მათ შორის ერთ-ერთი იყო რაინდ მენის შვილი — ვინსენტი. გახიზნულები ერთად შეიკრიბნენ. ყველა ფეხზე იდგა. ვინსენტი მხოლოდ 17 წლისა იქნებოდა. ძალიან სერიოზული ყმანვილი იყო... ხალხი ერთმანეთში საუბრობდა, არკვევდნენ რა მოხდა, ვინ იყვნენ შემოსეულები. ვინსენტი ხალხის შუაგულში ჩადგა, ხელები გაშალა „ერთი ნუთით გაჩუმდით!“ ყველა გაჩუმდა. ვინსენტმა გულზე ხელი დაიდო: „მე ბოდიშს ვიხდი, რომ საუბარი შევანყვეტინე ჩემზე უფროს ხალხს, ვფიქრობ, ქალაქს უბედურება დაატყდა. სოფელში, რაც მოხდა, ყველამ ნახეთ. ასეთი ამბავი სხვა სოფლებშიც იქნება, აქ დგომა და მსჯელობა იმაზე, რაც გვჭირს, არაფერს მოგვცემს. მე ქალაქისკენ წავალ და ვნახავ, რა ხდება, მინდა ორი კაცი გამომყვეს, ვისაც ღონე ერჩის, რათქმა უნდა. ახლავე უნ-

და ნავიდეო. თქვენც აქ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. ორ დღეში დავბრუნდებით, მშვილდს და ისრებს დაგიტოვებთ. ერთის მეტი მაინც არ გვაქვს. ქალებს და ბავშვებს დაიცავთ. თუ ვინმეს ამაზე კარგი აზრი გააჩნია, თქვით“. ახალგაზრდებმა და ჭარმაგებმა ერთმანეთში საუბარი გააბეს. ქალები ტიროდნენ. ბავშვები ეხუტებოდნენ უფროსებს შეშინებულები. რამდენიმე ახალგაზრდა ვინსენტს მიუახლოვდა, შეთანხმდნენ, მასთან ერთად ქალაქისკენ წასულიყვნენ. ვინსენტმა გადახედა ყველას, მათ შორის ორი ძლიერი ახალგაზრდა აირჩია, თექვსმეტი-თვრამეტი წლისანი იქნებოდნენ: ერთს „ერისი“ ერქვა, მეორეს — მეტსახელად „ჩუმი“, იგი თითქმის არ ლაპარაკობდა. ორივენი დიდგვაროვნები იყვნენ. ერისის მშობლები ქალაქში ჩახოცეს. ჩუმის მამა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. დედა თან ახლდა ტყეში. ვინსენტმა ერისს სთხოვა, ხალხისთვის ქამრები გამოერთმია. ქამრები ყველას თოკისა ჰქონდა, ნაირ-ნაირი მოსართავეებით ისინი ვინსენტს გრძელი ბაგირისთვის სჭირდებოდა, ქალაქის კედელზე გადასასვლელად. შეაგროვეს და ერთმანეთს გადააბეს. საკმაოდ გრძელი თოკი გამოვიდა, იარაღად სამი საუკეთესო ე. წ. ყამადანა ამოირჩია. დაარიგა იქ დარჩენილი ხალხი, უბედურების შემთხვევაში, სად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და სამნი დაადგნენ გზას — ქალაქისაკენ. მოშორებით ვინსენტი შეჩერდა. „უხმაუროდ და უსიტყვოდ ვიაროთ, საჩქარო არაფერია, გათენებამდე ქალაქამდე მივალწევთ, ყველა ყურადღებით ვიყოთ“. „იქნებ მდინარისაკენ ნავიდეო და ნავით შევიდეთ ქალაქში“ — დასძინა ერისმა. „არა, საშიშია, როგორც ხელისგულზე, ისე გამოვჩნდებით“. ახლა ჩუმიმ დაუმატა. ვინსენტმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს. თვეში ერთხელ თუ იტყოდა რაიმეს. „ჩუმი მართალია, გზას გავუდგეთ, ქალაქამდე მივალთ, იქ ვნახავთ რა იქნება და როგორ“. დაასრულა საუბარი ვინსენტმა.

გზას დაადგნენ, ხან ჩქარობდნენ, ხან ნაბიჯს ანელებდნენ. ყველაფერს გულისყურით აკვირდებოდნენ. ბედზე, საფრთხის გარეშე, გაიარეს ტყე. შემდეგ გზა, კლდის ძირას, კედელ-კედელ გააგრძელეს. უკვე ქალაქს მიუახლოვდნენ. იქვე, შორიახლოს, ქალაქის კედელთან ჩაიმაღნენ. სამივე გათენებას დაელოდა. ვინსენტმა ქალაქის კედელს გახედა, ბუნდოვნად ჩანდა, თენდებოდა — „ქალაქის კედელს ვუყურებ, ვერ გავიგე, რა ხდება, რა არის კედელზე, ერთი კარგად შეხედეთ, მე ვერ ვარჩევ.“ — ერისიცი ყურადღებით აკვირდებოდა კედელს. „შორსაა, მეც ვერ ვარჩევ, მაგრამ კედელზე რაღაც კიდია, გათენებას დაველოდოთ“. „კარგი, მოვისვენოთ, შეთანხმდნენ. ჩუმი უკვე მოკალათებულიყო კლდის ძირას, ასე ისვენებდა ფეხგადაჭდობილი. ამ ადგილიდან ხედავდა ქალაქის კედელს, ცდილობდა გაერკვია, რა ეკიდა კედელზე. ვინსენტი და ერისი ნამოწვნენ მიწაზე და თვალები დაასვენეს. თენდებოდა, ჩუმი თვალს არ ამორებდა ქალაქის კედელს. სახე შეეცვალა. თვალები გაუფართოვდა, ხმა ჩაუნწყდა, გაშეშდა, ღმუილი აღმოხდა. ამ ხმაზე ერისმა თვალები გაახილა, ჩუმის გახედა, ვინსენტი გააღვიძა. ორივენი ჩუმის დატანჯულ, ამღვრეულ სახეს ნაანყდნენ. თვალებით კედელს რომ მიშტერებოდა. ვინსერტი მუხლებზე დადგა. ქალაქისკენ ფრთხილად გაიხედა. ერისიცი ასე მოიქცა. ქალაქის კედელზე მათ სამი ადამიანის გვამი შენიშნეს: — დედოფალი ანნა, თეთრ კაბაში, სისხლში მოსვრილი; გვერდიგვერდ პრინცები იყვნენ ჩამოკიდებულნი, თითქოს ჩამომხრჩვალნი. „ერის, დაინახე?! იცანი?! ვინ არიან კედელზე ჩამომხრჩვალეები“. ჩაილულულა სიმწრით ვინსენტმა. ერისი დადუმდა. თვალებს არ ამორებდა ჩამომხრჩვალთ. ჩუმი, ერისი და ვინსენტი პრინცების მეგობრები იყვნენ. ვინსენტი თითქმის პრინცებთან ერთად იზრდებოდა. ერისმა ღუმილი დაარღვია: ისინი არიან. ნუ დავაკვირდებით. არავინ შეგვამჩნიოს. ქა-

ლაქის ჭიშკარს გუშაგები იცავენ“. ჩამოჯდა. ჩუმის დააკვირდა. გათეთრებული პირდაღებული იჯდა. ერისმა ვინსენტს პერანგზე მოჰკიდა ხელი „დაჯექი, დავნყნარდეთ, ჩვენი დაბნევა არ შეიძლება“. ვინსენტი თითქოს დაეცა მინაზე, კლდეს მიეყუდა, თვალები დახუჭა და ღრმად სუნთქავდა. სამივე მათგანი სიმწრის მოძრაობებს აკეთებდა. ერისი მათ შორის ყველაზე წინდახედული და ფრთხილი იყო. ბევრი ფიქრის შემდეგ მიიღებდა გადანყვეტილებას. იგი კარგად იცნობდა ვინსენტს. შიშობდა, როცა იგი გონს მოეგებოდა რა მოხდებოდა, ქალაქში შურისსაძიებლად არ გაქცეულიყო, თუმცა თავადაც ამას ფიქრობდა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა. სამივე დუმდა. ერისი ხან ერთ მეგობარს გახედავდა, ხან — მეორეს. მოულოდნელად ვინსენტმა ხელები სახეზე აიფარა და ღმუილით წამოიყვირა: „ღორებო, დაგხოცავთ, საქონლებო“, დანას ხელი დაავლო და წამოხტა. ერისი ამას ელოდა, არ დაბნეულა, ეცა, ისევ მინაზე დააგდო, პირზე ხელი ააფარა, ძალა დაატანა, რომ ხელიდან არ გასხლტომოდა. ვინსენტი ღმუოდა და ცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა მეგობრისაგან. ერისი უფრო დაიძაბა. ჩუმად ჩაულაპარაკა: „ჩუმად, ჩუმად, ხმა არ მივიდეს ჯარისკაცებამდე, სამივეს დაგვხოცავენ. თავი ხელში აიყვანე! ჩვენი მშობლები ქალაქში არიან, დანყნარდი, რამე მოვიფიქროთ, ვინსენტი!“ ვინსენტს თვალები ცრემლებით ავესო, ხელები გაშალა, ერისმა ხელები მოაშორა, გვერდზე გადგა. თუმცა ყურადებით იყო, რაიმე ისევ არ მოემოქმედა. ვინსენტი კლდისკენ შეტრიალდა, ხელებით მიეყრდნო. წელში მოიხარა. ერისი მიხვდა, მეგობარი ასე ცდილობდა დამშვიდებას. ზურგზე ხელი დაადო: „დღისით აქედან გასვლა სიკვდილია, დამშვიდდი, დაღამებას დაველოდოთ, დავისვენოთ, აზრები დავალაგოთ და რასაც გადავწყვეტთ, ისე ვიმოქმედოთ“. ვინსენტი მოტრიალდა, ერისს ჩაეხუტა და სიმწრისაგან წაილულლულა:

„ეს რა დღე გაგვითენდა, რა ხდება, ვინ არიან ეს მხეცე-ბი. ჩვენი მშობლებიც აქ არიან. იქნებ ისინიც ჩახოცეს?!“ ერისმა ხელი მოხვია: „ყველაფერს გავარკვევთ, ვინსენტ! დანყნარდი, ღამემდე მშვიდად მოვიფიქროთ, რა ვქნათ, ძალა უნდა მოვიკრიბოთ, ხომ ნახე, კედელზე ჩვენი პრინცესა არ არის, გამოდის რომ ბააგრა გაქცეულია. — ვინსენტ! ამდენს ნუ მალაპარაკებ, მეც დაღლილი და დაბნეული ვარ. შენ უნდა დამეხმარო. ახლა სამივემ ერთმანეთს უნდა მივხედოთ, წამოწევი, დაისვენე, დაღამებას დაველოდოთ“. ვინსენტმა მეგობარს შეხედა, ტკივილით ჰქონდა თვალები სავსე. წამოწვა, თავი ხელებში ჩარგო, თითქოს სუნთქვის მაგივრად კვნესოდა.

ერისმა ახლა ჩუმს შეხედა, ქანდაკებასავით გაქვავებული იჯდა, თვალები მასაც ტკივილით და ცრემლით ჰქონდა გაჯერებული. ტუჩები ჩაშავებოდა, მიცვალებულივით გაყინული მზერით ქალაქის კედელს მიშტერებოდა. ერისმა ხმა რომ ვერ ამოაღებინა, სახეში სილა გააწნა. ღამის გვერდზე გადავარდა, თავი შეიკავა, თითქოს რეალობას დაუბრუნდა, მეგობარს თვალებში შეხედა, ჩაეხუტა და აქვითინდა. „ჩვენ ახლა ძლიერები უნდა ვიყოთ. სხვა გზა აღარ გვაქვს, დაისვენე ძმაო, დაღამებამდე; მერე გამოჩნდება, რა ვქნათ“. დაუყვავა ერისმა ჩუმისაც. ხმა არ გაუცია, ისიც კლდეს მიეყუდა და ისევ ფიქრებში წავიდა (ვინსენტი წამოწვა, თავი ხელებში ჩარგო). „რა უნდა მოემოქმედათ?!“

ტყეში რაინდებმა გაიღვიძეს, ბააგრა ისევ მკერდზე ჰყავდა მიკრული, პრინცესას ეძინა. სონი ცდილობდა არ შერხეულიყო. თ ეთრი არწივი უკვე ხის ტოტზე შემომჯდარიყო და ნისკარტით ფრთებს ისწორებდა. ფოცხვერები ზოგი წამოწოლილიყვნენ, ზოგი იზმორებოდა, დაჭრილი ფოცხვერი გამოცოცხლებულიყო. ღამით რაინდებმა შემწვარი ღორის ხორცი მიართვეს. გემრიელად შეექცა. იმ ფოცხვერს კი, სონის რომ უღრენდა, თავი დაჭრილი

ფოცხვერის წელზე დაედო და სონის მზერას არ აშორებდა. რაინდი მზერას გრძნობდა, თითქოს არ იმჩნევდა, არ უნდოდა ფოცხვერს შეემჩნია მისი დაძაბულობა. გუნებაში ფიქრობდა: „რა უნდა, რას ამეკიდა, ძალით ხომ არ მინდოდა, მე რა ვიცოდი, ცხოველს როგორ ავუხსნა, რომ შემეშინდა, კიდევ კარგი მუცელში არ დავჭერი, გადავრჩი, თუ ამას გადარჩენა ჰქვია“. — თან სხვა მხარეს იყურებოდა. მთელი არსებით ფოცხვერზე ფიქრობდა. გზის გასაგრძელებლად ყველანი მზად იყვნენ. „შენ მასე იჯექი, ბააგრა არ გააღვიძო, მე დაჭრილ ფოცხვერს დავხედავ, თუ მიმიშვეს ახლოს“. მენი დაჭრილ მხეცს მიუახლოვდა ფრთხილად, ჩაიკუზა, ნელ-ნელა ახსნა გადახვეული ნაჭერი, ჭრილობა დაათვალიერა, სისხლი აღარ სდიოდა, იქვე მწოლიარე ფოცხვერი მენის თვალებში უყურებდა, რაინდმა დაამშვიდა მხეცი: „ნუ გეშინია, შენი მეგობარი კარგად იქნება, ის ხომ გოგოა“. ამ სიტყვებზე მხეცმა სიამოვნებით ჩაიკრუტუნა. „შენი სატრფოა?!“ ჰკითხა მენიმ. ფოცხვერმა თითქოს იმავე ხმით გასცა პასუხი. მენის გაეცინა, მეგობრებს შესძახა, დარჩენილი სუფთა სახვევი მიეწოდებინათ. ყოველშემთხვევისთვის ჭრილობაზე ისევ წამალი დააყარა და გულმოდგინეთ გადაუხვია. მოეფერა და ჩასჩურჩულა დაჭრილს: „გმადლობთ, რომ დავიცავი“. თვალებში ჩახედა: „შეგიძლია წამოდგე, ლამაზო!“ ფოცხვერმა თავი წამოსწია, ფეხი დაჭიმა, ესიამოვნა რაინდის მზრუნველობა. ტკივილს ვეღარ გრძნობდა, მაინც წამოუნვა სატრფოს, რომელიც არ მოსცილებია. მენიმ ეს ყოველივე იგრძნო, კვლავ ჩაიცინა და რაინდებს მიაშურა.

ზუსტად ამ დროს ნოზამ, თავის მეომრებთან ერთად, მდინარე გადმოლახა, ცხენები ნაპირზე დატოვა, ას მეომართან ერთად.

ბააგრას გაეღვიძა, რაინდები გზას გაუდგნენ. ფოცხვერები კარგა მანძილზე მიაცილებდნენ რაინდებს, შემ-

დეგ უეცრად ტყეში გაუჩინარდნენ. სონიზე გაბრაზებული ფოცხვერი მიუახლოვდა რაინდს, წინ დაუდგა, რამოდენიმე წამი უყურა, არ დაუღრენია, შეტრიალდა და ისიც ტყეში გაუჩინარდა. სონიმ შვეებით ამოისუნთქა, ბააგრას თავზე აკოცა. პრინცესას ისევ ჩასძინებოდა. ტყე მალე მთავრდებოდა და დიდი, გადაშლილი მინდორი იწყებოდა. რაინდებს ეს უზარმაზარი მანძილი სწრაფად უნდა დაეფარათ, თორემ ყველაფერი ხელისგულზე ჩანდა. რაინდები ნაბიჯს არ უჩქარებდნენ. ცოტა ხანში პრინცესამ გაიღვიძა, პირველად თავისი არწივი დაინახა. გაიღვიძა, უმალვე დაჭრილი ფოცხვერი მოიკითხა. სონიმ უამბო ყველაფერი. ბააგრას ძალიან გაუხარდა. მინაზე ჩამოვიდა, არწივს დაუსტვინა, ფრინველი მაშინვე მოფრინდა, მიუახლოვდა მეგობარს, თავი თმებში ჩამალა. ორივე ერთმანეთს ეალერსებოდნენ. სონიმ ამოისუნთქა, წელში გაიმართა, თუმცა სულ უკან იყურებოდა, თან პრინცესას აკვირდებოდა: „თუ ფოცხვერი ისევ გამოჩნდა, ბააგრას ისევ ხელში ავიყვან“. მშიშარა არ იყო, მაგრამ შეცდომა დაუშვა, მისი ბრალიც თითქოს არაფერი იყო, თავს იცავდა მხეცისგან. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაინც ფრთხილობდა. ტყის ნაპირს კარგა ხნის შემდეგ მიუახლოვდნენ. ყველა გაჩერდა და უზარმაზარ ტრიალ მინდორს უყურებდა. „ეს მინდორი შეუსვენებლივ უნდა გადავლახოთ, სირბილით, ბააგრას ზურგით ვატარებთ რიგ-რიგობით. ყველა მოემზადოს. არ ვჩერდებით!“ წარმოთქვა მენიმ. რაინდებმა აღჭურვილობა კარგად დაიმაგრეს. მენი ბააგრას მიუახლოვდა, კიდევ ერთხელ გვირგვინი ზურგზე კარგად დაუმაგრა, მერე პრინცესა თავად შეისვა ზურგზე, ყველა მენის ბრძანებას ელოდებოდა. „როგორ ზიხარ, ბააგრა? ხომ კარგად მოთავსდი, მაგრად შემომხვიე ხელები და ფეხები.“ პრინცესა ზუსტად ისე მოიქცა, როგორც თავისმა საყვარელმა მენიმ უბრძანა. „მე კარგად ვარ, მენი. წავედით. ყველანი მინდვრისკენ

გაქანდნენ. მენი და ბააგრა შუაში მოექცნენ, დანარჩენები წინ და უკან ამოუდგნენ. არწივიც მათ თავზე მიფრინავდა. რაინდები ძალიან ჩქარობდნენ. ბააგრას დროდადრო ერთმანეთს აწვდიდნენ. არ შეჩერებულან. ბააგრა წინ იყურებოდა. ზოგჯერ არწივს ახედავდა. ნიავი მის ულამაზეს სახეს ულამაზეს შავ თმებს გადააფენდა ხოლმე. არწივზე და პრინცესაზე რომ შეგეხედა ამ დროს, იტყოდი: შავი და თეთრი არწივი მიფრინავსო. ნახევარი დღე გაუჩერებლივ ირბინეს. მინდორი მშვიდობით გადალახეს — არავის შეუმჩნევიათ, მთის ძირას რაინდებმა მყუდრო ადგილი ამოირჩიეს და იქ მოკალათდნენ დასასვენებლად.

ნოზა და მისი ცოფიანი მეომრები ამ დროს ტყეში მოიჩქაროდნენ დაფანტულნი, საღამომდე არც ისე დიდი დრო იყო. ცოტა ხანში ყვირილის ხმა მოესმათ. ერთ-ერთი ცოფიანი ყვიროდა: „აქეთ, აქეთ მოდი“. იმ ადგილს მიაშურეს, ნოზაც მივიდა, წინ ასეთი სურათი გადაეშალათ: უამრავი მგელი და ტურა დაგლეჯილი ეყარა. გაოცდნენ. ნოზამ გასცა ბრძანება ყველაფერი კარგად დაეთვალიერებინათ ირგვლივ. ისევ ყვირილი გაისმა: „აქეთ მოდით! აქ კოცონი ჰქონდათ დანთებული“. იმ ადგილას ნოზა პირველი მივარდა, მიუახლოვდა ჩამქრალ კოცონს, ფეხით ნაკვერჩხალი გადაშალა, ირგვლივ ყველაფერი მოათვალიერა. აქაც ბლომად იყო დაგლეჯილი მგელი და ტურა. ნოზა გაოცებული იყო, ვერ გაერკვია რა მოხდა. შეამჩნია მინაზე რაღაც თეთრი ეგდო. დაიხარა და აიღო. ფრთა იყო თეთრი, გაიღიმა და ჩაისისინა თავისთვის: „თეთრი არწივი!“ ვერ წამოდგა, ისე შესძახა მხლებლებს. ყველანი მასთან შეკრებილიყვნენ. შეგროვდნენ ცოფიანები ნოზას გარშემო. ელოდნენ, რას ბრძანებდა ნოზა. მას ხელში ისევ თეთრი ფრთა ეჭირა და ცხვირზე ისმევდა, ძალღივით ყნოსავდა. ფეხზე წამოდგა: „ისინი აქ იყვნენ... ზუსტ კვალზე ვდგავართ, რაინდები და პრინცესა აქ ბრძანდებოდნენ. შორს

ვერ წავიდოდნენ, ველარ გაგვექცევინან, ეს თეთრი არწივის ფრთაა. ყველამ კარგად მომისმინეთ: ოცეული ჩემთან წამოვა, დანარჩენები პირდაპირ წახვალთ, არსად გადაუხვევთ. ტყე მალე მთავრდება. შემდეგ დიდი მინდორია, იქ, ტყის პირას გაჩერდებით. მე ჩემს ოცეულთან ერთად, დაუყოვნებლივ უკან წავალ. დანარჩენ ჯგუფებსაც იქ, მინდორთან მოვიყვან. ბევრნი რომ ვიქნებით, გავიშლებით და უცებ ვიპოვით. ვფიქრობ ხვალ, დალამებამდე შემოგიერთდებით. ოცეულიდან ზოგი დაბლა გაჰყვება ცხენით მდინარეს, ზოგი მთისკენ. ვფიქრობ, შორს არ უნდა იყვნენ. მთავარია, ახლა, სწორად და სწრაფად ვიმოქმედოთ, დასვენების გარეშე, როცა ყველანი ერთად შევიკრიბებით, მერე დავისვენოთ, ტყის პირას. მე ჟორდანის კვალს დავადგები, იქით მთიანი ადგილებია, გზები მე უკვეთ ვიცი, თუ ვინმეს რაიმე გაინტერესებთ, გისმენთ!“ ერთ-ერთმა ცოფიანმა გაკვირვებით წარმოთქვა: „აქ, ეს მგლები და ტურები, რომ ყრია, დავათვალიერე, უმეტესი მათგანი დაგლეჯილია, ვფიქრობ ვეფხვისგან, ზოგიც ხმლითაა მოკლული... საკვირველია, რაინდებთან ერთად ვეფხვებიც იყვნენ?! არც ვეფხვია მკვდარი და არც რაინდი, მხოლოდ მგლები და ტურები. გამოდის, რომ ვეფხვები რაინდებს ეხმარებოდნენ!!!“ დანარჩენი ცოფიანებიც დაეთანხმნენ, ნოზა დაფიქრდა, არწივის ფრთის ღეროს დახედა, გადატეხა, დაჭმუჭნა და მოისროლა, ფეხით გასრისა. ბრაზისგან გაოგნებულმა ხმა ამოიღო: „არ ვიცი, რა გითხრათ, ნანახი თქვენსავით მეც მაკვირვებს, ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, ახლა დავიშალოთ, ყველა ჩვენს გზას გავუდგეთ“... ნოზამ ოცეული აირჩია და ჩქარი ნაბიჯით დაადგა მინიშნებულ გზას... ცოფიანი მეომრები ცოფიანი ძაღლებივით დარბოდნენ.

რაინდები და ბააგრა, თეთრ არწივთან ერთად, დიდხანს არ გაჩერებულან, მალევე ნელი სვლით გაუდგნენ გზას.

ბილიკი ორ მთას შორის გადიოდა. ცოტა ხანში პატარა წყაროს მიადგნენ. მთები ძალიან მაღალი იყო, მზის სხივიც კი არ აღწევდა. სალამოვდებოდა, რაინდებმა წყაროსთან შესვენება გადაწყვიტეს. პრინცესა თავს მშვენივრად გრძნობდა. რაინდებთან საუბარი გააბა.

ქალაქის მისასვლელთან, კლდის ძირას ჩამალული სამი მეგობარი თითქოს დამშვიდებულიყო, შემზარავი სანახაობის შემდეგ. დიდხანს ბჭობდნენ შემდეგი მოქმედებისთვის: „რამდენი ვითათბირეთ და კარგი ვერაფერი მოვიფიქრეთ, იმათთან ჩვენ — სამის შერკინებას აზრი არა აქვს, ღრუბელია, შეიძლება ინვიმოს, ამ უბედურებას დედოფალი და პრინცები უნდა გავაშოროთ, ცუდმა ამინდმა შეიძლება ხელიც კი გაგვიმართოს. გვიან, ღამით მივადგებით ქალაქის კედელს და საქმეს მოვითავებთ; მერე ვიფიქროთ, როგორ ვუპატრონოთ გარდაცვლილთ. ქალაქში შესვლას აზრი არა აქვს. ნახეთ, დილიდან მოძრაობა არ წყდება. აშკარაა, სოფლებიც მათ ხელშია. რამდენი პირუტყვი მიჰყავთ ქალაქისაკენ, გლეხებიც, ესენი ყველანი სოფლებიდან მოჰყავთ“. ნაღვლიანად საუბრობდა ერისი. ჩუმი მთლად დადუმებულიყო, გაფაციცებით უსმენდა მეგობარს. ვინსენტი ისევ ქალაქის კედელს მიშტერებოდა ჩაფიქრებული. შემოტრიალდა: „მართალი ხარ, ერის! ჯერ გარდაცვლილებს მივხედოთ, მერე ვიფიქროთ დანარჩენზე“, დაასკვნა ვინსენტმა. „ჩუმი! ახლა დუმილის დრო არ არის, ყველანი საფრთხეში ვართ, იქნებ შენ უფრო კარგი აზრი გაქვს?!“ მიუტრიალდა ერისი ჩუმის. ჩუმი არც დაფიქრებულა, უმაღვე უპასუხა: „ქალაქის კედელი მაღალია, გარდაცვლილები მაღლა არიან ჩამოკიდებულნი, თოკი კარგად უნდა შევამონმოთ, ქვით უნდა ავაგდოთ მაღლა, ყამაც უნდა მივაბათ, რათა კარგად მოედოს, რაც უფრო გვიან ღამით მივალთ კედელთან — უკეთესია. უნდა მოვიფიქროთ, გარდაცვლილები სად მო-

ვასვენოთ, მერე მოფიქრების დრო იქნებ არც დაგვრჩეს, ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, ეს მინდოდა მეთქვა, საითაც თქვენ ნახვალთ, მეც იქ წამოვალ“. ერისი და ვინსენტი გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ მეგობარს, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ამდენი ერთად არ ულაპარაკია. „ჩუმი მართალია, თოკი კარგად უნდა მოვამზადოთ, ძალზე დიდი სიფრთხილე გვმართებს, ვერავინ უნდა შეგვამჩნიოს, თორემ სამივენი დავიღუპებით, მოდი, ვინსენტი! მომზადება დავიწყოთ, უკვე ღამდება“. ამავე დროს იგი მშობლებზე ფიქრობდა, იმედი ჰქონდა, რომ მათ გაქცევა შეძლეს, თუმცა ამაოდ. ცოფიანებმა ისინიც დახოცეს და მდინარეში გადაყარეს.

ამ დროს ცხენზე ამხედრებული ნოზა ჩქარობდა, შუალამემდე ჟორდანისთვის უნდა მიეგნო. ამ უკანასკნელს უკვე მეომრების ნახევარიც კი არ შერჩენოდა. ამის მიზეზი ბააგრას უშედეგო ძებნა იყო. სიჩქარეში ცოფიანი მეომრები კლდეებიდან იჩეხებოდნენ. რა თქმა უნდა, ჟორდანი მათ წინ უშვებდა. საერთოდ არ ანალვლებდა ცოფიანების ბედი. ისინი ჩირაღდნებით უკვალავდნენ გზას ნოზასა და ჟორდანს. ერთმანეთი ასე იპოვეს. ნოზას გაბრწყინებული სახის დანახვაზე ჟორდანმა გაიხარა — „ვგრძნობ, კაი ამბავი მომიტანე, ნოზა!“ ჟორდანი გადაეხვია ფარისევლურად — „კი, ბატონო! მართალს ბრძანებთ!“ — „მომიყვი სად მიაგენი, სად არიან, ახლა ჩამოჯექი, არ იჩქარო, დილამდე მაინც უნდა მოვისვენოთ“. მონამ ყველაფერი დანვრილებით უამბო. ბატონი ხარობდა, მაგრამ არ იცოდა როგორ გაეცურებინა ნოზა, რომ ბააგრას დასაჭერად არ გაჰყოლოდა, ქალაქში დაბრუნება უნდოდა, საუბრობდა ნოზა და ჟორდანი ღიმილით პასუხობდა: „კარგი, გავიგე ყველაფერი, ისე გამოდის, ის სამი ჯგუფი დათქმულ ადგილზე შეგხვდება, შენ იქნები მათი მეთაური, მე დარჩენილ მეომრებთან ერთად

ქალაქში უნდა დავბრუნდე, ცოფიანებმა ყველა მონა არ ამოგვიხოცონ... რაინდებს და პრინცესას კი, იცი, რაც უნდა უყო, არნივი ცოცხლად გაპუტე, დახედე ხელზე რა მიყო, ახლაც მენვის“. ჟორდანმა ნოზას ამოგლეჯილი ხელი აჩვენა, ისევ სისხლი სდიოდა. ნოზამ კბილები დააკრაჭუნა: „გადაიხვიეთ, ბატონო, ვერ ვუყურებ, გული მტკივა. რასაც მიბრძანებთ, იმას შევასრულებ“. თავი მოარიდა ბატონს, ჟორდანს გაეცინა, ჭრილობა გადაიხვია და ნოზას ანიშნა გაჰყოლოდა. ცოფიანებს კარგა მანძილზე მოშორდნენ. ერთ ადგილას სიბნელეში გაჩერდნენ. ჟორდანმა ცოფიან მეომრებს გახედა. ისინი უკვე კოცონს შემოსხდომოდნენ. ბატონმა ნოზას მიუგო „ისეთი რამ უნდა დაგავალო, რაც არავინ უნდა გაიგოს — ჩვენ ორის გარდა“. სიბნელეში ნოზა თავის ბინძური გამოხედვით ჟორდანს დააკვირდა, „რასაც თქვენ მიბრძანებთ თავადო! თქვენ ჩემი მეფე ხართ, ყოველთვის თქვენ იყავით ჩემი მეფე“. ჟორდანმა ცოფიანებისკენ ყურებას თავი დაანება, ახლა ნოზას შეხედა გულდასმით. მონა შედარებით მასზე დაბლა იდგა. თავზე ხელი დაადო უკან გადაუწია, ისევ გადმოუწია — ცეცხლის ალზე მის სახეს ყურადღებით უმზერდა, თვალებში ჩახედა, მხარზე ხელი დაადო: „ზუსტად მაგაზე მინდა გესაუბრო, ვიცი, ჩემი მეფობა გირჩევნია, ჰოდა, ბააგრა უნდა მოკლა, თითქოს შემთხვევით შემოგაკვდა. იმ ლენს რომ უნდა ცოცხლად დავტოვოთ, ეს არ მანყობს. მერე რა, რომ ხელებს დავაჭრით და თვალებს დავთხრით, ამით ხომ მაინც ცოცხალი იქნება. ჰოდა, სხვა სახელმწიფოები მეფედ არ მაღიარებენ. მე ლენივით სულელი არ ვარ, ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ, ნოზა! ისე უნდა მოსპო ის პატარა გველის წინილი, რომ არავინ შეგამჩნიოს, ეს ჭკუით უნდა გააკეთო, ხელებს კი მკვდარსაც დავაჭრით. გვირგვინზე ვფიქრობ, რაინდებს ექნებათ, თუ გვირგვინსაც

მომიგან, დაიმახსოვრე, სიკვდილამდე შენი ვალი მექნება, რაც უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებ“. ნოზა გახარებული უსმენდა, ღიმილით უპასუხა: „მე უკვე მოვიფიქრე თავადო, როგორ მოგაშოროთ ჭირი! რომ დავიჭერთ ხელებს მე მოვკვეთავ, თვალებს არ დავთხრი, ასე ვიტყვი ბელადებმა დათხარონ-მეთქი, ვითომ მათი პატივისცემისთვის, ხელების მოკვეთისას გული ნაუვა, პატარაა, ვერ გაუძლებს, ასე გულნასულს დავტოვებ, ჭრილობასაც არ გადავუხვევ, ცოფიანებს მივუგდებ მისახედად, არ გაიქცეს-თქო გავაფრთხილებ, ისინი ხომ ჭკუასუსტები არიან, მიუჯდებიან და უდარაჯებენ. ბააგრა კი სისხლით დაიცლება და მოკვდება. როცა დავბრუნდები ყვირილს ავტეხავ, რატომ არ მიხედეთ, ჭრილობა რატომ არ გადაუხვიეთ-თქო. ჩემი ჩხუბით ჭკუასუსტებს დავაბნევ. ვიყვირებ „რა ვუთხრა ახლა ჩემს ბატონ ჟორდანს რა პასუხი გავცე ჩემს საყვარელ ბელად ლენს-მეთქი“. ეს რა დღეში ჩამაგდეთ, ეს რა მომივიდა მეთქი. ეჭვი აღარავის შეეპარება, რომ ბააგრა ხელების მოკვეთისას დაიღუპა, აბა რას იტყვით, თავადო?!“ ნოზა იცინოდა, კოცონის ალზე არ ჩანდა სახეები ორი ფარისეველისა. ჟორდანმა მიიტანა სახე ნოზასთან ახლოს. გაცოცხლებული დააკვირდა: „ეს რამ მოგაფიქრა, მე აზრადაც არ მომივიდოდა ასეთი რამ, კარგად მოგიფიქრებია. ცოფიანებს დაბრალდებით ყველაფერი — იცოდე, ფრთხილად იყავი. ახლა კოცონს დავუბრუნდეთ, რაიმეზე ეჭვი არ აიღონ. დილამდე დავისვენოთ. დილით კი ყველანი ჩვენ-ჩვენს გზას დავადგეთ“.

თენდებოდა. სამი მეგობარი, ვინსენტი, ერისი და ჩუმი დათქმული გეგმის შესრულებას შეუდგნენ: ცა ისევ ღრუბლიანი იყო, თითქოს ჟინჟლავდა. რაც მეგობრებს ხელს აძლევდათ. სამივე წამოდგა, თოკი უკვე მომზადებული ჰქონდათ „სათქმელი ახლა ვთქვათ, გზაში და საქმის შესრულე-

ბისას, ხმა არ ამოვიღოთ, რაც არ უნდა მოხდეს. კედელს, რომ მივუახლოვდებით, გზას ხოხვით გავაგრძელებთ, კედელთან წამოვდგებით, მეომრები თუ არ გამოჩნდნენ, სხვანაირად ვერ დაგვინახავენ. კედლის ზემოთ ჩირალდნებითაც აღარ დადიან, ეტყობა ისვენებენ. თოკის აგდების შემდეგ ვინსენტი ზემოთ ავა, სამივე გარდაცვლილის თოკს რიგრიგობით გადაჭრის, მე და ჩუმი დავიჭერთ, რომ მინაზე არ დაენარცხონ, ხმაურსაც არ გამოვიწვევთ, მაშინვე მდინარისაკენ წავიღებთ. წყალში წელამდე ჩავალთ, მდინარეს დაბლა, ნაპირ-ნაპირ ჩავუყვებით, სხვა გზა არ გვაქვს, ბევრჯერ ვითათბირეთ ერთი და იმავე, ახლა თევზებივით პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ. თუ რაიმე გაქვთ სათქმელი — თქვით, გისმენთ!!!“ ჩუმი ღუმდა, ვინსენტმა თქვა: „წავედით, წავედით, სათქმელი აღარაფერია“. — მხარზე გადაკიდებულ თოკს ხელი ჩაავლო, მოიხარა და თითქოს სირბილით გაემართა ქალაქისაკენ, თუმცა ცუდი ხილვადობა იყო, მაგრამ ქალაქის შესასვლელ ჭიშკართან დანთებული კოცონი კარგად ჩანდა, მაშინვე ვინსენტს მიჰყვნენ ერისიცი და ჩუმიცი. კილომეტრზე ოდნავ მეტი თითქმის სირბილით გაიარეს. ქალაქის კედელს რომ მიუახლოვდნენ, სამივემ ხოხვით გააგრძელა გზა. კოცონთან არავინ იდგა. ბუნდოვნად ჩანდა კოცონის გარშემო ჩარჭობილი შუბები, იქვე რამდენიმე გუშაგი იწვა, ვინსენტი პირველი მივიდა კედელთან, წამოდგა, სწორედ იმ ადგილას, სადაც მიცვალებულები ეკიდნენ, კედელს მიეყუდა, მალლა აიხედა, გული აუჩქარდა, გვერდზე გაიხედა. ერისი და ჩუმი უკვე კედელთან იდგნენ. სამივენი კედელს მიეკრნენ. ქალაქში შესასვლელიდან კოცონი არ ჩანდა, მხოლოდ მისი შუქი გამოდიოდა და კარგა მანძილზე ანათებდა მიდამოს. სამივე მეგობარი სიბნელეში იმალებოდა. კედლის მეორე მხრიდან ხმები ისმოდა, ვილაცყები ქეიფობდნენ. ვინსენტმა თოკი მოიხსნა, გაშალა, სატყორცნად მოამზადა, მალლა აიხედა და გაჩერდა. თოკი

ერისს მიაწოდა, ანიშნა მას აეგდო, ჩუმი მალლა იყურებოდა, მძიმედ სუნთქავდა. ერისმა ჩამოართვა თოკი მეგობარს — შეამონმა დამაგრებული ქვა და დანა. გაიხსენა, როგორ იჭერდა გარეულ ცხოველებს ტყე-მინდვრებში. კედლიდან უკან ორი ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, ქალაქის შესასვლელისაკენ გაიხედა. მერე მალლა დააკვირდა კედელს, ნელ-ნელა თოკი დაატრიალა, უცებ ისევ შეჩერდა, თავი დახარა, თოკის ტრიალი შეწყვიტა, კისერი გაავარჯიშა, ძვლებმა თითქოს გაიჭრაჭუნა, ზევით აიხედა, კედლის თავში შუალედებს დააკვირდა. სწრაფად დაატრიალა თოკი. ერთი ნაბიჯი ისევ უკან გადადგა და თვალის დახამხამებაში მალლა აისროლა. მიზანს ზუსტად მოარტყა, მაშინვე ჩამოქაჩა. შეამონმა, შესანიშნავად გამოუვიდა. ამ დროს მთვრალი კაცის ხმა გაისმა: „რა არის, რა გინდათ, რა?!“ სამივე მეგობარი კედელს მიეყრდნო — სამივეს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ვერ მიმხვდარიყვნენ რა ყვირილი იყო. დაელოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას. მალლა, საიდანაც ხმა გაიგონეს მეგობრებმა, კედელთან მთვრალი ცოფიანი მეომარი იწვა, ერისმა როდესაც ქვა და დანა ააგდო თოკით, სწორედ ამ მთვრალს ზურგში მოხვდა, თუმცა ის ისეთი მთვრალი იყო, გადმოტრიალებაც ვერ შესძლო. კოცონთან მოქეიფე ცოფიანებმა ყვირილის ხმაზე უპასუხეს: „ეჰეი, რა გაყვირებს, შე ღორო, ხომ არ კვდები?!“ რაზედაც პასუხი მიიღეს: „მანდ არ ჩამომიყვანოთ, თორემ ღორი და სიკვდილი მერე ნახეთ“.

— გასცა პასუხი მთვრალმა ცოფიანმა. თვალისკი ვერ გაახილა. ეგონა, რომ თავისიანები ეხუმრებოდნენ. დაბლა, კოცონთან ერთ-ერთმა ჩაილაპარაკა „იმდენს სვამს, ეტყობა ბოდავს“. ცოფიანებმა ჩაიცინეს, თავიანთი საქმე გააგრძელეს. სამი მეგობარი მომენტს უცდიდა. ერისს თოკი დაჭიმული ეჭირა, ვერ მიხვდნენ, რა მოხდა. რომ ნახეს უბედურებამ ჩაიარა, ვინსენტმა დანა ნელზე კარგად დაიმავრა, თოკს ხელი ჩაავლო და ერისს ანიშნა მალლა აენია. კედელი

მაღალი იყო, ვინსენტი შუანელზე მაღლა უნდა ასულიყო, დაახლოებით ათი-თხუთმეტი მეტრით მაღლა. იგი კედელზე დაკიდულთ მალევე მიუახლოვდა. მარიოს შეხედა, სიმწრით ჩაისუნთქა. დაბლა ჩაიხედა, ერისი და ჩუმი გაფაციცებულნი უყურებდნენ. მარცხენა ხელით თოკს ჩამოეკიდა, მარჯვენა გადატეხილ ისარს წაავლო. მარიოს ისარი მკერდში ჰქონდა ჩარჩენილი. ვინსენტი ცდილობდა პრინცის სახე არ დაენახა. როგორც იქნა ისარი ამოაძრო, ხორცი გამოჰყვა... გააჟრჟოლა... ყელში რაღაც ახრჩობდა — სუნთქვა შეეკრა... იგრძნო, გული მისდიოდა — ისარი გადააგდო — მეორე ხელიც თოკს ჩაავლო. ოვხრით ცდილობდა დამშვიდებულიყო. ქვემოთ მეგობრებს ჩახედა. ანიშნა, რომ მარიოს თოკს ჭრიდა. ცალი მუხლი ფეხებს შუა ამოსდო მოკლულს — მთელი ძალით მიეყრდნო. თავი შეიმაგრა. მარჯვენა ხელით დანა გამოიძრო. მარიოს თოკი ძლივს დაიკავა — მარჯვენა ხელით შემოეხვია პრინცს ცხედარს, ნელ-ნელა დაბლა დაეშვა — მცირე მანძილია იყო მიწამდე, ხელი უშვა გვამს ფრთხილად. ხმაურის გარეშე დაიჭირეს მეგობრებმა. მიწაზე დაასვენეს. ერისმა ყელიდან თოკი მოხსნა პრინცს. ვინსენტი ისევ მაღლა აცოცდა — მარცხენა ხელიდან სისხლი სდიოდა. ახლა დედოფალს მიუახლოვდა, მასაც სახეში ვერ უყურებდა. ცრემლები თვალებს უბრმავებდა. დედოფალს აუარა. მარიუსს მიუახლოვდა. თოკი გადაუჭრა. დანა ისევ წელზე დაიმაგრა. ცალი ხელით მარიუსი დაიჭირა. ნელ-ნელა ძირს დაეშვა. პრინცის თავი მხარზე ედო. ყელზე კოცნიდა. ვერაფერს ხედავდა. ცრემლები ახრჩობდა. ცდილობდა, ჩუმის და ერისს არ შეემჩნიათ. ისინიც დაბლა, ერთმანეთს უმაღავდნენ ცრემლიან თვალებს. ვინსენტს ხელზე ეხებოდნენ მარიუსის ზურგში ჩარჩენილი ისრები. საშინლად განიცდიდა მეგობარი ყველა შეხებას. ხელი უშვა გვამს. ისიც ფრთხილად დაიჭირეს ერისმა და ჩუმმა — ამ უკანასკნელმა მკერდზე მიიკრა და ისე ამოაძ-

რო ისრები სხეულიდან. ვინსენტი კვლავ მაღლა ავიდა. დედოფალს მიუახლოვდა. თავი ვერ შეიკავა, ტირილი აუვარდა. ხან აციებდა, ხან სახე უხურდა. ტუჩები დაუბუჟდა. ბავშვობა გაახსენდა. გაახსენდა, როგორ ეფერებოდა დედოფალი. სიმწრისაგან კბილებით ენა ლამის მოიგლიჯა. ორივე ფეხი მოხვია გვამს. ყელზე მობმული თოკი გადაუჭრა. დანა გადააგდო. ცალი ხელი დედოფალს მოჰხვია. ფეხები გაუშვა. სიმძიმეს ვერ გრძნობდა. ვერ გრძნობდა ძვლამდე გადატყავებულ ხელის გულების ტკივილს. მინაზე დაეშვა. ფეხზე დადგა. დედოფალი ხელში აიყვანა. ერისს ანიშნა, მასთან მისულიყო. ყურში ჩასჩურჩულა: „ჩემი დანა წელზე დამიმაგრეთ, თოკზე კი ქვა მოაბით, რომ დაჭიმული იყოს, მე გზას გავუდგები“. ერისმა გააკეთა ის, რაც მეგობარმა უთხრა. ვინსენტი ფრთხილად მიდიოდა კედლის გასწვრივ. ხელში დედოფალი ეჭირა. თავი მის მხარზე ედო. ტკივილს ვეღარ გრძნობდა. ჩუმიმ და ერისმა პრინცები ზურგზე აიკიდეს და ვინსენტს მიჰყვნენ. შეუჩერებლივ მიდიოდნენ. ამინდი ისევ ჭირვეულობდა. ქალაქის კედელს გასცდნენ. ცოტა ხანში ტყეს მიადგნენ. პირველი ვინსენტი შევიდა ტყეში. მუხლებზე დაეცა. დედოფალი ფრთხილად დაასვენა მინაზე. თავქვეშ ხელი ამოუდო. თვითონაც წამოწვა. თავი დედოფლის მხარზე დაადო. მხოლოდ ერთი ფიქრი აწვალებდა — შურისძიება. ჩუმიც და ერისიც მივიდნენ — პრინცები ფრთხილად დაასვენეს, დედის გვერდით. თვითონაც მიუწვინენ. საიდანღაც ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. წვიმას აპირებდა. ერისი ნერვიულობდა, მათ კვალზე არავინ დამდგარიყო. სამივენი ოხრავდნენ სიმწრისაგან. ერისი ვინსენტს მიუახლოვდა. დედოფლის თავთან ჩაიჩოქა. ვინსენტს თავზე ხელი დაადო, თმები შეუსწორა და უთხრა: „ჩვენს კვალს გამოჰყევებიან. მალე გათენდება, მდინარე ახლოსაა, რაც მალე შევალთ წყალში, მით უკეთესი, ვფიქრობ, ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის“. ვინსენტმა ფრთხილად აიყვანა

დედოფალი, ცალი ხელი მხარზე გადაიდო, ნაზად ჩაიკრა მკერდში „კარგ ადგილზე ვართ მოსულნი, მდინარეს რომ ჩავყვებით, პირველივე მოსახვევთან ნაპირზე ავალთ, იქვე ახლოს რომ მთაა, ქალაქს უყურებს პირდაპირ, იმ მთის ძირას დავიმალეთ, კვალს ამით დავმალავთ. ვერავინ იფიქრებს, თუ აქვე, ახლოს გავჩერდით. შელამებულზე, იქ მინდა დავასვენო და დავკრძალო დედოფალი და პრინცები, რომ პირდაპირ საყვარელ ქალაქს უყურონ. მოვა დრო და ამ მხეცების ამობუგვას დავიწყებ. მინდა უყურონ ჩვენმა საყვარელმა ბააგრებმა, როგორ ვიძიებთ შურს“. ერისმა ერთად ჩაიხუტა ვინსენტი და დედოფალი. „კარგი, ვინსენტი! გზას გავუდგეთ!“ უსიტყვოდ წამოდგა, დედოფალი ხელში აიყვანა, გულში ჩაიკრა და მდინარეს მიაშურა. ერისმა და ჩუმმა პრინცები აიკიდეს და მიჰყვნენ მეგობარს. ბინდებოდა. მდინარეს მიუახლოვდნენ — ვინსენტი შეჩერდა. დედოფალი მიწაზე დაასვენა — ჩამოჯდა; ჩუმიც და ერისიც ასე მოიქცნენ — პრინცები მიწაზე დაასვენეს და ჩამოჯდნენ: „ამოვისუნთქოთ და წყალში შევიდეთ“. წარმოთქვა ვინსენტმა. ერისი ჩაფიქრებული იჯდა და მდინარის მეორე მხარეს გაჰყურებდა: „ვინსენტი, შენ და ჩუმი მდინარეს ჩაჰყვებით როგორმე“ — წარმოთქვა ერისმა: „რა თქვი?! ვერ გავიგე“. — შეეპასუხა ვინსენტი. — „ბოლომდე მომისმინე, გახედე, თენდება... მალე შეამჩნევენ, რომ კედელი ცარიელია, მაშინვე კვალს გამოჰყვებიან. ვინსენტმა ისევ შეანყვეტინა და გაბრაზებით უთხრა: „გაჩუმდი, ახლა ავდგებით და სამივენი ერთად წავალთ. გიყურებდი, მდინარის მეორეს მხარეს რომ იხედებოდი“. ახლა ერისმა შეანყვეტინა: „მომისმინე ბოლომდე — გადავცურავ მდინარეს, პერანგის ნაჭერს ხეზე ჩამოვახევ, ისე, რომ აქედან ადამიანმა დაინახოს. მთისკენ ვივლი, რამდენიმე ნაფეხურს დავტოვებ, იფიქრონ რამდენიმე ადამიანს გაუვლიათ. მთას რომ მივუახლოვდები, იქ ნაკვალევი არ რჩება, სულ ქვიანი გზა იწყება. იქამდე მივალ,

მერე თქვენკენ წამოვალ, ხომ ვიცი, სადაც იქნებით. დაღამებამდე მოვალ“. ვინსენტი შეწუხებული უყურებდა: „სამნი მოვედით და სამივე ერთად წავალთ, მარტო ვერსად გაგიშვებთ“. ერისი ვინსენტს მიუჯდა, ხელეები მოხვია, თავისკენ მიატრიალა. იგი გაბრაზებული უყურებდა. ერისმა მეორე მხარეს გაიხედა და მშვიდად ჩაილაპარაკა: „მოგვაგნებენ და სამივეს მოგვკლავენ. მარტო არ ვართ, ვინსენტი! დედოფალს ვინ მოხედავს, პრინციებზე არაფერს ვამბობ“. ამ სიტყვებზე ვინსენტი დედოფალს მოეხვია, თავზე ხელი დაადო: „გაჩუმდი! გაჩუმდი-მეთქი! ვერავინ მოგვაგნებს, შენი ხმა არ გამაგონო“. ერისმა ახლა ჩუმის გახედა, გაუცინა, ვინსენტს მიუბრუნდა „მიყვარხარ ვინსენტი, მაგრამ ახლა ვერ დაგიჯერებ“. ამ სიტყვებით მაშინვე წამოხტა და მდინარეში თავით გადაეშვა. ვინსენტმა კარგად შეხედვაც ვერ მოასწრო, რომ ერისი უკვე წყალში იყო, გაშეშდა. უყურებდა, როგორ სწრაფად გადაცურა მდინარე. ხეზე თეთრი პერანგი ჩამოახია, ისე რომ კარგად გამოჩენილიყო. რამდენიმე წამით შეჩერდა, ვინსენტს და ჩუმის უყურებდა. მოულოდნელად ტყისკენ შეტრიალდა და წინ და უკან ბოლთას სცემდა. რამდენიმე კვალის დასატოვებლად. მერე ტყეში მიიმალა. ჩუმი და ვინსენტი ერისს უყურებდნენ. ვინსენტს დედოფალი ისევ ხელში ეჭირა. „შეძლებს ორივეს წამოყვანას?! თუ დაიღლები მერე მე ვატარებ, შენ კი დედოფალს წამოიყვან“. ჩუმის ხმა არ ამოუღია. ჯერ მარიო მიიყვანა ნაპირთან, მერე მარიუსი. პრინციების გვამები აქეთ-იქით ამოიდო, შევიდა წყალში და დინებას აჰყვა. მოხერხებულად მიჰყვა მდინარეს. ვინსენტმა არ დააყოვნა და მეგობრის კვალს დაედევნა. წყალში შესვლისას შეწუხდა. არ იცოდა, როგორ ეტარებინა დედოფალი. გარდაცვლილისაც კი ერიდებოდა.

ჟორდანი და ნოზა, ცოფიან მეომრებთან ერთად, გზას ადგნენ. ერთურთთან გასაყარ გზას მიუახლოვდნენ. ყვე-

ლანი ცხენებზე ამხედრებულიყვნენ. შეჩერდნენ. ჟორდანი ნოზას მიუახლოვდა. ნერვიულობდა. მშიშარას ერთი სული ჰქონდა ქალაქში დაბრუნებულიყო. თან ფიქრობდა, როგორ გაბედა ბააგრას ძებნაში მონაწილეობის მიღება. ცხენზე ამხედრებულმა მიუგო ნოზას: „შენ იცი, ახლა, ნოზა, ფრთხილად იყავით, კვალი არ აგერიონ რაინდებმა“. ნოზას ეცინებოდა. მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ამხელა მხედრობის წინამძღოლი იყო — ჟორდანის მიერ პატივდებული. ცხენის ლაგამი მოქაჩა. ორ ფეხზე შეაყენა. რამდენჯერმე გაიმეორა მედიდური ჟესტი „ისე იქნება, ბატონო, როგორც თქვენ გაგიხარდებათ!“ უყურებდა „ბატონი“ მსახურს და ფიქრობდა: „რა სასაცილოა, ეს სულელი“. — „კარგი, კარგი, გზას გაუდექით, ეცადეთ დიდხანს არ შეისვენოთ, ვფიქრობ, ის სამი ჯგუფიც მალე შემოგიერთდებათ“. „ეგრე ვიზამთ ბატონო“ დაეთანხმა „მხედართუფროსი“ და მხიარულად გააჭენა ცხენი. ჟორდანმაც, თავის მეომრებთან ერთად, ქალაქისაკენ მიაშურა.

რაინდები, პრინცესა და თეთრი არწივი მთებში იკვლევდნენ გზას, ფიქრობდნენ, მათ ველარავინ იპოვიდა.

ერისი ტყის სიღრმეში მიიჩქაროდა. გზადაგზა კვალს ტოვებდა. წამოწვებოდა ხანდახან, რათა ისეთი კვალიც დაეტოვებინა, რომ მდევარს ეფიქრა მიცვალებულებს ასვენებდნენო. მთამდე არც ისე დიდი მანძილი ჰქონდა დარჩენილი. არ ჩქარობდა. მთავარი იყო მტრისთვის კვალი აერია.

ამ დროს ქალაქი იღვიძებდა. ყველა იქ მყოფი ნაცემი, დასისხლიანებული და ნანამები იყო. თუმცა მონებივით მუშაობდნენ. თავზე ცოფიანი მეომრები ადგნენ. ბააგრების სასახლის კოშკიდან დამცინავად იმზირებოდნენ ჟორდანისა და ნოზას ოჯახობა. რამდენიმე ცოფიანი მეომარი ქალაქის კედლისაკენ გაეშურა. ქალაქის მხრიდან, კედლის გასწვრივ კიბეებს აჰყვნენ. მალლა ავიდნენ. მიუახლოვდნენ მთვრალ მეომარს, რომელიც უგონოდ ეგდო. გაეცინათ, ფეხი წაჰ-

კრეს. ერთი კი დაიღრინა მთვრალმა და ძილი გააგრძელა. ერთ-ერთმა მოსულმა კედლის შუალედში გაჭედილი ქვა და დანა შენიშნა. მაშინვე თოქს მივარდა. გამოსნია. კედლიდან გადაიხედა და დაინახა პრინციების და დედოფლის გვამები გამქრალიყო. დაფეთებულმა და შეშინებულმა ყვირილი მორთო. მთვრალი გამოფხიზლდა, მაშინვე ფეხზე ადგა და გაკვირვებულმა იკითხა: „რა მოხდა?!“ მოსულთაგან ერთ-ერთი ქეჩოში სწვდა მთვრალს, კედლიდან გადაახედა და მიუგო; „აი, რა მოხდა, ღორო!“ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო მთვრალმა, ისე მოხვდა რამდენჯერმე ნეკნებში ხმალი. კედლიდან გადაფრინდა და უსულოდ დაეცა მიწას... ამის დამნახველნი ქალაქის კედელთან მოგროვდნენ. ყველამ კედლის მალლა ააყოლა თვალი, საიდანაც სამი გადაჭრილი თოქი მოჩანდა. ერთ-ერთმა ცოფიანმა მეომარმა შესძახა: „შეხეთ! კვალი კედლის გასწრივ მიდის, ჩქარა! ცხენებზე! გავყვეთ კვალს... წვიმა არ წამოვიდეს, კვალი არ დაგვკარგოთ... ჩქარა! ჩქარა! დავნვაჟ, ვინც ეს გაბედა!... ყველა გასასვლელისკენ გარბოდა... გაუბედურებულმა ხალხმა, ეს ამბავი რომ გაიგო სიხარული ვერ დამალეს. იმედდაკარგულებს იმედი დაუბრუნდათ. ძალა მიეცათ. ყველამ იგრძნო, რომ ეს ცოფიანების გაჟღეჭის დასაწყისი იყო. ცოფიანებმა იმედმოცემულთ ისევ ცემა დაუწყეს, რკინის ჯაჭვებით. ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ. თითქოს ვერცერთი გრძნობდა ტკივილს. ყველა ზეცას შეჰყურებდა. თუმცა ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული.

მდევარი კვალს მიჰყვებოდა. უკვე გათენდა. ჟინჟულაგადა. მდინარეს მიუახლოვდნენ. ცხენებს ისე მოაჭენებდნენ ყვირილით, რომ მდინარესთან არც შეყოვნებულან. უმაღლვე წყალში შეცვივდნენ, გადაცურეს მეორე მხარეს და ეხლა ერისის დატოვებულ კვალს დაადგენენ. თეთრი პერანგის ნაგლეჯი ისევ ხეზე ეკიდა. თუმცა ცოფიანებმა ვერ შენიშნეს.

ერისმა მთას მიაღწია. ჩანაფიქრი აღასრულა. მთასთან კვალის დატოვება საჭირო არ იყო, რადგან ეს ადგილი ქვიანი იყო. ახლა ერისი უკან იკვლევდა გზას. მდინარისაკენ ზურგით მიდიოდა, რათა მხოლოდ ერთი კვალი ყოფილიყო — კვალი მთისაკენ. მდინარემდე სწრაფად უნდა მისულიყო. თუმცა მშვიდად იყო, რადგან მთავარი მოასწრო: მტერს გზა-კვალი აუბნია... ჩაფიქრებულს ყვირილისა და ცხენების ხმა მოესმა... არანაირი შიში არ გაჰკარებია... მხოლოდ ერთს ფიქრობდა, — სხვა რა გაეკეთებინა ცოფიანი მეომრების კვალის ასარევად. კიდევ ერთხელ აურ-დაურია იქაურობა და მთისკენ გაიქცა. აღმართი აიარა — შემოტრიალდა ტყისკენ, დიდი დანა ამოიღო, თან იმ მხარეს იყურებოდა, საიდანაც ხმაური ისმოდა. ერისი სიკდვილისათვის მზად იყო. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ახსენდებოდა ჩუმი და ვინსენტი, როგორ თამაშობდნენ ერთად ბავშვობაში, ჩუმი სულ ჩუმად იჯდა. ვინსენტს ვერავინ სჯობნიდა, პრინცები ხომ სულ გვერდით ჰყავდათ. ბააგრაჯ გაახსენდა. პატარა გაახსენდა. პატარა პრინცესა, სულ მათ რომ დასდევდა. ვერსად ვერ უსხლტებოდნენ. ახლა გაიფიქრა კარგა შორს წავიდოდნენ უკვე ჩუმი და ვინსენტი, ბააგრაჯ ხომ ცოცხალია. რაინდები მიხედავენ ყველაფერს. თვითონ კი მოუთმენლად ელოდა ცოფიანებთან შერკინებას. მათი სისხლი სწყუროდა. აგერ კიდევაც გამოჩნდნენ. ერისის დანახვაზე სვლა შეანელეს. იმდენი იყვნენ, იფიქრებდი, ქვეყნის დასაპყრობად მიდიანო. ერთ-ერთმა ყველას შეჩერება უბრძანა. ერისს სამი ნაბიჯილა ამორებდა მათგან. უეცრად დაიყვირა. თავი მთისკენ მიატრიალა, ისე, რომ ცოფიანებსაც ხედავდა. დამაჯერებლად გააგრძელა ყვირილი: „აქ არიან, მოგვაგნეს, არ გაჩერდეთ. გაიქეციტ“. ერთ-ერთმა ცოფიანმა ხელი ასწია და დაუღრინა ერისს: „ენა ჩაიგდე — მითხარი, რომელ მხარეს წავიდნენ და პირობას გაძლევ, არცერთს არ მოგკლავთ. — ერისი დააკვირდა და მიუგო: „რა

სულელი ხარ, ცოფიანო“. ამ სიტყვებით რამდენიმე ქვა გადმოირბინა და შეახტა ცოფიანს. მხარზე დაეჭიდა, დანა დაჭკრა. ორივენი მიწაზე დავარდნენ. დანარჩენებს მალე ალყა შემოარტყეს. ყველა ერისს დასცინოდა, ერთი მეომარი მიწაზე უგონოდ ეგდო — ერისი წრეში ტრიალებდა, დანით ხელში; ამხედრებულებს ვერ სწვდებოდა. შეჩერდა, ხელი დაბლა დაუშვა. ფიქრმა გაიტაცა. გაახსენდა, როგორ უნდოდათ ბავშვობაში გაპარვა ქალაქიდან ბიჭებს და როგორ აედევნათ მათ პატარა პრინცესა. როგორ იდებდა თითებს ბააგრა ტუჩებზე და ერისს აშინებდა, არ გაეთქვა ძმებთან. გაეცინა. თვალის დახამხამებაში დანა ერთ-ერთ ცოფიანს თვალში გაუყარა. ცოფიანი მიწაზე დაემხო. ერისი მის ცხენზე შეხტა, თუმცა მაშინვე ზურგში ხმალი ჩაარტყეს. გაჩერდა. თვალთ დაუბნელდა. ცხენს ხელი უშვა. კიდევ ერთი დარტყმა. ახლა მკერდი გაუპეს. ველარაფერს ხედავდა. ხელებიც აღარ ემორჩილებოდა. მთელი ძალით ცხენს ფეხი ამოარტყა. წინ გავარდა ცხენით — ერისი მიწაზე დაეცა.

ცოფიანები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ და გზას გაუდგნენ, გაქცეულების საძებნელად. ცხენებით მთებში გადაადგილება შეუძლებელი იყო. იქვე დატოვეს. ერისმა ჩანაფიქრი გამირულად აღასრულა... ვინსენტს და ჩუმს ველარავინ მიაგნებდა. ისინიმ მდინარის დინებას ნელ-ნელა მიჰყვებოდნენ — ნელამდე წყალში. უსიტყვოდ მივიდნენ მდინარის მოსახვევამდე. ორივე სევდიანად და ფრთხილად იყვნენ — არც შიში, არც სიცივე არ ანუხებდათ. მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, სად დაეკრძალათ ბააგრები, ყოველგვარი ხიფათის გარეშე...

ამასობაში ჟორდანმაც გადმოლახა მდინარე, თავის ცოფიან მეომრებთან ერთად. ქალაქისაკენ გაემართა. ქალაქის კედლის გამორჩენისთანავე, ყველა იქეთ მიეშურა. ჟორდანმა უკვე შენიშნა, რომ კედელზე ბააგრების გვამები არ ეკიდა. შესასვლელ ჭიშკარს მიუახლოვდა. ცხენი შეაჩერა,

იქ მდგომით გაესაუბრა. უამბეს, რაც მოხდა. გამხეცებული ჟორდანი ვერ მიმხვდარიყო, ეს ვის უნდა გაეხებდა. ქალაქში შევარდა. თავს იმით იმშვიდებდა, რომ იმ დროს აქ არ იყო. ყველაზე მეტად ცოფიანი მეომრების ბელადის ლენის ეშინოდა. იცოდა, ბელადი არავის დაინდობდა. პირდაპირ სასახლისაკენ გაემართა, მისვლისას იკითხა, სად იმყოფებოდა მისი ოჯახი. სასახლეში შევიდა, მაშინვე ბააგრების სამეფო ტახტზე დაჯდა.

ვინსენტი და ჩუმი დანიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ. მყუდროდ მოთავსდნენ. პრინციებს და დედოფალს სუფთა ადგილი შეუჩრჩიეს. ცოტა შეისვენეს და გადაწყვიტეს დაღამებას დალოდებოდნენ მერე, მიცვალებულები მთაზე აეყვანათ და იქ სასურველ ადგილას დაეკრძალათ. ხის ტოტები მოიმარაგეს საფლავებში ჩასალაგებლად და ზემოდან დასაწყობად, რათა მინა პირდაპირ არ დაეყარათ საყვარელი ადამიანებისთვის. ჩუმი ახლაც დუმდა. მხოლოდ ვინსენტი საუბრობდა, ისიც გაჩუმდა. უცებ ჩუმმა დაიწყო: „ვინსენტი! ერისმა მდინარე რომ გადალახა და გაუჩინარებამდე გვიყურებდა, ამით სამუდამოდ დაგვემშვიდობა“. ვინსენტს ცივმა ჟრუანტელმა ტანში გაუარა. ორი თითი საფეთქელზე მიიღო: „სისულელეებს ნუ ფიქრობ. ერისი ჭკვიანია, თავს მიხედავს. აი, ნახავ ჩვენთან მოვა. „ვინსენტი გაჩუმდა, ტანსაცმელი გაიხადა და განურვას შეუდგა. მერე პრინციებს გაუნურა ტანსაცმელი, მოხერხებულ ადგილზე გაფინა. დედოფლისთვის ხელი არ უხლია. ჩუმი ისევ მდუმარედ იჯდა. ტანსაცმლის განურვას არც აპირებდა. იარაღად ორივეს ერთი დანა ჰქონდა. ამ დანით უნდა გაეთხარათ საფლავები. ცა ღრუბლებით იყო დაფარული.

ნოზამ შეუჩერებლივ მიაღწია მდინარეს. ცხენებს მდინარეში შესვლა ეშინოდათ. ჩამოსხდნენ დასასვენებლად, თან დანარჩენ სამ ასეულს დაელოდნენ.

ჟორდანი კი მოკალათებულიყო ბააგრების ტახტზე და

ცოფიან მეომრებს ებაასებოდა: „სოფლებიდან მეტი ხალხი არ ჩამოიყვანოთ, იქ საქონელს ვილა მიხედავს, მალე ბოლი — თქვენი მხედართმთავარი პასუხს მოიტანს ლენისგან, ჩემთან რამდენი დარჩებით?! თქვენმა ქეიფმა რა მოიტანა, ხომ ხედავთ, გვამები ცხვირწინ მოგპარეს, გაგვამაიმუნეს“. ცოფიანები შენუხდნენ. ილანძლებოდნენ. იმუქრებოდნენ, ქურდების მისამართი. „კარგი, კარგი, გაჩუმდით, იქნებ კიდევაც დაიჭირონ ქურდები — თქვენ კი, ვისაც სამშობლოში დაბრუნება მოგიწევთ, ოქროს და ერთ გლესს გაჩუქებთ, მონად გეყოლებათ ან გაყიდით. დიდი სიამოვნებით იყიდიან მკვდარი ზღვის მეკობრეები, ვინც კი აქ დარჩება, ყველა თავადი გახდება“. ცოფიანებს გაუხარდათ ჟორდანის დაპირება. სიხარულის ყიჟინა მორთეს: „ჟორდანს გაუმარჯოს! ჟორდანს გაუმარჯოს!“ ეს უკანასკნელი გაიბლინძა, ამპარტავნება ისედაც არ აკლდა. ხელი მაღლა ასწია. ყველა გააჩუმა. „კარგით, კარგით, რაც მოხდა, ეს პირველი და უკანასკნელი უნდა იყოს. ყურადღებით იყავით. ხვალ ყოველ ხუთას მეომარში მთავარი აირჩიეთ, ჩემთან შეიკრიბონ. ტანსაცმელი მონებს მიეცით გასარეცხად, ყარხართ! ვერ გრძნობთ?! ყველანი სუფთად უნდა იყოთ — ომი მორჩა! ერთი და იგივე არ გამამეორებინოთ. მე მგონი ყველამ გაიგეთ გასაგები!“ შედახილებით ცოფიანებმა თანხმობა გამოხატეს. დარბაზიდან გავიდნენ. ჟორდანი კი სასადილო ოთახში გაემართა, სადაც მისი ცოლ-შვილი ტრაპეზს მიირთმევდა. დიდ, გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. ნაირ-ნაირი საჭმლითა და ღვინით სავსე სუფრას რამდენიმე სასანთლე ამშვენებდა... სანთლების შუქზე საოცარი სანახავი იყო კედლებზე ჩამოკიდებული სურათები, იქვე მდგარი რამდენიმე ქანდაკება; ოთახის თავში ბუხარი გიზგიზებდა. ოთახი მაღალჭერიანი იყო. ყოველივეს მეფური იერი ჰქონდა. ჟორდანის ცოლ-შვილს ორ-ორი მონა სდარაჯობდა. ცოლი სუფრის თავ-

ში იჯდა, შვილი მის პირდაპირ — ბოლოში. ქალს ჭიჭყინა ხასიათი ჰქონდა. ამის გამო მას ყველა „ჭიჭყინას“ ეძახდა. ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა. შვილი ოცდახუთი წლის იყო, მას „იდი“ ერქვა. გამომეტყველების გამო, ხალხი „იდიოტს“ ეძახდა. ეს ყველაფერი ოჯახმა იცოდა. შვილი მართლა ამართლებდა მეტსახელს — მაღალი, მსუქანი, მუცელგადმოვარდნილი და ლოყებდასიებული — ჭამა-სმის მეტი არაფერი აინტერესებდა — ასე ცხოვრობდა. ჟორდანის ცოლის ენის გაჩერება შეუძლებელი იყო. სულ ჭიჭყინებდა, მაშინაც კი, როცა სუფრასთან საჭმელს მიირთმევდა. ამით სხვას ამწარებდა, თვითონ სიამოვნებდა. ჟორდანი თეთრ მარმარილოზე ნელა მიაბიჯებდა. ირგვლივ ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა. მაგიდას მიუახლოვდა. თითი დაადო. ჯერ ცოლს გახედა, შემდეგ შვილს: „რა გინდათ, რასაც გპირდებოდით, ხომ აგისრულეთ!“ — სიამაყით აღმოხდა. ქალს პირში დიდი ლუკმა ნამცხვარი ჰქონდა, ხელში შავი ღვინით სავსე სასმისი ეჭირა, მაინც უპასუხა: „მე პირადად თხუთმეტი მონა მჭირდება. მე ხომ მომავალი დედოფალი ვარ, ჟორდანი!“ დაასრულა ჭიჭყინამ და ვნებით შეხედა ჟორდანს, ტუჩები ენით მოილოკა. მეუღლე წელში გაიმართა, ცოლს მიაშურა: „ვინ თქვა, რომ მომავალი დედოფალი ხარ?! თქვენ, ქალბატონო, უკვე დედოფალი ბრძანდებით, თქვენი შვილი კი — პრინცი“. მიუახლოვდა და ხელზე ემთხვია ჭიჭყინას. „დედოფალმა“ ახედა „მეფეს“, ენა გამოყო და კბილები დააჭირა. ხორცის ნაჭერი პირში ჩაიდო და ისე მიუგო: „გასაგებია, მეფე!“ ჭამა გააგრძელა, არც აინტერესებდა „იდის“ მამა რაზე საუბრობდა. საჭმელს მიირთმევდა ისე, გეგონებოდათ არასოდეს ეჭამა. პირიდან დორბლები სდიოდა. ჟორდანმა ორივე ხელი მაღლა ასწია და დაიყვირა: „დიახ, მე მეფე ვარ, მე და სხვა არავინ!“ მონები თავჩალუნულები იდგნენ — ერთი ქალი და ერთი კაცი, ორივეს დაფლეთილი ტანსაცმე-

ლი ემოსა, ეტყობოდათ ცემისგან ნაიარევები. „მეფე“ ახლა მათ მიუახლოვდა. ზიზლით აუარ-ჩაუარა. მონა ქალის წინ გაჩერდა — ნიკაპზე ხელი მოჰკიდა, თავი აუნია. მონამ თვალეზი დახარა, შიშისგან აკანკალდა. ჟორდანს გაეღიმა: „აბა, თქვი, ვინ გირჩევნია მე და ჩემი ოჯახი, თუ ის რომ გყავდათ — ანნა! პასუხი მითხარი, საქონელო!“ მონა ქალი უფრო აკანკალდა. ჟორდანს ესიამოვნა და კითხვა შეუბრუნა: „მიპასუხე, საქონელო!“ შეშინებულმა ქალმა ძლივს წაილულლუა: „თქვენ, ბატონო, თქვენ“ „მეფეს“ ისევ გაეცინა, ხელი უბეზე გაჰკრა და გააგრძელა: „რასაც მე და ჩემი ოჯახის წევრები გიბრძანებთ, იმას გააკეთებთ! ახლა კი, იცეკვეთ, საქონლებო! იცეკვეთ რომ გეუბნებით!“ ბოლო სიტყვები ჟორდანმა ყვირილით წარმოთქვა. მონებს შეეშინდათ, ვაითუ არ მოეწონოს ჩვენი ცეკვა, მოგკვლავსო. ცეკვა დაიწყეს. იდიმ მის ახლოს მდგომ მონებს ახედა და უბრძანა გასცლოდნენ შორს. თან ნაჭამი ბარკალი ესროლა. ახლა ჭიჭყინამ უბრძანა, ემღერათ. მონებმა სიმღერა წამოიწყეს: „ჩვენი მეფე-დედოფალი ჩვენი მარჩენალი არის“. „მეფე“, „დედოფლის“ გვერდით დაჯდა, ცხოველური შესტებით ერთმანეთს მიუალერსეს. იდი წამოდგა, მონებს შეაფურთხა და დაუყვირა: „ჩემზეც იმღერეთ, ღორებო!“ ჟორდანმა შვილს გახედა, გაიცინა, „შვილო! ჯერ შენზე სიმღერა არ შეუთხზავთ“. იდიმ მამას მიაშურა: „მერე გამოიგონონ, ამ ღორებმა, რას მიკეთებენ, აქ?! ჟორდანი ჩაბჟირდა: „გამოიგონებენ, სად წავლენ, შვილო!“ „მამა, ქალაქში გავისეირნებ“ ორი წლის ბავშვივით სთხოვა იდიმ მამას. „წადი, შვილო, მაგრამ ორი ჯარისკაცი გაიყოლე თან, ყველამ გაიგოს და ნახოს, რომ ახლა პრინცი შენ ხარ“. იდიმ გაიცინა ცხოველივით, დედასთან მივიდა, ლოყაზე აკოცა, როგორც იდიოტმა — იდიოტს. „დედოფალმა“ სიამაყით წარმოთქვა: „რამხელა გაიზარდა, ჩემი პრინცი“. თან გაუღიმა მედიდურად. „პრინცი“ გასასვლე-

ლისაკენ გაემართა — გასვლისას იდიოტივით დაიყვირა: მიყვარხართ, დედიკო და მამიკო!!!“ ამაყად ჩაირიბინა სასახლის კიბეები. თან გაბლენძილი ქალაქს გაჰყურებდა და ფიქრობდა: „მალე მე გავხდები მეფე და ეს ყველაფერი ჩემი იქნება“. ჭიჭიყინა და ჟორდანი მონების დამცირებას განაგრძობდნენ.

მოსალამოვდა. ერისის მკვლელი ცოფიანი მეომრები ამაოდ ეძებდნენ გარდაცვლილთა გამტაცებლების კვალს, უკან დაბრუნებას არ აპირებდნენ. ერთმანეთს ამშვიდებდნენ, მთაში იქნებიანო, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ვიპოვითო. ისინი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ერთმანეთზე ფიქრობდნენ „ჩვენ თუ არა, ისინი იპოვნიაანო“. ნაადრევად უკან დაბრუნება სახიფათო იყო, ხელცარიელნი ხომ ვერ დაბრუნდებოდნენ.

ცოფიანების სამი ასეული, მდინარის ნაპირას რომ იყო, დაბრუნდა და ნოზას მხედრიონს შეუერთდნენ. ოთხასამდე ცოფიანი რაინდებისა და ბააგრას კვალზე იდგა. ნოზა თავის მხედრიონს არწმუნებდა, რომ გათენებამდე ლოდინი არ ღირდა, გზას უნდა დადგომოდნენ. მოითათბირეს, რომ ცხენების ტყეში გაჩერება სახიფათო იყო — გადაწყვიტეს, ერთ-ერთ ასეულს ცხენები ქალაქში დაებრუნებინა. დანარჩენებმა მდინარე გადაცურეს, ჩირალდნები აანთეს და მთელი სისწრაფით გაუდგნენ გზას.

რაინდები და ბააგრა მთებში კოცონთან ისხდნენ. ბააგრა წამონოლილიყო, თეთრი არწივი მკერდში ჩაეკრა. ფრინველი ნისკარტით ბააგრას ტუჩებს აწვალებდა. პრინცესა დროდადრო კბილებით დაიჭერდა არწივის ნისკარტს, თან ღმუოდა, თითქოს მეგობარს აშინებდა. არწივს ყვირილი უნდოდა და ვერ ახერხებდა. ფრთების ფართხალით ცდილობდა თავის დაღწევას. ასე ერთობოდნენ ერთგული მეგობრები. პრინცესა ხან თავს მოიმძინარებდა, ახლა არწივი არ ასვენებდა. რაინდები ერთმანეთში საუბრობდნენ,

მსჯელობდნენ გასასვლელ გზაზე, ყველას ბააგრას სამშ-
იდობოს გაყვანა ედარდებოდა.

ვინსენტმა და ჩუმმა დედოფალი და პრინციები მთისკენ
წაასვენეს. ფერდობი აიარეს და მთაზე ავიდნენ. გარდაც-
ვლილები მიწაზე დაასვენეს. ორივემ ქალაქისაკენ მიაპყ-
როს მზერა. ისეთი ადგილი ამოირჩიეს, საიდანაც ბააგრე-
ბის ქალაქი ხელისგულივით ჩანდა. თითქოს გარდაცვლი-
ლებს აქედან უნდა ემზირათ მშობლიური ქალაქისათვის.
მეგობრები ერთმანეთზე ფიქრობდნენ „მგონი გაგიჟდაო“.
მიწა გაზომეს, რომ სამივე ერთად დაეკრძალათ. ვინსენტმა
დანით მიწის თხრა დაიწყო. ჩუმი იჯდა და ისევ ქალაქისკენ
იყურებოდა. იქ ცეცხლის შუქი მოჩანდა. ცა ისევ მოლრუბ-
ლული იყო. ვინსენტი შეუსვენებლივ თხრიდა, — საფლავის
გათხრა გათენებამდე უნდა მოესწროთ. ცრემლებს ძლივს
იკავებდა. ცდილობდა, მომხდარზე არ ეფიქრა. უცებ გაახ-
სენდა — საფლავისთვის ტოტები დაავინყდათ. დანა ჩუმის
მიანოდა, თვითონ ხის ტოტების შესაგროვებლად წავიდა.
იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მოჭრილი ტოტები ეგულე-
ბოდა. თითქოს ცხენის ხმა მოესმა. მიწაზე დანვა. მიაყურა-
და, ხმა საიდან მოდიოდა. მხედარიც გამოჩნდა. ცდილობდა
გაერკვია, ცხენზე ვინ იჯდა. თუმცა, ამაოდ. ცხენმა სვლა
შეანელა. მხედრის წინ რაღაც იყო გადაკიდებული. მაგრამ,
რა?! არ ჩანდა. მხედარი ჩამოხტა ცხენიდან, რამდენიმე წა-
მი გაუნძრევლად იდგა, სიმშვიდეს ამონმებდა, მერე ცხენს
ტვირთი მოხსნა, ბარი აიღო. ხმალიც იქვე ჩაარჭო და მი-
წის თხრას შეუდგა. ვინსენტს თხუთმეტიოდე ნაბიჯი ამო-
რებდა ამ ადგილს. არ იცოდა, რა ექნა — გზა განეგრძო თუ
დალოდებოდა, რა მოხდებოდა. გაიფიქრა, ცხენი ახლა მის-
თვის და ჩუმისთვის მისწრება იქნებოდა. ნელ-ნელა მიუახ-
ლოვდა მოსულს. სამი ნაბიჯილა ამორებდა ხმლისგან, გა-
ჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, მანძილი თვალთ გამოთვალა,
ხოხვით უახლოვდებოდა, საშიში იყო — მთავარი ახლა სის-

წრაფე იყო. ვინსენტი მოემზადა, უნდა ემარჯვა, მისი მარცხი ჩუმსაც დაღუპავდა. თავის ძალაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მოსულს ხელით ბარი ეჭირა. თვალის არ მოუშორებია. წამოხტა, ხმლისკენ გადახტა, ხმალი ამოაძრო, რმდენიმეჯერ გადატრიალდა, წინ დაუდგა მოსულს. იგი ადგილზე გაშეშდა. სახეები სიბნელეში არცერთს არ უჩანდა. უცხომ შიშით წაილულლულა. ვინსენტი იცოდა, მოსული მტერი იქნებოდა, მისი ცოცხლად გაშვება არ შეიძლებოდა. „რო... მელი ხარ?“ იკითხა ძლივს უცხომ. შენ თვითონ რომელი ხარ, ან რას მარხავ ამ შუალამისას?!“ შეუბრუნა კითხვა ვინსენტმა. მოსულმა ბარს ხელი უშვა. ვინსენტი მიუახლოვდა. ტომარა იყო — პირი გაუხსნა, რალაც გადმოცვივდა. უცხომ ვინსენტის გულის მოგება გადანყვიტა. „აქ უამრავი ოქრო და ვერცხლია, ორივეს გვეყოფა, რამდენიც გინდა აიღე, შენ შენს გზაზე წადი, მე ჩემსაზე“. ვინსენტმა იცნო, ერთ-ერთი თავადი იყო — მოლალატე. „თქვენ, ბატონო! ჟორდანის ნათესავი ხომ ბრძანდებით, ხომ არ მეშლება, ამ სიბნელეში?! თავადს გაუხარდა და მიუგო: „შენ რომელი ხარ? ახლოს მოდი, დამენახვე“. ვინსენტი მიუახლოვდა: „მე რაინდ მენის შვილი ვარ, ვინსენტი“. თავადს გაუხარდა, მიხვდა, რომ ვინსენტმა არ იცოდა, ქალაქში რა ხდებოდა. ორი ნაბიჯით ახლა თავად მიუახლოვდა: „მოდი, შვილო, გადაგეხვიო, შენც გადარჩი?! ვინსენტმა ხმალი დაუშვა, თავადი მოეხვია, ჩამოჯდომა შესთავაზა. ჩამოსხდნენ. „თითქმის ყველა თავადი მოკლეს, მამაშენი რაინდებთან და ბააგრასთან ერთად დაიძალა სადღაც, მეც ეს დღეები ტყეში ვიძალეები, ახლა ეს ქონება მინდოდა“ გადამემალა, აქედან შორს უნდა წავიდე, ქალაქს დიდი უბედურება დაატყდა. შვილო, შენც აქ იმალეობდი?!“ — ვინსენტმა ხმალი მიწაზე დადო და უპასუხა: „არა, თავადო, მე სოფელში ვიყავი, იქიდან მოვდივარ, მინდა გავიგო რა მოხდა, თქვენ ამის გარდა, რას მეტყვიით, რომ მამაჩემი და ბააგრა ერთად არიან გახიზნულნი“. ვინსენ-

ტი თან ლაპარაკობდა, თან ეჭვით აკვირდებოდა თავადს, მის ცხენს. კარგად მორთული იყო. პატრონიც გამოწკეპილი სჩანდა. ტყეში დიდხანს ყოფნის არაფერი ეტყობოდათ, თან კარგა გამაძლარი ჩანდა. თავის მხრივ თავადიც ხმლის ხელში ჩაგდებაზე ფიქრობდა, რადგან ვინსენტი ტანადი და ძლიერი იყო, შიშველი ხელებით ვერაფერს დააკლებდა: „აბა, რა გითხრა შვილო, ღამით ცოფიანები დაგვესხნენ თავს, სხვა არა ვიცი რა!“ ვინსენტი თავადს დაძაბულობა შეატყო. დაგდებულ ტომარას დააკვირდა, ნივთებიდან პატარა ხმაღს შეავლო თვალი. თავადს ისევ გახედა. „მოდით ბატონო, მოგეხმარებით და მერე მოვიფიქროთ საით წავიდეთ, ან როგორ მოვიქცეთ“... ამ სიტყვებით ვინსენტი ტომარას მიუახლოვდა და ძვირფასეულობის უკან ჩაყრა დაინყო. ვერცხლის პატარა ხმალი ისევ მიწაზე იდო, ვინსენტი თან ჰყრიდა ტომარაში ნივთებს და თან თავადს აკვირდებოდა. „შვილო, მომეხმარე, ახლა ერთად ვიქნებით“. — უთხრა თავადმა და ხმაღს ხელი მოჰკიდა „წამოდგომა დააპირა. იყვირა: „შე, ძაღლისშვილო, მოგკლავ!“ თუმცა ადგომაც ვერ მოასწრო. ვინსენტი ვერცხლის მახვილი ესროლა და მუცელში გაარჭო. თავადს ხმალი გაუვარდა. მიწაზე დაემხო და ხროტინი დაინყო. ვინსენტი მშვიდად მიუახლოვდა, მუცლიდან ხანჯალი გამოაძრო. პერანგზე შეაწმინდა და ნელზე დაიმაგრა, მეორე ხმალიც აიღო. ცხენს მიუახლოვდა, მოეფერა, დაამშვიდა. ისევ თავადს მიუბრუნდა, ქამარი მოხსნა. ფეხებში ჩაეჭიდა, მდინარემდის მიათრია. ჩაუშვა და დინებას გააყოლა. ვინსენტი ყოველივეს მშვიდად აკეთებდა, თითქოს კაცის კვლა მისი ყოველდღიური ხელობა იყო. აუჩქარებლად დაამაგრა ტომარა და ბარი ცხენზე, ამოთხრილი მიწა მოასწორა. ამხედრდა და ნელი სვლით მთას მიაშურა. ცხენი მთის ძირას, ქვაზე მიაბა, ბარი აიღო და ჩუმისკენ წავიდა. მივიდა იმ ადგილას და მიწის თხრას ბარით შეუდგა. ჩუმიმ გაკვირვება არ იცოდა, მშვიდად მიუ-

გო: კარგია, ბარი რომ არ დაგავინწყდა! თუმცა ტოტები ისევ დაგვინწყნია. ვინსენტს გაელიმა: „მერე გიამბობ ყველაფერს, მიდი, შენ მოიტანე ტოტები, იქ, დაბლა ცხენია, ისიც ჩვენია, იქვე ტომარა აგდია, მანდ იყოს“... ჩუმი ქვემოთკენ უსიტყვოდ დაეშვა... ტოტებით ხელში მალევე დაბრუნდა. ამ დროისათვის ვინსენტს საფლავი გაეთხარა. მეგობარს ტოტები ჩამოართვა, საფლავში გაშალა. პირველი — დედოფალი ან-ნა მოასვენა. მარიო და მარიუსი გვერდი-გვერდ მიუწვინა. გაოგნებული იყო. ტირილიც ვერ შესძლო. უსიტყვოდ დაკრძალეს მიცვალებულები. მერე ვინსენტი საფლავის გვერდით წამოწვა, ქალაქისაკენ იყურებოდა. „მოდი, ნახე ჩუმი, კარგად ჩანს, კარგად დაგვინახავენ“... ჩუმი ფეხზე იდგა. ვინსენტს დახედა. თმები გაისწორა. თავისთვის გაიფიქრა: „მართლა გაგიჟდა: მიცვალებულებზე რეებს ამბობს“. ვინსენტი კი თვალს არ აშორებდა ქალაქს. წამოდგა: „ჰო, ჰო! კარგად ჩანს ყველაფერი, თეთრებს ჩავიცვამ, მიცნონ, რომ მე ვარ, აი, დღისით რა ვქნა?!“ გაჩუმდა, ქალაქს მზერას არ სწყვეტდა. კარგა ხანს იყვნენ გვერდი-გვერდ უსიტყვოდ მეგობრები. ბოლოს სიჩუმე ისევ ვინსენტმა დაარღვია, ისევ ქალაქს უმზერდა: „ერისი იგვიანებს, აქ ვერ დაველოდებით, გზას თვითონ მოაგნებს, ჩვენებს უნდა დავუბრუნდეთ, ტყეში გველოდებიან. აქედან სადმე, შორს უნდა გადავიხვეწოთ. ერთი თავადი მოვკალი, ჟორდანის მეგობარი, ჩემი მოკვლა მოინდომა“. უამბო ჩუმის ყველაფერი. „ნეტავ ბა-აგრა სადაა?“ მოულოდნელად იკითხა ჩუმიმ... „მთავარია ცოცხალია; ცოცხალი რომ არ იყოს, ახლა ამათთან ერთად დავასაფლავებდით — ვიპოვით. მთავარია ახლა აქაურობას გავეცალოთ“. მერე მუხლი მოიდრიკეს დედოფლისა და პრინცების საფლავზე და გზას გაუდგნენ.

შუადღისათვის ნოზა და ცოფიანი მეომრები დანიშნულ ადგილამდე მივიდნენ. სამასი ცოფიანი მეომარი და ნოზა ერთად იყვნენ. წინამძღოლი ხის ძირას ჩამოჯდა გარშემო

ცოფიანები შემოერტყნენ. „ახლა ხომ ყველა ერთად ვართ, ცხენები არ გვყავს, მაგრამ ეს არაფერია, არც იმათ ჰყავთ ცხენები“. რაინდები იგულისხმა. „ჟორდანს არ უნდა ვუღალატოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ბააგრა უნდა დავიჭიროთ. საღამომდე მოვისვენოთ, მერე გზას გაუდგეთ. ამ მინდვრის შემდეგ მთები იწყება. იქ ბევრი გზაა, ეგ არაფერი, რაინდები მკვდარი ზღვისკენ მიდიან. ბააგრა წმინდა მინამდე უნდა უნდა მიიყვანონ, სხვა გზა არა აქვთ, კარგი დროა გასული. ისინი ჩვენ აღარ გველოდებიან. ასე ვფიქრობ, აღარც ჩქარობენ. ახლა ყველამ კარგად მოისვენეთ. გზას რომ გავუდგებით აღარ გავჩერდებით. აუცილებლად ვიპოვით, თითქმის ყველა გზა შუაში ერთიანდება. გადავეყრებით მაგ ვირთხებს“. დაამთავრა ნოზამ და სიცილი აუტყდა. ცოფიან მეომრებს გადახედა, ზოგი იჯდა, ზოგიც ფეხზე იდგა და უსმენდა. ყველა ძალღივით იღრინებოდა. არცერთს ადამიანის სახე არ ჰქონდა. ერთ-ერთმა, რომელიც ნოზასთან ახლოს იჯდა, წამოიწყო: „ბატონო ნოზა, ჩემთვის მთავარია, ბააგრა დავიჭიროთ, ხოლო მისი ყველა მხლებელი დავხოცოთ — ხომ ასეა, უფროსო?!“ ნოზას ესიამოვნა, უზომოდ, „ბატონობით“ და „უფროსობით“ მიმართვა და სიცილით უპასუხა: „კი, ეგრეა, მაგრამ ის მინდა გავპუტო... ბააგრას თეთრი არწივი...“ ამ სიტყვებზე ცოფიანები ახარხარდნენ... ისმოდა შეძახილები: „გავპუტავთ, აბა, ისე ხომ არ წამოვაგებთ შამფურზე, ნოზა ბატონო!“ ნოზას სიამოვნებას ზღვარი არ უჩანდა. სიცილით ფეხზე წამოდგა, ამაყად გადახედა ყველას და მიმართა: „პირობას ვიძლევი, ვინც პირველი დაიჭერს ბააგრას, ოქროთი და ვერცხლით დაჯილდოვდება, დიდი რაოდენობით“. ცოფიანებმა სიხარულისგან ყვირილი დაიწყეს: „ნოზას გაუმარჯოს, ჩვენს მხედართმთავარს, ნოზას გაუმარჯოს!“ ხმლებს მალლა იქნევდნენ. პატივდებული ნოზა სიამაყისაგან კრუტუნებდა, ასეთი რამ მის მოდგმას არა-

სოდეს ღირსებია. კარგა ხანს იმხიარულეს, მერე მოსასვენებლად წამოწვინენ... ნოზა ოცნებამ გაიტაცა... თავი მეფის ტახტზე წარმოიდგინა.

ამ დროს ჟორდანი და მოლალატე თავადები ბააგრების სასახლეს ჩხრეკდნენ. გვირაბში გასასვლელს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. ისე ოსტატურად იყო შენიღბული, ძებნას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იპოვიდნენ — მთელ სასახლეს თუ დაშლიდნენ. ჟორდანი ერთ-ერთ ოთახში გამწარებული იჯდა და ფიქრით ტვინს იჭყლეტდა.

სალამო ხანს ვინსენტი და ჩუმი იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც თავიანთ ხალხს დაშორდნენ — იქ არავინ იყო. მიწაზე რამდენიმე ცოფიანი მეომრის გვამი ეგდო. ვინსენტი გვამებს ათვალეიერებდა. ყველანი ისრით იყვნენ მოკლული. ჩუმის მიუგო: „ჩვენნიანი არცერთი არ არის. კარგია, კარგი, ეტყობა ტყეს ათვალეიერებდნენ, ეს საცოდავები და ჩვენებმა კარგად მოიგერიეს. აგერ, შეხედე, ცხენების კვალიც, ასე გამოდის, ახლა ჩვენებს ცხენებიც ჰყავთ. მოკლულები რვანი არიან. ვიცი, საითაც წავიდოდნენ. წავედით, ჩუმი!“ ცხენს მოახტა, ჩუმისაც მოეხმარა, უკან შემოისვა, წინ ტომარა ჰქონდა დამაგრებული, ტყეში ღრმად შევიდნენ. ჩუმი კვლავ ჩუმად იყო. სიარულში დაუღამდათ. ცხენიდან ჩამოხტნენ, გზას ვერ ხედავდნენ, თან ჩირაღდანიც არ ჰქონდათ. ფეხით გააგრძელეს გზა არ შეჩერებულან... ძნელი იყო სიბნელეში მოძრაობა, მაგრამ სხვა გზა, არ იყო. ცოტა ხნის შემდეგ შუქი შენიშნეს. მიუახლოვდნენ. კოცონთან ხალხი იჯდა. კარგად არ ჩანდა, ვინ იყვნენ. „შენ აქ დარჩი ჩუმი, ცხენთან. მე დავზვერავ — ვინ არაინ“. — წასჩურჩულა ვინსენტმა ჩუმის და მალულად კოცონისაკენ გაემართა. ჩუმი ისევ ჩუმად იდგა. მას უსიტყვოდ ესმოდა მეგობართა გულისნადილი. მით უმეტეს ახლა მხოლოდ ვინსენტი ჰყავდა. ჩუმი ძალიან წიგნიერი იყო, წიგნს ვერასოდეს ღალატობდა. ამიტომ მას ყველა კითხვაზე შეეძლო

პასუხი გაეცა. ვინსენტი ცეცხლთან მიახლოებისთანავე დარწმუნდა, რომ ცეცხლთან თავისიანები ისხდნენ, ჩუმისაც უხმო. კოცონთან ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ზოგი შეშინდა, ზოგმა კი ვინსენტი იცნო. ყველამ გაიხარა. ჩუმის და ვინსენტის მოსვლამ ყველას სიხარული მოჰგვარა. ყველა მათკენ გაიქცა, პირველი ჩუმის დედა იყო. შვილს მოეხვია და კოცნა დაუნყო, ბავშვივით გულში ჩაიკრა. სიხარულის ცრემლები ახრჩობდა, ძლივს დაამშვიდეს. მერე ცალ-ცალკე ყველა მოეხვია ჩუმის და ეხუმრებოდნენ: „ისევ ჩუმად ხარ?!“ თან იცინოდნენ. ერისი არ ახსოვდათ. ჩუმმა ცხენი მეგობარს მიაბარა. დედას ხელი გადახვია და კოცონთან მივიდა... „გშია, შვილო?! ეხლავე გაჭმევ, ტანსაცმელსაც გაგირეცხავ, როგორ ამოსვრილხარ. ერისი სადღაა?!“ სიყვარულით მიაყარა ჩუმის კითხვები დედამ. ერისი ჩუმის დედას გაახსენდა. „არ ვიცი, მოვა,“ უპასუხა ჩუმმა. ვინსენტიც იქვე ჩამოჯდა, ხისკენ გაიხედა, იქ ვილაც იყო დაბმული. წამოდგა. იქითკენ გაემართა. უკან ერთი მოხუცი გაჰყვა. მიუახლოვდა თუ არა, მოხუცმა მხლებელმა აუხსნა „ეს ცოფიანი მეომარია, დანარჩენები დაგხოცეთ“. ვინსენტი მეომარს დააკვირდა, ის უშიშრად უყურებდა. „ვიცი, ვნახეთ მე და ჩუმიმ დახოცილი ცოფიანები, რაიმე ხომ არ უთქვამს საინტერესო?!“ იკითხა ვინსენტმა. მოხუცმა ცოფიანს გახედა: „კი, ყველაფერი გვიამბო, სიხარულით, თან ამაყობს, რომ ჟორდანი მათი მონაა... ყველაფერი ჟორდანის ბრალი ყოფილა. ბააგრა გაქცეულია. მის დასაჭერად ჯარი ჰყავთ გაგზავნილი. ჩვენ ბააგრას, რაც უნდა გაუკეთონ, იმან გაგვაოცა“. ვინსენტი ცოფიანს თვალს არ აშორებდა. მოხუცს ისე ჰკითხა: „რას უპირებენ?!“ დალონებულმა მოხუცმა უპასუხა: „ხელები უნდათ დააჭრან და თვალები დასთხარონ, ცოცხალი უნდა დატოვონ ასე“. მოხუცი გაჩუმდა. „შეხედე, მოხუცო! არ ემინია, რა ამაყად მიყურებს, ეს მამაცი ცოფიანი ღორი, შენ

კოცონთან დაბრუნდი, მოხუცო!“ მოხუცი მოშორდა მათ. ვინსენტი ცოფიანს გამოელაპარაკა, მერე ტყეში ღრმად შეიყვანა. კოცონთან მჯდომთ საზარელი ყვირილის ხმა შემოესმათ. წამოხტნენ და იმ მხარეს გაიქცნენ. გზაში ვინსენტი შემოხვდათ: „საშიში არაფერია, კოცონთან წამოდიო“. ყველანი უკან გამობრუნდნენ. ვინსენტი გზადაგზა ბალახზე ხელებს იწმენდა. ხალხი უყურებდა მას და ყველა გრძნობდა, რომ ვინსენტმა ცოფიანი საიქიოს გაისტუმრა და ახლა ცოფიანის სისხლს იშორებდა ხელებიდან. ყველა კოცონთან მოგროვდა. ვინსენტს სახე არეული ჰქონდა. ყველაფერი უამბო თავისიანს, ერისზეც და იმ მოღალატე თავადზეც, ძვირფასეულობით სავსე ტომარა კოცონთან დააგდო. „ეს ძვირფასეულობა გზაში გამოგადგებათ. წმინდა მიწის იქეთ, მაინც ვერსად წახვალთ. მასზე უსაფრთხო ქვეყანა ჯერ არასად არის. გირჩევთ იქ წახვიდეთ.“ საუბარი არ დაამთავრებინეს: „შენ ისე ამბობ, თითქოს ჩვენთან ერთად წამოსვლას არ აპირებ, ვერ გავიგეთ, ვინსენტი! აგვიხსენი, რას ამბობ?!“ შეაწყვეტინა ერთ-ერთმა. „მე თქვენ მკვდარ ზღვამდე გამოგყვებით, მერე ბააგრა უნდა ვიპოვო“. ამ დროს ჩუმის ხმა გაისმა. „ბააგრას საძებნელად მეც მოვდივარ“. ვინსენტს ესიამოვნა მეგობრის ნათქვამი, თუმცა არ შეიმჩნია და გააგრძელა: „მთავარია, არ ვიჩქაროთ, მთებისკენ არ წავალთ, წრეს დავარტყამთ, თუ ვინმე აგვედევნა, მთებში დაგვიწყებენ ძებნას. მართალია, დიდი გზაა, მაგრამ უსაფრთხო, მით უმეტეს თავიანთ მეომრებს დახოცილებს რომ ნახავენ. მთავარია, ზამთარმა არ მოგვისწროს. თუ ვინმეს უკეთესი აზრი აქვს, გვითხრას“. ყველა გაჩუმდა, ბავშვებიც კი. ბოლოს მოხუცმა გაბედა: „ეს ყველაფერი კარგია, ჩვენ ოთხი ცხენი გვყავს, დანარჩენი გაგვექცა, ერთიც თქვენი — ხუთი... როგორმე მივალწევთ მკვდარ ზღვას. ეს ძვირფასეულობა იმდენია, ერთ დიდ სასახლეს ავიშენებთ და ყველა ერთად ვიცხოვ-

რებთ“. ვინსენტმა შეანყვეტინა მოხუცს. გაკვირვებულმა და გაბრაზებულმა მიმართა ყველას: „რის აშენება, რა აშენება, მოხუცი ისე ამბობს, თქვენ ყველას ბააგრების ქალაქში დაბრუნებაზე ხელი გაქვთ ჩაქნეული. დედოფალი ანნას ზურგში სცეს მახვილი, მერე გვამი, პრინცებთან ერთად, ქალაქის კედელზე დაჰკიდეს. ჩვენ არაფრად გვთვლიან! ის ცოფიანი, წელან რომ გავიყვანე, არ მომიკლავს, თვალები დავთხარე და ფეხის თითები მოვჭერი. თავისიანები, რომ მიაგნებენ, მიხვდებიან, რომ აქ ჩვენს ქალაქში არაფერი ესაქმებათ. ჟორდანს მეფობა უნდა, ისიც ვიცი, ცოფიანებს რა სურთ, თუმცა ჟორდანს ეს არ ანყობს, სანამ ბააგრა ცოცხალია, ჟორდანს მეფედ არცერთი სახელმწიფო არ აღიარებს. იგი პრინცესას მოკვლას ეცდება. ჩვენ ყველანი უკან დავბრუნდებით, ბააგრა ცოცხალია. რადგან სხვა სახელმწიფოები არ აღიარებენ მეფედ ჟორდანი ეცდება პრინცესას მოკვლას... ჩვენ, ყველანი უკან დავბრუნდებით“. ყველანი ვინსენტს მისჩერებოდნენ გაოცებულნი. მას ბავშვობიდან იცნობდნენ, როგორ სძულდა ძალადობა. ახლა კი მხოლოდ შურისძიებას შეეპყრო, ყველაზე საშიშ გრძნობას, რომელიც ისე შეგეყრება, რომ მხეცად გაქცევს. „შურისმაძიებელმა ადამიანმა ორი საფლავი უნდა გაიმზადოს“, ძველთაძველი ნათქვამია, ერთი თავისთვის, მეორე მოწინააღმდეგისთვის. იქ მყოფთაგან ყველამ შეიგრძნო, როგორ შეცვლილიყო აქამდე უკეთილშობილესი ვინსენტი. ის უკან აღარაფერზე დაიხევდა. მას სიკდვილის მეტი ველარავინ და ვერაფერი შეაჩერებდა, კიდევ დიდხანს საუბრობდნენ — ერისიცი გაიხსენეს, იმედოვნებდნენ, რომ ცოცხალს ნახავდნენ. მალე ისიც შემოუერთდებოდა.

ერთ დღეს ჟორდანმა შეკრიბა მოლაღატე თავადები და გლეხები ბააგრას სასახლეში. თავადი ტახტზე დაბრძანდა. სასახლე სავსე იყო. თავადებს, რასაკვირველია, გლეხები სჭარბობდნენ. „მეფეს“ ეს ანყობდა, უბრალო ხალხს უფრო

კარგად გააცურებდა. ტახტიდან არც კი წამომდგარა. თავი მედიდურად ეჭირა, სიტყვით მიმართა შეკრებილთ: „ჩემო ტკბილო და საყვარელო ხალხო, მე ვამაყობ თქვენით, რომ დავამარცხეთ უზურპატორი ბააგრები, მათი დრო დამთავრდა, მორჩა, ახლა ყველაფერი ჩვენია, მინებიც საკმარისი გვაქვს. თავადებო! ახლა ამ გლეხებს უნდა დავურიგოთ, ესენი ჩვენ გვერდით იბრძოდნენ ბააგრების წინააღმდეგ!“ იქ მყოფ გლეხებს გაუხარდათ. მათი ბოროტი ღიმილი პატროსან ადამიანს გულს მოუკლავდა. ამ დროს ერთ-ერთი თავადი „ჟორდანისკენ მოიწვედა ყვირილით: „გაჩერდი ერთი! რა უნდა გავუყოთ, თუ გინდა შენი მიეცი!...“ მიუახლოვდა „მეფეს“. მას სხვებიც აჰყვნენ: „რა უნდა გავუყოთ, თუ უნდა, თავისი მისცეს. მეფობა უნდა, ჯერ არავის უღიარებია და ტახტზე წამომჯდარა. ახლა ასე იქცევა, ჩვენ გვართმევს მინებს, მერე რას იზამს. სულელები ხომ არ ვგონივართ? ჟორდანმა ტახტიდან წამოდგომა იკადრა, რამდენიმე საფეხური ჩამოიარა, აჯანყებულ თავადს მიუახლოვდა, გადაეხვია, მხარზე ხელი დაადო და გლეხებისკენ შეტრიალდა. თავადმა მოიშორა და გზა მისცა. ერთ-ერთი გლეხი აჯანყებულ თავადს უეცრად მიეჭრა, თმებში სწვდა ზურგიდან, მახვილი გაიძრო და თავადს უსწრაფესად ყელი გამოსჭრა. იგი დაეცა ხრიალით. გლეხი კი გასისხლიანებული მახვილით თავადებს უყურებდა და ყვიროდა: „რაინდი ვარ, რაინდი“. ჟორდანი მასთან მივიდა. მხარზე ხელი დაადო. გააჩერა და დამცინავი ღიმილით თავადებს მიმართა: „მე როგორც ვიტყვი, ისე იქნება. თუ ვინმე წინააღმდეგია, წინ გამოვიდეს“. სიჩუმე ჩამოწვა. გლეხები თავადებს აღრენილნი მისჩერებოდნენ. ჟორდანმა შეშინებული თავადები რომ ნახა, ტახტისკენ გაეშურა, თან თავადის მკვლელი გლეხი გვერდით დაიყენა. „დღეიდან შენ მართლა რაინდი ხარ და შენი რაინდული სახელი „პირველი“ იქნება, როცა მე მეფედ მაკურთხებენ, თუმც შენ უკვე „პირველი“ ხარ“.

გლესს გაუხარდა და თავადებს ბოროტად გადახედა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჟორდანმა განაგრძო: „კარგია, რომ ჩემი გესმით, ბატონებო, მოკლედ, მინებს მისცემთ გლესებს. ახლა მთავარია, ვინც ვაჭრობას მისდევს, შემოსავალს მე მომიტანს, მე გადავწყვეტ, ვის რამდენი ერგება, მოტყუება არავინ გაბედოს, სიკვდილით დავსჯი. ყველამ შეიგნოს, მეფე მე ვარ, გინდაც ბააგრა ცოცხალი იყო, ბრმას მეფედ არავინ აღიარებს. თუ მე არ მაღიარებთ, თქვენთვის იქნება ცუდი. იქნებ თქვენში ვინმეს უნდა მეფობა“. მას საუბრის გაგრძელება არ აცალეს, რამდენიმე თავადმა ყვირილი ატეხა: „გაუმარჯოს ჩვენს მეფე — ჟორდანს!“ მათ ყველა აჰყვა. „მეფე“ ფეხზე წამოდგა. ორივე ხელი მაღლა ასწია და ახარხარდა. გლესებმა ხმლები ამოიღეს და ასე აღიდებდნენ თვითმარქვია „მეფეს“, თან თავადებს უყურებდნენ შესაშინებლად. ჟორდანი კი იდგა ხელებშემართული. უყურებდა დარბაზში შეგროვილი ხალხს. იხსენებდა, რა გზა გაიარა ამ დღისთვის. მის სიამაყეს ბოლო არ უჩანდა. ახსენებოდა, როგორ მოკლა დედოფალი ანნას მეუღლე — მეფე. იგი ნადირობისას არ დაღუპულა შემთხვევით. ჟორდანმა გადაადგო კლდიდან. ამის გახსენება თვითმარქვიას ძალას ჰმატებდა. კი, იგი მშვიდარა და ლაჩარი იყო, მაგრამ სიძულვილს და ხელისუფლების სიყვარულს ასე გაეთამამებინა. ახლა „მეფეს“ ერთი ფიქრი არ ასვენებდა — ლენი უნდა მოეკლა... მერე მართლა აღარავინ შეუშლიდა ხელს ლენის ჯარით დედამინა დაეპყრო ჟორდანი ისე გაიტაცა ფიქრმა — ყინულოვანი ქვეყნის ბელადის სიკვდილზე და მისი ჯარის ხელში ჩაგდებაზე, რომ ჩამოჯდა სამეფო ტახტზე და ბოლმისაგან მთელი სახე გაუსივდა. იგი უყურებდა თავადებს და გლესებს უაზროდ. ახალმა მიზანმა თავგზა აუბნია. ლენის მოკვლა სახუმარო არ იყო. მხოლოდ ლენს ჰყავდა დედამინაზე უთვალავი ცოფიანი მეომარი, თუმცა ყველამ იცოდა ამ მეომრების სიბრიყვის ამბავი, თუმცა ისიც ნათელი იყო,

რომ სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი საშიში. ჟორდანმა კარგად იცოდა, რომ ლენის სიკვდილი მისი ოცნების ასრულება იქნებოდა. გაიფიქრა ლენი როგორმე მოენამლა.

ის ჯარი — ცოფიანებისა, რომელიც დაბრუნდა ცინულოვან ქვეყანაში, ბოლის მეთაურობით, უკვე ლენის სასახლეს მიუახლოვდა. ბელადს შეატყობინეს ეს ამბავი. ლენმა მხედართმთავარი თავისთან იხმო. მან ჯერ არ იცოდა დერჟის სიკვდილი. ბოლი სასახლეში გაეშურა, მან კარგად იცოდა, როგორ უყვარდა ლენს დერჟი. ფიქრობდა, როგორ ეთქვა ეს ამბავი ბელადისათვის ისე, რომ სიმწრისაგან არ მოექცა. ცინულოვან ქვეყანაში აუტანელი სიცივე იყო. ბოლო დარბაზში შესასვლელ უზარმაზარ კარს მიადგა. აქ ოთხი ჯარისკაცი იდგა შეიარაღებული. კარი გაუღეს. შევიდა. კარი საშინელი ხმაურით მიუხურეს. მოსულმა შიშისგან უკან მიიხედა. დარბაზში იატაკი მოყინული იყო. სასანთლე ჭადებზეც ყინულები ეკიდა. ყინვისაგან კედლებიც გათეთრებულიყო. დარბაზის ბოლოს ბუხარი ენთო, გვერდით დიდი სამეფო ტახტი იდგა. ტახტზე ლენი იჯდა და ცეცხლს უყურებდა. ბოლი შეშინებული მიუახლოვდა. ლენის სახე დაინახა, თუ არა, მაშინვე მუხლებზე დაეცა, თავით თითქმის იატაკს შეეხო. აკანკალებული ხმით დაინყო: „ჩემო ბელადო, როგორ გითხრა, ვერ ვბედავ“. ბოლი გაჩუმდა. ლენმა იგრძნო, რაღაც ცუდი მომხდარიყო, დახედა ბოლის: „ბააგრას სახელმწიფო ხომ დაიპყართ?!“ ბელადის ხმის გაგონებაზე ბოლი მთლად დაიბნა, ლენს რაღაც არაადამიანური ხმა ჰქონდა. „კი, დავიპყართ ჩემო ბელადო“. „აბა, რა მოხდა, დერჟი რატომ არ ჩამოვიდა?!“ თითქოს ლენმა იგრძნო, რომ დერჟს რაღაც მოუვიდა. ბოლის თავში წიხლი ჩაარტყა და დაიყვირა: „თქვი, საქონელო! რა მოხდა! დერჟი სად არის, რატომ არ მოვიდა! თქვი!“ ბოლის წიხლი ისე ძლიერად მოხვდა, რომ გვერდზე გადავარდა. წამოხტა, ისევ მუხლებზე დაეცა, თავი ისევ იატაკს შეახო,

შიშისაგან გათანგულმა კანკალით წარმოსთქვა: „ბელადო! დერჟი მოკლეს. ვწუხვარ. ძალიან ვწუხვარ“. ამის გამგონი ლენი ტახტიდან წამოხტა და ბოლის წიხლებით უმოწყალოდ ცემა დაუწყო, თან ყვიროდა: „ვინ მოკლა, როგორ მოკლეს, დერჟი მოკლეს და შენ სიცოცხლე გაბედე, შე, ღორო, ჟორდანი ცოცხალია — ჟორდანი?!“ ბოლის მთელი სახე სისხლით მოეთხვარა, ხელებსაც კი ვერ იფარებდა, რადგან იცოდა, რომ ლენი დაუფიქრებლად მოკლავდა, ტკივილისაგან მოკრუნჩხულმა ძლივს ამოილულლულა: „ჟორდანი ცოცხალია, დერჟი დედოფალმა ანნამ მოკლა. ისიც და მისი ორივე პრინციც მოვკალით, ახლა ბააგრების ქალაქის კედელზე არიან ჩამოკიდებულნი. ესაა, პატარა პრინცესა ბააგრა გაგვექცა. მის კვალზე ჯარი გავგზავნეთ. პრინცესას თვალებს დათხრიან და ხელებს დააჭრიან. თქვენ მოგართმევენ, ბელადო! ვწუხვარ, მომხდარის გამო. დერჟთან ახლოს მე არ ვყოფილვარ, თორემ დავიცავდი. მე სულ სხვა მხარეს ვიბრძოდი“. ლენმა კიდევ რამდენიმე წიხლი უთავაზა ბოლის, მერე გამწარებული დაეშვა ტახტზე. მონას უყვირა არაყი მოეტანათ. უმაღვე დოქი მოურბენინეს, ჭიქა და ერთი დიდი თეფში მოხარშული ხორცი, იქვე პატარა მაგიდა დაუდგეს. დოქი ლიტრანახევრიანი იქნებოდა. ბელადმა პირზე მიიყუდა, თითქმის ნახევრამდე დალია, პირი ხელით მოიწმინდა თითქოს, წყალი დალიაო. დოქი ბოლის გაუწოდა, თან დაუყვირა: „დალიე, არ მოგკლავ. მერე ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი“. ბოლიმ დოქი გამოართვა, შიშისგან დაავინწყდა სისხლიანი ყურების განმენდა, მანაც ბლომად დალია, მერე დოქის განმენდა დაიწყო. ამაზე ლენი გამწარდა, ხელიდან გამოგლიჯა, მიიყუდა და ბოლომდე დაცალა, ცარიელი დოქი მიწაზე დაახეთქა. ეცა ხორცის დიდ ნაჭერს, ჩაკბიჩა. შეჭამა და თითქოს დაწყნარდა. ბოლი ყველაფერს დაწვრილებით მოჰყვა. ბელადი ჩაფიქრებული უსმენდა, თან მზერას არ

აშორებდა დანთებულ ცეცხლს. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სიმწრის ხმა აღმოხდა: „შენ ახლა ნახვალ, ას მეომარს შეკრებ, გადარეულზე-გადარეულებს. ცოტას დაისვენებს და ისევ უკან გაემგზავრები. დერჟი აქეთ უნდა გადმოასვენოთ. აქ უნდა დავასაფლაოთ. ჟორდანს კი უთხარი, ძეგლი თავისთვის გაიმზადოს, შენ ბააგრას კვალს გაჰყვები. ჟორდანი იქ დამხვდეს. ის დებილი! მე არ ვიცი, ბააგრებს რა ქონება ჰქონდათ, ეს რა გამომიგზავნა, როგორ გაბედა. მე ყოველთვის ვარიდებდი ბააგრებს თავს, რადგან არ მინდოდა წმინდა მიწის მეფეს ჩემს წინააღმდეგ ებრძოლა. მოლალატე ღორი — ჟორდანმა თავი მომაბეზრა. მე ორ-სამ დღეში წამოვალ. იცოდე! იქ არ დამხვდე! ბააგრა ცოცხალი მომიყვანეთ — თვალებდათხრილი, დაგხოცავთ! დერჟს ვინც გადმოასვენებს, უთხარი, მთიანი გზით არ წამოიყვანოს, მე გზაში შევხვდები, სანამ დაკრძალავენ, მინდა ვნახო. ახლა კი, აქედან გაეთრიე, წადი!“ ლენმა დაამთავრა, მერე მონას უბრძანა ისევ არაყი მოეტანა. ბოლი წამოხტა და დარბაზიდან გავარდა. ლენის ფიქრი ახლა იქითკენ იყო — ყველა დაეხოცა, ვინც ცოცხალი დარჩა ბააგრების სახელმწიფოში.

ბოლიმ შეკრიბა ასი უძლიერესი ცოფიანი მეომარი და მოსასვენებლად გაეშურა.

გადიოდა დღეები. ჟორდანი არავითარ შემთხვევაში არ ელოდა ლენის ჩამოსვლას. თითქოს მეტ-ნაკლებად დამშვიდდა. ახლა ნოზასგან ელოდებოდა ახალ ამბებს. არ იცოდა, რომ ბოლი უკვე მასთან შესახვედრად მოემართებოდა.

ლენი მზად იყო გზას დადგომოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ჟორდანს.

რაინდები, ბააგრა და თეთრი არწივი მთებს გადადიოდნენ. დასასვენებლად მთის მწვერვალზე გაჩერდნენ, რადგან დაშვებისას ვერსად მოისვენებდნენ, ძალიან დაღმართი იყო. ყველანი მოკალათდნენ. ცეცხლი დაანთეს, შე-

სანვავად გაამზადეს გზადაგზა ნანადირევი. უცებ თეთრი არწივი ცაში აიჭრა. ბააგრა ხელებგაშლილი და გაოცებულნი შესცქეროდა მეგობარს. ვერ გაეგო, რა მოხდა, ცოტა ხანში არწივი დაბლა დაეშვა, საიდანაც ჩანჩქერის ხმა ისმოდა. წყალი პატარა ტბაში ჩაედინებოდა და მდინარეს უერთდებოდა. გარემომო უზარმაზარი ტყე იყო. საოცარი ყვავილებით და ბალახით დაფარული. არწივი ჩანჩქერის სიმალიდან დაეშვა, პირდაპირ ტბისკენ, ფრთებშეკეცილი, თითქოს წყალში ხტებოდა. ტბას მიუახლოვდა, თუ არა, ფრთები გაშალა და წყალში გადაეშვა, უმაღვე ფრთები დაიქნია და ისევ ზევით, ჩანჩქერისაკენ აფრინდა. ბრჭყალებში დიდი თევზი უფართხალებდა. არწივი ბააგრასთან მიფრინდა და თევზი ფეხებთან დაუგდო. თავად დადგა და ბააგრას შეხედა. უცებ დაიყვილა. პრინცესამ სიხარულისგან ცხვირსახოცი მოიმარჯვა მეგობარს გამშრალეა და უწყო. ბედნიერი სახით რაინდებს გადახედა და გაიცინა. დენი წამოდგა, ბააგრას მიუახლოვდა, დახედა თევზს და მთელი სერიოზულობით წარმოთქვა: „არწივო! თუ შეიძლება რომ ეს თევზი შევახრამუნოთ, ალბათ დაგვრთავთ ნებას — ქალბატონებო!“ ბააგრას გაეცინა, არწივმა გაიგო დენის ხუმრობა. მიუტრიალდა დენის, ფრთები გაშალა, ადგილს მოსწყდა და ისეთი დაიყვილა, რომ დენი შიშისგან უკან გადახტა. რაინდი ფრინველის გაბრაზებას არ ელოდა, დაუყვავა: „გავიხუმრე, რა მოხდა, არ შეიძლება გვაპატიოთ, ქალბატონო!“ არწივი შეჩერდა, პრინცესასთან მივიდა გაბრაზებული და მიეხუტა. ბააგრა მოეფერა მეგობარს და ჩასჩურჩულა: „შენ ძლიერი, ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი თეთრი არწივი ხარ, დამშვიდდი რა გაბრაზებს, ესენი, ვერცერთი ვერ დაიჭერდნენ ასე სწრაფად, ამხელა თევზს. შენ ყველაზე მოხერხებული და სწრაფი ხარ — ჩემო პატარავ!“ არწივმა შეიფერა ბააგრას ნათქვამი, თითქოს მართლა ესმოდა. ფეხები პრინცესას მუცელზე დაა-

დო, თავი კი თმებში ჩამალა. დენიმ თევზი აიღო და კოცონს მიაშურა, თან თევზს ათვალეირებდა: „ნახეთ, რამხელაა, პირდაპირ ბააგრას მიართვა, როგორც ყოველთვის — ხან ხორცი მიაქვს, ხან ფრინველი, ახლა კი თევზი, თუ არ გავ-გიჟდები, კარგი იქნება. ჩემი თვალით რომ არ ვხედავდე, არავის დავუჯერებდი. არწივი ხომ მტაცებელია, ამას კი აქეთ მოაქვს, თან სანამ პრინცესა არ შეჭამს, ერთ ნაჭერ-საც კი არ გაეკარება თავად“. მენიმ ხელი გაუშვირა დენის და მიუგო: „მოიტა ეგ თევზი, შამფურზე შევწვათ, მერე რამდენიც გინდა იმდენი ილაპარაკე, რა არის აქ გასაკვი-რი — ბავშვობაში ზღაპრებს ხომ გიამბობდნენ?!“ რაინდმა თევზი მეგობარს მიანოდა: „ბავშვობაში მჯეროდა ზღაპ-რების, ახლა ბავშვი ხომ აღარ ვარ, სწორედ ამიტომ მიკ-ვირს, ამას რომ ვუყურებ ის ფოცხვერები კიდევ საკვირვე-ლია აბა, რა?!“ მენი თევზის გასუფთავებას შეუდგა. მერე შამფურზე წამოაგო და ცეცხლზე ატრიალებდა, თან საუ-ბარი გააგრძელა: „ბავშვობაში თუ გჯეროდა, ახლაც უნდა გჯეროდეს — ბავშვობა არ კვდება, არც არსად მიდის. ის ყოველთვის ჩვენთანაა, ჩვენ თვითონ თუ არ გავაგდეთ, არ დავშორდით და არ დავასამარეთ. ბავშვობა მუდამ ჩვენ-თან იქნება, ისინი კი, ვინც თვითონ კლავენ თავის ბავშვო-ბას და ოქროს და ვერცხლს ამჯობინებენ, ისეთი ამაყები ხდებიან, ვერც კი ხვდებიან, როგორ დამარხეს მათი ღირ-სება. არ სჯობს დიდი ბავშვი იყო, ვიდრე დიდი უღირსი ამ-პარტავანი?! ცხოვრება სულ ზღაპარია — დენი! ჰოდა, ამ ზღაპარში შენ რაინდობა გერგო. იყავი რაინდი ჩვენი ზღაპ-რიდან, რომელიც ბააგრას იცავს, თეთრი არწივის უკვირს, დაიმახსოვრე, დენი! სასწაულების მხოლოდ ბოროტს არ სჯერა, რადგან იგი თავის თავს ვერ ხედავს, დაბრმავდა სანყალი — დენი! ადამიანი საოცრებაა, სასწაულია, შენ რეალობას ეძახი, რაც ხდება და რასაც ხედავ. კი, რეალო-ბაა, რეალური ზღაპარია დენი! ჩვენ, ყველანი, ბავშვები

ვართ, იქ, შიგნით“. მენმა თითი მკერდზე მიიდო, ყველა სულგანაბული უსმენდა რაინდს. განსაკუთრებით ბააგრა. რაინდების საუბარი დიდხანს გაგრძელდა, თან ხორცს და თევზს მიირთმევდნენ. არწივი ბააგრას არ აცლიდა თავად ეჭამა. ნისკარტით მიუტანდა საკვებს პრინცესას ტუჩებთან, გოგონა სიამოვნებით მიირთმევდა მეგობრის მიწოდებულ ულუფას. ეს ყოველივე საოცარი სანახავი იყო. ერთი იყო გასაკვირი: ვერ გაიგებდი, პრინცესა უვლიდა არწივს, თუ პირიქით, არწივი — პრინცესას. მათი ურთიერთობა ერთგულების და სიყვარულის საოცარი მაგალითი იყო. ლაკი კარგად დანაყრდა, ფეხზე წამოდგა, წელში გაიჭიმა, ხელები და თავი გაამოძრავა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაშეშდა. მთის მეორე მხარეს დაჟინებით მიამტერდა. თვალს ვერ ამორებდა, ისე შეჰყვირა: „მოდო აქ, სონი! შენ კარგი მხედველობა გაქვს, ერთი, იმ მთისკენ გაიხედე, რა ცხოველები მორბიან, რა ამბავში არიან?“ სონიმ ლაკის მიაშურა, დანარჩენები ისევ საუბრობდნენ. ყველა კარგ გუნებაზე იყო. სონი მიუახლოვდა მეგობარს, მხარზე ხელი გადახვია, დაუყვავა: „აბა, რა ცხოველები, დამანახე, სად არიან?!“ ლაკიმ ხელი მათ წინ მთისკენ გაიშვირა, იქაურობა დაბურული ტყით იყო დაფარული, თუმცა კარგად ჩანდა არემარე მალლიდან. სონი დააკვირდა, უმაღვე სახე შეეცვალა. დაიძაბა. დაინახა, როგორ მორბოდნენ ცოფიანი მეომრები. სხვა ვინ იქნებოდა, თანაც ამდენი. უცებ იყვირა: „ცოფიანებმა მოგვაგნეს“. ყველანი, პრინცესასთან ერთად, სონისთან და ლაკისთან შეგროვდნენ. ხედავდნენ ცოფიანი მეომრების მოძრაობას. „ასე როგორ მოგვაგნეს“ უკვირდა დენს. — „ნახევარი დღე გვაქვს უპირატესობა, უნდა გამოვიყენოთ“. განაგრძო დენმა. „ნახეთ, როგორ მორბიან, მე მხეცები მეგონნენ, ჩვენ ასე სწრაფად ვერ ვირბენთ, ჩვენთან პრინცესაა“ — გააგრძელა ლაკიმ. „მაღე გავშორდეთ აქაურობას, ბააგრა ზურგზე შევისვათ.

მალე, ბიჭებო! მალე“. — ჩქარობდა მენი. რაინდებმა ქამარ-ხანჯალი აისხეს, ერთმანეთი გაამხნევეს. ერთ-ერთმა მათგანმა პრინცესა ზურგზე შეისვა და ტყიანი მთიდან დაეშვნენ. არც ერთი დაბნეულა, თუმცა მოულოდნელობისაგან მეტ-ნაკლებად გაოგნდნენ.

ნოზამ და ცოფიანმა მეომრებმა სიჩქარეს მოუმატეს. იგი ყვიროდა: „მალა აიხედეთ, კვამლია, ისინი იქნებიან — მივაგენით. არავინ გაჩერდეთ, დავხოცოთ ღორები, იჩქარეთ, იჩქარეთ“. გზად ყველაფერს ანადგურებდნენ, თითქოს ჩეხდნენ იქაურობას; სამასი ცოფიანი მეომარი გაცოფებული გარბოდა რაინდებისა და პრინცესასაკენ.

რაინდები მთიდან დაეშვნენ, წინ სამი მირბოდა. ძალზე დაღმართი იყო, მეტად სახიფათო. მენი, ბააგრასთან ერთად, რომ არ ნაქცეულიყო ხეებს ებჯინებოდა. მის უკან სონი მორბოდა. არწივი ბააგრას ზემოთ მოფრინავდა. პრინცესა მენის ზურგზე მოკალათებულიყო, ხელები მხრებზე ჰქონდა მოხვეული, მაგრამ შიში არ ჰქონდა. იგი ამაყი იყო რაინდებთან ყოფნით. შინაგანად ბობოქრობდა, კბილებს აკრაჭუნებდა. ცოფიანებთან ბრძოლა სწყუროდა. მთა ჩაათავეს, მაგრამ წინ უფრო სახიფათო გზა ელოდათ, კლდეებით დაფარული. მენიმ ყველას გადახედა: „გაჩერება არ შეიძლება, ამ მთის იქით სულ კლდეებია, იქამდე უნდა მივალნიოთ, დავინყოთ ასვლა რაინდებო!“ რაინდმა ახლა ბააგრას შეხედა და გაუღიმა: „პრინცესა! ხომ არ გეშინია?!“ ბააგრა ახლა ლაკის ზურგზე მოკალათებულიყო: „თქვენთან ერთად არაფრის მეშინია, მენი!“ წინ ახლა ლაკი დადგა, დანარჩენები ირგვლივ შემოეხვივნენ — ასე გაუდგნენ გზას, ლაკიც ხეებს იშველიებდა ხიფათის თავიდან ასაცილებლად. პრინცესა ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა საოცრად უფროთხილდებოდა პრინცესას. ნახევარი მანძილი გაიარეს. არწივი მათ თავს დასტრიალებდა.

ნოზა და ცოფიანი მეომრები უკვე იმ ადგილას იყვნენ, სადაც რაინდებს კოცონი ჰქონდათ დანთებული. დაილალნენ. ყველა გაჩერდა, უყურებდნენ, როგორ ადიოდნენ რაინდები ბააგრასთან ერთად მთაზე; როგორ დასტორიალებდა არწივი მათ. ნოზა ამ ყველაფერს გახარებული უცქერდა. „ცოტა ხნით ამოვისუნთქოთ, ველარსად წავივლენ. ყველამ დაისვენეთ, მერე ბოლომდე უნდა მივყვეთ. კოცონი, რომ არ დაენტოთ, ვერ მივაგნებდით, არ გველოდნენ, ჩიტუნიები“. ჩაიცინა ნოზამ. ცოფიანები მაშინვე წამოწვნენ, იარაღი არც აუყრიათ. ნოზა თვალს არ აშორებდა რაინდებს. ბააგრას აკვირდებოდა და თავისთვის ლაპარაკობდა: „მორჩა თქვენი რაინდობა, შენ კი, ბააგრა, ჩემი საკუთრება ხარ... არწივო! შეგჭამ!“ — ბუტბუტებდა იგი. მანძილი შორი იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად ჩანდა.

რაინდები თითქმის უკვე მალლობზე იყვნენ. ბააგრას ცალი მხრიდან თოკი შეეხსნა, რომლითაც გვირგვინი ჰქონდა დამაგრებული. პრინცესა თავად ეცადა დაემაგრებინა. გაჭიმვის დროს თოკი მეორე მხარეს მოეშვა, ნაჭერში გახვეული გვირგვინი ჩამოვარდა, პრინცესამ იყვირა: „გვირგვინი დავარდა ძირს, გვირგვინი“. განძმა რაინდებს ისე ჩაუარა, ფეხის განძრევაც კი ვერ მოასწრეს. ყველანი გაირინდნენ. უყურებდნენ, როგორ მიგორავდა ნაჭერში გახვეული გვირგვინი. როგორ ეჯახებოდა ხეებს და ისევ აგრძელებდა გზას. დაბლობზე ჩაგორდა, ნაჭერი გაიხსნა. გვირგვინმა გზა განაგრძო, დიდ ქვას დაეჯახა და მდინარესთან ახლოს დაეცა. დაბლა ჩარბენას აზრი არ ჰქონდა, რადგან უკან ამოსვლას ველარ მოასწრებდნენ. ბააგრა ძალზე შეწუხდა.

ამ ყოველივეს ნოზა შორიდან აკვირდებოდა, ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. ამ დროს თეთრი არწივი მდინარისკენ მიჰქროდა. რაინდები და პრინცესა მოულოდნელობი-

სა და უყურადღებობისაგან გაოგნებული, არწივს მისჩერებოდნენ. ფრინველი ქვებზე დაეშვა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. გვირგვინს დახედა, შემდეგ პრინცესასკენ გაიხედა, თითქოს აგრძნობინა რაღაც. შემოტრიალდა, გვირგვინს ბრჭყალები ჩაავლო, ფრთები გაშალა და მდინარეს აუყვავა, ძლიერ დაიყვილა. ნოზა მშვილდს ეცა მოზიდა, არწივს დაუმიზნა, ისარი გაეარდა, მიუახლოვდა არწივს, შენელდა და ქვებზე დაეცა. არწივამდე ვერ მისწვდა. ფრინველი პრინცესასაკენ არ მიფრინავდა, ცოტა ხანში ცაში აიჭრა და მთებს შორის გაუჩინარდა, ამან რაინდები და ბააგრა გააოცა. დენიმ შესძახა: „გზას გავუდგეთ, არწივი ჭკვიანია, იცის რასაც აკეთებს, ვიჩქაროთ“. თითქოს პრინცესა დანყნარდა, მაგრამ გულში სულ სხვა აზრი უტრიალებდა. გზა განაგრძეს, მალე მთის წვერზე აღმოჩნდნენ, გაჩერდნენ, პრინცესა მიწაზე ჩამოსვეს, ყველამ ცოფიანი მეომრებისაკენ გაიხედა. ორივე მხარე თითქმის ერთ სიმაღლეზე იყო, თუმცა მათ შორის მანძილი იმდენად დიდი იყო, რომ კარგად დამიზნებული ისარი ვერ მისწვდებოდა. სონიმ დაიწყო: „მანც წინ ვართ, გზის აბნევა შეგვიძლია, ეს სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს“. რაინდები ოფლს იმშრალეზდნენ სახეებიდან, თან ცოფიანებს აკვირდებოდნენ. საპირისპირო მხარეს ნოზა ამაყად იდგა და ზვერავდა რაინდებს სათითაოდ. ახლა პრინცესაზე შეჩერდა. იგი რაინდთა შორის იდგა. გოგონამ ნოზას მზერა იგრძნო. ხელი წინ გასწია, მუშტი შეკრა, ცერა თითი თითებს შორის გაუყარა. ნოზამ პრინცესას ხელი დაინახა და იგრძნო რა უჩვენა გოგონამ. გამწარდა, ხელი პირში ჩაიდო და იკბინა მწარედ. ბააგრას სიცილი აუტყდა. ამის დანახვაზე რაინდებს გაელიმათ. ლაკიმ ჰკითხა: „ეგ ვინ გასწავლა?! პრინცესამ ისევ გაიცინა, თავი დახარა, შეტრიალდა და მიუგო: „ამას რა სწავლა სჭირდება“. რაინდებს გაეცინათ და ჩაილაპარაკეს: „ეს გვანახა, დედოფალი რომ გახდება, რა იქნება?!“

ყველას ესიამოვნა პრინცივსას უესტი, მასში უშიშარი გოგონა დაინახეს. ბააგრას კი მაინც მოერიდა მათი. კარგად იცოდა, რომ პრინცივსებს ასეთი საქციელი არ უხდებათ. თავისთვის გაიფიქრა: „სხვა რა უნდა მექნა, ახლოს ყოფილიყო, თავს გავუპობდი ხანჯლით“. წელში გაიმართა და რაინდებს ამაყად გადახედა. ბიჭივით გამონყობილ პრინცივსას ტანსაცმელი უკვე ძალზე ჭუჭყიანი ჰქონდა. ცალი სახელო აღარ ჰქონდა, თუმცა მისი სილამაზე ამ მდგომარეობას ჰფარავდა. თმებს თავის აქნევით ისწორებდა, თითქოს ქუჩის ბიჭი უნდა ყოფილიყო. უეცრად ყვირილის ხმა მოესმათ, ეს ნოზა იყო. სიმწრისაგან ყვიროდა: „ყველანი ადექით, უნდა დავიძრათ“. ყველა ცოფიანი წამოხტა, მთიდან დაშვება დაიწყეს.

რაინდებმაც არ დააყოვნეს და გზა განაგრძეს. ცოფიანებთან შებმას აღვილად ვერ მოახერხებდნენ, ბევრნი იყვნენ. ბააგრა ზურგზე შეისვეს და გზა სირბილით განაგრძეს. ამ დროს არწივი ცაში მიჰქროდა. დაღამებამდე არ გაჩერებულა, ცა მოწმენდილი და მთვარიანი იყო. არწივი მკვდარ ზღვას უახლოვდებოდა. ღამით არწივს ხედვა უჭირდა, მხოლოდ მთვარე უნათებდა ცასა და მიწას. მკვდარ ზღვას გადაუფრინა. ზღვაში გემი მიცურავდა აუჩქარებლად, დიდი აფრებით, გემბანზე რამდენიმე ადამიანი მოძრაობდა, ზოგი მათგანი ზღვას გაჰყურებდა. გემი მეკობრეებს ეკუთვნოდა. ატამანს დეგე ერქვა, ორასამდე მეკობრეს მეთაურობდა. მან დაინახა ცაში ფრინველი, გრძელი ჭოგრიტი ამოიღო, დააკვირდა, არწივი შეიცნო, ბრჭყალებში რალაც ნივთიც შენიშნა, მთვარის შუქზე ნივთი ბრჭყვიანლებდა. დეგეს გაუკვირდა, ღამით არწივი ცაში? ნივთს დააკვირდა ყურადღებით, თუმცა ვერ გაარჩია. იმაში კი დარწმუნდა, რომ ნანადირევი არ იყო. დეგე ჩაფიქრდა. ამასობაში არწივი კარგა მანძილით გასცდა მეკობრეების გემს. ატამანს გაგონილი ჰქონდა პატარა პრინცივსას და

თეთრი არწივის ამბავი. ისიც იცოდა, რომ ცოფიანმა მემრებმა ცოტა ხნის წინ იმ მხარეს ჩაიარეს — ბააგრების სახელმწიფოში. გაიფიქრა: „თავს ხომ არ დაესხნენ ცოფიანები ბააგრებს. ეს არწივიც ის თეთრი არწივი ხომ არ არის?!“ დეგე ფიქრებმა შეაწუხა. გემი ძალზე დიდი იყო, ოთხი ვეებერთელა აფრით, გემის კიჩოზე უზარმაზარი მშვილდი იყო დამაგრებული, გვერდით ეწყო დიდი რაოდენობის სქელი და გრძელი ისრები. შუა ნაწილში დიდი ქვები ელაგა — სასროლად. ქვემოთ ორივე მხარეს ნიჩბოსნებისათვის განკუთვნილი ადგილები იყო, დაახლოებით სამოცი. მეკობრეები შეიარაღებულნი იყვნენ პატარა ნაჯახებით, დანებით, ხანჯლებით, მშვილდებით. გემი ხის იყო, ძალზე მკაცრი შეხედულების, შავი დროშით, მასზე თეთრად კუბო დაეხატათ. ამ დროშის გამო, დეგეს ხალხი „დეგენერატს“ ეძახდა. ყველა მეკობრე კარგად ჩაცმული იყო. დღედაღამ ყაჩაღობდნენ ხმელეთზე თუ ზღვაში. მხოლოდ წმინდა მინას ერიდებოდნენ. დეგე იყო მაღალი, არც ისე ჩაფსკვნილი, გრძელი შავი თმებით, წვერი რიჟა-ნითური ჰქონდა. სახე დამშეულ მგელს მიუგავდა. ატამანმა გემბანზე მყოფ მეკობრეებს შესძახა, ისინი მეთაურს მიუახლოვდნენ. ყველა თეთრ არწივს უთვალთვალებდა, როგორ მიაპობდა ცას მთვარის შუქზე. ატამანმა ხელი არწივისკენ გაიშვირა: „ხედავთ ამას?!“ ერთ-ერთმა უპასუხა: „მიფრინავს, რა არის ამაში გასაკვირი — იფრინოს, ჩვენ რა?!“ პასუხმა დეგე გააბრაზა, მოტრიალდა და მოპასუხეს თავში მუშტი თხლიშა. ხელი არწივისკენ გაიშვირა და ისე იღრიალა: „როდის გინახავს შუალამისას არწივი ცაში, თან ბრჭყალებით, რომ რალაც მიჰქონდა?! იმ მხარეს მხოლოდ წმინდა მინაა, ვგრძნობ, ცოფიანები ბააგრებს თავს დაესხნენ. ეს არწივი კი პატარა პრინცესასია, ნამდვილად ასე უნდა იყოს! და, თუ ასეა, ახლა ამ არწივის დანახვისას უამრავი ხალხი მოაწყდება ნაპირს,

წმინდა მინაზე გადასვლას მოინდომებენ“. ატამანმა ახლა მესაჭეს შესძახა: „შემოატრიალე გემი ახლავე, მთავარ პორტში მივდივართ“. მერე ისევ მეკობრეებს მიუბრუნდა: „რომელი გემიც გამოვა, ყველას უნდა დავესხათ, მსუყე ლუკმა გველოდება, ზუსტად ვიცი, გავძლებით, შტერებივით რას დგახართ, ყველა აფრა გაშალეთ“. მეკობრეები მაშინვე გაიშალნენ და ყვირილით აფრების გაშლა დაიწყეს. დეგე ზღვისკენ შეტრიალდა, არწივს გახედა, აღარ ჩანდა, გაეცინა და თავისთვის ჩაილაპარაკა. „შეტყობინებისათვის გმადლობ, არწივო!“.

მკვდარ ზღვაში, ერთ-ერთი კლდის ქვეშ, გვირაბი იყო, ასე 25-30 მეტრის. კლდის ქვეშ უნდა ჩაგეყვინთა, მერე გვირაბი გაგეცურა და მკვდრების ქვეყანაში ამოდიოდი. იქ არაფერი ხარობდა, არც დღე იყო და არც ღამე. თითქოს მოღრუბლულია და ახლა ინვიმებსო, არც მოწმენდილი ცა, არც მზე, არც მთვარე, არც ვარსკვლავები. ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. აქ ხალხი ცხოვრობდა, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათში მხოლოდ ბოროტება ჩაბუდებულიყო. აქაურებს მკვდრებს ეძახდნენ, ტყვედ რომ ჩაიგდებდნენ მეკობრეები ყიდდნენ მათზე სხვა ადამიანებს და მკვდრებისგან ძვირფას ქვებს იღებდნენ. მკვდრები ამ ადამიანებს მონებად ნათლავდნენ და ამუშავებდნენ ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის მოპოვებაზე. მოსამსახურეები ისედაც ჰყავდათ. დეგე მათ საკვებითაც ამარაგებდა. დედამინაზე ამოსვლაშიც დეგე ეხმარებოდა. ბევრი ტყვე მკვდარ ზღვაში ზენოლას ვერ უძლებდა და მკვდრებისნაირი ხდებოდა. მეკობრეები ამბობდნენ: „ეს მკვდრები ტყუილად არ ამოდიან ზღვიდან, მათ დედამინის დაპყრობა უნდათ და ამისთვის ემზადებიანო!“, თან დეგეს თხოვენ, რაც შეიძლება ბევრი ტყვე მოიყვანონ. დეგე პორტში არ შედიოდა, გემს ძალიან შორს აჩერებდა და ღამით ნავებით გადადიოდნენ მინაზე.

ასე იფრინა არწივმა გათენებამდე. აი, წმინდა მიწაც გამოჩნდა. აქ მეფობდა მეფე ბოლდვინი, იგი ძალიან კეთილი, ბრძენი, ძლიერი, მაღალი, ლამაზი მოსული აღნაგობისა გახლდათ. სხვადასხვა სახელმწიფოებიდან მოდიოდნენ მასთან თავშესაფრის სათხოვნელად. მეფე ყოველგვარ დახმარებას უწევდა მოსულთ. ამის გამო წმინდა მიწაზე ათასი რჯულის ხალხი ცხოვრობდა. შენობები ულამაზესი იყო. რა მცენარე და ყვავილი არ ხარობდა წმინდა მიწაზე. რა ცხოველი და ფრინველი არ ბინადრობდა. აქ ყველაფერი აოცებდა მნახველს. აქაურთ თავიანთი მეფე ძალიან უყვარდათ. ბოლდვინს სასახლე მთის წვერზე აეშენებინა ქვისაგან, არც ისე დიდი იყო სასახლე. მეფე ხშირად ადიოდა, თავის რაინდებთან ერთად, სასახლეში. მთა ძალიან უყვარდა. ხალხმა ამ სასახლეს მეტსახელად „არწივის ბუდე“ დაარქვა, — ერთსართულიანი, საკმაოდ მაღალი და ვრცელი, უკომპო გალავნის გარეშე იყო. მისი დანახვისას მართლაც არწივის ბუდე წარმოგიდგებოდა თვალწინ. სასახლეს დიდი, გრძელი აივანი ჰქონდა წინიდან. აივინიდან გადმოხედვისას წინ დიდი უფსკურული ჩანდა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. გარშემო მთებით შორს ქალაქი მოჩანდა. მეფეს ძალიან უყვარდა აივანზე განმარტობა და მთებით ტკბობა, სწორედ ამიტომ ტრაპეზის მაგიდა აივანზე დაადგმევინა. აქ მიირთმევდა ტრაპეზს რაინდებთან ერთად. ახლაც ასე იყო, სავარძელში იჯდა ჩაფიქრებული და მიდამოს გაჰყურებდა, შორს ცაში ფრინველი შენიშნა. ფრინველი მათკენ მოფრინავდა. ბოლდვინი ფეხზე წამოდგა, აივნის სახელურს დაეყრდნო, დაჟინებით მიაცქერდა ფრინველს, დაიძაბა, გული კარგს არაფერს უგრძნობდა. თეთრი არწივი იყო, ბრჭყალებით, რაღაც მბრწყინავი ეჭირა. რაც უფრო უახლოვდებოდა მეფეს, დაძაბულობა მატულობდა. „ოღონდ ბააგრები არა!“ როგორც იქნა არწივი სასახლეს მიუახლოვდა. გვირგვინი აივანზე დადო, თვი-

თონ გვერდზე გაინია. არწივი პატარა იყო, მაგრამ ძლიერი, მისი დაშვებისას მეფე სიფრთხილით გვერდზე გაინია, მერე აუჩქარებლად მიუახლოვდა გვირგვინს. იცნო თავის ნაჩუქარი, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ხელში აიღო, მიმხმარი ტალახი მოაშორა, გაახსენდა არწივზე ნაამბობი, რომელიც პატარა პრინცესამ მოათვინიერა. მეფემ უბედურება იგრძნო. არწივი მზერას არ აშორებდა. ბოლდვინი ახლა ფრინველს დააკვირდა. არწივს თვალიც კი არ დაუხამხამებია. ორივე თითქოს რაღაცას ეძებდა ერთმანეთის თვალებში. მეფემ ნამოიძახა: „ბააგრებს თავს დაესხნენ“. დასრულება ვერ მოასწრო, არწივმა ფრთები გაშალა და დაიყვილა. „ბააგრები ცოცხლები არიან?!“ იკითხა მეფემ. არწივი ჩუმად იყო, მეფე დაიძაბა, ისევ არწივს დააკვირდა, გვირგვინი ასწია, არწივს დაანახა და ისევ კითხვა გაუმეორა: „ამის მფლობელი, პატარა პრინცესა ცოცხალია, პატარა ბააგრა?!“ მეორე ხელით ბოლდვინი თითქოს ზომას უჩვენებდა ფრინველს. არწივმა შეხედა, კვლავ ფრთები გაშალა და დაიყვილა. მეფე დამშვიდდა თითქოს. ისევ იკითხა: „ასე გამოდის, პატარა პრინცესა ცოცხალია?!“ არწივმა ისევ ფრთები გაშალა და დაიყვილა. მეფე უკვე დამშვიდდა. ახლა არწივის მიუბრუნდა: „კარგი, დამშვიდდი, ვიცი, დაღლილი ხარ, დიდი გზა გაქვს გავლილი, ახლა ვუბრძანებ, ხორცი მოგიტანონ“. ამ სიტყვებით, მეფემ ხელი არწივისაკენ გაიშვირა მოსაფერებლად. ფრინველი უცნაური ხმაურით გაერიდა. მეფეს გაელიმა: „ბააგრას ერთგული ხარ?!“ არწივმა ფრთები გაშალა, ჰაერში აინია და გაუჩერებლივ ყოიდა. მეფე არწივის ასეთმა ერთგულებამ გააოგნა, მსახურს უხმო. „რას მიბრძანებთ მეფეო?!“ „ჩემთვის რომ ამზადებთ თევზეულს და ხორციეულს, პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭერით და ჩემივე თეფშებით მიართვით ერთგულს“. მსახურს გაუკვირდა არწივისკენ გაშვერილი მეფის ხელის დანახვა. „ახლავე მოვართმევ, მეფეო!“ „ჩემს რაინდებსაც

უხმეთ!“ „ყველაფერი გასაგებია, მეფეო“. მსახური ბრძანებების შესასრულებლად გაემართა.

მეფე ბოლდვინი და ბააგრები სისხლით ნათესავეები იყვნენ, არც ისე ახლო, მაგრამ მაინც ერთი ძირისანი. რაინდები მეფეს ეახლნენ, ისინი თორმეტნი იყვნენ, როგორც ბააგრების სასახლეში, მაგრამ სასახლეში იმხანად ოთხნი იყვნენ, მეფემ არწივზე და ბააგრებზე უამბო რაინდებს. ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. მეფეს გვირგვინი ხელში ეჭირა, თითქოს თითებით ეფერებოდა. არწივი წყნარად იდგა და რაინდებს ათვალთქმობდა. მეფემ დაიწყო: „მინდა რომელიმე თქვენგანმა გაიგოს, რა მოხდა, ან ახლა რა ხდება ბააგრების სახელმწიფოში“. ყველა რაინდი ფეხზე წამოდგა და მეფეს თანხმობა განუცხადა. „დასხედით! — მხოლოდ ერთი მინდა თქვენგან — მხოლოდ ერთი“. ეხლა ერთ-ერთი წამოხტა. სხვებს ხელით ანიშნა შეჩერებულიყვნენ, მას „შონი“ ერქვა: „მე ვიცი იქით გზა, იქ თქვენთან ერთად ვარ ნამყოფი“ „ეს რამდენი წლის წინ იყო, გზა კარგად გახსოვს?!“ — ჰკითხა მეფემ. „კი, მეფეო, მახსოვრობა ჯერ არ მალატობს“. „კარგი, შონ! შენ და შავი ალმასი ნახვალთ, მართალია, ის ჩვენი რჯულის არ არის, მაგრამ ძლიერია, მოხერხებული. თან აუტანელი ტანჯვა აქვს გადატანილი, მაინც მყარად დგას ფეხზე. მასთან ერთად შენზე არავინ იეჭვიანებს, რომ რაინდი ხარ, გლეხის სამოსელში გამოეწყობით ორივე, ისე გაუდგებით გზას. ნასვლის წინ აქ მომგვარეთ. მინდა დაველაპარაკო!“ როგორც გვიბრძანებთ, მეფეო, კიდევ რაიმეს ხომ არ დაგვავალებთ?!“ იკითხა შონმა. „შავი ალმასი რომ მოვა, ორივეს ერთად დაგელაპარაკებით. ახლა კი წადით. გმადლობთ, რომ ჩემთვის შენუხდით“. რაინდები ფეხზე წამოდგნენ, გულზე ხელები დაიდეს, თავი დახარეს საყვარელი მეფის წინაშე, შეტრიალდნენ და უსიტყვოდ დატოვეს აივანი.

„შავი ალმასი“ შავკანიანი იყო, რამდენიმე წლის წინ გა-

მოიქცა თავის ქვეყნიდან, ნათესავებთან ერთად. მის ქვეყანაში სულ ომები იყო. ქვეყანა გმინავდა, ამიტომ შავმა ალმასმა თავშესაფარი წმინდა მიწის მეფეს სთხოვა: კეთილშობილმა ბოლდვინმა შეიფარა და მიწებიც კი უბოძა, სახელიც მან შეურჩია შავკანიანს, რომელიც ჭკუა-გონებით ყველასაგან გამოირჩეოდა, ასევე გარეგნობაც ხელს უწყობდა და სიმამაცეც.

არწივს მოართვეს ხორციული და თევზეული, თან წყალიც მოაყოლეს; როგორც დედოფალს, ისე გაუმასპინძლდნენ. ფრინველი მიირთმევდა ძღვენს, თან მეფეს უყურებდა. ბოლდვინი სავარძელში იჯდა, უყურებდა ფრინველს და ფიქრობდა, ვის შეეძლო თავს დასხმოდა ბააგრების სახელმწიფოს, ბევრზე ჰქონდა ეჭვი, მხოლოდ ის ამშვიდებდა, რომ პატარა პრინცესა ცოცხალი იყო, ისიც იცოდა, რომ ბააგრა რაინდებთან ერთად იქნებოდა... არწივი ძალიან დაღლილი იყო, ჩუმად იჯდა და ისვენებდა.

კარგა ხანი გავიდა, გამოჩნდნენ რაინდი შონი და „შავი ალმასი“. მეფეს მიუახლოვდნენ. „შავი ალმასის“ კუნთებს ტანსაცმელიც კი ვერ მალავდა. „აგერ, ალმასი მოვიყვანე, გზად ყველაფერი ვუამბე“. მოახსენა შონიმ მეფეს. ხელმწიფემ მოსულს ახედა და მიუგო: „ალმას, შონს ხომ გაჰყვები?!“ შავკანიანმა გაკვირვებით მიუგო: „მეფეო, როგორც მიბრძანებთ, ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით, თქვენ რომ არა, მე და ჩემი ხალხი ახლა ცოცხლები არ ვიქნებოდით“. მეფემ ხელი ასწია ნიშნად იმის, რომ ალმასი გაჩუმებულიყო. იგი გაჩუმდა: „შენი სიცოცხლე მხოლოდ შენ გეკუთვნის, ასეთი რამ აღარ მითხრა. თუ გაჰყვები, კარგი იქნება. თუ აქ საქმეები გაქვს, ოჯახთან დარჩი. სხვას მოვნახავთ, ამაში ცუდი არაფერია“. შავკანიანი შენუხდა, იგრძნო, რომ ზედმეტი მოუვიდა „ნაყვები, მეფეო! ისედაც მოწყენილი ვარ ერთი და იმავე საქმით. ოჯახში სხვა კაცებიც არიან“. „ჩამოჯექით, ვილაპარაკოთ“, დაუყვავა

მეფემ. უცებ არწივმა დაიყვილა, ფრთები გაშალა, რამდენიმეჯერ... მეფე ფრინველს დააკვირდა, „დაისვენე არწივო, გზას გინდა გაუდგე?!“ ფრინველმა ისევ დაიყვილა. მეფე წამოდგა, მოაჯირს მიუახლოვდა, არწივის შორიახლოს დადგა „კარგი! არწივო! გმადლობ გვირგვინისთვის, წადი პატარა პრინცესას დაუბრუნდი“. არწივმა ფრთები გაშალა, ჰაერში აიჭრა, დაიყვილა და გაფრინდა. მეფე ფრინველს თვალს არ აშორებდა, სანამ თვალს არ მიეფარა. „ერთგული არწივი“ — ჩაიჩურჩულა მეფემ, შემოტრიალდა, შონს და „შავ ალმასს“ დააკვირდა. „თეთრი და შავი არწივები, ყველანი ერთგულები არიან, მეფეო. — წარმოთქვა შავკანიანმა. „ყველა არ არის ერთგული“ — უპასუხა მეფემ. „სხვებიც ერთგულები არიან, მაგრამ თეთრი და შავი გამოირჩევიან იმით, რომ ადამიანებს იცავენ თუ ჩათვალეს საჭიროდ, არწივის სიყვარული ეს ხომ ლეგენდაა... ცხადია, იცით! როგორ ესიყვარულებიან ერთმანეთს არწივები, მეფეო“. მეფე დაინტერესდა, ყურადღებით უსმენდა ალმასს „მიამბე ალმას, მაინტერესებს“ სავარძელში კარგად მოკალათდა, თან ფიქრობდა „სანამ არ დაღამდება ზღვაში მაინც ვერ შევლენო“. მოსმენა გააგრძელა „მოკლედ, თავიდან ერთად დაფრინავენ, მერე ჩამოჯდებიან სადმე გვერდიგვერდ და კურკურებენ. ყველაზე საინტერესო მათში სიყვარულის დაბადებაა“. შონიც დიდი ინტერესით უსმენდა შავკანიანს. იგი თხრობას ხელებით განაგრძობდა „არწივები ცაში აფრინდებიან, ერთურთს ბრჭყალებით ჩაეჭიდებიან, ნისკარტებით ერთმანეთს ეხებიან, ციდან ნელ-ნელა, ფრთებგაშლილი მინაზე ეცემიან, მერე გაშორდებიან. მინაზე რომ არ დაენარცხონ, ისევ ცაში აიჭრებიან, ისევ ბრჭყალებით ერთდებიან, თუ თანაცხოვრების მანძილზე რომელიმე ნაადრევად მოკვდა, მენყვილე მთელი სიცოცხლე მარტო რჩება, არცერთ სხვა არწივს აღარ გაიკარებს, ძალიან ერთგულები არიან, ერ-

თმანეთისათვის ბრძოლაში მოკვდებიან, განურჩევლად, ქალია თუ ვაჟი“. მეფე ჩაფიქრებული უსმენდა, შავკანიანმა თხრობა დაამთავრა. „ასე გამოდის, სიყვარულისთვის ცხოვრობენ, ღირსებით სავსენი არიან. იმედი მაქვს, თეთრი არწივი პრინცესას დაიცავს“. მეფე გაჩუმდა, მთისკენ გაიხედა, სავარძლიდან წამოდგა, მაგიდას მიუჯდა შონთან და „შავ ალმასთან“ ერთად „ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ, არ ვიცით რა ხდება, კარგი რომ არაფერია — ნათელია, გარდა იმისა, რომ პრინცესა ცოცხალია. ეს ნამდვილად ესეა. კარგად მომისმინეთ, თუ რამე ვერ გაიგეთ, მკითხეთ, მთხოვეთ ყველაფერი, რაც გინდათ არაფრის მოგერიდოთ, ოქროს საკმაოდ გაგატანთ, მთავარია, არ იჩქაროთ, რომ თქვენზე ეჭვი არავინ აიღოს“. მეფე დიდხანს ესაუბრა მოსულთ, დაღამებისას გლეხურად შემოსილნი გემზე იდგნენ, არწივი მკვდარ ზღვაზე მიფრინავდა, გემზე ოთხივე აფრა გაეშალათ მეკობრეებს, პორტისკენ მიიჩქაროდნენ. არავის შიში არ ჰქონდათ მკვდარი ზღვის „მეფეებს“, მათ ყველა გემი თავს არიდებდა. ერთადერთი მეფე ბოლდვინი იყო, მხოლოდ იგი არ ერიდებოდა მეკობრეებს. თუ მკვდარი ზღვის გადალახვა უნევდა, საჭესთან თვითონ იდგა. „მკვდარ ზღვას“ ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ზღვაში ერთი სულიერი არსებაც კი არ ბინადრობდა. ხალხის აზრით, ზღვა დაწყევლილი იყო, ბანაობაც კი სახიფათო იყო. ვინც კი შედიოდა საბანაოდ, თითქოს ბოროტი ხდებოდა. ყველა ამბობდა, რომ ამ ზღვაში წყალი სანამლავი იყო. მკვდარი ზღვის ქვეშ, კლდეების გავლით, ადამიანი მკვდრები რომ ცხოვრობდნენ, ბოროტები იყვნენ, თუმცა მათ შორის იყვნენ სილამაზით გამორჩეული ქალებიც და კაცებიც. დედამიწაზეც სწორედ მათ გზავნიდნენ ჩვეულებრივ ადამიანთა შესაცდენად. მათ ხაფანგში მოხვედრა მეტად სახიფათო იყო. ამის რამდენიმე ხერხი იცოდნენ: საუბრები სიკეთეზე, ადამიანობაზე, სიყვარულზე. ოქრო-

ვერცხლის გამოყენებით ურევდნენ ტვინს უბრალო მოკვდავთ რომ ნახავდნენ თავისას მიაღწიეს, ახლა სხვების შეცდენას განაგრძობდნენ. მკვდართა ქალები მამაკაცებს ესხმოდნენ თავს, თუმცა ქალებსაც ურევდნენ თავგზას, ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც, შემდეგ მათ ყაიდაზე მოქცეული ადამიანები თავიანთ ქვეყანაში მოჰყავდათ, ხალხი ამბობდა, რომ იყო შემთხვევები, ჩვეულებრივი მოკვდავნი ხვდებოდნენ რა დაემართათ და უკან ბრუნდებოდნენ, თუმცა ასეთები ერთეულები იყვნენ. „მკვდრებს“ მხოლოდ ერთი რამ უნდოდათ: ბოროტებით გამძღარიყვნენ. სიკეთისა და სიყვარულის სახელით, ადამიანების გულებს კლავდნენ; თუ არ გაუმართლებდათ, ის დღე მათთვის უბედური იყო — თითქოს იფიტებოდნენ, დნებოდნენ და ქრებოდნენ. „მკვდრები“ საშიშნი იყვნენ, რადგან მათი გარჩევა ჩვეულებრივი ადამიანებისაგან თითქოს შეუძლებელი იყო. ისინიც ჩვეულებრივ იმოსებოდნენ, როგორც ყველა ადამიანი. მათ არავის შიში არ ჰქონდათ, წმინდა მინის გარდა. შედიოდნენ იქ, მაგრამ ძალზე ფრთხილობდნენ. ადამიანები, რომლებიც მკვდარ ზღვას გადაურჩებოდნენ და ნაპირს მიაღწევდნენ, შემდგომ ძალიან ცუდად ხდებოდნენ, დიდი ძალისმხევა და გონება სჭირდებოდათ ადამიანებისაგან, რომ დაევიწყებინათ და განკურნებულიყვნენ მკვდარი ზღვის სანამლავისაგან. ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი, ვინც გამოცურა ნაპირამდე, შემდგომ თავისით შესულა მკვდარ ზღვაში და შეერთებია მკვდრებს, ასეთები მარადიულ მკვდრებად რჩებოდნენ.

რაინდები და ბააგრა შეუჩერებლივ გარბოდნენ. პრინცესა ხან ერთი რაინდის ზურგზე იყო მოკალათებული, ხან მეორესი. პრინცესა ძალიან ნუხდა არწივისა და გვირგვინის გამო. იგი პატარა იყო — რვა წლისა, გვირგვინი ისე არ ადარდებდა, როგორც არწივის ბედი. რაინდები კლდეებზე მირბოდნენ, ბააგრას თმები გაშლილი ჰქონდა, ქარი სახე-

ში სცემდა, თვალეხს ვერ ახელდა, ცდილობდა ოდნავ მაინც გაეხილა, რომ გზისთვის ეცქირა. შიში არაფრის ჰქონდა, რაინდები თავიანთ სიცოცხლეს არად დაგიდევდნენ, სიკვდილისა არ ადარდებდათ. ყველანი ბააგრაზე ფიქრობდნენ. ამინდი ირეოდა, მოიღრუბლა, წვიმას აპირებდა. გამოჩნდა ფერდობი, არც ისე დიდი და გრძელი. იმის იქით ძალზე ღრმა უფსკრული იყო, რაინდები გაჩერდნენ, ბააგრა ჩამოსვეს, დაილაღნენ, ძლივს სუნთქავდნენ, ლაპარაკიც კი არ შეეძლოთ. „კლდე ძალზე მაღალია და ვინრო, კედელ-კედელ, მიყრდნობით უნდა გავიაროთ. ასე თუ ჩავალთ დაბლა, სხვა გზაც არის, იმ გზაზე იოლად დავგვეწვიან, ყველას ჩაგვხოცავენ, აქედან უნდა დავეშვათ, მთავარი ახლა ესაა“. — წარმოთქვა მენმა. გადახედა რაინდებს. ბააგრა უკან იყურებოდა, ხმაურს ადევნებდა თვალყურს. „ახლოს ხომ არ არიანო, ცოფიანები“. მენიმ სონის შეხედა — „თქვი, მენი.“ — მიუგო სონიმ, რადგან იგრძნო, რომ თქმა უჭირდა: „სონი! შენ აქ დარჩები, გამაგრდები, ისრებს დაგიტოვებთ, ცოფიანები უნდა გააჩერო, სანამ ჩვენ დაბლა ჩავალთ. მთავარი ეს არის, კლდეზე ჩასვლისას არ ჩაგვხოცონ“. ყველა მძიმედ სუნთქავდა, დაღლილობაც ნელ-ნელა უნელდებოდათ. ბააგრა შემოტრიალდა, გაიგონა, სონი კლდის წვერზე უნდა დარჩენილიყო, შენუხებულმა მენის და სონის გადახედა. ლაკიმ მენის შეხედა. ეს უკანასკნელი ძალიან წუხდა. „წავიდეთ, არ გავჩერდეთ, ცოფიანები ახლოს არიან“. დააჩქარა ლაკიმ მეგობრები. რაინდები წამოდგნენ „დაიცადეთ, ასე ყველა გადავიჩიხებით, უნდა ამოვისუნთქოთ — დაშვებისას სიფრთხილე გვმართებს, ზოგან ბილიკიც კი არ არის. მოისვენეთ, ყველა ისარი სონის დაუტოვეთ, ერთი მშვილდი ჩვენ წავიღოთ და ხუთი ისარი, მეტი არ გვინდა“ ურჩია მენიმ. სონი უკვე ადგილს ირჩევდა, სად უნდა ჩასაფრებულიყო, ქვების ცვენის ხმა მოისმა. უფსკრულში გადაიხედა, გაკვირვებულმა

პირი დაალო, ეს ფოცხვერები მორბოდნენ კლდეზე რაინდებისაკენ. „შეხედეთ, ფოცხვერები ზემოთ მორბიან“. — წამოიძახა სონიმ. ყველამ დაბლა გადაიხედა, ბააგრამაც კი ვერ მოითმინა. მხეცები გამწარებულები მორბოდნენ. სონი კვლავ გაოცებული უყურებდა მათ. თავისთვის ჩაილაპარაკა: „უფსკრულიდან როგორ არ ვარდებიან? ეს როგორ?“ სონის ძმა სიხარულით უყურებდა ფოცხვერებს და ძმას მიმართა: „ესენი კლდეზე უფრო კარგად გრძნობენ თავს, ვიდრე ტყეში, ამათ ხიფათი უყვართ“, საუბარში დენი ჩაერია, ისე, რომ მხეცებისთვის თვალი არ მოუშორებია: „დავიჯერო, პრინცესას საფრთხე იგრძნეს?! ეს ხომ იგივე ფოცხვერები არიან“. ლაკის გაეცინა: „აი, ეს ზღაპარი მომწონს“ — მენიმ ბააგრას შეხედა: „ჰო, ბააგრას დასახმარებლად მოდიან!“ თან გაეცინა, სონის გადახედა და განაგრძო: „შეიძლება სონის შესაჭმელად მოდიან, იქნებ ის დაჭრილი ფოცხვერი მოკვდა?!“ — სონი ისეთი სახით უყურებდა ფოცხვერებს, ბააგრამაც კი შეამჩნია, სიცილი აუტყდა, მიწაზე ჩამოჯდა, კლდეზე რომ არ გადავარდნილიყო სიცილისაგან. სონიმ ფოცხვერებისაკენ გაიშვირა ხელი და დაიყვირა: „ცოცხალია! აგერაა, შეხედეთ, ფეხი ისევ გადახვეული აქვს, ცოცხალია! ცოცხალი!“ სონი გაჩუმდა ცოტა ხნით, ისევ გააგრძელა: „ჰო, ჰო, ის არის, ცოცხალია“. რაინდები გაკვირვებულნი უყურებდნენ სონის, ყველა გრძნობდა, რას განიცდიდა, უკვირდათ, რომ სონი ხუთი წლის ბავშვივით იქცეოდა, მხოლოდ ბააგრა ვერ იკავებდა სიცილს.

ცოფიანები ახლოს იყვნენ, ცოტაც და სწორ ფერდობს მიუახლოვდებოდნენ. მენი ფერდობზე დადგა, ხმაურს მიაყურადა, ჩუმად ჩაილაპარაკა: „ჩუმად“. ბააგრამ პირზე ხელი აიფარა, რომ არ გაცინებოდა, სონის თვალებს არიდებდა... მენიმ გაიმეორა: „ჩუმად“... ყველა გაისუსა, მხოლოდ ფოცხვერების სირბილის ხმა ისმოდა ქვემოდან. რაინდე-

ბის წინ ცოფიანი მეომრების შიშისმომგვრელი ხმაური ის-
მოდა. მენი შემოტრიალდა, ბააგრას ეცა, ხელზე თოკი მო-
აბა, მეორეზეც, დანარჩენი თოკი წელზე შემოიხვია, ბააგ-
რა უსიტყვოდ შესცქეროდა მენის, ხელზე შებმული თოკის
ბოლო ლაკის მიანოდა. „გზას გავუდგეთ, ეს თოკი შენ გე-
ჭიროს, მეორე ბოლოს მე დავიჭერ. პრინცესას ზურგზე
ვერ შევისვამთ, გადავიჩეხებით. თუ რომელიმე ჩვენგანი
გადავარდება, ის თოკს მაშინვე ხელს გაუშვებს. ამით მხო-
ლოდ ბააგრას ვეხმარებით, ვინც იქნება ჩემ წინ და შენ
უკან, ისინი ყურადღებით უნდა იყვნენ, თოკს უნდა მიხე-
დონ, ჩემ წინ სანი წავა, შენ უკან — დენი. დანარჩენები მას
გამოყვებით. საჭირო თუ გახდა, ის ხუთი ისარი დახარ-
ჯეთ.“ ფოცხვერებმა კლდე ამოირბინეს, დაჭრილი ფოცხ-
ვერი და ის, რომელიც სონის უღრენდა, ბააგრას ფეხებთან
მივარდნენ. პრინცესა გაკვირვებული იდგა, დაიხარა, ორი-
ვეს მოეფერა, მიუალერსა და უთხრა: „გმადლობთ, ლამა-
ზებო“. ფოცხვერებმა კატასავით დაიკრუტუნეს სიამოვ-
ნებისაგან, რაინდები გაუნძრევლად იდგნენ, რადგან და-
ნარჩენი ფოცხვერები იღრინებოდნენ. „ბააგრა! უნდა ვიჩ-
ქაროთ!“ წარმოთქვა მენიმ. პრინცესამ სონს შეხედა,
მონყენილი თვალებით. „ფრთხილად, სონი“ მოეფერა, რა-
ინდმა გაულიმა ბააგრას, მიადგნენ კლდეს დასაშვებად
ნელ-ნელა, აუჩქარებლივ ჩადიოდნენ პრინცესასთან ერ-
თად. ექვსი ფოცხვერი ფერდობზე დადგა. ერთი, რომე-
ლიც სონის ერჩოდა, რაინდის გვერდით მოკალათდა. სონი
ქვას იყო ამოფარებული, დაიძაბა, ვითომ ყურადღებას არ
აქცევდა მოსულს, ფოცხვერმა შეხედა სონის, რაინდის და-
ძაბულობა იგრძნო, ცხვირი აუსვ-დაუსვა, კატასავით მოე-
ფერა. სონიმ ამოისუნთქა, დამშვიდდა, თუმცა არ შეიმჩ-
ნია. მის გვერდით ელაგა ოთხი მშვილდი და დიდი რაოდე-
ნობის ისრები. ცოფიანების ხმა თანდათან ახლოვდებოდა,
სონიმ მშვილდი გააწყო, მოზიდა და იქით მხარეს დაუმიზ-

ნა, საიდანაც ხმა მოდიოდა. ფოცხვერებმა ღრენა დაიწყეს, უცებ გაიფანტნენ და წინ გაიქცნენ, აგერ ცოფიანებიც გამოჩნდნენ. სონიმ ისროლა ისარი, მიზანს მოარტყა, ერთი ცოფიანი დაეცა, სონი ახლა მეორე მშვილდს ეცა, ისიც მიზანს მოხვდა. სონი ცოფიანებს ფეხებში ესროდა და მწყობრიდან გამოჰყავდა, თან ყვიროდა: „არ ვიცოდი, ფოცხვერო, რომ ჩემზე კარგად ფიქრობდი, შენც რაინდი ყოფილხან ჩემსავით, ჩემო ძმაო!“ ფოცხვერმა თითქოს სონის სიტყვები გაიგო, ისე დაიღრინა, სონი ადგილიდან მოსწყდა, მხეცმა შეიფერა რაინდის შეფასება, სონი არ გაჩერებულა. განუწყვეტლივ ისროდა ისრებს, ერთიც არ აუცილებია, ფარებს დახრიდნენ თუ არა, ცოფიანები ფეხების დასაცავად, სონი ახლა თვალეშ შუა ურტყამდა ისრებს, თითქოს ცოფიანები გაჩერდნენ, უმალ ყველამ ისრების სროლა დაიწყო. სონი ყვიროდა: „მოდით აქ, ღორ-ძაღლებო! მე მარტო არ ვარ, ჩემ გვერდით რაინდია, გესმით, ღორებო! ჩემი ძმა აქ არის, ჩემი ძმა! საქონლებო!“ გვერდით მყოფმა ფოცხვერებმა სონის ახედეს, ერთმა თათი ჯაჭვის პერანგში ჩაავლო და ქვას ამოაფარა, ამან სონი სულ გააგიჟა, მშვიდს სამი ისარი დაადო, წამოდგა. გაისროლა და ისევ იყვირა: „ჰო! თქვე ღორებო! აქ ჩემი ძმაა, ჩემი ძმა“. ფოცხვერმა ისევ თათით მოაფარა სონი ქვას და ძლიერ დაუღრინა. რაინდმა გაუღიმა და მიუგო: „მე შენი არ მეშინია, შენ ჩემი ძმა ხარ“. ფოცხვერი გაბრაზდა, ჩაავლო კბილები ხელში და მიწაზე დაანვინა, სონი იცინოდა, ისრები წვიმასავით მოდიოდა, ექვსი ფოცხვერი ებრძოდა ცოფიანებს, რამდენიმე დაჭრილიც იყო, მაგრამ არ ნებდებოდნენ. საზარელი ხმები ისმოდა. რაინდები, კელდზე მიყრდნობით, ნელ-ნელა, აუჩქარებლივ აგრძელებდნენ გზას... ბააგრა ფრთხილად დგამდა ნაბიჯებს. კლდეს ებლაუჭებოდა, ცდილობდა დაბლა არ ჩაეხედა, რომ რაინდებს მისი შიში არ ენახათ. თავი ღირსეულად ეჭირა. თოკები კარგად

ჰქონდა შეკრული წელზე და ხელზე, მაგრამ შიში მაინც არ ასვენებდა, უცებ ამაზრზენი ყვილის ხმა გაისმა, პრინცესა შემოტრიალდა, თეთრი არწივი დაინახა. სიხარულისაგან გული აუფანცქალდა, თვალეზე ცრემლები მოადგა, გაიღიმა; სიხარულისაგან ხმა წაერთვა, ძლივს რალაც წაილულლულა. პატარა მზერას არ ამორებდა მეგობარს. ფრინველი უახლოვდებოდა, პრინცესა უღიმოდა. მიუახლოვდა, ცალი ფრთა თავზე გადაუსვა, დაიყვილა და მალე კლდის წვეროსაკენ აიჭრა. სიხარულისაგან ბააგრას ლამის გული ამოუფარდა, წაიბორძიკა, მენიმ მოასწრო დაჭერა და მიუგო: „ფრთხილად, პატარავ“. არწივი ფერდობზე აფრინდა... სონი დაინახა, დაუყვილა და პირდაპირ ბრძოლაში ჩაება. სონიმ არწივის დანახვაზე ფოცხვერს გადახედა: „ესეც ჩვენი დედოფალია“. ცოფიანები ისრების სროლას არ წყვეტდნენ რაინდისაკენ, მაგრამ სონი კარგად იყო ჩასაფრებული. არწივი პირდაპირ თვალეში ეცემოდა ცოფიანებს, ნისკარტს თავში ურტყამდა, თვალეებს სთხრიდა, ისე სწრაფად მოქმედებდა, თვალის გაყოლებასაც ვერ ასწრებდნენ. სონი ხარობდა, თუმცა ისრები ელეოდა, რამოდენიმე ფოცხვერი ბრძოლის ველზე დაეცა, ცოფიანები რაინდს უახლოვდებოდნენ. სონის ისრები გაუთავდა, ზურგზე დანვა, ორივე ხელში ხმლები დაიჭირა, ფოცხვერს გახედა: „მე მიხარია, რომ გაგიცანი, შენ ძმაო!!!“ უცებ ფეხზე წამოხტა, ცოფიანებს ეკვეთა, მხოლოდ ერთს ფიქრობდა, ცოტა ხნით კიდევ შეეჩერებინა მტერი, ფოცხვერიც გვერდით დაუდგა, არწივი ზემოდან ებრძოდა ველურებს, ბევრი მსხვერპლი ჰყავდათ. შიშისგან ნოზა შორს იმალებოდა. სონი არ ცხრებოდა. მამაცურად იგერიებდა მტერს. სამი ფოცხვერიღა იყო ცოცხალი. სონის ხმალი გადაჰკრეს და რამოდენიმე ნეკნი გადაუჭრეს, სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა, მინაზე დაეცა, ცოფიანები მისცვივდნენ, ხმლები აღმარეთს, სამივე ფოცხვერი ერთდროულად

ეძგერა ველურებს. ფრინველიც და მხეცებიც ბრძოლას აგრძელებდნენ. მეგობარი ფოცხვერი სონის ქეჩოში სწვდა და კბილებით გამოათრია ბრძოლის ველიდან. წინ დანარჩენი ორი დაუდგა და ისე გაემართნენ კლდის ჩასასვლელთან. არწივი ბრძოლას აგრძელებდა. ჩქარა გაიყვანეს სონი, პატარა მანძილზე დაშორდნენ ბრძოლის ველს. უზარმაზარ ლოდს ამოეფარნენ, სონის გონება წართმეული ჰქონდა. არწივი ცაში აიჭრა. ბრძოლა შეწყდა. მხოლოდ მაშინღა გამოჰყო თავი ნოზამ სამალავიდან, მშვილდი მოზიდა და არწივს დაუმიზნა. არწივმა დაბლა დაშვება დააპირა — პრინცესასთან. ხედავდა, სონის ფოცხვერები იცავდნენ. დაეშვა, კლდეს მიუახლოვდა, ნოზამ ისარს ხელი უშვა, ისარი არწივისაკენ გავარდა — ფრინველმა ვერ დაინახა მისკენ მომავალი ისარი — ფრთაში მოხვდა. ბააგრა და რაინდები თითქმის ჩასულები იყვნენ. ყველამ მალღა აიხედა. ყივილის ხმა მოესმათ. ბააგრა გაშეშდა, სუნთქვა შეეკრა, არწივი კლდეს დაეჯახა, მეორე ფრთა გადაუტყდა, კიდევ ერთი გაბრძოლება. ახლა ფეხებიც გადაუტყდა. თავი სისხლისგან გასწითლებოდა. ასე ეშვებოდა ძირს კლდე-კლდე. ქვებზე კლდის შუაგულში გველი ბინადრობდა — სამი მეტრის სიგრძისა, ჭრელი, სიგანითაც დიდი. ქვაზე იწვა თავის გამოქვაბულთან და აკვირდებოდა როგორ ეცემოდა არწივი. მიუახლოვდა მცურავი თვალის დახამხამებაში კუდით დაიჭირა სულთმებრძოლი არწივი, თავის გამოქვაბულში შეაგდო შესაჭმელად, წინილას მიართვა. თვითონ ისევ ქვაზე წამოწვა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ამის დამნახველ პრინცესას გული წაუვიდა. რაინდებმა ფრთხილად ჩაიყვანეს კლდის ძირას. ფოცხვერები დაჭრილ სონის მოათრევდნენ, სულ სხვა მიმართულებით. რაინდები ხედავდნენ, ფოცხვერები მათკენ ჩამოსვლას არ აპირებდნენ. ბააგრა მოასულიერეს, ჩაიხუტეს. პრინცესა ხმას არ იღებდა. გაოგნებული ერთ ადგილს თვალს არ

აშორებდა. ნოზა მალლა სიხარულისაგან ცეკვავდა. არწი-
ვი თავიდან მოიშორა. ძლიერი წვიმა წამოვიდა. რაინდები
წყლის ქვეშ იდგნენ. ბააგრა კლდეს მიყუდებოდა. ცრემ-
ლები ახრჩობდა. ტუჩები ნერვიულობისაგან ჩაშავებოდა.
ღრმად სუნთქავდა — ხმას არ იღებდა. თვალწინ სულ
თეთრი არწივის დაცემა ედგა. რაინდები წრეში იდგნენ.
საუბარი მენმა დაიწყო: „კლდის გავლით წასვლა შეიძლე-
ბა. ცოფიანებიზემოდან გამოუყვებიან და სადმე გადავეყ-
რებით. კლდიდან ვერ დაეშვებიან, წვიმა ხელს შეუშლის.
ჩვენ ერთი გზა გვაქვს წინ“. ყველა რაინდს გაუკვირდა.
ლაკიმ თავი მოატრიალა, იქაურობას გახედა, შეხედა მე-
ნის — გაკვირვებულმა მიუგო: „წინ ჭაობია!“ მენიმ ჩურ-
ჩულით, ისე რომ ბააგრას არ გაეგო, უპასუხა: „წინ ჩვენი
სიკვდილია. პრინცესას გზის გაგრძელება მარტოს მოუ-
წევს“. ერთმანეთს გადახედეს. სონის გაელიმა: „არ მეგონა,
თუ ჭაობში მოკვდებოდი, ეგრე იყოს. მე მზად ვარ“. ყვე-
ლამ რიგ-რიგობით ჩაილაპარაკა: „მეც მზად ვარ, ეგრე
იყოს, ერთ დღეს მაინც ხომ უნდა მოკვდეთ, რატომ დღეს
არა?“. „ბავშვობიდან მიყვარდა წვიმა, მეც მზად ვარ“. გა-
უადვილა მეგობრებს ლაკიმ. „მეუღლე და პატარა გოგონა
მთებში რომ გამეყინა, იმის მერე სიკვდილს ვეძებ“. — ჩაი-
ლაპარაკა მენიმ. რაინდებმა ბააგრას გადახედეს. ოთხივე
შემოეხვია გარს. ყველა თვალემა უყურა, პრინცესას
ცრემლებიც კი უხდებოდა. გოგონა ვერ მალავდა ტკი-
ვილს, მაგრამ ეტყობოდა, თავს მაინც იკავებდა, სანამ
ცრემლები თითებით მოსწმინდა. ორივე ხელი დაუკოცნა
და ნაზად მიუგო: „ადამიანის ცხოვრებაში ისეთი დღე
დგება, ვინც მათ უყვართ მათი გულისთვის უნდა მოკვდ-
ნენ. ჩვენ მზად ვართ სიკვდილის ფასად დავიცვათ ეს სიყ-
ვარული“. ბააგრამ სონის თვალი გაუსწორა და წყნარად
მიუგო: „თუ თქვენ მოკვდებით, მეც მოკვდები. მესმოდა
რასაც ლაპარაკობდით“. რაინდები შენუხდნენ, ერთმა-

ნეთს გადახედეს. მენიმ პრინცესას მიმართა: „მომისმინე, ბააგრა, აქ ყველანი ვერ გადავალთ. შენ მარტო უნდა გააგრძელო გზა. დროებით ქალაქში სადმე უნდა დაიმალო“. მენიმ სიტყვა ვერ დაამთავრა, გაბრაზებულმა პრინცესამ მიუგო: „მე ერთხელ ვთქვი, თუ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგეთ, შემძლია გავიმეორო!“ ამ სიტყვებით გოგონა ფეხზე წამოდგა, ტალახიანი კაბა დაიფერთხა, ისევ რაინდებს მიმართა — ვერ გაიგეთ?! გზას გავუდგეთ, სად არის ჩვენი სიკვდილი? ხელი ჭაობისაკენ გაიშვირა: „ის არის?! მეც მზად ვარ!“ ოთხივე რაინდი შეცბა, ამხელა ძალას პატარა პრინცესასგან არავინ ელოდა. მენიმ სახე მოარიდა და რაინდებს წასჩურჩულა: „სხვა გზა არ გვაქვს, ჭაობზე გადავიყვანოთ, რომ ნახავს დავიხრჩობით, იძულებული გახდება, გზა განაგრძოს, სხვა რა დაგვრჩენია. გაფიქრებაც კი მზარავს, მერე რა იქნება“. „კარგი, მენ, ვიჩქაროთ, ჭაობამდე კიდევ გვაქვს გასასვლელი, ზემოდან ისრებს დაგვიშენენ, რიგ-რიგობით გადავხტეთ. თავები ფარებით დავიცვათ, მენ! ბააგრა შენ უნდა შეისვა ზურგზე, სამივეს გადაგვახტე და პრინცესა ნაპირზე გადაისროლო. ეს ყველაფერი უცებ უნდა მოხდეს, სანამ ბააგრა ტყეც მიაშურებს, თუ მოვახერხებთ ერთი-ორი ისრის გასროლა, კარგი იქნება. „მოდით, ფარები გადავიფაროთ, ჭაობამდე მივიდეთ, გავზომოთ თვალით, რა მანძილია იქამდე“. — თქვა მენიმ. რაინდები ჭაობისაკენ გაემართნენ. ბააგრა კლდესთან იდგა. ისრების წვიმა წამოვიდა, უცებ შეწყდა, რაინდები ჭაობს უახლოვდებოდნენ, მალლა ერთ-ერთმა ცოფიანმა დაიყვირა: „სულელებო, შეჩერდით! იქ ხომ პრინცესაა, ის ცოცხალი გვჭირდება“ ცოფიანი ნოზას მივარდა, ხელი დაჰკრა: „შენ რა! პრინცესას კლავ?! ბრძანება არ გახსოვს. თავში აგივარდა, გამომივიდა სარდალი, ბრძანებას დაარღვევ, მოგკლავ!“ ნოზა შეშინდა, კი უნდოდა ბააგრას სიკვდილი, დრო იხელთა, იფიქრა ცოფიანებს დავაბრალეო,

მაგრამ თავი ხელში აიყვანა და ცოფიანს უპასუხა: „არა! არა! ეს უეცრად მოხდა, დავინახე და დავიბენი“. ცოფიანი დაეჭვდა: „ალარ დაიბნე! რაინდებს მაშინ ვესვრით, როცა პრინცესა მათ ახლოს არ იქნება, გაიგე?! ფარეპქვემ ვინ არის, იცი?!“ შეშინებულმა ნოზამ ფარისეველურად გაუღიმა ცოფიანს: „ყველაფერი გასაგებია, ხომ გითხარი, დავიბენი, ძალით არ მიქნია, დამშვიდდი“. ცოფიანმა შეუღრინა, თვალი გაუსწორა, თითი მკერდზე მიაბჯინა: „ფრთხილად ღორო! მოგკლავ!“ მერე თავის მეომრებს მიმართა. ნვიმა არ წყდებოდა ძლიერდებოდა. რაინდებმა ჭაობი დაზვერეს, უკან მობრუნდნენ, მენის მხარში ისარი მოხვედროდა. ისარი ჩაიტეხა და მკერდიდან გამოაძრო, სიმწრით ამოისუნთქა, ლაკი ჭრილობის გადახვევას შეუდგა. მენის გაუკვირდა: „რად მინდა, მალე ალარ დამჭირდება“. მერე ყველას მიმართა: „ნახავ! თავიდან ისრები დაგვიშინეს, მერე სულ გაჩერდნენ, ეს იმას ნიშნავს, პრინცესა ცოცხალი სჭირდებათ. ერთი მხრივ კარგია, უსაფრთხოდ გადავიყვანთ, თუმცა საოცარია, შეიძლება დედოფალი და პრინცები ტყვედ ჰყავთ. არ ვიცი რას ნიშნავს ეს, გზას გავუდგეთ“. პრინცესა მენის გვერდით იდგა ხელჩაკიდებული, უსმენდა რაინდებს უშიშრად. რაინდებმა ერთმანეთს თვალეხი გაუსწორეს. „დაიცადეთ, დანები და ხმლები გადაყაროთ, მეორე ნაპირზე რა ვიცით, რა ხდება, რკინის პერანგები გავიხადოთ, მძიმეა, ხელს შეგვიშლის, დავიხრჩობით“, თქვა ლაკიმ. „მიდი, მაშინ შენ გადაყარე და გადასვლა დავინყოთ“. — დაამატა მენიმ. ლაკი საქმეს შეუდგა, ყველაფერი გადაყარა და უკან მობრუნდა. რკინის პერანგებიც გაიხადეს. ბააგრას არ მოეწონა რაინდების მოქმედება. ისინი სიკვდილისათვის ემზადებოდნენ. პრინცესა თავისთვის ფიქრობდა: „მე მარტო არ წავალ“. ლაკიმ ფარი აიღო, მშვილდ-ისარი მომართა, რაინდებს შეხედა, პრინცესას თავზე ხელი გადაუსვა, გაიღიმა და ჭაობისაკენ გა-

იქცა. დენიც და სანიც მოემზადნენ. მენს პრინცესას ხელი მაგრად ეჭირა. ლაკი ჭაობში გადახტა, ნახევრად ჩაეფლო, თავზე ფარი დაიფარა, ორივე ხელით ჩაეჭიდა, დენიც მიჰყვა, ფარი მანაც თავზე დაიფარა, ჭაობს მიუახლოვდა. მინას ფეხი დაჰკრა და გადახტა. ორივე ფეხით ლაკის ფარს დაახტა, იქიდან შეუჩერებლივ, რაც შეეძლო შორს გადახტა, ჭაობში ჩახტა თუ არა, მაშინვე ფარი თავზე დაიდო. სანიმ ბააგრას და მენის შეხედა, უსიტყვოდ დაეშვა ჭაობისაკენ...

ცოფიანები ზემოდან აკვირდებოდნენ რაინდებს. დარწმუნდნენ, რომ ბააგრა მათთან არ იყო და ისევ ისრები დაუშინეს. სანი გადახტა, ლაკის ფარს დაახტა, დაიხარა და დენის ფარზე გადახტა. ცალი ფეხი აუსხლტა. დენის წინ, ჭაობში ჩაემხო, ფარი ხელში უაზროდ ეჭირა. სანის ზურგში რამოდენიმე ისარი მოხვდა. ფარს ხელი ჩაავლო, წინ გასწია, დაუყვირა: „მე მზად ვარ!“ მენის პრინცესა კისერზე შეესვა, ფარი ძირს დააგდო. ხელები ბააგრას მხრებში ჩავლო და მოემზადა. იცოდა, პატარა შეცდომა და გოგონა მკვდარი იყო. ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და ჭაობისაკენ დაეშვა. ისრების სროლა ისევ შეწყდა, გოგონას უკლებლივ ცოფიანები რაინდებს აკვირდებოდნენ. სროლა პრინცესას გამო შეწყვიტეს. მენი გადახტა ლაკის ფარისაკენ, უნებლიედ პრინცესამ ხელები ყელზე მოუჭირა ძლიერად. რაინდი ლაკის ფარს დაახტა, შეჩერდა, უმალ უკან მოკლენაბიჯი გადმოდგა, მეორე ფეხით ფარის კუთხეს დაეყრდნო და დენის ფარისაკენ დაეშვა. პრინცესას ხელები ახრჩობდა. ყურადღებას არ აქცევდა. იჯდა ბააგრა რაინდის კისერზე, თავის საყვარელ ადგილას და სანის ზურგს შესცქეროდა, ისრებით სავსე მენი ორივე ფეხით დენის ფარზე დაეშვა, გაჩერდა. სანი ისევ პირქვე იწვა ჭაობში, ფარი წინ ჰქონდა, ხელებით ეჭირა. მენის სანის ზურგზე უნდა დაედგა ფეხი, სისხლი სდიოდა რაინდს. ოთხი ისარი მოხვედრო-

და, უცებ სანიმ თავი ასწია ისე, რომ მენი არც დაუნახავს, დაიყვირა: „იჩქარე!“ მენიმ ზურგზე გადაურა, გაჩერდა ფარზე, ოდნავ ჩაიმუხლა, თითქმის ხროტინებდა ბააგრას ხელებისაგან. მენი წამოიწია და ჭაობში გადახტა და წელამდე ჩაეფლო. პრინცესა, ისევ კისერზე ეჯდა, დაიყვირა: „ფარი გადმომიგდეთ“, მის გვერდით წამსვე დაეცა ფარი, ეს სანიმ ისროლა თავისი ფარი, ბოლო ამოსუნთქვისას — ჭაობში დალია სული. მისი სხეული ზედაპირზე ტივტივებდა. მენიმ ფარი წინ გადაადგო, ნაპირთან ახლოს, მერე ბააგრას უსიტყვოდ ჩაავლო ხელი. მხრებზე წამოაყენა ერთი ხელით ილლით დაიჭირა, მეორეთი — ფეხი. მაღლა ასწია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ნაპირისაკენ ისროლა. პრინცესა ფარზე მუცლით დაეცა და ინერციით ნაპირზე გადავარდა. პრინცესა უკვე ნაპირზე იყო, ფეხზე წამოდგა. მენი უყვიროდა გაქცეულიყო. ლაკი და დენი ნელ-ნელა ჭაობში იძირებოდნენ. მათ დახრჩობას წვიმაც აჩქარებდა. რაინდები ბააგრას უყურებდნენ, პრინცესა იდგა და ტყისკენ იყურებოდა. ცოფიანები ამ ყველაფერს პირდაღებულნი შესცქეროდნენ. ისარს არცერთი მათგანი აღარ ისროდა. რაინდების ერთგულებამ და სიმამაცემ ისინი გააოგნა. ბააგრა რაინდებისაკენ შემოტრიალდა, ისინიც და ცოფიანებიც თითქოს გაქვავდნენ. პრინცესამ ცოფიანებს ახედა, მათ შორის ნოზა გამოარჩია, დააკვირდა, ღრმად ჩაისუნთქა, ახლა რაინდებს შეხედა, მენიც ნელ-ნელა ეფლობოდა ჭაობში. რაინდები საყვარელ პრინცესას თვალეში უყურებდნენ. დენი ყელამდე ჩაფლულიყო, ლაკი ტუჩებამდე, ორივემ პრინცესას გაუღიმა. გოგონამ სანის დახედა, თმები და ისრების ბოლოებიღა ჩანდა.

ცოფიანებს უკვირდათ ბააგრა არ გარბოდა, მხოლოდ ნოზა იყო გახარებული და ამას ვერც მაღავედა, პრინცესამ ისევ ახედა ცოფიანებს, ორი ნაბიჯი უკან გადადგა, ცოფიანებმა გაიფიქრეს, რომ გოგონა გაექცეოდათ. იგი

გაჩერდა, ჩაფიქრდა. უშიშრად და ამაყად თავი მალლა ას-
ნია. რაინდებს შეხედა. ლაკი უკვე იხრჩობოდა, თვალეზი-
ლა უჩანდა, ისიც ბააგრას უყურებდა სიყვარულით. ბააგ-
რა კარგად დააკვირდა რაინდს. ლაკიმ თავი უკან გადას-
ნია და ცხვირ-პირი ჭაობის მალლა აღმოჩნდა. გოგონას
მზერას რაინდი დააკვირდა პრინცესას სიცილი აუტყდა.
მენის შეეშინდა და დაიყვირა: „არა! ბააგრა, არა!“ ლაკი
და დენი მიხვდნენ, რაში იყო საქმე. სამივე რაინდი შიშმა
შეიპყრო. გოგონამ სიცილი შეწყვიტა. მენის თვალეზი გა-
უსწორა, ცოფიანი მეომრები გაშემდნენ, ყველამ იგრძნო,
რომ გოგონა ნახტომისათვის ემზადებოდა. ყველანი სა-
გონებელში ჩავარდნენ, მხოლოდ ნოზას უნდოდა პრინცი-
სას სიკვდილი. მენიმ იცოდა, რომ რაიმეს თქმა უაზრობა
იყო, თუმცა მშვიდად და დიდი სიფრთხილით წარმოთქ-
ვა: „გთხოვ, ეს არ გააკეთო!“ ბააგრამ გადადგა ერთი ნა-
ბიჯი, მეორე, მოუჩქარა ნაბიჯებს, მიუახლოვდა ჭაობს,
წვიმა სახეს უსველებდა, კაბა ზედ მიენება, წვიმის წვეთე-
ბი თმებიდან წვეთავდნენ, სახეზე სიმშვიდე ეხატა. ცალი
ფეხი მიწას დაჰკრა, მეორე ფარს და რაც ძალა და ღონე
ჰქონდა მენისკენ გადახტა. ლაკიმ უკანასკნელი ძალა მო-
იკრიბა, თავი წამოსწია და სიმწრისაგან ისეთი ხმით დაიღ-
მუვლა, თითქოს ცა აზანზარდაო. ჭაობში ჩაიძირა, დენის
გონება გაეთიშა, თვალს არ აშორებდა პრინცესას. გოგონა
მენისთან ახლოს ჩახტა, წელამდე ჩაეფლო ჭაობში. მშვი-
დად იყო, მენის ხელი გაუწოდა უსიტყვოდ. რაინდს ხელი
ჩაავლო, ისიც უსიტყვოდ უყურებდა ბააგრას. ცოფიანი
მეომრები გაოგნდნენ. ასეთი თავდადება და ერთგულება
პატარა გოგონასაგან კი არა, არსად, არავისგან არც გაუ-
გონიათ და არც ენახათ.

შუა კლდეზე კი მწოლიარე გველი შეტრიალდა თავის
გამოქვაბულისაკენ და თავის წინილასთან გაემართა. დე-
და გველი გაჩერდა, უყურებდა შვილს, წინილა არწივს

ჭრილობას ულოკავდა, ისარი ფრთხილად მოაშორა. დედა გველი გაბრაზდა, არწვისაკენ გაიწია, წინილა არწვის გადაეფარა და მწარედ და ბრაზიანად დაისისინა. დედა გააკვირვა შვილის საქციელმა, გაოცებული შესცქეროდა. წინილა თითქმის ერთი მეტრის სიგრძისა იყო. არც ისე სქელი და მთლიანად შავი კანით, თითქოს დაწყნარდა, თუმცა დედას თვალს არ აშორებდა. არწვის თავვემეშეუცურდა, ფრინველის თავი წელზე ფრთხილად დაიდო, კუდი ფრთებზე გადააფარა და ჭრილობების ლოკვა გააგრძელა. თვალებს კვლავ არ აშორებდა დედას. დედა გველი დაბნეული შეტრიალდა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. წინილა კი ლოკავდა არწვის, თითქოს ეფერებოდა. გველებისგამოქვაბული არც თუ ისე დიდი იყო, შესასვლელი ნახევარი მეტრი სიმაღლისა იქნებოდა, სიგანე — მისი ნახევარი, შიგნით ორი კვადრატულ მეტრამდე, შუქი კარგად შედიოდა.

მენის და ბააგრას ერთმანეთის ხელი ეჭირათ. დენი ჭაობში ცხვირამდე ჩაფლულიყო, სანი სულ აღარ ჩანდა, მხოლოდ ისრების თავებილა მოჩანდა, ისინიც წელ-წელა იძირებოდნენ. ლაკი აღარ ჩანდა, მისი ფარი ტივტივებდა, ბააგრამ დენის შეხედა, არანაირი წუხილი, სინანული, აღარ აწუხებდა გოგონას; პირიქით, უხაროდა, რომ რაინდებთან ერთად კვდებოდა. ღირსებით სავსე რაინდებთან, ისიც მკერდამდე ჩაფლულიყო ჭაობში. ირგვლივ დუმილი სუფევდა, თვით ცოფიანები, მკვლევები, სადისტები, დაუნდობლები შეწუხებულნი უყურებდნენ ბააგრას. მენი კისრამდე ჩაეფლო, უეცრად თითქოს გამოფხიზლდა. გონება გაეხსნა, დაფიქრდა, ბააგრას თვალს არ აშორებდა, ისიც უშიშრად შესცქეროდა რაინდს. მოულოდნელად მენიმ იყვირა: „ფარი გადმომიგდე დენი“, ჭაობი დენს ტუჩებს უფარავდა, უგონოდ იყო, მენის ყვირილმა გამოაფხიზლა. კლდის წვერზე ცოფიანები დაიძაბნენ. ისინიც ბააგრას გა-

დარჩენაზე ფიქრობდნენ. დენიმ ძალა მოიკრიბა, წვალე-ბით და ვაი-ვაგლახით, ფარი ასნია და მთელი ძალით მენისკენ გაისროლა. ფარი ზუსტად მენის წინ დავარდა, დენი მეოცნებე არ იყო, თუმცა ახლა ცხოვრებაში პირველად მთელი გრძნობით მენის აკვირდებოდა. რაინდმა ხელი უშვა ბააგარს, ორივე ხელი ფარს დაადო, დაანვა მთელი ძალით, ფარი ნელ-ნელა ეფლობოდა ჭაობში. მენი სწრაფად ამოდოდა, წელამდე ამოვიდა ყვირილით და ღმუილით. ჭაობიდან ფეხი ამოჰყო, ჩაძირულ ფარზე დაადგა, შემდეგ მეორე, მენი წამოიძარტა, ბააგრა გაოცებული შესცქეროდა. წვიმა არ წყდებოდა. ცოფიანები ამ თავსხმამი იდგნენ გაოგნებულნი ბააგრასა და რაინდების შემხედვარენი. პრინცესა ჭაობში ყელამდე ჩაფლულიყო. მენი ფეხმოუხრელად ბააგრასაკენ დაიხარა, თმებში ხელი ჩაავლო, მალლა ასნია. პრინცესას მხრები გამოუჩნდა, მენიმ მეორე ხელი ილღიაში ამოსდო და სწრაფად ამოაგდო ჭაობიდან, უმალ ნაპირზე გადააგდო. პრინცესა მიწაზე დაენარცხა. რაინდმა ისიც იფიქრა, რომ თვითონაც ნაპირზე გასულიყო როგორმე, რადგან იცოდა, რომ ბააგრა ისევ ჭაობში გადაეშვებოდა. პრინცესა ფეხზე წამოდგა. მენი ძალ-ღონეს არ იშურებდა ჭაობისაგან თავი დაეღწია, ამაოდ. ბააგრას რაიმე უნდა ეღონა, ნაპირზე ხმალი მონახა, ჭაობში კოჭებამდე შევიდა, ხმლით ფარი მიუწია მენის. მენი ფარს მხოლოდ თითებით ეხებოდა, ისევ წვალობდა, როგორც იქნა ფარს ჩაეჭიდა, ფარი ნახევრად მუხისა იყო, ასე ადვილად არ ჩაიძირებოდა. აი, ერთი ფეხი კიდევ დადგა, მეორეც, მაგრამ აცურდა და ისევ ჭაობში ჩავარდა, ახლა პრინცესამ ხმალი მიანოდა, ამაოდ, თუმცა მისი სიკდვილი ბააგრას სიკდვილს მოასწავებდა. მშვიდად მიუგო პრინცესას: „დანექი მიწაზე და ფეხები აქეთ გამოიშვირე“. ბააგრამ რაინდის ნათქვამი გაიგონა, ზურგზე დაწვა და ფეხები მენისკენ გაიშვირა, მენი შეწუხდა: „მუცელზე დანექი, ორი დანა აილე,

თავი დაიმაგრე“. მენი ველარ აზროვნებდა, ჭაობიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ბააგრამ მეორე დავალებაც ბრწყინვალედ შეასრულა; როგორც იქნა მენიმ, მინაზე დანებით დამაგრებულ პრინცესას, ფეხებში ხელი წაავლო. დიდი სინაზით და სიფხიზლით იწვედა ბააგრასაკენ. გოგონას ძალა ეცლებოდა, ხელიც კი გაეშვა დანაზე. რაინდმა ეს დაინახა, გაჩერდა, პრინცესამ ორივე ხელი ერთ დანას ჩაავლო. ამ დროს მენიმ ხელი ბააგრას კაბას ჩასჭიდა, ჩამოახია, პრინცესას ფეხებს იშველიებდა, მუხლებამდე აცოცდა, გოგონამ ვერ გაუძლო, დანას ხელები უშვა, ჭაობისაკენ წამოვიდა, სიმწრისაგან მინას თითებით ჩაეჭიდა, თითქოს არნივის ბრჭყალები გამოეხა, მენი პრინცესას ახლა წელამდე სწვდებოდა. ჭაობი არ ნებდებოდა რაინდს. მინას ჩაბლაუჭებული ბააგრა ჩასისხლიანებული თითებით ებრძოდა სიკვდილს. მენიმ სცადა პრინცესასთვის ხელები გაეშვა, გოგონამ მინა ჭაობამდე გათხარა, უკვე ჭაობში იყო, ხელებიც ჭაობმა დაუფარა.

გაოცებული ცოფიანები კვლავ ზემოდან აკვირდებოდნენ რაინდებს და პრინცესას. გოგონა კბილებით იჭერდა ენას, რომ არ ეყვირა. მენი არ შეჩერებულა. ბააგრას მხრებს მიუახლოვდა, ნაპირამდე ერთი მეტრიც კი არ იყო, ბააგრა ჭაობზე მუცლით იწვა და თავი მაღლა ჰქონდა აწეული. „ერთიც პატარავ!“ მიუგო მენიმ; რაც ძალა და ღონე ჰქონდა, პრინცესა ხელში აიყვანა და ისევ ნაპირზე გადაისროლა. ჭაობი მენის უკვე ცხვირს უფარავდა. ბააგრა არც დაფიქრებულა, სტაცა ხელი დანას, თითებიდან სისხლი სდიოდა, მივარდა ჭაობთან, მუცელზე დანვა, ჭაობში ფეხებით შევიდა, ფეხებზე მენის ხელები იგრძნო, დანის ტარს ორივე ხელით მაგრად ჩაეჭიდა, ზემოთ ასწია და სიმწრით ძლიერად ჩაარჭო მინაში, თითქმის ტარამდე. ვერანაირი ძალა ვერ გააშვებინებდა დანაზე ხელებს. ტკივილისაგან დამუნჯდა. მენი ნელ-ნელა ამოდიოდა. ბააგ-

რას თავი ჭაობს ეხებოდა, ცდილობდა მაღლა აენია, რათა ესუნთქა. მენიმ კვლავ მიაღწია პრინციპსას წელს, ბააგრა ხელებს ველარ გრძნობდა, სისხლი თქრიალით სდიოდა, სუნთქვა უჭირდა, ენას კბილები აუშვავ, ღრმად ჩაისუნთქა, მხოლოდ ორ რამეზე ფიქრობდა: „დანისთვის ხელები არ გაეშვა და არ ეყვირა. მენიმ ცალი ხელი მხარზე დაადო. მთელი ძალით დაეყრდნო, გოგონას კინაღამ გული წაუვიდა. თავი შეიკავა, თვალეები დახუჭა, მენი წამოინია, ერთი ხელით ბააგრას ხელებში სწვდა, დანის ტარიდან ააშვებინა, ძლივძლივობით დანას თავად ჩაავლო ხელი. ნაპირისკენ წაინია, პრინციპსაც ამოსწია. უკვე სამშვიდობოს იყო ორივე. ხშირი სუნთქვა ისმოდა.

ცოფიანები უყურებდნენ რაინდს და პრინციპსას, ერთმანეთში საუბრობდნენ: „ასეთი რამ არსად გვინახავს და გავვიგონია, ჩვენ ახლა საოცრება ვნახეთ“. ის ცოფიანი, ნოზა რომ ეჯავრებოდა, გულში ფიქრობდა, თან პრინციპსას თვალს არ ამორებდა — „დიდება პრინციპსას — დიდება“.

ბააგრა უცებ წამოხტა — დენი გაახსენდა. ჭაობის პირას დადგა და დენისკენ გაიხედა. დენის თავი წამონეული ჰქონდა მთელი ძალით, ჭაობი თვალეებს თითქმის უფარავდა, უცებ პრინციპსამ თვალეები გაუსწორა რაინდს, გაოგნდა, დენის თვალეებში სიმშვიდეს დაესადგურებინა, თითქოს თვალეები ბავშვივით ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ყვიროდნენ, ხარობდნენ. მენიც ფეხზე წამოდგა. პრინციპსას მხარზე ხელი დაადო. დენის მანაც თვალეებში ჩახედა. რაინდი ჭაობმა შთანთქა. ცოტა ხანს მენი და ბააგრა თითქოს გაქვავდნენ. დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდნენ. პრინციპსას თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე. ორივემ მაღლა აიხედა, ცოფიანები კვლავ გაოგნებულნი უყურებდნენ მათ. მხოლოდ ნოზა იყო გამწარებული, თუმცა ისიც გაოგნებული უყურებდა პრინციპსას და რაინდს. ერთ-ერთმა ცოფიანმა ჩაილაპარაკა: „იმ პატარის გაზრდა და ჩვენი სიკვდილი ერთი

იქნება — ის არავის დაგვინდობს!“ ნოზამ ცოფიანს გადახედა და მიუგო: „მერე! აგერ არ არის?! ჩვენს ხელშია. ისრები დაფუშინოთ და მკვდარს დავაჭრათ ხელები, თვალებიც დავთხაროთ!“. თავიანთი სისასტიკით განთქმული ცოფიანები, ბააგრას ერთგულებით გაოგნებულნი, ახლა ზიზლით უყურებდნენ მხეც ნოზას. ნოზა მათ გაერიდა.

მენიმ თმებიდან ჭაობის ჭუჭყი მოაშორა ბააგრას. სახე გაუნმინდა, აკოცა ლოყაზე და თბილად მიუგო: „შენ მე სიცოცხლე მაჩუქე, პრინცესა! გმადლობ, დედოფალო!“ გოგონამ ახედა რაინდს, ხელი წელში ჩაავლო და უპასუხა: „ხან მე და ხან შენ, რაინდო! ერთმანეთს სიცოცხლეს ვჩუქნით“. ჭაობში აღარავინ ჩანდა. „სჯობს ახლავე გზას გავუდგეთ, სანამ წვიმს, წვიმა ნაკვალევს შლის, თან ღამით“ წარმოთქვა მენიმ. ბააგრა რაინდს წელზე შემოხვეოდა, თავი მუცელზე ედო, ახედა: „ხმლები და დანები ავკრიფოთ“. მენის არც გაკვირვებია პრინცესას გამჭრიახობა, პერანგი გაიხადა, დაფერთხა, განურა და გოგონას ჩააცვა, სახელოები წააჭრა, ქამარი მოიხსნა, წელზე შემოახვია, მერე ხანჯლები და დანები შეაგროვა. ბააგრამ ერთი დანა აიღო და ქამარში გაირჭო, მენიმ შეხედა, როგორ დაიმაგრა დანა პრინცესამ, ამაყად გაიფიქრა: „ახლარას აკეთებს ეს პატარა და მერე რას იზამსო“. უცებ სისველე იგრძნო. ეს სისხლი იყო, თავი დაითვალიერა. სისხლი მას არ სდიოდა. ახლა პრინცესა დაათვალიერა. გოგონას სისხლი ხელებიდან სდიოდა, თითები გაუნმინდა, ნახა, რომ რამოდენიმე ფრჩხილი გადატეხილი ჰქონდა. რაინდი გააოცა პატარას ამტანობამ. რაინდი ცალ მუხლზე იდგა და პრინცესას დასისხლული და დამტვრეული ხელები ეჭირა. „არ გტკივა?!“ გოგონა თითებს უყურებდა. „არა! არ მტკივა, დაბუფებული მაქვს, ვერ ვგრძნობ თითებს“. მენიმ დაგუბებულ წყალთან მიიყვანა, გაუნმინდა, სთხოვა, არ ეყურებინა, გადატეხილი ფრჩხილები

დანით მოაცილა, გადაუხვია თითები, ბააგრას ტკივილი არ უგრძენია. „ახლა მახინჯი თითები მექნება, ხომ მენი?!“ რაინდს გაელიმა: „არა, ჩემო პრინცესა, შენ პატარა ხარ, კიდევ გაგეზრდება, შენ ყველაზე ლამაზი ხარ და ლამაზი თითები გექნება!“ გოგონას ესიამოვნა მამაცი რაინდის შექება, მენი ფეხზე წამოდგა: „მოდო, ზურგზე შემომაჯექი და წავიდეთ!“ ბააგრამ რაინდს ახედა: „შენ დაჭრილი ხარ, ჭრილობა დაგიამდება და მერე ვნახოთ!“ რაინდმა გოგონას შეხედა, მკლავში ხელი ნაზად ჩასჭიდა და ტყისაკენ მიაშურა, თან ფიქრობდა: „საიდან, ამ პატარას ამხელა ყურადღება, ღირსება, სიმამაცე, ერთგულება?!“ რამდენიმე ნაბიჯით ტყეს მიუახლოვდნენ, რაინდმა პრინცესა გააფრთხილა: „უკან არ გაიხედო“, გოგონას გაუკვირდა: „რატომ?!“ „ეგენი დაბლა ვერ ჩამოვლენ და თუ მოუარეს, დიდი დრო დასჭირდებათ, ცუდ დღეში არიან, მაგათი ასეთი გაოგნება ცუდი ნიშანია, თან წინ მივდივართ“. ბააგრამ გზას გახედა, რაინდმა გააგრძელა გზაც და საუბარიც, ტყეში წვიმდა...

შუაგულ კლდეზე გველი იწვა, რაინდს და ბააგრას აკვირდებოდა. ისინი ტყეში გაუჩინარდნენ. გველიც უმაღლეს ფულტროში შესრიალდა. მისი წინილა, ისევ არწივს ლოკავდა. დედა გველი გამწარდა, არწივთან მისრიალდა, შვილი ისევ არწივს გადაეფარა, ყალყზე დადგა კუდით, დედამ პირი გააღო, დაუსისინა, გაბრაზებულმა შვილის თავი პირში ჩაიდო, ეგონა პატარას შეაშინებდა და თავს დაანებებდა დაჭრილ არწივს — პატარას შეეშინდა, მაგრამ ვერაფრით დაუშვა არწივის სიკვდილი, ძალა მოემატა, ისე დაისისინა, რომ დედა გველს კინალამ ყბა ჩამოუვარდა, ამ დროს თითქოს არწივი გონს მოვიდა, თვალები გაახილა, ეს ყველაფერი დაინახა, თავი ძლივს წამოსწია, მის წინ გველის წინილი იდგა. იგი არწივს დედისგან იფარავდა. არწივმა ნისკარტით კორტნა დაუწყო. მას არ ესმოდა, რომ წინილს იგი

უყვარდა და თავგამოდებით იცავდა გაბრაზებული დედა გველისგან, რომელიც არწივის მოკვლას ლამობდა. წინილას სხეული დაუსისხლიანა არწივის ნისკარტმა. არწივს ეგონა, რომ მას შეჭამდნენ და ბრძოლაში უნდოდა სიკვდილი. დედა გველმა იგრძნო, წინილასთან ჭიდილს აზრი არ ჰქონდა, იქაურობას გაეცალა. წინილმა დრო იხელთა, არწივს მოშორდა და დასისხლიანებული კედელთან წამოწვა, თან დედისკენ იყურებოდა, ეშინოდა არ დაბრუნებულიყო. არწივს კი ვერც უყურებდა, შეხედვა რცხვენოდა შეყვარებულს. ფრინველმა დაიცივლა და თავი ქვაზე დადო. ძალა გამოლევოდა, წინილამ მალულად გახედა, ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა, კედლის მეორე მხარეს გასრიალდა არწივისაკენ, ხორცის ნაჭერით პირში... არწივთან მისრიალდა, ფრინველმა თავი წამოჰყო და ძლივს დაიცივლა. გველმა ხორცი წინ დაუდო და უკან გაიწია. არწივი გაოცდა, გველს დააკვირდა. დახედა ხორცს, ისევ გველს გახედა და ხორცის ნაჭერს პირი ჩაავლო, თითქმის მთლად დამსხვრეულმა არწივმა ლუკმა ვერ მოიხელთა, ძალა არ ეყო დაეღეჭა. თავი დაანება, გველი უცებ მისრიალდა ხორცთან, პირი მოჰკიდა და არწივს წინ დაუდო. არწივმა ძლივს დაიცივლა. წინილამ უკან დაიხია. ფრინველი მცურავს დააკვირდა, ხორცს დახედა, ისევ გველს შეხედა, ნისკარტით ხორცის ნაჭერი აიღო, კვლავ უკან გადმოაგდო, ძალა არ ეყო. ახლა წინილამ პატარ-პატარა ნაკუნებად დაკუნა ხორცი. პირით ერთი ნაგლეჯი აიღო და არწივს ნისკარტთან დაუდო. ფრინველი მშვიდად უყურებდა ყოველივეს, არც ფიქრობდა გველთან ებრძოლა. მანაც იგრძნო, რაღაც უცნაური მცურავისაგან. თავი დედოფალად წარმოიდგინა. ხორცის ნაგლეჯს ნისკარტი ჩაავლო და გადაყლაპა. გველმა მეორე ნაჭერი დაუდო, ფრინველმა ისიც გადაყლაპა. მცურავმა ყველა ნაკუნი მიართვა თავის რჩეულს. დანაყრებულმა არწივმა, ისევ ძლივს დაიცივლა, შემდეგ თავი ქვაზე დადო

და გველს უყურებდა. მცურავი სიხარულით გარეთ გას-
რიალდა, წვიმდა, წვიმის წყალი პირში დაიგუბა და არწივ-
თან შებრუნდა. ნისკარტზე ნელ-ნელა აწვეთებდა წყალს.
ფრინველი მიირთმევედა წვიმის წყალს. დარწყულდა. ნა-
ზად დაიყვილა. გველი გაჩერდა. არწვიმა თვალები გაუს-
წორა, თითქოს მზერით აგრძნობინა „თავში არ აგივარდე-
სო“. ბრძენმა მცურავმა იგრძნო არწივის მზერა, ფეხებთან
მიუსრიალდა და ნაიარევის ლოკვას შეუდგა. არწივი არც
განძრეულა, ახლა იგი ნამდვილი დედოფალი იყო. თვალებ-
ში მშვიდად მოლულა და ძილს მიეცა.

ფოცხვერები კვლავ სონის ტარებას აგრძელებდნენ
კლდე-კლდე, რიგ-რიგობით, სონი გონს მოსულიყო. უყუ-
რებდა რა ხდებოდა. ფოცხვერები მისი გადარჩენისათვის
იბრძოდნენ.

ღამდებოდა, ბოლი, თავის დამსჯელ რაზმთან ერთად,
ქალაქში შევიდა და ბააგრების სასახლისაკენ გაემარ-
თა ჟორდანის სანახავად, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.
ბოლიმ ყველაფერი უამბო, რაც ლენმა დააბარა. მერე
ჰკითხა, „სად არიან კედელზე ჩამოკიდებული ბააგრები“
— ჟორდანს ძალიან შეეშინდა. ლენის ჩამოსვლის ამბავმა
დააფრთხო, ჰკითხა: „როდის იქნება ლენი აქ?!“ ბოლის-
თან საუბარი გააგრძელა: „ბოლი, მიდი, ახლა, მოისვენე
დილამდე. მე შენ მარტო ვერ გაგიშვებ ჩვენს კლდე-ტყე-
ებში. აქ დავიბარებ და ღირსეულად შეხვდებიან. რო-
გორც მითხარი, ყველაფერი ისე იქნება, გარდაცვლილ
დერჟსაც მიხედავენ, კარგ ადგილას დავასვენეთ, მეც დი-
ლისთვის მოვემზადები“. ბოლიმ იგრძნო, რომ ჟორდანი,
რალაცას თაღლითობდა, რალაც ცუდი ჰქონდა განზრა-
ხული. არაფერი უპასუხა — უსიტყვოდ მოსასვენებლად
წავიდა. ჟორდანი უმაღ უკანა მხარეს გავარდა და ცხენ-
ზე ამხედრდა, შეშინებული მთიანი ტყისაკენ მიჰქროდა
შეუჩერებლივ. შუალამისას შეჩერდა მხოლოდ. ჩირაღდა-

ნი აანთო და ბილიკიდან გადაუხვია; ნელი სვლით აგრძელებდა გზას. ჩირალდანი ძირს დაეხარა. მიწას აკვირდებოდა. ცხენი შეაჩერა, ირგვლივ მიმოიხედა, ჩამოქვეითდა, ცხენი ხეზე მიაბა. მიწაზე დაიხარა, ხელით ტოტები და ფოთლები მოაშორა, ხის ფიცარი გამოჩნდა, გადანმინდა. მიწაში ჩასასვლელიც გამოჩნდა, თოკს ხელი ჩაავლო, მაღლა ასწია, ჩირალდანი ჩაანათა, მიწაში ხის კიბეები ჩადიოდა, დაეშვა, კარი ზემოთ ღია დატოვა, ეშინოდა, კიბე ჩაიარა, მიწას ფეხი დაადგა, გზა გააგრძელა, ცოტა ხანში წინ შუქი შენიშნა, დაწყნარდა. ჩირალდანი ჩააქრო და აჩქარებული ნაბიჯით შუქისკენ გაემართა. დიდ გამოქვაბულში აღმოჩნდა. ჭერს ხის დიდი ბოძები იჭერდნენ, რკინის რამდენიმე ჭურჭელში ცეცხლი ენთო, ოთახი შეათვალიერა, მაგიდას მიუახლოვდა, მაგიდაზე ათასგვარი ყვავილი, ბალახი, მცენარეთა ფესვები, ხის ქერქები და ფოთლები დაყოფილად დაელაგებინათ. ჟორდანი ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა, ხმა შემოესმა. ეს იყო ძალზე მოხუცებული კაცი, თეთრი ჭაღარით, გრძელი თმით და წვერით — ბებერი საწამლაგების დამზადების ოსტატი ბრძანდებოდა. ტყეში, მიწაში ცხოვრობდა. მისი ვინაობა მხოლოდ ბააგრებმა იცოდნენ, ასევე ჟორდანმა და რაინდებმა, თუმცა ბააგრები მასთან არასოდეს მისულან, რაინდებს გზავნიდნენ მხოლოდ სამკურნალო წამლების გამო. ბებრუხანა ასეთ წამლებსაც ამზადებდა. ჟორდანის დანახვაზე მოხუცმა ხმა ამოიღო: „რა არის, ღორო! ვისი მოკვლა განიზრახე, ხომ გაგაფრთხილე აქ აღარ მოხვიდე, თორემ დედოფალს მოვახსენებ, მის მოსაკლავად საწამლავი რომ მთხოვე! რაზე მოთრეულხარ, ახლა რაღა გინდა?“ ჟორდანის წინ უტეხად იდგა ბებერი ჯადოქარი, გამხდარი, მკვდარი თვალებით, თუმცა ძალიან გაბრაზებული. „ვიცი, ვიცი, რაც მითხარი, არ მოვდიოდი, მაგრამ დედოფალი ხმლებით დაჩეხეს“. წაი-

ლულულა ჟორდანმა. ბებერი გაშრა, დადუმდა, გაახსენდა, როგორ ათამაშებდა პატარაობისას ანნა დედოფალს; თითქოს გული აღარ ჰქონდა, მაგრამ გულის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო. გაახსენდა, მხრებით როგორ ატარებდა დედოფალ ანნას, გამწარდა. ჟორდანს არც აღარაფერი ჰკითხა, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მხოლოდ ის იკითხა: „ვინ მოკლა?!“ თითქოს ძალიან დამწუხრებული იყო ამ ამბით ჟორდანი, მიუგო: „ყინულოვანი ქვეყნიდან მოსულმა ჯარმა მოჰკლა ისიც და მისი შვილებიც“. ბებერი ადგილზე გაქვავდა. თავი ჩაჰქინდრა, მერე უცბად ასწია და გამწარებულმა გაიძვერა ჟორდანს სახეში შეხედა. ჟორდანი შეშინდა, უკან დაინია, ბებრუხანამ იყვირა: „ყველა?!“ გაიძვერამ ხელი ასწია და დაამშვიდა: „არა! არა! ბააგრა გაქცეულია“. ჯადოქარმა ამოისუნთქა, გულზე ხელს იჭერდა „რა სანამლავი გინდა და რისთვის?!“ ზიზლით ჰკითხა მოსულს. ჟორდანი ოდნავ დამშვიდდა და მოახსენა: „ყინულოვანი ქვეყნის ბელადი ჩამოდის, მისთვის მჭირდება, თან ისეთი სანამლავი მინდა, სამ-ხუთ დღეში რომ ბოლო მოუღოს, ისე რომ ვერანაირი ბრძანების გაცემა ვერ მოასწროს, თანაც ეჭვი არავის უნდა შეეპაროს“. ბებრუხანა თვალს არ აშორებდა გაიძვერას. „სანამლავს მოგცემ. მეექვსე დღეს იმოქმედებს. ნებისმიერ ლუკმას პირში ჩაიდებს თუ არა, გადაყლაპვას ვერ მოასწრებს, უმალვე უსულოდ დაეცემა. რაშიც გინდა გაურიე სანამლავი, არც სუნი აქვს და არც ფერი — დაიმახსოვრე ჟორდან! თუ გავიგე, რომ ბააგრების სიკვდილში შენი ხელი ურევია, თავს მოგაჭრი, ხელში დაგაჭრინებ ისე, რომ შენი თავი კაი ხანს ფიქრობდეს და ხედავდეს შენს სიკვდილს, მაგის წამალიც მაქვს“. ჟორდანი ვითომ გაკვირდა: „რეებს ამბობ, მე მხოლოდ ერთხელ ვიფიქრე დედოფალ ანნას სიკვდილი და ისიც იმიტომ, რომ მიყვარდა, ეს შენც კარგად იცი, ახლა სანამლავი მომეცი და წა-

ვალ“. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ უნამუსო ჟორდანი ყველაფერს იკადრებდა. ის ხომ ყველგან ბოროტებას თესავდა. ის ხომ ბოროტმა გაზარდა და ბოროტებამ გახადა ასეთი. ახალგაზრდობაში ჩაფიქრებულმა შურისძიებამ შეჭამა მისი გული. ბებრუხანამ მიანოდა ნაჭერში გახვეული სანამლავი. გარენარმა დამშეული მგელივით სტაცა ხელი, უსიტყვოდ აანთო თავის ჩირაღდანი და გასასვლელისაკენ გავარდა. ხარობდა. ბებრუხანა იმავე ადგილას იდგა თვალცრემლიანი, გაუნძრევლად, თვალწინ დედოფალი ანნა ედგა. ჟორდანიმა გამოქვაბულის კარიც კი არ დახურა — ცხენზე ამხედრდა და სასახლისაკენ გაჰქუსლა, ქარივით მიჰქროდა. იმაზე სწრაფად დაბრუნდა, ვიდრე ფიქრობდა, მაშინვე ცოლთან მივარდა, ჭიჭყინას ეძინა, საწოლზე ჩამოუჯდა და გააღვიძა. ქალი ბურანში იყო, საშინელი ხმა ამოუშვა: „გისმენთ, მეფეო! რას მიბრძანებთ?!“ ლაპარაკისას ენა გარეთ ჰქონდა. ათამაშებდა მეუღლის დასანახად. „მომისმინე, ჩემო დედოფალო“ — ჭიჭყინამ დააყოვნა, ამაყად მოიღერა ყელი და სმენად იქცა: „კარგად მომისმინე, ისე გააკეთე ყველაფერი, როგორც გეტყვი. ჩვენ სამყაროს მეფე-დედოფლობა გველოდება!“ — ახარა ჟორდანი. ჭიჭყინა სიხარულისგან აწყლოპინდა და მოფერება დაუწყო „ძვირფას მეუღლეს“. მკერდზე მიეხუტა, კისერს უკოცნიდა. ქმარმა ყველაფერი უამბო, ისიც უთხრა, რომ გამთენიისას, ბოლთან ერთად, გზას უნდა გასდგომოდა. ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული. ჭიჭყინამ ლენის მონამვლაზე დახმარება აღუთქვა. ჟორდანი ცოლის გამბედაობამ გაახარა, ეცა ჭიჭყინას და მხეცივით სახის ლოკვა დაუწყო. გამთენიისას ჟორდანი გაჰყვა ბოლის დამსჯელ რაზმთან ერთად, ბააგრას დასაჭერად. ჟორდანი მშვიდად იყო, იცოდა, რომ ჭიჭყინა ლენს ოსტატურად მონამლავდა. ის კი იმიტომ გაჰყვა ბოლის, რომ მასზე ეჭვი არავის აეღო. სხვა მხრივ

ჟორდანს არაფერი ანალვლებდა, არც შვილი და ცოლი. ლალატს შეეპყრო, ბოროტი მხოლოდ მეფობაზე ფიქრობდა. „რატომაც არა?!“ ის ხომ უკვე მეფეა.

ამ დროისათვის ვინსენტი და ჩუმი, დანარჩენებთან ერთად, ვინც გადარჩა, მკვდარ ზღვას უახლოვდებოდნენ. ვინსენტი ფეხით მიდიოდა და ფიქრობდა, საით წასულიყვნენ რაინდები და ბააგრა, უნდა ეპოვა ისინი, უნდა ენახა და შემდეგ მკვლევლებზე შური ეძია. ეს მისი სანუკვარი ოცნება იყო. მკვდარ ზღვას მიუხალოვდნენ, ხალხი იქვე დატოვეს ნაპირთან. სხვა გემებზე უკეთესი ერთი გემი იდგა. ვინსენტმა გარემო მოათვალიერა. ერთ-ერთ მეზღვაურს ჰკითხა: ვინ იყო ამ გემის კაპიტანი. კაპიტანი იქვე, დუქანში ქეიფობდა. ვინსენტი და ჩუმი მისკენ გაეშურნენ. ნავსადგურთან ახლოს ერთსართულიანი შენობა იდგა, უზარმაზარი ქვებით აშენებული. შენობა საკმაოდ დიდი იყო. შესასვლელთან მთვრალეები ირეოდნენ. მათ მათხოვარი ბავშვები დასტრიალებდნენ. შესასვლელ კარზე ფიცრებზე ამოტვიფრული იყო შავი ფერით „ოცნების კარიბჭე“. ირგვლივ ოთხასზე მეტი სახლი იდგა. მათში უმეტესობა პორტში მომუშავე ხალხი ცხოვრობდა. პატარა ქალაქსაც და პორტსაც „ოცნების კარიბჭე“ ერქვა. ვინსენტი და ჩუმი დუქანში შევიდნენ. დიდ დარბაზში პატარა მაგიდები ელაგა. დარბაზი ხაშხაშის კვამლში იყო გახვეული, ისმოდა ყვირილის, ჩხუბის, ხარხარის ხმა. გადაჭედილი იყო, ადგილს ვერსად იპოვიდი. მიმტანები დარბოდნენ სინებით და დოქებით. რამდენიმეჯერ ვინსენტსაც და ჩუმსაც წამოედნენ. სიცილით განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. ვინსენტი და ჩუმი გამორჩეულად სიმპათიურები იყვნენ. სახეზე ეტყობოდათ პატიოსნება. დარბაზში მყოფთაგან თითქმის ყველა მეზღვაური იყო. ვინსენტმა ბარისკენ გაიხედა და ჩუმის ხელით ანიშნა, — ბარის მაღალ სკამებზე ჩამოსხდნენ. ბარმენი მიუახლოვდა: „რა გინდათ?!“ უხეშად იკითხა.

მთვრალი იყო, ახალგაზრდა, შავი პერანგით, თავიც შავი თავსაფრით ჰქონდა შეკრული. ვინსენტმა მშვიდად უპასუხა: „რასაც შენ მიირთმევ, ის დაგვისხი, შენთვისაც დაისხი, მე გპატიჟებ“. ბარმენს სახე გაებადრა: „მე ძვირფასს ვსვამ“. ვინსენტმა ბარის მაგიდაზე თითები აათამაშა და გააგრძელა: „ჩვენც ყველაფერი ძვირფასი გვიყვარს“. ბარმენმა გაიკვირვა, მის წინაშე ყმანვილები იყვნენ: „რით გადამიხდით?!“ ვინსენტმა გულის ჯიბიდან ორი ქვა ამოიღო, ერთი, ვარდისფერი, მაგიდაზე დადო. ბრილიანტი აბჭყვიალდა. მეორე, თეთრი, თითებში აათამაშა. ბარმენმა ქვას ხელი სტაცა, კედელთან დანთებულ სანთელთან მიიტანა, დააკვირდა, კბილებით მოსინჯა და გაკვირვებულმა მიუგო: „ამით ყველას გაუმასპინძლდები“. ვინსენტი ბარმენისაკენ გადაიხარა: „ეგ ჯიბეში ჩაიდე“. ბარმენმა ქვა ჯიბისკენ გააქანა, გაკვირვებული სახით შეხედა მოსულთ. „ასე, კარგია, ახლა მე რა მინდა: ნავსადგურში, ერთი კარგი გემი დგას, რამოდენიმე აფრით, მისი კაპიტნის გაცნობა მინდა, ვინ არის, რა კაცია?!“ ბარმენმა ვინსენტს მაშინვე თვალებით ანიშნა მის უკან მაგიდასთან მჯდომ სამ მეზღვაურზე, თან ჭიქებში სასმელი ჩამოუსხა, ჩუმი უსიტყვოდ იჯდა, ვინსენტმა გახედა, ერთ-ერთი მათგანი აღნაგობით, სილამაზითა და ჩაცმულობით გამოირჩეოდა, სერიოზული გამომეტყველებაც ჰქონდა. ვინსენტი კვლავ ბარმენისკენ შეტრიალდა, მისგან საუბრის გაგრძელებას ელოდა, ეს უკანასკნელი ვითომ მაგიდას წმენდდა, საუბარი გაუგრძელა, ისე, რომ ვინმეს ყურადღება არ მიექცია. „აქაური არაა, არ ვიცი საიდან ჩამოვიდა, არ ვიცნობ მის ქვეყანას. წმინდა მიწაზე ხალხი გადაჰყავს და საქონელი გადააქვს, მაშინვე უკან ბრუნდება, ესაა მისი საქმიანობა, ამით არსებობს. ყველაზე სწრაფი მისი გემია. უცნაური სახელი აქვს „კაპიტანი ნინო“. ისიც და მისი მთელი ამაღა ერთი ქვეყნიდან არიან. თუ საჭირო გახდა ადამიანს

თავს წააცლიან, ქათამივით“. ვინსენტმა მეორე ქვაც მაგიდაზე დადო და თითოთ ბარმენს მიუწია. ბარმენს ძალიან გაუკვირდა, ქვას დახედა, მერე ვინსენტს შეხედა, ვინსენტმა უთხრა: „ის ქვა გულის ჯიბეში რომ გაქვს, საჩუქარია, ამით ვიქეიფოთ, კაპიტანს მთავარი ყველაფერი საუკეთესო ორმაგად, შენ თვითონ ერთი-ორი სიტყვა ჩემზე ჩამოუგდე“. ბარმენი საქმეს სიხარულით შეუდგა. ყველაფერი მოამზადა კაპიტანის მაგიდისათვის, მიუხალოვდა მაგიდას და მისართმევი მაგიდაზე დაალაგა. კაპიტანი მთვრალი იყო „ეს რა არის?!“. „ეს იმ ვაჟკაცებმა მოგართვეს“. — მიუგო ბარმენმა. ნინომ ბარისკენ გაიხედა, ვინსენტი და ჩუმი ზურგით იდგნენ. კაპიტანმა ბარმენს მხარში ხელით ჩაავლო, თავისკენ მოქაჩა: „ვინ არიან?!“ „ღირსეულები“ — კაპიტანმა ხელი ჰკრა ბარმენს: „აქეთ დაუძახე — უთხარი ნინო ეძახის“. ამ სიტყვებით მიუბრუნდა თავის ხალხს: „ღლაპები ჩანან, რა დროს მაგათი ღირსებაა“. — ხელში ჭიქა აიღო, მალლა ასწია, მასთან მდგომ მეზღვაურებს მიუჭახუნა და სადღეგრძელო წარმოთქვა: „ღირსეულებს გაუმარჯოს“. ჩუმი ბართან დარჩა. არც ერთი არ სვამდა. შემოტრიალდა, ვინსენტს თვალი მიადევნა, ხელით ილღიის ქვეშ დამალული დანა მოსინჯა, ბარმენმა ჩუმის ჰკითხა, რაიმე ხომ არ უნდოდა. ჩუმიმ არც შეხედა, ისე ასწია ხელი და უპასუხა: „დანყნარდი“. — ბარმენი შიშმა შეიპყრო, ჩუმის თავი აარიდა, ვინსენტი კაპიტანის მაგიდასთან ფეხზე იდგა. იქ მყოფთაგან ყველა მას უყურებდა, კაპიტანი ძალიან მთვრალი იყო: „ვინ ხარ, პატარავ?!“ ვინსენტი არ დაიბნა: „ვინსენტი ვარ, დიდო კაპიტანო“. კაპიტანს გაეცინა, სკამი გამოსწია, ანიშნა დამჯდარიყო: „კარგი პასუხია, პატარავ!“ ვინსენტი ჩამოჯდა, კაპიტანმა დიდი სასმისი ღვინით შეავსო და მის წინ დადგა, თან დააყოლა, ისე რომ მზერას არ ამორებდა: „ახლა რაღას იტყვი, დაგრჩა სათქმელი?!“ მერე მეზღვაურებს გადახედა, მაგიდას ხელი დაარტყა და

იყვირა: „აბა, ვნახოთ, პატარა რას იტყვის“. ვინსენტი ფეხზე წამოდგა, სასმისი ხელში აიღო, მაგიდებს გადახედა — ყველა მას უყურებდა, ჭიქა ასწია და თქვა: „იმ დიდებს გაუმარჯოს, ვინც ოდესღაც პატარა იყო!“ სასმისი გამოსცალა და დაჯდა. საჭმელს შეექცა, ისე, რომ კაპიტნისთვის არც შეუხედავს. კაპიტანი კი ვინსენტს უყურებდა. თავის ყმანვილკაცობა გაახსენდა. სადღეგრძელო ესიამოვნა. ჭიქა ისევ შეუვსო „ორი ფეხით მოხვედი და მეორეც დალიე“. ახალგაზრდამ სასმისი აიღო, მიუჭახუნა კაპიტანს: „გაგიმარჯოთ! კაპიტანო ნინო!“ წარმოთქვა და ის სასმისიც ბოლომდე შესვა. კაპიტანს ძალიან ესიამოვნა: „ახალგაზრდა ხარ და შენს თვალებში შურისძიება გამოჩნდა! მითხარი, რა გინდა?!“ ვინსენტი საჭმელს შეექცეოდა, თავი კაპიტნისკენ მიატრიალა: „ოცამდე ადამიანი, წმინდა მიწაზე უნდა გადავიდეს“ — კაპიტანი გამოფხიზლდა. ვინსენტს თავი ააწვეინა: „ბააგრების სახელმწიფოდან მორბიხარ?!“ ახალგაზრდამ ტუჩები მოიწმინდა, კაპიტანს დააკვირდა, მაგიდასთან მჯდომ ორ მეზღვაურს გადახედა, სამივე პასუხს უცდიდა, ვინსენტი დაიბნა, კაპიტანს მოსულის დუმილმა უამბო ყველაფერი და დარბაზის კედლისკენ მიანიშნა. მაგიდასთან ოთხი მეზღვაური იჯდა. ეტყობოდათ, რომ ცივისსხლიანები იყვნენ, ვინსენტს მიუგო: „ზღვას რომ გახედავ გემი მოჩანს, ის მეკობრეების გემია, ვილაცას ელოდებიან, ესენი კი აქ რომ სხედან ორი დღეა ბააგრების ქვეყნიდან მოსულ ხალხს კითხულობენ“. აქ ყველამ იცის, რა მოხდა ბააგრებთან, ცოფიანები რომ დაესხნენ თავს“. ვინსენტი კაპიტანს უყურებდა, კაპიტანი თხრობას აგრძელებდა: — „მკვდარი ზღვა კი, გეცოდინება, რაც არის“. ვინსენტმა კაპიტანს შეაწყვეტინა: „კაპიტანო! გემი რაც ღირს, იმის საფასურს ვიხდი“. კაპიტანი დაფიქრდა, მის გვერდით მსხდომთ დააკვირდა, მერე ისევ ვინსენტს შეხედა: „შენ მოდიხარ?!“ „არა!“ იყო პასუხი. „სანამ გათენდება შენი ხალხი გემზე მოიყვა-

ნე, მე გემზე დაგელოდებით!“ უთხრა ნინომ. მათი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, ვინსენტი ძალიან დათვრა, ჩუმიმ მხარზე გადაკიდებული მიიყვანა თავის ხალხთან.

მენიმ და ბააგრამ მოსასვენებლად კარგი ადგილი შეარჩიეს. ჭაობს კარგა მანძილით დაშორდნენ. მენის ჭრილობა გაუმიზეზდა. პრინცესას თითები დაუსივდა, ტკივილი ანუხებდა. რაინდის წამალი ჭაობმა გააფუჭა, ცეცხლის დასანთებიც არ ჰქონდათ — ბააგრას შეაცივა.

რაინდი სონი ამ დროს უღრან ტყეში, მთის შუა გულში გამოქვაბულში იწვა. სამი ფოცხვერი თავს დასტრიალებდა. ოთხი პატარა ბოკვერი ხელებს ულოკავდნენ. სონი გაკვირვებული ათვალეირებდა თავის ჭრილობას.

ამ დროისათვის ყინულოვანი ქვეყნის ბელადი გზას ადგა, ბააგრების ქვეყნისაკენ. მისი ფიქრი მხოლოდ ერთს ეხებოდა, ჟორდანი მოეკლა, ლენი ძალიან განიცდიდა მეგობარი დერჟის სიკვდილს.

რაინდ მენის მხარზე ჭრილობა ძალიან გაუმიზეზდა. ბააგრას თითები ნელ-ნელა უცხრებოდა, მაგრამ გაციებული იყო. გზადაგზა ტყის ვაშლს კრეფდა, თხილს და მსხალს აგროვებდა, ამით იკვებებოდნენ. მენი ხედავდა, რომ ძალა ეცლებოდა და შიში ეძალებოდა, პრინცესას გამო. იგი ყველა შესვენებისას გოგონას ესაუბრებოდა, თან დანის ხმარებას და სროლას ასწავლიდა. რაინდი უძლურდებოდა, ერთ დღეს, დასვენებისას ბააგრა ხილის შესაგროვებლად წავიდა, მენი უზარმაზარ ქვასთან იყო წამოწოლილი. გარშემო უღრანი ტყე იყო, შიშმა სძლია რაინდი. მოახლოებულ სიკვდილს გრძნობდა. აშინებდა და ადარდებდა ბააგრას ბედი, რა ეფიქრა, ან რა ექნა, არ იცოდა, გული ეწურებოდა. გოგონა ხილით დაბრუნდა. პერანგი აევსო, ხელებით ძლივს იჭერდა. მენის მიუახლოვდა, თვალეებში ჩახედა, რაინდს გული მისდიოდა. ბააგრამ პერანგს ხელი უშვა, მენის მივარდა, მუხლებზე დაუდგა, შუბლზე მოეფერა.

„რა მოგივიდა, მენ! ნუ მაშინებ“. მენიმ ჩაახველა, პირიდან სისხლმა იფეთქა, ძლივს წაილულლულა: „შენი შიში არ შეიძლება, პატარავ!“ ხველა გაუძლიერდა, ისევ სისხლი მოჰყვებოდა. ბააგრა ატირდა, თან ნაჭრით სისხლს სწმენდდა ერთგულ და უსაყვარლეს რაინდს. მენიმ კვლავ ძლივსძლივობით დაამშვიდა პრინცესა: „არ იტირო, შენ ჩემი პატარა დედოფალი ხარ“. ბააგრა შეშინდა. ამ დროს სირბილის ხმა შემოესმა. მენი ხმაურს დააკვირდა, ბააგრაც გაირინდა, ხმა უახლოვდებოდათ, მენის თითქოს ძალა დაუბრუნდა, პირზე ხელი მოისვა, ორი ხმალი ხელში აიღო და ფეხზე წამოდგა, ბრძოლისთვის მოემზადა. ცოფიანი მეომრები იყვნენ — ერთ-ერთი დიდ ქვას გადმოახტა. მენი ცოფიანისკენ შეტრიალდა. ბააგრა მიწაზე დაანვინა, თვითონაც დაწვა, რამდენიმეჯერ გადატრიალდა და ხმალი ცოფიან მეომარს ფეხებზე გადაჰკრა. მეომარი ბლავილით დაეცა. მენიმ მაშინვე გულში აძგერა ხმალი, ფეხზე წამოხტა, მეორე მეომარიც გამოჩნდა. მან მენის ხმალი გაჰკრა, რაინდს ფეხის წვივი გადაუტეხა. მენი სიმწრით ისევ წამოხტა, ცოფიანის ზურგს უკან აღმოჩნდა მეომარმა იგრძნო, რომ რაინდი მის უკან, ხმლით, იდგა. დაიბნა, შეეცადა მოტრიალებულიყო, მენიმ მუცელში აძგერა ხმალი, ცოფიანი უსულოდ დაეცა. ახლა მენიმ ზურგზე იგრძნო ხმალი, მუხლებზე დაეცა, ერთი ფეხი აღარ უვარგოდა, თავს ცალ ფეხზე იმაგრებდა, ხმალიც მიწაში ჩაერჭო, მენის უკნიდან ხმა მოესმა, კმაყოფილი, ამაყი ხმა: „რა არის, რაინდო! ბოლომდე დგახარ, დაცემას ვერ იტან?!“ ცოფიანმა მეომარმა მენის წინიდან მოუარა, რაინდი სისხლისგან იცლებოდა, თავანუელი ცოფიანს უყურებდა „შენ წააგე, რაინდო!“ განავრძობდა ცოფიანი. მენი ხმას არ იღებდა, მზერას არ აშორებდა მტერს, პირიდან სისხლს ასხამდა. ფეხი, გადამსხვრეოდა, ზურგზეც სისხლი მოსჩქეფოდა. სისხლის ზღვაში იძირებოდა რაინდი. ხმაური გაისმა, ცოფიანი შეტ-

რიალდა და ადგილზე გაიყინა. მის წინაშე ამოთხვრილი, გამწარებული, ხმალმომარჯვებული გოგონა მოვარდა, ცოფიანი ბააგრას დააკვირდა, პრინცესას ხმალი ორივე ხელით მალლა ეჭირა. ცოფიანმა ხმალი მოუქნია, გოგონას ხმალი გაუვარდა და თვითონაც გვერდზე გადავარდა. მინაზე სახით დაეცა. უმალ წამოხტა, ამ დროს მენი ზურგზე დაეცა, ველარ იძვროდა, მხოლოდ უყურებდა ორთაბრძოლას, მთელი სხეული გაუშეშდა, ცოფიანი ბააგრას უყურებდა და იცინოდა, გვერდზეც გადააფურთხა. პრინცესა ამაყად უყურებდა მტერს. უკნიდან დანა ამოიღო, მაგრად ჩასჭიდა ხელი და ცოფიანს მიუგო: „უყურე! კაცები როგორ კვდებიან!“ ცოფიანი ბააგრას გაოცებული მიშტერებოდა, ადამიანის სახე დაუბრუნდა: „არ გეგონოს, დაგინდო!“ გააფრთხილა ბააგრამ ცოფიანი, მისკენ წავიდა. ცოფიანი არც განძრეულა, გაკვირვებული უყურებდა, მიახლოებისას მკერდში წიხლი ჩაარტყა, ბააგრა უკან გადავარდა, რამდენიმეჯერ ამოტრიალდა, ისევ წამოხტა, ტუჩები დაუსკდა, ცხვირიდანაც სისხლი სდიოდა. ცოფიანს დაემუქრა „მოგკლავ“, ისევ მისკენ გაიქცა დანით ხელში. ცოფიანმა დაიჭირა გოგონა, დანა წაართვა, ქეჩოში სწვდა, მალლა ასწია და სახე სახესთან მიუტანა, დააკვირდა ბააგრას თვალებს, დაუღრინა — ბააგრამ ასევე უპასუხა, მკერდში მუხლი ჩაარტყა. პრინცესას საქციელს ცოფიანი ჭაობშიც აკვირდებოდა, ამიტომ ახლა ძალიან არაფერი გაჰკვირვებია. გოგონა მოისროლა, როგორც ფოთოლი. პრინცესა ხეს მიეხეთქა, შუბლი გადაუტყავდა, მინაზე დაეცა. ცოფიანი მენისკენ მიტრიალდა, რაინდს ორივე ხელით ხმალი ეჭირა. მალლა აენია და მკერდში უნდოდა ჩაერჭო. არაბუნებრივი ყვირილის ხმა გაისმა, ცოფიანმა თავი მოატრიალა, მისკენ ბააგრა მოჰქროდა ქვით ხელში, სახე სისხლით ჰქონდა მოთხრვილი, ცოფიანი გაოგნდა, ხმალი ქარქაშში ჩააგო, ხელები წელზე შემოიწყო, პრინცესას მო-

ახლოებას დაელოდა. გოგონა მიუახლოვდა, ქვა ესროლა. ცოფიანი გაუნძრევლად იდგა, მენი ყოველივეს ხედავდა, მაგრამ ვერ ინძრეოდა. ცოფიანს ქვა მკერდში მოხვდა, ბააგრა შეჩერდა პასუხი ვერ მიიღო, ისევ აილო ქვა, მალლა ასწია, ცოფიანს სიცილი წასკდა. ბააგრა გაჩერდა, დააკვირდა, ხელი დასწია, ქვა დააგდო, ბააგრა მენის მიუახლოვდა, მის წინ დადგა, ორივე ხელით სახეზე სისხლი მოინმინდა. ცოფიანმა სიცილი შეწყვიტა, პრინცესას დააკვირდა. გოგონა რაინდის წინაშე მუხლებზე დადგა, გაუღიმა, მკერდზე თავი დაადო და წასჩურჩულა: „მე არ მეშინია, მენი“. მოეხვია რაინდს, ცოფიანი გაშრა, გაოგნდა, იმის მაგივრად, რომ გოგონა სიკდვილს გაქცეოდა, ჩაეხუტა მას. უცებ აზრზე მოვიდა, ბააგრას ქეჩოში წვდა, წამოაყენა: „მიდი, იქით გაიწიე, ცოტა შორს — რაინდს რალაც მინდა ვუთხრა!“ ხელი ჰკრა პრინცესას. ბააგრა ისევ წამოინია, თითით შეაჩერა. ცოფიანმა თავი დაუქნია და უთხრა: „რაინდს არაფერს ვუზამ, გაიწიე!“. ბააგრამ იგრძნო, რომ ცოფიანი მენის მართლა არაფერს დაუშავებდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაინია. ცოფიანს თვალს არ აშორებდა ასეთი, სიმამაცე არასოდეს უნახავს ცოფიანს მენისკენ შეტრიალდა. ცალ მუხლზე დადგა, კარგა ხანს ესაუბრა რაინდს, ყველაფერი უამბო, ისიც უთხრა პრინცესას რას უპირებდნენ. მერე ფეხზე წამოდგა, მენის დააკვირდა, შემოტრიალდა, ბააგრას დაუღრინა, მერე გაუღიმა და ტყეში გაუჩინარდა. ბააგრა მენის მივარდა, გვერდით ჩამოუჯდა, ტუჩებიდან სისხლი მოსწმინდა. მენი თვალს არ აშორებდა პატარა პრინცესას, ფიქრობდა ეთქვა თუ არა, რაც ცოფიანმა უამბო. ბააგრას შუბლი და ცხვირი გადატყაული ჰქონდა. ტუჩები დახეთქილი, სისხლი სდიოდა. მენი ვერ ინძრეოდა. „მენ! მითხარი, რა გითხრა ცოფიანმა?!“ ჰკითხა. მენი გაოგნებული უყურებდა გოგონას. დიდი ძალისხმევით დაიწყო: „კარგად მომისმინე! დაივინყე წმინდა

მინა, ცოფიანები საიდანაც გამოჩნდნენ, იმ გზაზე არავინ იქნება. ნახვალ, მთებში ახვალ, აქედან შორს“. ბააგრა განერვიულდა, მენის საუბარი შეანწყვეტინა: „რას მეუბნები, ნუ მაშინებ, მენი!“ „მაცადე, მათქმევინე ყველაფერი, შენი სახელი დაივინყე, რაიმე მოიფიქრე, რომ არ დაგავინყდეს, მალე ზამთარი დადგება, ზამთრისთვის ადგილი იპოვე, წმინდა მინა არავისთან ახსენო, არავის ენდო“. მენი შეჩერდა. ბააგრამ რაინდის ხელი გულში ჩაიკრა, აცრემლებულმა მიუგო: „უშენოდ არსად წავალ, ნუ მაშინებ, გთხოვ, მენი!“ რაინდი ცდილობდა ბააგრა დაერიგებინა და გაემხნევებინა. „ნუ სტირი პატარავ, შენი ჩემი სიკვდილი ორჯერ მოკალი — ახლა კი შენ სიკვდილი უნდა მოკლა“. რაინდმა თითქმის ყველაფერი თქვა, გული მისდიოდა. „მიდი, პატარავ, წყალი მომიტანე“. თან გაულიმა. პრინცესას გულზე მოეშვა, წამოხტა, წყაროსკენ გაიქცა. მენის თვალები ეხუჭებოდა, ბააგრაზე ფიქრი ასულდგმულელებდა. პრინცესა არ უნდა დაბნეულიყო. პირიდან სისხლმა იფეთქა. რაინდმა თვალები დახუჭა, თავი გვერდზე მიატრიალა და სუნთქვა შეწყვიტა. ბააგრას ორივე პეშვით წყალი მოჰქონდა ნელ-ნელა, რომ არ დაღვროდა. მენის გამოჯანმრთელებაზე ფიქრობდა, მიუახლოვდა: „აი, მენ! წყალი მოგიტანე“. მუხლებით დაიჩოქა მენის თავთან. პასუხი ვერ მიიღო, რაინდის დახუჭულ თვალებს დააკვირდა, პირიდან გადმოსულ სისხლს, ხელები აუკანკალდა. „მენ! წყალი მოგიტანე!“ ისევ უპასუხოდა. ხელები გაშალა, წყალი დაიღვარა, პირის მონმენდას შეუდგა, თმები გაუსწორა, შუბლზე ნაზად აკოცა, სისხლს გაოგნებული სწმენდდა, დასიებული თითებით. გადახვეული ნაჭრები ფრჩხილებზე მიწებებოდა. უსიტყვოდ, ორი დანა აიღო და მინის თხრას შეუდგა. გაუჩერებლივ თხრიდა. მინაც კი მოზომა რაინდის სამყოფი. ღამდებოდა, საფლავის ამოთხრას თავი ანება. ერთ-ერთ ცოფიანს ხელი ფეხებში წაავლო, წვალეებით გაათრია მე-

ნისგან შორს და დაღმართზე ჩააგორა, ასევე მოექცა დარჩენილს. დაღამდა. ბააგრა მენის მიუახლოვდა, ხელები მოხვია, ძლიერ ჩაეხუტა, ეცადა ჩასძინებოდა. ტყის ხმები, მკვდარი სიჩუმე, დროდადრო ჟრუანტელს ჰგვრიდა. მენის თავი დაადო, თვალები დახუჭა. ცდილობდა, ჩუმად ესუნთქა, რომ ხმაურზე რაიმე პირუტყვი არ წამოსდგომოდა. მენის მთელი ძალით ჩაეკრა მკერდში.

შუალამისთვის ვინსენტი გამოფხიზლდა, ამდენი სასმელი პირველად დალია, მიწაზე წამოჯდა, სახეზე ხელები აიფარა, თავი უსკდებოდა, ხალხი შემოეხვია. ჩუმი მის გვერდით იჯდა. ერთ-ერთმა დაიწყო: „რას გვეტყვი, ვინსენტი?“ სახეს ხელები უშვა. ხალხი მოათვალიერა, ამოისუნთქა და უპასუხა: „კარგია, კოცონი, რომ არ დაანთეთ, ყველაზე კარგი გემი, რომელიც პორტში დგას, თქვენ გელოდებათ, მის კაპიტანს მოველაპარაკე, სანამ გათენდება ყველანი მალულად გემზე უნდა ახვიდეთ!“ ჩუმის დედამ საუბარი შეაწყვეტინა: „შვილო! ვინ არის ის კაპიტანი, შუა ზღვაში არ გადაგვყაროს, მკვდრების საძიძგნად“. ვინსენტმა საფეთქლები მოისრისა, ფეხზე წამოდგა და საუბარი გააგრძელა. „მოლალატე კაცი არ ჩანს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სხვა გზა არ გვაქვს. ზღვაში მეკობრეები დგანან, რაღაცას ელოდებიან. მე ვფიქრობ, ჩვენ ან თუ არის კიდევ სადმე ჩვენიანი. ასე რომ აქ გაჩერება იმაზე სახიფათოა, ვიდრე გემით ზღვაში გასვლა. ძვირფასეულობა ყველამ გაიყავით, ტომარა რომ არ ათრიოთ. კაპიტანისთვის მისაცემს მე თვითონ ავიღებ. პატარა ბააგრა მადარდებს, ჩვენი პრინცესა“. პორტში წასასვლელად მოემზადნენ, გამთენიისას მიადგნენ, „კაპიტან ნინოს“ გემბანზე ყველა უსაფრთხოდ ავიდა, ვინსენტმა კაპიტანს ძვირფასი ქვებით სავსე მოზრდილი ქისა მიაწოდა. კაპიტანმა რამდენიმე ქვა ხელისგულზე დაიყარა, დააკვირდა, მერე ისევ უკან ჩააბრუნა. ქისა წელზე დაიმაგრა და ვინსენტს მიუბრუნ-

და: „ცუდი არც გაივლო, ეს ხალხი ორ-სამ დღეში წმინდა მინაზე იქნება“. ვინსენტი ზღვას გაჰყურებდა, პასუხი ისე გასცა კაპიტანს: „მე, ვიცი, პატარა ვარ, მაგრამ კაცებმა გამზარდეს და დიდებს ვცნობ, კაპიტანო ნინო!“ ვინსენტი ზღვას თვალს არ ამორებდა. კაპიტანს გაეცინა, მხარზე ხელი დაადო: „ეს ცხოვრება ისეთია, პატარავ, რომ გინდა თუ არა, ტყუილის თქმა გინევს. ტყუილი კი ჭაობია, რაც უფრო ღრმად შეხვალ იქიდან გამოსვლა თითქმის შეუძლებელია. საშველი მხოლოდ ერთია — დიდებს არ უნდა დაავინწყდეთ, რომ პატარები იყვნენ. პატარებს კი, — დიდები რომ გახდებიან“. ვინსენტმა გაიღიმა, შემოტრიალდა, კაპიტანს თვალეში ჩახედა და მიუგო: „კაპიტანო! მე ორჯერ უკვე ცუდი გავაკეთე“. კაპიტანი ვინსენტს დააკვირდა, „შეიძლება ცუდს აკეთებდე, მაგრამ ცუდი არ იყო, ვინსენტი! ვისაც კარგს ეძახიან, ისინი ყველანი კარგები არიან?! ეცადე ცუდი არ გახდე. რომც გავიგო შენზე ცუდი, მე ვიტყვი, რომ ამ ცუდს ცუდი მეუბნება“. კაპიტანმა ვინსენტი გულში ჩაიკრა და საუბარი გააგრძელა: „ეს ქვები ძალიან ძვირფასია, ნახევარს დაგიბრუნებ, ჩემი ბიჭებისათვის ნახევარიც ბევრია“. ვინსენტი უკან დაინია „არა, კაპიტანო! სიტყვა-სიტყვა, საქმე კიდევ — საქმე. მე ისეთ გზაზე ვდგავარ, რომ ეს ქვები ჩემთვის გასაჭირი არ იქნება“. „როგორც იტყვი, ერთი მინდა გკითხო“, „მკითხეთ, კაპიტანო!“ შეაჩერა ვინსენტმა. „დედოფალი და მისი ვაჟები კედლიდან შენ ჩამოხსენი?!“ „დიახ, მე ჩამოვხსენი და სამივე მინას მივაბარე“. კაპიტანს გული აუჩუყდა, შენუხდა, არ იცოდა, რა ეთქვა — „ახლავე მოვალ“ თქვა და თავის კაიუტისაკენ გაეშურა, უკან მალევე დაბრუნდა, ხელში პატარა მშვილდი ეჭირა ისრით. „ასეთი ორ ადამიანს გვაქვს ამ ქვეყანაზე: ერთი მე და მეორე ვინც გამოიგონა. უყურე ორ პატარა ისარს, ისვრის ერთდროულად, ოც ნაბიჯში ხვრეტს ადამიანს, აგერ კიდევ ორმოცდაათი ისარი, გამო-

გადგება — აილე!“ ვინსენტმა გამოართვა, დაათვალიერა, ასეთი მანამდე არაფერი ენახა. ორი ისარი დაჭიმა და კაპიტანს მიუბრუნდა: „შეიძლება, გავსინჯო კაპიტანო?!“ თანხმობა მიიღო: ხუთი, შვიდი ნაბიჯით გაიწია უკან, დაუმიზნა და გაისროლა. აფრების ბოძს მიუახლოვდა და გაკვირვებით ჩაილაპარაკა, თან ისრების ბოლოებს თითებით შეეხო, „ეს რა არის?!“ ისრები ბოძში ბოლომდე ჩაჭედდითყო. კაპიტანს გაეცინა.

მთებიდან მზე ამოდიოდა. ბააგრას ფხიზლად ეძინა. ჩიტების ჭიკჭიკმა გამოაფხიზლა. მენის შეხედა, ლოყაზე აკოცა, შუბლზე მოეფერა და წყაროსკენ წავიდა. სისხლი მოინმინდა, თითებიდან მიწებებული ნაჭრების მოხსნას შეეცადა, ვერ შესძლო, თავი დაანება, დაბრუნდა და საფლავის გათხრა განაგრძო.

ცოფიანთა მხედართმთავარი ლენი ბააგრების ქალაქის კედელს მიადგა. გაცოფებული ჩანდა, გზაში თავის მეომრებს შეხვდა, დერჟს მიასვენებდნენ. ამან გააცოფა სულმთლად. ჭიჭყინა მალლიდან უყურებდა, როგორ უახლოვდებოდა ლენი ქალაქს. ქალი თავისთვის ფიქრობდა, „შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია, მე ვარ შენი სიკვდილი, გამოდის, რომ ბელადი მე ვარ“. — ლენი კედელს აკვირდებოდა, დაინახა, რომ ზემოდან ქალი იდგა, რაც უფრო უახლოვდებოდა კედელს, მით უფრო წყნარდებოდა და ფიქრობდა: „ვინ არის ეს ქალი?!“ — თვალს ვერ ამორებდა — ლენი ხაფანგში იყო.

ბოლი და ჟორდანი თავიანთი ასეულით ნოზასა და მის რაზმის კვალზე იდგნენ. ნოზა ტყეში დარბოდა გამწარებული. იმ ცოფიანმა, რომელმაც რაინდი დაინდო, პრინცესასთან ერთად, ნოზას აცნობა, რომ იმ მხარეს არავინ იყო. მინდვრამდე შეამონმა გარემო. ორი ცოფიანიც უკვალოდ გაქრა. ნოზამ ცოფიანს დაუჯერა.

ბააგრა დროებით უსაფრთხოდ იყო.

ვინსენტი და ჩუმი ცხენზე ამხედრებულნი შორი-დან უყურებდნენ კაპიტან ნინოს გემს, როგორ შლიდნენ მეზღაურები აფრებს, გემი ნელ-ნელა შორდებოდა ნაპირს.

წმინდა მიწის რაინდი შონი და მისი მეგობარი „შავი ალ-მასი“ გლახის სამოსელში გამონყობილნი „ოცნების კარიბჭის“ დუქანში ისხდნენ და უსმენდნენ, ხალხი რას საუბრობდა; ცდილობდნენ ბააგრას ქვეყანაზე და პატარა პრინცესაზე რაიმე გაეგოთ.

მთელი დღედაღამე თხრიდა ბააგრა მენისთვის საფლავს. მეორე დღეს, შუადღისას, საფლავი მზად იყო. ფრთხილად ჩაასვენა პრინცესამ რაინდი საფლავში. ხმალი მკერდზე დაადო. სახეზე ნაჭერი გადააფარა, შემდეგ ფრთხილად ამოავსო საფლავი მიწით. ცოტა ხნით ჩამოჯდა. მიწას მოეფერა, ფეხზე წამოდგა ხელები პერანგზე შეინმინდა, დაიფერთხა, მენის ნაჩუქარი ქამარი მოიხსნა, პერანგის ქვეშ, წელზე დაიმაგრა. ერთი დანა მუცელზე დაიმაგრა, მეორე ზურგს უკან ქამარზე, პერანგი შეისწორა.

ტკივილით გათანგული პრინცესა მყარად და ძლიერად იდგა ერთგული რაინდის საფლავთან. სიკვდილის უკვე აღარ ეშინოდა, ახლა სიკვდილი და სიცოცხლე მისთვის ერთი გამხდარიყო. მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობდა, პატარა პრინცესა, თვალს არ აშორებდა რაინდის საფლავს.

* * *

ტყე-ლრეში თითქმის ორი კვირა დაეხეტებოდა მარტოდ დარჩენილი ბააგრა. ბოლოს თითქოს გზას მიაგნო. ბილიკს გაუყვა, ცდილობდა დასახლებამდე მიეღწია. დაღლილობისგან და ტკივილისგან გოგონას შიში გაქრობოდა. ვერც შიმშილს გრძნობდა. გზადაგზა ტყის კენკრით და ხილით იოკებდა სურვილს. რამდენი დღე გაატარა ასე, ხელები კვლავ შეხვეული ჰქონდა, ჭუჭყით გაჟღენთილი ჩვრები ჭრილობებს მიწეპებოდა, დაკანრული, დაფლეთილი პრინცესა, ისე მიბაჯბაჯებდა, რომ დაგენახა გაგეცინებოდა.

დაჭრილი არწივი ცდილობდა მიწას აშორებოდა, წვალობდა, არ ნებდებოდა, სიმაღლეს მიეღტვოდა, შემოდგომის პირი იყო, თითქოს სიმწვანე და სიყვითლე ტყეში ერთმანეთს შეჯიბრებოდა.

პატარა პრინცესას მენისთან საუბარი გაახსენდა, სიკვდილის წინ. გული აუჩქროლდა. ახლა ნამდვილად იგრძნო, რომ დედა და ძმები ცოცხლები აღარ იყვნენ. თვალები ცრემლებმა დაუნამა, თავს ძალას ატანდა, თითქოს თვით ტკივილმა შეიბრალა, საშინელი მარტოობა იგრძნო. ამ დროს გზის, მოპირდაპირე მხარეს, ცხენზე ამხედრებული მეომრები გამოჩნდნენ. უკან ფეხით მოჰყვებოდნენ დაღლილი თანამებრძოლები. ეს ნოზა იყო, გადარჩენილ ცოფიან მეომრებთან ერთად. ისინი გზად რამდენიმე გადარჩენილ დევნილ მცხოვრებთ შეეყარნენ, ყველაფერთან ერთად ცხენები წაართვეს და ახლა ამ ცხენებით აგრძელებდნენ ძებნას. დაღლილები და უიმედონი ეძებდნენ პატარა პრინცესას კვალს.

ნოზა მეტად შენუხებული იყო, რა ეთქვა, ქალაქში ბააგრას გარეშე დაბრუნებულს. სიმწრისაგან კბილებს აღრჭიალებდა, უეცრად რამდენიმე ცხენი შეჩერდა. ერთ-ერთმა მეომარმა უკან შეჩერებულ მხედრებს გახედა. ნოზას გაუკვირდა და ჰკითხა: „რატომ შეჩერდით, რა ხდება?“ ყველა დუმდა, მეომარმა ცხენი შეაჩერა, დანარჩენები სვლას აგრძელებდნენ. მხედარმა მზერა გააყოლა შეჩერებულთა თვალებს, გზის მარჯვენა მხარეს ოც ნაბიჯში ჭუჭყში ამოსვრილი ბავშვი იდგა. ეს ბააგრა იყო. თითქოს ყველა გაშედა, საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ფოთლების შრიალი და ცხენების ფრუტუნის ისმოდა. ცოფიანები და ნოზა ბააგრას მიშტერებოდნენ. მეომრები თითქოს დამშვიდდნენ, დაღლილობისაგან ამოისუნთქეს, ბევრ მათგანს არც ადარდებდა გოგონას ბედი. პრინცესა თითქოს მიწას მიენება. თვალები გაუშტერდა, დაიბნა.

ერთ ადგილზე გაქვავდა. ერთ-ერთმა მეომარმა დაიყვირა: „ეს არის, ვისაც ვეძებთ?“ ნოზას გაელიმა, თავისთვის ჩაიბუტბუტა: „ესეც ასე! მეომრებო“. მის გვერდით მდგომი მეომარი ნელი ნაბიჯით გაემართა ბავშვისაკენ, თითქმის მიეახლა. ბააგრას თითქოს ხელი ჰკრესო. ჯერ მინაზე დაეცა, უმაღვე წამოხტა და ტყისაკენ გაიქცა. მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტი ამოძრავებდა. ვერაფერს ფიქრობდა. გოგონას მეომარი მიუახლოვდა. ცხენი შეაჩერა, ნოზას გამოხედა, გაილიმა, ბააგრას დანახვაზე საზიზღარ ნოზას სიცილი აუტყდა. დანარჩენებსაც გადაედოთ. ყველა კმაყოფილი სეირს უყურებდა. მეომარი ხედავდა ნოზას, ისიც იცინოდა, თან პრინცესას აკვირდებოდა მონადირესავით თითქოს მიუშვა, როგორც ნადირი, თვითონ კი დასაჭერად ემზადებოდა. კვალდაკვალ მიჰყვა გოგონას. პრინცესა ეცემოდა, ისევ წამოდგებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა. არ ნებდებოდა, უკნიდან ყვირილ-სიცილის ხმა ესმოდა. ეს ნოზა ყვიროდა: „დაიჭირე, ეგ კურდღელი!“ მეომრები აჰყვნენ „დაიჭირე! დაიჭირე — კურდღელი!“ გოგონა სირბილს უმატებდა, მდედარმა მხედარმაც ცხენს აუჩქარა. შეძახილები არ წყდებოდა, მხედარი დაენია ბააგრას, ზემოდან დაჰყურებდა, შემდეგ ნოზასკენ გაიხედა, უცებ გოგონას ქეროში ხელი წაავლო, ცხენისკენ მიიზიდა, ბააგრამ წინააღმდეგობა გაუწია „ნუ გეშინია! ეს მე ვარ!“ უთხრა მეომარმა, თან ტყისკენ იყურებოდა, თითქოს გზას ეძებდა, გოგონამ მეომარს ახედა, დაბნეულობისაგან ვერ იცნო, მხედარმა პრინცესა ცხენზე შემოისვა, ცხენს დეზი ჰკრა, გოგონას ხელი მაგრად მოჰხვია და ტყისკენ გაჰქუსლა. დანარჩენებმა შვება იგრძნეს. პრინცესა უკვე დაიჭირეს. მხედარი ტყეში გაუჩინარდა. ნოზა და ცოფიანები ვერ ხვდებოდნენ რა მოხდა, მხედარი და გოგონა ტყემ შთანთქა. ყველა დაიბნა. ნოზა გაოგნდა, ეს ხომ ის მეომარი იყო, რომელიც სისასტიკითა და თავდა-

დებით გამოირჩეოდა. ნოზამ ძლივს ამოილულლულა: „ცხენოსნები გამომყევით. დანარჩენები დარჩიო!“ გაქცეულები არსად ჩანდნენ. ნოზა კვალს მიჰყვა. გოგონა და მხედარი სწრაფად მიჰქროდნენ. ბააგრამ თითქოს გაიხსენა მეომრის ვინაობა, ცხენის ფაფარს ჩაჭიდებული გაკვირვებული მინდობოდა ბედისწერას. გამწარებული ნოზა კვალდაკვალ მისდევდა გაქცეულებს. ბააგრას მხსნელი ცდილობდა, არ მიეშვა ცხენი, შიშობდა გოგონა არ გადმოვარდნოდა. ნოზამ მალევე დაინახა ისინი. ბრძანა: „ისრები მოამზადეთ!“ მეომარი შეეცადა მდევარისათვის კვალი აერია, ცხენიც სწრაფად მიჰქროდა, თითქოს ისიც ცდილობდა პატარა პრინცესას გადარჩენას. მდევარი გამმაგებით მისდევდათ. ბააგრა ცხენის სუნთქვას აჰყოლოდა. ნოზამ შეამჩნია ისინი: „ესროლეთ ისრები!“ დაიღრიალა. ყველამ ერთდროულად ისროლა. ახალი ისრებიც მოამზადეს. ტყე უშლიდათ მიზანში მოსახვედრად. ბააგრას მხსნელმა გოგონას მაგრად მოჰხვია ხელი. აღვირს ხელი აუშვა, ცხენს თავისუფლება მისცა, თითქოს ტყვეობიდან განთავისუფლდა. მთელი ძალით მოსწყდა ადგილს და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა. კარგი დრო გავიდა, მოსალამოვდა, პრინცესას მხსნელი არ ნებდებოდა. ცდილობდა, მდევარი რაც შეიძლება შორს ჩამოეტოვებინა. დაბნელდა. მხოლოდ ერთმანეთის სილუეტს ამჩნევდნენ, რალაც ნაბიჯებიდა აშორებდათ ერთმანეთს. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ბააგრა არც წყალს და არც საკვებს მიჰკარებია. რამდენიმე ხანში ტყეში ხმები გაისმა. ხმაური უფრო და უფრო უახლოვდებოდათ. მხსნელი აყურადებდა ხმაურს, თითქოს რალაცის გამოცნობას ლამობდა. პრინცესა თვალს არ აშორებდა. მთლიანად გააცნობიერა, რა გააკეთა მეომარმა, თუმცა არ ჩანდა, მაგრამ გოგონა თვალეში უყურებდა მხედარს. პრინცესამ იგრძნო მეომრის ღირსება და კეთილი გული. ამ დროს მხსნელი პრინცესას ჭაობ-

თან გმირობის ამბავზე ფიქრობდა, როგორ არ მიატოვა პატარამ რაინდები, ისიც ხედავდა და გრძნობდა, რომ მის წინაშე უდიდესი სიყვარული და ღირსებით აღვსილი პატარა პრინცესა იდგა. ორივენი დუმილით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო შიშზე, უკეთურობაზე, ბოროტებაზე გამარჯვებული დიდი და პატარა ღირსეული ადამიანების „უსიტყვო სიტყვა“, უსიტყვო თანაგრძნობა, რომელიც გაცილებით უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე საუბარი. მათ იგრძნეს ერთმანეთი. დალლილ-დაქანცულ გოგონას ცოტა ხანში ჩაეძინა მინაზევე. მეომარმა ფრთხილად გადააფარა მისივე სამოსი. გოგონა ღრმა ძილს მიეცა. მეომარი დაჰყურებდა ბააგრას. ყურადღებას არ ადუნებდა, მთელი ღამე თეთრად გაათენა. გამთენიისას წამოდგა, კარგად შეათვალიერა გარემო, მიაყურადა, გაიარა რამდენიმე ნაბიჯი. გაჩერდა, დაიძაბა, მოტრიალდა, პრინცესასთან მიიღრბინა და სახე გამოუჩინა. მისკენ დაიხარა, ტუჩებზე ხელი დაადო, ბააგრამ თვალები გაახილა, მეომარმა ჩუმად უთხრა: „ჩუუ! პირით სუნთქავდა, პრინცესა მხსნელს დააკვირდა, იგრძნო, რომ საფრთხე ახლოს იყო. მეომარმა გოგონა ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა და ფრთხილი ნაბიჯით ბუჩქებისაკენ წავიდა. პრინცესა შუა ბუჩქებში აღმოჩნდა. მხსნელი თვალებში ჩასცქეროდა, თითი ტუჩებთან მიუტანა, გააფრთხილა, ჩუმად ყოფილიყო. ბააგრა პირით სუნთქავდა. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მეომარმა საკვები და წყალი მოუტანა. გოგონას პერანგი გაახდევინა, ცხენს ეცა, პერანგი გადახია, წელზე დაიმაგრა, ცხენზე ამხედრდა და ბააგრას ადგილსამყოფელს გაშორდა. ცხენი შეაჩერა, თავის თანამებრძოლ ცოფიანებს დაელოდა. ყვითელი ფოთლები ნისლმა დაფარა. სუსხიანი ამინდი იყო. მხსნელი მოუთმენლად ელოდა ცოფიანი მეომრების გამოჩენას. იმ მხარეს იყურებოდა ცხენზე ამხედრებული ნოზა გამოჩნდა. მეომარმა ცხენი ყალყზე შეაყენა, დარწმუნდა,

რომ იგი დაინახეს, ადგილს მოსწყდა და დაბურულ ტყეში შევარდა. ნოზა ღრიალით დაედევნა: „მომყევით! აქ არიან!“ ბააგრა უყურებდა, როგორ ჩაუქროლეს შორიახლოს, გაიფიქრა, მხსნელი მასთან ველარ დაბრუნდებოდა, ასეც იყო, მეომარს ცოფიანები მისდევდნენ, განუწყვეტლივ ესვროდნენ ისრებს. მეომარი კვალს ურევდა მდევარს, უნდოდა, რაც შეიძლება შორს გაეტყუებინა ბააგრასაგან, მდინარეს ჩაუყვა. ერთი ისარი ზურგში მოხვდა, სადავე-მიშვებული ცხენი მთელი ძალით მიჰქროდა, მეომარი ცდილობდა ცოფიანებს მხედველობიდან არ დაჰკარგვოდა, ისრების წვიმამ ცხენიც დაჭრა, გამწარებულმა ისე ჩაიქროლა, ცოფიანებმა მხედრის დანახვა ვერ შესძლეს. ნოზა და რაზმი კვალს მიჰყვებოდნენ ნელ-ნელა. დიდი დრო გავიდა. მზე ჩადიოდა, ნოზამ შორიახლოს მიწაზე ცხენი დაინახა. გამხმარ ფოთლებში უსულოდ ეგდო, იქვე დაჭრილი მეომარი იწვა, პირქვე დამხობილი. დაჭრილს მიუახლოვდნენ გამწარებულნი. მეომარს ისარი ზურგში ჩარჩენოდა, მიწაზე იწვა და ნოზას შეჰყურებდა. ეს უკანასკნელი, ცხენიდან ჩამოხტა, ხმალი იშიშვლა, მხსნელ მეომარს გვერდში ფეხი ჩაარტყა რამდენიმეჯერ. დაჭრილი გადმოტრიალდა, იდაყვებით მიწას დაეყრდნო, თავი ასწია წამოდგომას შეეცადა, ვერ შესძლო, ისევ დაეცა და ზურგში ჩარჩენილი ისარი გადატყდა. იწვა მიწაზე და ნოზას შეჰყურებდა. დანარჩენი მეომრები გარს შემოეხვივნენ გუშინდელ მეგობარს. ახლა ნოზამ ყელზე მიაბჯინა ხმალი დაჭრილს და სიმწრით ჰკითხა: „ეს რატომ გააკეთე?!“ მხსნელს სიცილი აუტყდა. ნოზა განიწმატდა, ყვირილი განაგრძო: „გაჩუმიდი, ძაღლო, გაჩუმიდი!“ ენა დაება, დაჭრილს დააფურთხა. დაჭრილმა სიცილი არ შეწყვიტა. ერთ-ერთი ცოფიანი ნოზას მიუახლოვდა, ხელში ბააგრას პერანგი ეჭირა. ნოზამ პერანგი ჩამოართვა. „აქვე ეგდო, ბატონო!“ წარმოთქვა ნოზამ, ისევ დაჭრილს დახედა და თქვა: „ეს ეცვა ტყეში

რომ ვნახეთ, სადღაც აქ არის, ახლოს“. ისევ დაჭრილს დახედა, ბოროტად გაუღიმა, დახეული პერანგი მაღლა ასწია და ირონიით წარმოთქვა: „აი, შე ძაღლო! ხომ მიგატოვა დაჭრილი, შენმა ბააგრამ?!“ დაჭრილმა სიცილი შეწყვიტა — თავი წამოსწია, გადააფურთხა, ნოზას შეხედა და ისევ სიცილი აუვარდა. ამ უკანასკნელმა ვერ მოითმინა და დაჭრილს მახვილი მკერდში აძგერა. მეომარს თვალები ეხუჭებოდა, ნელ-ნელა კვდებოდა, განრისხებული ნოზა კი, ბააგრას პერანგით ხელში, გაშმაგებული ყვიროდა: — „ეძებთ! ის აქ არის, ახლოს, ვირთხის ხვრელიც კი არ დატოვოთ!“ ცოფიანებმა ძებნა განაგრძეს — მალევე დაუღამდათ. კოცონის დანთება გადანყვიტეს, ნოზა დარწმუნებული იყო, რომ პრინცესა სადღაც აქვე იყო, თუმცა მათ კარგა მანძილი აშორებდათ ერთმანეთს. ამ დროსთვის ბააგრამ დიდი გზა გაიარა, ისევ შარაზე აღმოჩნდა, მარტოობას მიჩვეულს არაფერი აშინებდა.

ამ დროს ჟორდანი, მხედართმთავარი ბოლი — ას კაციანი დამსჯელი რაზმით, იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც რაინდებმა და ფოცხვერებმა მგლები და ტურები გაანადგურეს. დამსჯელმა რაზმმა კოცონი დაანთო. ჟორდანმა და ბოლიმ დასვენება გადანყვიტეს. ყველანი გაოგნებულები ჩანდნენ. საუბარი ბოლიმ დაიწყო: „ასეთი რამ არასოდეს მინახავს, მთელი ცხოვრება ტყე-ტყე დავდივარ, რამდენი მგელი და ტურაა დაგლეჯილი, აშკარად ჩანს, აქ ან რაინდები იყვნენ ან ჩვენები. მხოლოდ ორიოდე მგელია ხანჯლით მოკლული, დანარჩენები მხეცების დაგლეჯილია, ვერ ვხვდები რა მოხდა, ასეთი რამ არ გამიგონია“. ჟორდანიც გაოცებული იყო, ცდილობდა არ შეემჩნიათ, „ტყე-ტყე... ტყისას რას გაიგებ ისევე, როგორც ადამიანისას“... და ყურადღება კოცონზე გადაიტანა. გარშემო მსხდომ დანარჩენ მეომრებს არც აინტერესებდათ, რა მოხდა. მხეცებივით ნთქავდნენ საკვებს, ბოლიმ ჟორდანს შეხედა და დამ-

ცინავად უთხრა: „შენ შენს თავს ადამიანად ხომ არ თვლი? შენს მინა-წყალს უღალატე, ხალხი ამოახოცინე. ახლა კი ბავშვებს დასდევ, გინდა თვალეები დასთხარო... შენ ამბობ, ადამიანისას რას გაიგებო“?! ჟორდანი გამწარდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, ბოლის მიუტრიალდა: „თავზე მასხდნენ, მე განვაგებდი სახელმწიფოს, ისინი კი დროს ატარებდნენ... არ იცი, რა მაქვს გადატანილი“. ბოლიმ საუბარი შეაწყვეტინა: „გაჩერდი! ყველამ იცის რა ხალხიც იყვნენ ბააგრები, ბრძოლის წინ, მეომარს წინ არ უშვებდნენ. წინ თვითონ იყვნენ. შენნაირი ღორები რომ არა, ახლაც პირველები იქნებოდნენ, სიმწრისაგან ჟორდანმა დაიღრიალა: „ჰოდა, აღარ იქნებიან პირველები! მხოლოდ ერთი ღლაპი დარჩა და იმასაც ბოლოს მოვუღებ!... ვერ ნახე, ბააგრების ნათესავები ჩემკენ რომ არიან?! შენ კი, რა გინდა, ვერ გავიგე, შენს კუთვნილ ოქრო-ვერცხლს მიიღებ, ზემოდან ოქროს ქვებსაც, მეტი რაღა გინდა?!“ „გააფთრებული და შეშინებული უყურებდა ბოლის ჟორდანი. ბოლი იღიმებოდა, ირონიულად უპასუხა: „ნათესავებში ყოველთვის აღმოჩნდება ერთი მშიშარა და ლაჩარი, რაც შეეხება ოქროს, მართალი ხარ, მე მეტი არაფერი მაინტერესებს, შენნაირი კი, რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთესი ჩვენთვის, ბააგრებს უნდა სცოდნოდათ, რომ უბეში გველს ათბობდნენ“. სიტყვა არ დაესრულებინა, რომ ახლა ჟორდანს აუვარდა სიცილი, ფეხზე წამოხტა და შეჰყვირა: „ვის დასცინი! როგორ ბედავ, მოღალატევ!“ ჟორდანმა ხელები მაღლა ასწია და გააგრძელა: „არა! არა! ბოლი, შენ არა! მაცაადე, გეტყვი, დამშვიდდი“. ბოლი მის გვერდით ჩამოჯდა, გულზე ხელი დაადო ჟორდანს და სიცილი გააგრძელა: „თქვი, რა გაცინებს, გასიებულო?!“ ტონი გაამკაცრა ჟორდანმა. „მართლაც, ბააგრებს ერთგულად მივაჩნდი, წარმოგიდგენია?! ყველა მენდობოდა, აი, ის ღლაპი კი, ვისაც ახლა დავეძებთ, მხოლოდ ის გრძნობდა, რაც ვიყავი. ნეტავ, გე-

ნახა მისი სახე, როცა დამინახავდა. პატარა რომ არ ყოფილიყო, უეჭველად მომკლავდა. მისი კი არავის ესმოდა, ყველა დანარჩენს ჩემი სჯეროდა. ბოლი გაოცდა: „დაიცა, შენ გინდა თქვა, მხოლოდ ის ბავშვი, ის გოგონა გრძნობდა შენ რაც ხარ და არავინ უსმენდა?!“ — ჟორდანი ხარხარებდა: „ჰო, ჰო, მარტო ის ხვდებოდა, იცოდა, რაც ვიყავი, დანარჩენები ბრმები იყვნენ“. ბოლი გაოცდა: „საოცარია, ასეთი პატარა და ამხელა გრძნობა, მიხვედრილობა?“ ბოლის ტანში ჟრუანტელმა დაუარა. შიშმა ტანში გასცრა. ჟორდანი ხარხარს განაგრძობდა. იგი გრძნობდა ბააგრას მზერას, რომელიც თვალებს თხრიდა თითქოს. „ამიტომაც უნდა დავთხარო თვალები, შორს არაა ის დღე, თუ ღამე, ჩემთვის სულერთია“, კვლავ ხარხარით წარმოთქვა ჟორდანი. ფიქრებში წასული ბოლი ისე შეჰყურებდა მას, როგორც საზიზღარ ხეპრეს. მთელი სერიოზულობით მიმართა: „ის ბავშვი დათხრილი თვალებითაც რომ გაიზარდოს, სამაგიეროს მაინც გადაგიხდის. შენც თვალებს დაგთხრის და როგორც ძალღს, ისე შეგჭამს. მგრძნობიარე ადამიანი ძალზე საშიშია. არაფერს ივინყებს, ერთ გადაკრულ სიტყვასაც კი და თუ ბავშვობიდან მოსდევს სიძულვილი, საშიშზე-საშიშია“. ბოლი კვლავ ჩაფიქრდა, ჟორდანს თვალს არ აშორებდა. ეს უკანასკნელი შიშმა შეიპყრო, ისიც ჩაფიქრდა, ხმას ვერ იღებდა, ფიქრებში ჩაიძირა, რა მოიმოქმედა თავისმა ცოლმა ლენის მოსანამლად, ამ ყველაფერს სიგიჟემდე მიჰყავდა. აღარაფერი ესმოდა. კოცონთან უგონოდ იჯდა. ბოლის ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ გაუგონია. გაუსაძლის მდგომარეობაში იყო. ჟორდანის ცოლს ყველა მოწინებით ექცეოდა. ქალბატონად მოიხსენიებდნენ.

ქალბატონი დებოც შიშს შეეპყრო. ვერ ბედავდა ლენის მოწამლვას. „ყინულოვანი ქვეყნიდან მას ექიმი ჩამოჰყვა, სახელად „ფორესტი“. ექიმი ყოველგვარ სასმელ-საჭმელს ამონმებდა, რასაც მისი პაციენტი ლენი მიირთმევ-

და. ექიმი საკმაოდ ნიჭიერი იყო. საძინებელშიც ყველა ნივთს ამონმებდა. გაოცებულმა დებომ ერთხელ ჰკითხა: „ექიმო! ტანსაცმელს რაღაზე ამონმებთ?!“ „ამქვეყნად შხამის უამრავი სახეობა არსებობს, ერთ-ერთი მათგანი ისეთია, ტანსაცმელზე რომ ნაუსვავა, ადამიანი ერთ დღეში ნვალეებით კვდება“. — უპასუხა ექიმმა. პასუხმა ქალბატონი გააკვირვა, მიხვდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო არ იყო. ექიმი მეტად გამოცდილი და ჭკვიანი გამოდგა. ფორესტთან მხოლოდ კარგი ურთიერთობა აწყობდა დებოს. უნდოდა როგორმე თავის საძინებელში შეეტყუებინა. ერთ ღამეს ამ სანადელსაც მიაღწია. ისინი ვნებიანად მიეცნენ განცხრომას. ფორესტი გვერდზე გადატრიალდა. ქალბატონი დებო ხელით ზურგზე დაეყრდნო და საუბარიც აენყო: „თქვენ პირველი მამაკაცი ხართ ჩემი ქმრის შემდეგ, ასეთ თავდავინყებას არასოდეს მივცემივარ. ჭკვიანი, ნიჭიერი, მომხიბვლელი ექიმი ხართ, იცით, ქალს თავგზა როგორ აურიოთ“. ფორესტი გაინაბა. ქალისკენ გადმოტრიალდა, გულში ჩაიკრა, მიუაღერსა და ღიმილით უთხრა: „პირიქით, ეს თქვენ ამირიეთ თავგზა. ყველაფერი დამავინყეთ, უდიდესი სიამოვნება მომანიჭეთ, რისთვისაც მადლობას გიხდით, მშვენიერო ქალბატონო. თქვენ საუკეთესო წუთები მაჩუქეთ“. დებომ მის ხელს ვნებიანად აკოცა და უპასუხა: „თქვენ არ მომაკლოთ ექიმო ალერსი და გპირდებით, რასაც მოისურვებთ ყველაფერი გექნებათ“. ექიმი ამ სიტყვებმა გააოცა. არ მოელოდა, მთელი სერიოზულობით ჰკითხა: „ყველაფერი, რაც მინდა?!“ „დიახ, ექიმო! ყველაფერი, რასაც ისურვებთ“. იგივენაირად უპასუხა დებომ, რამაც თავის ნათქვამს უფრო მეტი დამაჯერებლობა შეჰმატა. ფორესტი აღფრთოვანდა, ვნების მორევში დაცურავდა, აღვირახსნილი და თავისუფალი მიეცა განცხრომას. ქალიც გადაირია. ექიმს ვნებით გონებას აკარგვინებდა. კაცი დაიღალა,

დასვენება სურდა, ისევ გვერდზე გადატრიალდა. ქალი არ მოეშვა, ჩაეხვია, შუბლზე აკოცა: „საოცარი ხართ, ჩემო ფორესტი, მითხარით, რა გსურთ, რა გინდათ აგისრულოთ?“ ფორესტი ვნების ზენიტში იყო. ქალი კვლავ მის მკლავებში მოექცა. ისევ ჰკითხა: „მითხარით, მითხარით, რა გსურთ, ყველაფერი თქვენი იქნება!“ ფორესტი აღელდა, ქალს თვალებს ვერ უსწორებდა. ნერვიულობა შეეტყო, შემდეგ ბავშვივით დაიწყო საუბარი: „მე ბავშვობიდან ექიმობაზე ვოცნებობდი, რასაც მივალწიე კიდევაც, მაგრამ მე რაც მინდა და მაინტერესებს ლენის ვუამბე, მან მიპასუხა: „კარგია, მაგრამ ჯერ არ გვჭირდება, როცა დაგვჭირდება, დაგეხმარები, ჩემი იმედი გქონდესო“. ამის შემდეგ ბევრჯერ განვაახლე მასთან საუბარი, მაგრამ საშუალებას არ მაძლევს, თავს მარიდებს, მაყოვნებს. ეს უკვე დიდი ხანია ასე გრძელდება, მაგის დაპირებებს ბოლო არ უჩანს“. დებო გაახარა ფორესტის ლენზე უკმაყოფილებამ. ლოგინზე წამოჯდა, ფორესტის ხელი მკერდზე მიიკრა და თითქოს შეცოდებით მიუგო: „მომიყევით, მომიყევით, ყველაფერი, მენდეთ, თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ“. ექიმი ყოყმანობდა, დაიძაბა, ჭერს ახედა და დაიწყო: „მინდა ჩემი საავადმყოფო მქონდეს, სადაც არავინ შემანუხებს, ჩემს ცოდნას გასაქანს მივცემ. მინდა ადამიანებზე კვლევები ჩავატარო, რათა ისინი უფრო ძლიერები და მორჩილები გავხადო. ლენი კი ამბობს, რომ საკმაოდ დიდი არმია ჰყავს განვრთნილი და ძლიერი. მეტი არ არის საჭირო, რადგან მის არმიას უამრავი ომიდან არცერთი წაუგია. იგი ამითაა კმაყოფილი“. ფორესტმა მოიწყინა: „მე ექიმი ვარ, საკმაოდ ჭკვიანი, უდიდესი ამბიციის პატრონი, მინდა ისეთი ადამიანი ჩამოვაყალიბო, როგორიც ჯერ არავის უნახავს, იგი უძლიერესი იქნება, მე კი ყველაზე ჭკვიანი“. „ვერ გავიგე, ეს როგორ, უფრო ძლიერები და მორჩილები?!“ შეეკითხა ქალბატონი, ფო-

რესტი ჭერს მიშტერებოდა. დებომ მკერდზე ნაზად და-
არტყა ხელი: „ამიხსენი, რას ამბობ?!“ ფორესტმა ამაყად
შეხედა დებოს: „როგორც გითხარი, ყოველთვის მედიცი-
ნისაკენ ვილტვოდი, ეს ჩემი ოცნება და მიზანია. ბავშვო-
ბიდან ვატარებ ცდებს ხეებზე, ყვავილებზე, ფოთლებზე,
ზედმინევნით შევისწავლე მათი შემადგენლობა, გარკვე-
ული დროის მანძილზე; რომ დავალევიანო ადამიანს მათი
ნახარში, ისინი შეიცვლებიან, ძალა მოემატებათ, ტანა-
დაც გაიზრდებიან. მორჩილება უფრო ადვილი მისაღწე-
ვია. საჭიროა ვირის ტვინი და ადამიანის ხერხემლის ძვა-
ლი, ეს ადამიანი თვით მკვლელი უნდა იყოს. ამის შემდ-
გომ ადამიანი მორჩილი ხდება“. ფორესტი ისეთი დამაჯე-
რებელი და ამაყი ტონით საუბრობდა, თითქოს მართლა
ყველაზე ჭკვიანი ყოფილიყო. იფიქრებდი, მასზე დიდი
ჭკუის მქონე ადამიანი დედამინაზე არ მოიძებნებოდა.
ამპარტავნებას შეეპყრო, სამწუხაროდ. ქალბატონი დე-
ბო გაოგნებული უსმენდა. ბოლოს გაოცებულმა ჰკითხა:
„რას უშვები იმ ხერხემლის ძვალს და ვირის ტვინს, რო-
გორ იყენებ?“ ფორესტის სიამაყე ზღვარს გადასცდა. სა-
ხე შეეცვალა, შეშლილს დაემსგავსა. დებო შეკრთა, ექიმი
სანოლზე წამოჯდა, ზურგით ბალიშს მიეყრდნო, მოკა-
ლათდა, სახე აღარ შეუცვლია, ხმაც არაბუნებრივი გაუხ-
და: „ვირის ტვინს შავ ნაჭერში ვახვევ, მზის გულზე ვდებ,
სანამ არ გახმება, დაფშვნამდე. ხერხემლის ძვალს ვნაყავ
და ერთმანეთში ვურევ, ფხვნილს ღვინოში ვაზავებ. 10
დღე ღვინოს სიბნელეში ვაჩერებ, მხოლოდ ამის შემდეგ
შეიძლება დავალევიანო პაციენტს“. „ეს ხომ შეუძლებე-
ლია! ვინმეზე გამოგიცდია?“ გაიკვირვა დებომ. „ერთ ჯა-
რისკაცს მთელი ღამე ვასმევდი, ექსპერიმენტი მასზე ჩა-
ვატარე, მიზანს მივაღწიე. მისი გონება დაჩლუნგებულია,
აზროვნების უნარი დაუქვეითდა, ჩემ გარდა არავის უს-
მენს; ეს კარგა ხნის წინ გავაკეთე, ახლა მსურს ლენმა ად-

გილი გამომიყოს. ისეთ რალაცას გავაკეთებ, ყველა გა-
ოცდება, ჯერ ბალახები არ გამომიყენებია ერთად, მინდა
შევუჩიო და ისე გამოვცადო“. დებოს შიში ნელ-ნელა სი-
ხარულმა შეცვალა. გაგონილით აღტაცებას ვერ მალავ-
და. „შენმა ნათქვამმა კიდევ უფრო დამარწმუნა, როგორი
ნიჭიერი ხარ, ამიტომ მე დაგეხმარები მიზნების განხორ-
ციელებაში, ჩემი იმედი გქონდეს. ერთ რამეს გაგანდობ,
ჩვენთან ტყეში ერთი მიხრწნილი ბებერი ცხოვრობს, ისიც
შენსავით დაინტერესებულია ბალახეულით, უამრავ ნა-
მალს ამზადებს, ტყეს კარგად იცნობს. სულ მარტოა,
არავინ ჰყავს, ხალხის დიდმა ნაწილმა არც იცის მისი არ-
სებობის შესახებ, განდეგილივითაა“. ფორესტი დაინტე-
რესდა, მოუთმენლად ჰკითხა: „სად ცხოვრობს? მასთან
წამიყვანე!“ დებომ ეშმაკურად გაუღიმა, ხელი გამომწვე-
ვად მხარზე დაადო: „დამშვიდდი, სიყვარულო, თავად
მოგგერი, ის თავის ნებით არ წამომყვება, მაგარმ ამაზე
შენ ნუ იღარდებ, დამშვიდდი, მიზნის მისაღწევად საუკე-
თესო დამხმარე გეყოლება, თავად დარწმუნდები, ისეთ
წამლებს ამზადებს, გაოცდები, წამდვილი ჯადოქარია“.
ფორესტს თვალები უბრწყინავდა სიხარულისაგან ცქმუ-
ტავდა, ხელებს იფშვნეტდა, თვალწინ ჩაუქროლეს თა-
ვისმა ოცნებებმა. ბედნიერი წუთები დიდხანს არ გაგრძე-
ლებულა, ლენი გაახსენდა, თითქოს სიხარული სადღაც
გაუქრა. ჩაფიქრდა, სასონარკვეთილმა ამოიგმინა: „რა
აზრი აქვს ამდენ ოცნებას, ან იმ ბებერი გრძნეულის გაც-
ნობას, ლენი ამის ნებას არ მომცემს, მისთვის ეს ყოველი-
ვე მიუღებელია“. დებო ფორესტის დასანახად თითქოს
დადარდიანდა, მწუხარე სახე მიიღო, თითქოს თანაუგრძ-
ნობდა ექიმს, ისევ ფორესტმა დაიწყო: „ლენის გარეშე
უძლური ვარ, რა ვქნა?!“ დებოს უცებ თითქოს გონება გა-
უნათდა, ფორესტს სიტყვა არ დაამთავრებინა, ეჭვნარე-
ვი ხმით წარმოთქვა: „იცი რას ვფიქრობ? ლენს იმის ხომ

არ ეშინია, რომ შენ შექმნი მასზე გაცილებით ძლიერ არ-
მიას. მათი დახმარებით გაანადგურებ და ტახტიდან ჩა-
მოაგდებ. ეს სიმართლე თუ არ არის, მაშინ მითხარი, რა-
ტომ არ გაძლევს ექიმს უფლებას შენი ნიჭი ბოლომდე გა-
მოიყენო?!” ფორესტს დებოს ნათქვამი არ გაჰკვირვებია.
„მეც მიფიქრია ამაზე, ჩემო კარგო, ბევრჯერ“. — მიუგო
ფორესტმა. ქალბატონმა თვალთმაქცობა გააგრძელა.
თითებს აწვალებდა. შუბლს იჭმუხნიდა, შფოთავდა. ფო-
რესტი უღიმოდა და ამშვიდებდა. „კარგი, საყვარელო, ნუ
ნერვიულობ, ვერ შევცვლით, რაც არის, ამ აზრს უნდა შე-
ვეგუოთ, დამშვიდდი“. დებო კარგა ხანს ჩუმად იყო სერი-
ოზული სახით, საკუთარ თითებს დაჰყურებდა, ფიქრებში
ჩაიძირა, თითქოს სულ არ ესმოდა ექიმის სიტყვები. უცებ
სახე გაუბრწყინდა, წამოჯდა, ოთახში მედიდურად გაი-
არ-გამოიარა, ფორესტთან მივიდა, მუხლებზე დაეცა,
ექიმს ეშმაკურად შეხედა და ხმადაბლა ჩასჩურჩულა:
„მოვწამლოთ“... ფორესტი გველნაკბენივით წამოხტა. გა-
ოგნებულმა შეშლილი სახით ჰკითხა: „ვინ?“ დებომ ირო-
ნიულად გაიღიმა, ლოყაზე მოეფერა, წამოდგა, ფორესტს
ზურგიდან მოექცა, მის ყურთან დაიხარა, კვლავ მშვი-
დად, ხმამაღლა უთხრა: „ის, ვინც ხელს შეგიშლის მიზნის
მიღწევაში, ოცნების ახდენაში, მე დაგეხმარები, ნუ გეშინ-
ია“. ფორესტმა საძინებლის კარისკენ გაიხედა, გული
საშინლად უცემდა, აღელვებულმა მიუგო: „იცი, ამას რა
მოჰყვება?“ დებომ მშვიდად უპასუხა: „ჭკუით თუ მოვიქ-
ცევით, არაფერიც არ მოჰყვება“ ქალბატონი საკმაოდ
გონებამახვილი იყო. ის მალევე მიხვდა, რომ ექიმისთვის
ეს მოულოდნელი არ იყო, რომ მასაც ბევრჯერ უფიქრია
ამაზე: „ეს ძალზე სახიფათოა, ჩვენ თვითონ არ გავებათ
მახეში, საშიშია“. დებო დაჟინებით უყურებდა ფორესტს.
ჰკითხა: „მითხარი, თანახმა ხართ, თუ არა, რომ დაგეხმა-
რო?“ ექიმი უკიდურეს მდგომარეობაში იყო, შუბლი

ოფლს დაენამა, კარგა ხანს დუმდა. ბოლოს ჰკითხა: „კი, მაგრამ ეს როგორ უნდა გავაკეთოთ?“ დებო იმ ხსნარზე მოუყვა, მოხუცი, რომ ამზადებდა ტყეში. ფორესტს მსგავსი რამ არასოდეს გაეგონა. გაოცებული იყო: „ასეთი რამ არასდროს გამიგონია, ამიხსენი, ეს როგორ?!“ დებო მიხვდა, ფორესტი თანახმა იყო და ღიმილით უთხრა: „დღეს რომ დავალევინოთ, ერთ კვირაში სულს განუტევებს ჩვენი ლენი, ჩვენ კი ამ დროს სოფელში ვიქნებით და ეჭვს ვერავინ აიღებს“. ფორესტი ღრმად ჩაფიქრდა, მასში შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობდა. დუმილმა კარგა ხანს გასტანა. ბოლოს, „ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქროთ და დავგეგმოთ, არ უნდა შევხვდეთ, საყვარელო, ვგრძნობ, მიზანთან ძალიან ახლოს ვარ“. დებო გულში გამარჯვებას ზეიმობდა. მიზანს მიაღწია: „ალბათ გაგიგია, გადადებული საქმეს ნყალი ნაიღებსო. ყველაფერი დროულად უნდა მოვიფიქროთ და აღვასრულოთ“. დიდი ხნის კამათისა და მსჯელობის შემდეგ მკვლევლობის გეგმა შეადგინეს. გამთენიისას ლენის ბედ-იღბალი გადაწყვეტილი იყო.

ფორესტი საკმაოდ მაღალი, ჯმუხი ალნაგობის, ახოვანი პიროვნება იყო. არცთუ ისე გამხდარი, მისი ფართო მხრები და გრძელი მკლავები თვალს არ გამოეპარებოდა. თეთრი ხელები და ძალზედ ნატიფი თითები ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ექიმი იყო. გამელოტებული თხელი თმებით, არწივისებური ცხვირით და შავი თვალებით მიხვდებოდი, რომ შეუპოვარი და მიზანდასახული ადამიანი იყო. თხელი, გაფითრებული ტუჩები სიმკაცრეზე და პატივმოყვარეობაზე მიგანიშნებდათ. დინჯი სიარულით საკმაოდ მიმზიდველ და სიმპათიურ შთაბეჭდილებას ახდენდა. ხანდახან, როცა ღრმა ფიქრებში იყო, ვერაგი აზრები ეძალებოდნენ. ამ დროს სახე თითქოს უწვრილდებოდა და დიდ ხვლიკს ემსგავსებოდა. სულისშემძვრელი გამომეტყ-

ველება ჰქონდა. მისი ლამაზი სახის ნაკვეთები ეშმაკისას ემსგავსებოდა. ფორესტი თავის საძინებელში იმყოფებოდა. მთელი ღამე თეთრად გაათენა, დებო დილით ადრე საგულდაგულოდ გაემზადა, მღელვარება არც მას აკლდა, თუმცა არ იმჩნევდა, მონესრიგდა და სასახლისაკენ გაემართა ლენტან სასაუზმოდ. დებო საშუალო სიმაღლის 35 წლის ქალი იყო. სილამაზით არ გამოირჩეოდა. იყო მასში რაღაც ისეთი, რაც მამაკაცებს ატყვევებდა. თაფლისფერი თვალები, ოდნავ მოგრძო ცხვირი, სქელი, ვნებიანი ტუჩები, ცდილობდა მშვიდი და აუღელვებელი ყოფილიყო, მაგრამ შინაგანად მასში მუდმივი ქაოსი და შფოთი იყო. ზედმეტად ამაყი, ზვიადი და ამპარტავანი, ახალგაზრდობიდანვე სიმდიდრისა და პატივმოყვარეობისაკენ ილტვოდა. ყოველთვის პირველობა უნდოდა. იყო სასტიკი, თუმცა საკმაოდ კარგი მსახიობი, ხშირად უმანკო კრავის სამოსსაც კარგად ირგებდა.

ნაადრევად მოვიდა სასახლეში. დარბაზში შევიდა. მსახურები უკვე სუფრას შლიდნენ, დებო მაგიდას მიუახლოვდა. მიიხედ-მოიხედა, ლენისთვის განკუთვნილ თეფშს და სასმისს მისწვდა, თითქოს სისუფთავე დაინუნა, აიღო და ნაზად გააპრიალა იმ ნაჭრით, საწამლავით, რომ გააჯერა, ასე იოლად დაასრულა მისია, დებომ ირგვლივ მიმოიხედა, მსახურებს გაუღიმა, მშვიდად გაეცალა იქაურობას, თითქოს არც არაფერი ემოქმედოს, მშვიდად მიუახლოვდა ფანჯარას და ქალაქის თვალიერება დაიწყო. დარბაზში მთავარი მეომრები გამოჩნდნენ. დებოს მიესალმნენ, ყველა თავის განკუთვნილ ადგილას დაჯდა, ერთმანეთში საუბრობდნენ. ყველა ლენს ელოდებოდა. ცოტა ხანში ფორესტიც გამოჩნდა, თითქოს დებოს არც დაუნახავს, ზურგი შეაქცია და ფანჯარაში ყურება განაგრძო. მეომრების დასანახად ფორესტმა ყველა კერძი შეამონმა. ღვინო თავის ჭიქაში ჩამოასხა, მეომრები ადღეგრძელა და სასმისი

შესვა. დებო შემოტრიალდა და წარმოთქვა: „თქვენ, მამაკაცებს ასეთი ჩვევა გაქვთ, ერთმანეთს ლოცავთ, ქალს კი თითქოს ვერც ამჩნევთ. ექიმმა არ დაამთავრებინა, ჭიქა ასნია და სიტყვით ისევ მეომრებს მიმართა: „მაპატიეთ, ქალბატონო, შეცდომას გამოვასწორებ, ამაში მეომრებიც დამეხმარებიან“. მეომრები ფეხზე წამოდგნენ, სასმისები მალლა ასწიეს, ფოერსტისაკენ მიმართეს, ფორესტმა ღვინო დაუსხა, ერთ-ერთმა მეომარმა დებოს სიტყვით მიმართა: „მანდილოსნების დალოცვა მეომრებს არ გვეშლება, ექიმს კი, უნდა აპატიოთ, დღეგრძელობას გისურვებთ, ქალბატონო დებო!“ დებოს პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო, სადღეგრძელო შეიფერა, ამ დროს ლენი გამოჩნდა, ყველა ყურადღებით შეათვალიერა: „რა ხდება, ფეხზე რატომ დგახართ?!“ ერთ-ერთმა მეომარმა მიუგო: „ჩვენს ქალბატონს ექიმმა აწყენინა“. ლენმა ბოლომდე მოუსმინა, მერე სასმისს სწვდა, ფორესტს გაუწოდა და უთხრა: „აბა, დამისხი ღვინო, დამნაშავევ! ულამაზესი ქალბატონის სადღერძელო უნდა შეესვა!“ ფორესტი ლენს მიუახლოვდა, ჭიქა შეუვსო და ღიმილით უთხრა: „სიკვდილს გადავრჩი“ ლენმა დებოს გაუღიმა, ჭიქა მალლა ასნია და წარმოთქვა: „ჩვენს ულამაზეს დებოს გაუმარჯოს! მომავალ დედოფალს. ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებ, ჩემო ძვირფასო!“ ლენი სუფრას მიუჯდა, მხიარული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ესიამოვნა დებოს დანახვა, მისდამი არანაირი სიმპათია არ გააჩნდა, რადგან მათი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ქალის ხმის გაგონებაზე ძალზე შეწუხდებოდა ხოლმე. იგი მას როგორც რეგვენ და შეუგნებელ პიროვნებას, ისე შეჰყურებდა და ცდილობდა, მასთან ურთიერთობისათვის თავი აერიდებინა. დებო კმაყოფილი მიუჯდა მაგიდას. ილიმოდა, თავი მშვიდად ეჭირა, რადგან იცოდა, ლენი მონამლული იყო და მალე სიცოცხ-

ლეს დაემშვიდობებოდა. სუფრა სავსე იყო მრავალფეროვანი კერძებით, ჩიტის რძეც კი არ აკლდა. ლენი ამ ყველაფერს გემრიელად მიირთმევდა და თან თანამეინახეებს ესაუბრებოდა: „რატომ იგვიანებენ ბოლი და ჟორდანი?“ უკვე საკმაოდ დროა გასული. ამბის გასაგებად ვინმე ხომ არ გავგზავნოთ, რას იტყვით, ნეტავი რა ხდება?“ ერთ-ერთმა მეომარმა მიუგო: „დამშვიდდით, ბოლი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს — დიდი ტყე აქვთ გასავლელი, ალბათ ამიტომ იგვიანებენ“. საუბარში ფორესტი ჩაერია: „რა გახდა ეს პატარა ბავშვი ასეთი, ისედაც თითქმის მკვდარია. დღეს, ან ხვალ სადმე ამოხდება სული ან მხეცები დაგლეჯენ, ან შიმშილით მოკვდება, მაგის გამო წუხილი არ ღირს“. ლენმა გამჭოლი მზერა ესროლა ექიმს. მან მაშინვე საუბარი შეწყვიტა. „შენ რა გესმის მეომრების, ან სახელმწიფო საქმეების? დღედაღამ მიწაში დამპალ ფესვებს ქეჩავ, ექიმობის გარდა, სხვა რაიმე გაგეგება? რა თქმა უნდა, თუ ამას ექიმობა ჰქვია, რაც შენ თავში გიდევს“. ეს იყო უდიდესი ცინიზმი ლენის მხრიდან. ამ სიტყვებმა ფორესტი გააცოფა: „როცა გჭირდება ხომ კარგი ვარ, ის ფესვებია, შენს იარებს რომ ჰკურნავს“. ფორესტმა ხელი მეომრებისაკენ გაიშვირა, დებომ რალაცის თქმა დააპირა, ლენმა შეანწყვეტინა: „ქალბატონო დებო, ვიცით, რომ ქალები ექიმებს პატივს სცემთ, მაგრამ ფორესტს თქვენი დაცვა არ სჭირდება. მას კარგად არ იცნობთ, წყურვილით რომ კვდებოდე, ჭიქა წყალს არ მოგანვდის; მაგრამ ასეთი ნიჭიერი ექიმი არსად მინახვს“. ფორესტი დამშვიდდა, ქალბატონი კი გაბოროტებული ფიქრობდა: „შენ მაინც მკვდარი ხარ, ილაპარაკე, რამდენიც გინდა, რამდენსაც მოასწრებ, იდიოტო!“ ლენმა იცოდა, თუ დებო ლაპარაკს დაიწყებდა, კარგა ხანს არ გაჩუმდებოდა, ამიტომ თავიდანვე შეანწყვეტინა. დებოს სახეზე ალმური ასდიოდა. თუმცა ამავდროულად კმაყოფილიც იყო. ლენმა საუბარი გააგრძელა. ცოტა ხნის შემდეგ

სუფრას დებოს ვაჟიშვილი — იდი — მოემატა. ლენს დედა-შვილის ყბედობის მოსმენა არ სურდა, ამიტომ თვითონ გააგრძელა საუბარი ბიჭთან: „არ გინდა მეომარი გახდე?“ იდიმ გაიღიმა. დედას სიამაყით შეხედა და წარმოთქვა: „რა თქმა უნდა, მინდა! ამის დიდი სურვილი მაქვს“. „მითხარი, რომელ რაზმში გინდა მოხვდე, თავიდან ათეულს ჩაგაბარებ, ვნახოთ, თავს როგორ გაართმევ“. შეუსრულა ლენმა. იდი სიხარულისაგან წინ წამოიწია და შეჰყვირა: „დამსჯელი რაზმი მინდა!“ ლენმა ღიმილით მიუგო: „კარგი, ბატონო, ნება შენია“. გულში კი სხვა რამ გაიფიქრა: „მამასავით საქონელია“. საუბარში დებო ჩაება, იგი ლენის საქციელმა გააბოროტა, — „ჯერ მე უნდა მკითხო ჩემი შვილი სად იქნება და ვისთან! ეს ჩემი გადასაწყვეტია!“ ლენს სიცილი აუტყდა. იდი დუმდა. „იდი! დედოფალი რასაც იტყვის, ისე იქნება, ასე რომ ჯერ მასთან მოილაპარაკე, მერე ჩემთან მოხვალ“. გაჩუმდა ღვინო პირუტყვივით დალია და საუბარი ახლა ფორესტან განაგრძო. ლენის დებოს ხმა აღარ ესმოდა. ქალბატონი აღშფოთებას ვერ მალავდა. შვილს ჩხუბი აუტეხა. ამ ყველაფერმა ლენი გააღიზიანა და სუფრა მიატოვა. ფორესტიც უკან გაჰყვა. მეომრებმა სმა გააგრძელეს. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგნენ და ფორესტს შეეფეთნენ, იგი დებოს გვერდით ჩამოჯდა. მეომრებმა იქაურობა დატოვეს. მსახურებმა ფორესტს ღვინო მიართვეს — ექიმი ოდნავ შეზარხოშებული იყო. მჭერმეტყველებისა და დარიგების ხასიათზე მოსულიყო, იგი იდის „ბრძნულ“ დარიგებებს აძლევდა. „იდი, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ცხოვრების გზა თვითონ უნდა აირჩიო, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედის სიტყვას ყური არ ათხოვო, არაფრად ჩააგდო, ეს შენგან ძალიან ცუდი საქციელია, დედის მიმართ უპატივცემულობა. ასეც, რომ არ იყოს, ნუთუ ვერ ხვდები, რომ დედაშენი, ფაქტიურად, დედოფალია?“ იდი დუმდა, „კარგი, შვილო, წადი, გაისეირნე. ეს მსახურები

აქედან მოაშორე, ექიმთან მინდა ვისაუბრო“. დებო თვალს ადევნებდა, როგორ გადიოდნენ რიგ-რიგობით მსახურები დარბაზიდან, კარები დაკეტეს, ფორესტი და დებო მარტო დარჩნენ. ქალბატონმა ამოისუნთქა. სიამაყით მიეყრდნო სამეფო ტახტის საზურგეს. თავი მაღლა ასწია, თვალები დახარა და ისე შეჰყურებდა ექიმს. სიჩუმე ჩამოვარდა, ფორესტი საჭმელს მიირთმევდა ჩაფიქრებული, თვალს არ აშორებდა დებოს. ქალბატონმა თითქმის ბრძანებით მიმართა: „ჩემო ძვირფასო, მეხუთე დღეს სოფელში წავალთ! ლენს კი სამი დღით გათავისუფლებას სთხოვ, ეტყვი! რომ სოფელში უნდა წახვიდე, რათა იქაური მცენარეები შეისწავლო, უარს ვერ გეტყვის, მე ჩემს შვილთან ერთად, გამოგყვები, იქიდან დაბრუნებულებს ლენი ცოცხალი აღარ დაგვხვდება“. ფორესტი აფორიაქდა, გაიხედ-გამოიხედა და ჩუმიად ჰკითხა: „უკვე მონამლე?“ დებომ ცინიკურად შეხედა ექიმს, ლოყაზე უჩქმიტა და მიუგო: „ხომ იცი, შენი გულისთვის ყველას მოვწამლავ. შენი ოცნება ჩემიცაა, ჩემს ოცნებას კი ვინც გადაელობება, ყველა მინაში ლპება!“ ფორესტი საშინლად განერვიულდა, „ჩუმიად, ღვთის გულისათვის, არავინ გვისმენდეს“. დებო ექიმს მიუახლოვდა, ვნებიანად ჩაკოცნა და სიცილით მიუგო: „სანამ შენს გვერდით ვარ, ნურაფრის შეგეშინდება, იცოდე! ყველაფერი შენია, მეც შენი ვარ, ამ საღამოს გელოდები, არ დაიგვიანო საყვარელო!“ ფორესტი მძიმედ სუნთქავდა, დებო კი სიცილს ვერ იკავებდა, მისი საცოდაობის შემყურე გულში ფიქრობდა: „ესეც ჩემი ექიმი მონა — საცოდავი, მე შენ გიჩვენებ ოცნებას“. ქალბატონმა ექიმს მულოტ თავზე ნაძალადევად აკოცა, წასასვლელად გაემზადა: „დაიმახსოვრე! ახლა სიმშვიდეა მთავარი!“ დაარიგა და კარებისკენ გაემართა. აფორიაქებული ფორესტი ღვინოს მიეძალა, „ღმერთო ჩემო! რა ჩაიდინა ამ ქალმა — ლენი მონამლა, თან ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარი-

ყოს. ნუთუ საერთოდ ვერ ხვდება, რა გააკეთა, არა! არა! ამ ქალთან ფრთხილად უნდა ვიყო, ძალიან ფრთხილად, ხუთი დღე-ღამე მალე გავა, ძალიან მალე უნდა დავთვრე“. ცოტა ხანში, საკმაოდ მთვრალი ფორესტი, ხმაურზე, ფანჯარასთან მივიდა, დაინახა სასახლესთან მდგომი იდი ჯაჭვით ხელში, როგორ სასტიკად უსწორდებოდა გამვლელებს. მეგობრები კი აქეზებდნენ და ტაშს უკრავდნენ. ფორესტი ფიქრმა წაიღო. დებო მისი იყო და ამავედროულად მას ქალი-მონსტრი ეკუთვნოდა. ამ დროს ქალბატონი ქალაქში გასასვლელად ემზადებოდა. საძინებელში სარკის წინ ლამაზდებოდა, გარს მსახურები ეხვივნენ, დებომ მედიდურად ჰკითხა მსახურებს: „ქალაქში ჩემზე რას ლაპარაკობენ?“ სარკეს თვალს არ აცილებდა. ერთ-ერთმა მსახურმა შიშით უპასუხა: „ამბობენ, რომ მათთვის არაფერი დაგიშავებიათ, ქალბატონო!“ დებო სარკეში დააკვირდა მოპასუხეს, ირონიულად ამოიხვნეშა და უთხრა: „მართალია, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ელოლიავენოდნენ დედოფალ ანნას! მე კი საერთოდ ვერ მამჩნევენ. ამას არასოდეს დავივიწყებ! — თქვენც კარგად მახსოვხართ ყველას გადაეცით! როცა დამინახავენ, თავი დახარონ, როგორც დედოფალ ანნას ეგებებოდნენ, ისე უნდა შემხვდნენ“ შეშინებულმა მსახურებმა ერთხმად მიუგეს: „დიახ, ქალბატონო!“ დებო დაკმაყოფილდა, მედიდურად უთხრა: „კარგია, რომ ჩემი გესმით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს თქვენთვის აჯობებს, ერთიც გახსოვდეთ, თუ ვინმე საძინებელში შემოგთავაზებთ მისვლას, თუნდაც ეს ლენი იყოს, უმალ მაცნობეთ, არ შეგეშინდეთ, ახლა დედოფალი მე ვარ! ხომ გაიგეთ უტვინოებო?“ მსახურები შიშნარევი მადლიერებით ყველაფერზე თანახმა იყვნენ. დებო მეცხრე ცაზე დაფრინავდა. ქალაქში თავანწეული დადიოდა. შემხვედრთ ზედაც არ უყურებდა. მოქალაქეები კი დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ, რადგან ეშინოდთ „ახლადგა-

მომცხვარი დედოფალის“, თორემ სიყვარულს ვერავისგან იგრძნობდი, სწორედ ამ შიშმა დასცა ისინი.

ბააგრამ მთელი ღამე თეთრად გაათენა. უკანასკნელი იმედის ნაპერწკალი, რომელიც მხსნელი მეომრის სახით გამოუჩნდა, უმაღვე ჩაუქრა — დაიბნა. დაბნევას შიში მოჰყვება; დაბნევა ადამიანისთვის ძალზედ სახიფათოა; შიში თავისთავად არარსებულია; იგი დაბნევის შედეგია, მხოლოდ დაბნეული ადამიანის გონებას იპყრობს და ამის შემდგომ გადადის მთელს მის სხეულზე... დაბნევა! ადამიანი ლაბირინთშია და არ იცის საით წავიდეს; შიში გონებას შემოეხვია და დააბნელა; ის ცდილობს ხაფანგში შეეგტყუოს, ლაჩარი გაგხადოს და სიცოცხლე მოგისწრაფოს. შიშის ლაბირინთში მოხვედრილმა, ხაფანში მომხვედარმა და გონება აბნეულმა ადამიანმა ფიქრებს ფიქრით უნდა გასცეს პასუხი: ფიქრებზე — ფიქრით! და ლაბირინთი გაქრება. ფიქრები არ უნდა ფლობდეს ადამიანს — ადამიანი უნდა ფლობდეს ფიქრებს.

გამთენიისას ტყეში მიმავალ ბილიკს დაადგა. გზადაგზა უზარმაზარ, ნაქცეულ ხეებს აწყდებოდა. ისინი შემზარავად გამოიყურებოდნენ. ხანდახან ტყის პატარა ბინადარნი წინ გადაურბენდნენ. მათ გამოჩენაზეც გოგონას გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. მალე პატარა ხიდს მიადგა. ირგვლივ მრავალი ბუჩქი იყო. ბააგრა იქვე ჩაიმალა. დაღამებას დაელოდა. ხიდი ყველა მხრიდან კარგად მოჩანდა, რის გამოც პრინცესა დაძაბული იყო. ირგვლივ ყველაფერს აკვირდებოდა, სანყალ გოგონას პურის ნატეხიც კი არ ჰქონდა, თუმცა ნერვიულობას ჭამა დაევიწყებინა. მადა სრულიად დაჰკარგვოდა, სრულ დაცემას ცოტალა უკლდა, ფოთლების შრიალიც კი გულს უფართხალებდა. საბრალო სულ კანკალებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დაღამდებოდა, დღე იწურებოდა. ბააგრა წამოდგა, ამოიხვნეშა, გეზი ხიდისაკენ აიღო აუჩქარებლად. ბნელოდა, პრინცესა გაფა-

ციცებით აქეთ-იქეთ იყურებოდა. ნისლიანი ღამე იყო. ტყე შიშისმომგვრელმა ხმებმა მოიცვა, ხიდამდე რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდა. უცებ გოგონამ უკან მოიხედა და შეამჩნია, რომ მგლები მოსდევდნენ. თვალები უელავდათ, პატარას ყბა აუკანკალდა, აცახცახდა, მგლების ყმუილი ყურებში უწყოდა. ყურებზე ხელი აიფარა. თვალები დახუჭა, გრძნობდა როგორ უახლოვდებოდნენ მგლები. შიშმა და დაბნეულობამ გოგონა ჰალუცინაციაში მიიყვანა. სინამდვილეში მას არანაირი ნადირი არ მოსდევდა. ბააგრა ხიდისკენ გაიქცა, სიბნელეში ხიდი არც ჩანდა. ფეხი შედგა, თუ არა, დაეცა, უმალ წამოხტა თვით გადარჩენის ინსტიქტი ამუშავდა. ცხვირიდან სისხლი წასკდა. გოგონა შეუსვენებლივ განაგრძობდა გზას. ისევ დაეცა, ფეხი მორებსშუა გაეჭედა. მორები ჭრიჭინებდნენ, ბააგრა გაისუსა. ხმა არ ნელდებოდა. გოგონა ვერ ინძრეოდა, ფეხიდანაც სისხლი სდიოდა, მეორე ფეხსაც ვერ ამოძრავებდა. დაღლილი მკლავები უიმედოდ ჩამოუცვივდა. სანყალ ბავშვს ცხვირიდან სისხლდენა არ უჩერდებოდა, სისხლი პირში ჩასდიოდა, გულისცემა აუჩქარდა. მძიმედ სუნთქავდა, ხიდისკენ უმწეოდ გაიხედა, დასასრული არ ჩნდა. უკუნი სიბნელე ჩამოწვა, რამდენიმე წუთი ბააგრა გაუნძრევლად იწვა, შემდეგ გონს მოვიდა, სცადა ფეხი აენია, ხის ჭრაჭუნის ხმა ისევ გაისმა. იძულებული იყო, კვლავ გაჩერებულიყო. ყველანაირად ცდილობდა გონება არ დაეკარგა. მორებმა ჭრაჭუნის შეწყვიტეს. ბააგრა თითქოს დაწყნარდა, ამოისუნთქა, ფეხის გათავისუფლება ისევ სცადა. საუბედუროდ, ხიდი ჩატყდა, გოგონა ადიდებულ წყალში აღმოჩნდა. დინებამ გაიტაცა. აზვირთებული ტალღები სანყალს ქვებს ახეთქებდა. ცოტა ხნით გულიც კი წაუვიდა. წყალქვეშ გამოფხიზლდა. იგრძნო, იხრჩობოდა, ძალა მოიკრიბა, წყლიდან ამოყვინთა, ტალღებს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ამაოდ. ადიდებული მდინარე სწრაფად მიაქანებ-

და, გოგონას დაღლილ სხეულს თავის ჭკუაზე ათამაშებდა. ბააგრა იმედს არ ჰკარგავდა. წინააღმდეგობამ ძალა შეჰმატა, ისევ მდინარეს ებრძოდა. ბევრი წყალი გადაყლაპა, გრძნობდა ფილტვები წყლით ევსებოდა, ისევ დაკარგა გონება, წუთით კვლავ შესძლო გონს მოსვლა. მიხვდა, როგორ ამძიმებდა ჩექმებში ჩასული წყალი. მდინარის ფსკერისკენ მიაქანებდა. ეცადა გაეხადა, ერთი ჩექმა გაიძრო ძლივს, კვლავ აზვირთებულ ტალღებში მოექცა, საშინელი სისწრაფით ატრიალებდა ამ სუსტ არსებას მეტოქე... — ერთი საქმე მაინც გაუკეთა წყალმა, მეორე ჩექმაც გააძრო. ახლა ბააგრა თევზივით მსუბუქი გახდა, ზევით ამოყვინთა, ქვას ჩაეჭიდა. ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. გოგონა შეკრთა, ქვას ხელი უშვა ინსტიქტურად. დინებამ ისევ გაიტაცა. ჭექა-ქუხილი არ წყდებოდა. სიბნელეს ირგვლივ წამიერად ანათებდა. ბააგრამ ცეცხლმოკიდებული უზარმაზარი ხე დაინახა, რომელიც მდინარის მიმართულებით უნდა წაქცეულიყო. რამდენიმე წამში საშინელი ტკაცუნის ხმა გაისმა და ხე ბააგრასაგან ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით მდინარეში დაეშვა, ბააგრამ დაღლილი მკლავები შემოაჭდო ხეს. ცოტა შეისვენა, სული მოითქვა, მაგრამ გოგონა თითქოს ბუნებისაგანაც დაწყევლილი იყო. წვიმა სეტყვამ შეცვალა. ცეცხლმოდებული ხე ჩაქრა. გაშავდა. ბააგრას გული ეპარებოდა. თითებიდან სისხლი სდიოდა. ჭრილობას ჭრილობა ემატებოდა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. სხეული დაბუჟებოდა, თვალები ეხუჭებოდა, ქუთუთოები დამძიმებოდა, ნაზად, მთელი გულით ძლივს აღმოთქვა „დედა“ და გული წაუვიდა. მდინარემ ხის ქვეშ გაატარა მისი პატარა სხეული, ჩუმად გაიტაცა, შუალაძე გადასული იყო, მდინარემ თითქოს დაიკლო, მაგრამ გოგონას მთელი სიმძლავრით ახეთქებდა აქეთ-იქეთ. ხან ტალღები გადაუვლიდნენ, საშველი არსაიდან ჩანდა. გონდაკარგული ბააგრა ისევ სააქაოს ბრუნდებოდა. თვალები

გაეხილა, დაუნდობელ მდინარეს ისევ შეეჭიდა, ხელებში ძალა უფრო და უფრო ეცლებოდა, თითქოს ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო. უცებ ფეხებით ქვებს წამოდო, მთელი ძალ-ლონე მოიკრიბა, გაცურა და ნაპირზე აღმოჩნდა. იწვა პრინცესა ქვიშაზე, ნახევრად წყალში, ხელები თითქოს ქვებზე მოეჭიდა, ძალაგამოცლილს ფიქრის თავიც კი არ ჰქონდა. თვალების გახელაც კი არ შეეძლო. მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ ქვებისათვის ხელები არ უნდა გაეშვა. ნათქვამია: „იმედი ბოლოს კვდება“, საწყალი გოგონას იმედი დაუბრუნდა. წვიმა შეწყდა, მზემ შავი ღრუბლები მიმოფანტა. არე-მარეს მისი სითბო მოეფინა. ბააგრამ თვალები გაახილა. ნაყლაპმა წყალმა პირიდან შადრევანივით იფეთქა — გოგონა ძალას იკრებდა ნელ-ნელა, ხოხვით ნაპირს მოშორდა, მზის გულზე დანვა, სისხლი ჭრილობებიდან ოდნავად მოჟონავდა. დედის ალერსივით ესიამოვნა სახეზე მოხვედრილი მზის სხივები, რაც უფრო ფხიზლდებოდა, ტკივილი უმძაფრდებოდა. სახე და ხელები დაუსივდა. თვალების გახელაზე თავბრუ ესხმოდა. პირიდან დროდადრო წყალი ამოსდიოდა. მზემ უშველა პრინცესას. უმაღლეს თვალების ახელა. ცას შეხედა. თეთრი არწივი ელანდებოდა, გაელიმა, ზეცას შეჰყურებდა. არწივი წრიულად დაფრინავდა, თითქოს ზემოდან მოჰქცეოდა ღრუბლებს. ბააგრა სიხარულმა მოიცვა. ცდილობდა თვალები არ დაეხუჭა, აი, ყივილიც მოესმა. გოგონა გამოცოცხლდა, თუმცა ხმას ვერ იღებდა. სხეულს ვერ გრძნობდა, უცებ არწივი გაუჩინარდა, საიდანღაც ცხენოსნების ხმა ისმოდა, ბააგრამ თვალები დახუჭა — პირით სუნთქავდა.

ტყიდან ოციოდე მხედარი მდინარისკენ წამოვიდა, უკან ათი ადამიანი ფეხით მოყვებოდა. ცხენოსნები მონებით ვაჭრები აღმოჩნდნენ, მათ უკან მონები მოდიოდნენ — წყლის მარაგის ასაღებად მოსულიყვნენ მდინარესთან,

ერთმანეთთან საუბარში გართულნი ტაატიტ მოემართებოდნენ. ვაჭრები მდიდრულად იყვნენ შემოსილნი და კარგად შეიარაღებულნი, ქვეითებს კი დიდი ზომის ტყავისგან შეკერილი ჭურჭელი ეკავათ ნყლისთვის. ცხენოსნებმა შორიდანვე მოჰკრეს თვალი მდინარესთან მწოლიარე ადამიანს და პირდაპირ მისკენ გაემართნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ცხენები ააჩქარეს. ისინი ბააგრას მიუახლოვდნენ, ერთ-ერთი ცხენიდან ჩამოხტა, ბააგრას დახედა, ფეხი წაჰკრა და შეჰყვირა: „ცოცხალი ხარ?!“ ბააგრამ თვალეზი გაახილა, ცხენოსნებისკენ გაიხედა, მაგრამ მათ სახეებს ვერ არჩევდა, არეულად ეჩვენებოდა, ხმის ამოდება ვერ შეძლო; მეორე ვაჭარმა მიუგო: „ცოცხალია, ცოცხალი, თვალეზი გაახილა“. საუბარში მესამეც ჩაერთო: „ეს ჩვენ გამოგვადგება, შეხედეთ რას ჰგავს, ხმასაც ვერ იღებს“ ყველა ჩამოქვეითდა, ზოგი მდინარეს მიუახლოვდა, ცხენისთვის ნყლის დასალევივინებლად, ერთ-ერთი კი ბააგრას მიუახლოვდა — ეტყობოდა ყველასგან გამორჩეული იყო. ვაჭარი ჩაიმუხლა, ლოყაზე ხელით შეეხო, თავი გადმოაწვეინა და მიუგო: „ჩემი გესმის?“ პასუხი არ ისმოდა, მას თვალეზი უაზროდ გაშტერებოდა. ერთ-ერთმა ვაჭარმა უგულოდ მიმართა ბააგრასთან მოსაუბრეს: „თან წავიყვანოთ, ჩვენგან რა მიდის, თუ გზაში მოკვდება, გადავაგდებთ, თუ გადარჩება გავყიდით.“ ვაჭარი წამოდგა და უპასუხა: „ხმას ვერ იღებს, ხელებს დახედე, სახე რას უგავს და ასეთს ვინ იყიდის?“ ხოლო მეორე ბააგრას აკვირდებოდა და დარწმუნებულად წარმოთქვა: „მართალია მეკობრეებს ვერ მივყიდით, მაგრამ უდაბნოში ამაზე უარესები გამიყიდია; ჯობია წავიყვანოთ, არაფერს წავაგებთ.“ მცირე ყოყმანის შემდეგ გადანყვიტეს ბააგრა ტყეში დატოვებულ ურემზე შეეგდოთ. ვაჭრებმა თავის საქმე მოილიეს და ერთ-ერთ დატყვევებულ მონას უბრძანეს ბააგრა ურმამდე მიეთრია, არცერთმა ვაჭარმა არ იკადრა ცხენზე

მანც შეეგდოთ პატარა. ტყვეს შეეცოდა პატარა არსება, ხელში აიყვანა, წყლის ჭურჭელი ზურგზე მოიგდო და ტყისკენ გაემართა. ბააგრას რაც გააჩნდა ყველაფერი წყალმა წაიღო. კარგა მანძილი გაიარეს და ტყის გზას მიუახლოვდნენ. გზაზე ათეულობით ურემი იყო ჩამწკრივებული, თავ-ბოლო არ უჩანდათ, ხარები ურმებში იყვნენ შემბული, ურმებზე კი ადამიანები იყვნენ დაბმული, ზოგი თოკით, ზოგი ჯაჭვით, უამრავი ადამიანი მიწაზე იჯდა, ისინი ერთმანეთში იყვნენ გადაბმულნი, მათ კი მრავალი ვაჭარ-მეომარი დარაჯობდა. ბააგრა ურემზე დაანვინეს და გაისმა ყვირილი, ყველა ფეხზე წამოდგა, ვაჭრები მრისხანე სახეებით, მკაცრი გამომეტყველებით და ყვირილით ქარავანს გარშემო შემოერტყნენ. გოგონა ისევ თვალგახელილი, დაძაბული იწვა, ცდილობდა რამე გაერჩია, მაგრამ მის ირგვლივ ყველაფერი ბურუსით იყო მოცული, დასუსტებული ხელი გულთან მიიტანა, თითქოს დამშვიდდა ოდნავ, მკერდიდან ხელს არ იშორებდა, ტყეში ყოფნისგან მან კაბის ქვეშ, გულთან, კაბის ნაჭერზე მამამისის ბეჭედი მიაბა და კისერზე ჩამოიკიდა, რატომღაც ქისაში არ ჩატოვა და ამის გამო ეს ბეჭედი გადარჩა, რომელიც კისერზე, სქელ ნაჭერზე იყო ჩამოცმული. სამკაული თეთრი ოქროსგან იყო დამზადებული, ზედ არწივი იყო ამოტვიფრული, არწივზე კი ასო „B“ იყო ამოკვეთილი. ბააგრას მალე ციებ-ციხელება დაეწყო, საშინლად კანკალებდა, ტყვეებს ეს არ გამოპარვიათ, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ, ფეხებით გადაეფარნენ და ცდილობდნენ გაეთბოთ. დატყვევებული მონები ბააგრას ამშვიდებდნენ, თვითონ უიმედონი გოგონას აძლევდნენ იმედს; თითქოს ოდნავ გამოკეთდა, თითქოს დაავინყდა სატკივარი, მაგრამ ახლა ოფლმა დაასხა... ქარავანი კი მიდიოდა ნელი ტაატით, დაბურულ ტყეში, ირგვლივ ისეთივე მონყენილობა სუფევდა, როგორც ტყვეთა გულებში. ვაჭარ-მეომრები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს

ირგვლივ ყველაფერს, ტყვეთა არცერთი მოძრაობა შეუმჩნეველი არ რჩებოდათ. ტყეში გზა უხეშად იყო გაკაფული. ჩანდა, აქ იშვიათად მგზავრობდა ადამიანი. ურემი მკვეთრად ირწეოდა იქით-აქეთ, მისი ჭრაჭუნის აუტანელი იყო. კაცი იფიქრებდა, დაიშლებაო ალბათ. ურემი სიგრძეში ცალ მხარეზე შვიდ სულს იტევდა, სიგანე მეტად მცირე ჰქონდა, დაახლოებით ერთ მეტრზე დიდი. ბააგრას გარდა ურემზე ისეთები იყვნენ, რომლებიც გზადაგზა ეცემოდნენ და სვლას ველარ აგრძელებდნენ, მათი უმეტესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. ტყვეთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევდა. მათ შორის ყველაზე პატარა ბააგრა იყო. ხანდახან ვაჭრები იკითხავდნენ იყო თუ არა ცოცხალი გოგონა, პასუხი კი ყოველთვის ერთგვარი იყო: „სუნთქავს!..“ დროთა განმავლობაში ბოძვაც დაეწყო, ტყვეებმა ყური დაუგდეს: ის კი გაიძახოდა: „დაგხოცავთ ცხოველებო! დაგხოცავთ!“ ამ სიტყვებს ძალა ეტყობოდა, მაგრამ სხეული ისევ კანკალებდა. ტყვეებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს. ერთმა თქვა: „კარგია, რომ იმუქრება, არ ნებდება, ვფიქრობ, გადარჩება“. ქალები ზოგი მის ხელებს აკვირდებოდა ზოგი სახეს. ურემის ფიცრები კი წითლად იღებებოდა. გოგონას სხეულზე უამრავი ჭრილობა ჰქონდა და სისხლი დროდადრო იფეთქებდა ხოლმე. ერთერთმა ქალმა სიბრაღულით შეხედა: „რა დღეშია, უბედური, ალბათ დიდხანს სცემდნენ, თითებზე ფრჩხილები არ აქვს, ასეთი რა დააშავა ნეტავ ამ პატარამ?“ ამაზე კი გვერდით მყოფი ტყვე-ქალი გაღიზიანდა: „ჩვენ რამე დავაშავეთ გარდა იმისა, რომ დედამ გვშობა... ამანაც ისე დააშავა! პირველმა მოსაუბრემ თქვა: „ურემი სისხლით ივსება, ქალებო, იქნებ რაიმე ვიღონოთ, ფეხებით როგორმე ამოვატრიალოთ, საშიშია, სისხლისგან დაიცლება ასე.“ ქალებს გული აუჩუყდათ, ყველამ ძალა მოიკრიბა და ბააგრა პირქვე დაანვინეს. ქალები კვლავ განაგრძობდნენ საუბარს: „თუ დაინახეს

რომ სისხლი სდის, ურმიდან გადააგდებენ და მოკვდება, სანყალი.“ ერთ-ერთმა მოუწოდდა დანარჩენებს. ზოგმა ფეხებზე დახედეს იარებს, ზოგმა ზურგი შეუმონმა. შემონმების შემდეგ ერთ-ერთმა ქალმა შიშნარევი ხმით ჩუმად წარმოთქვა: „ჭრილობა წელამდე აღწევს, თქვენთან როგორაა?“ მეორე ქალმა წაიწურჩულა: „საშინელებაა, ნეკნები უჩანს, ალბათ მთელ ზურგზე ხმალი დაუსვეს.“ სხვა ქალმა გაბედულად წარმოთქვა: „რა მნიშვნელობა აქვს რა დაუსვეს, ჩუმად, ვაჭრებმა სისხლი არ დაინახონ, ახლა კბილებით ჩამოახიეთ ერთმანეთს პერანგები, ისე რომ არ შეგვნიშნონ და როგორმე შევუხვიოთ ფეხებით, სხვა გზა არ არის, როგორმე უნდა გადავარჩინოთ, ზოგმა ფეხებით სისხლი მოწმინდეთ, უნდა ვიჩქაროთ, სალამოს გავჩერდებით, ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახონ ტყეში დააგდებენ. სისველემ გადაარჩინა, სისხლი რომ დაენახათ, იქვე დატოვებდნენ.“ სხვა ქალმა თქვა: „შეგუდგეთ ახლა საქმეს, ოღონდ ფრთხილად ვიმოქმედოთ.“ ზოგი ურმის ფიცრებს სისხლს აშორებდა, კარგა ხანი ინვალეს, დიდი ჯაფა დაადგათ ჭრილობის შეხვევაზე ფეხებით, შემდეგ თავიანთ კალთებზე წამოანვინეს, მათ წინ მჯდომებმა კი ფეხისგულეები ნაზად მიაბჯინეს ქალებს მუცელზე, ამით ფეხის კუნთებით ათბობდნენ პატარა გოგოს აკანკალებულ სხეულს. ქალებმა შვებით ამოისუნთქეს შეუძლებელის შეძლებით და ბედნიერი ღიმილი გამოისახა მათ სახეებზე. ერთ-ერთმა დაილაპარაკა: „ხედავთ, დადუმდა პატარა; აღარ იმუქრება.“ სხვაც ჩაერთო საუბარში: „ვფიქრობ, გადარჩება! საოცარია, კვდებოდა და მაინც ხოცვის ხასიათზე იყო.“ ქალები იცინოდნენ, ერთ-ერთმა ქალმა თქვა: „აი ამას შეხედეთ, გვერდზე რო მიზის, ყველაზე მეტად მას უნდოდა პატარის გადარჩენა.“ ქალმა გვერდზე მჯდომს მხარი წაჰკრა: „ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ.“ ქალმა ნალვლიანად მიუგო: „ცოდვაა პატარაა, გამიხარდება თუ

გადარჩება.“ მასთან მოსაუბრე ქალმა უთხრა: „ამაში დარწმუნებული ვარ, ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ უფრო ის მაინტერესებს, პერანგს, რომ მახევდი ძუძუებზე რატომ მკბენდი, გსიამოვნებდა?“ ურემზე ხარხარი ატყდა, თავი ვერავინ შეიკავა, ცხენოსანი მიუახლოვდა მათ და გაოცებული აკვირდებოდა, ქალმა სიცილით მიუგო: „შენ ხომ არ გინდა მიკბინო, ღორო?!“ ცხენოსანმა ქალს მათრახი გადაჰკრა და ურემს გამორდა. ქალმა ტკივილი ვერც იგრძნო, ისევ იცინოდა, მთელი გულით. ერთ-ერთმა თავი შეიკავა და ხმამაღლა მიუგო: „ახლა რომ ამბობ მკბენდაო, მაშინ რატომ არ გააჩერე, გესიამოვნა არა?!“ ამ სიტყვებზე ქალებმა სიცილს მოუმატეს, მათი სიცილი სხვა ურემებზე მყოფ ტყვეებსაც გადაედო, შემდეგ ქვეითებს... და მთელ ტყეში მათი სიცილ-ხარხარი გაისმოდა. ვაჭრები შეშინდნენ და მათრახებით აჩერებდნენ ტყვეებს. უცებ ხმა გაისმა: „დაგხოცავთ!“ ერთ-ერთმა ქალმა: თქვა „ხედავთ, ისევ მოვიდა ხოცვა-ჟლეტის ხასიათზე.“ მეორე ქალმა წასჩურჩულა: „არაფერია, პატარავ, მაგის დროც მოვა, ჩავხოცავთ!“ ბააგრა აღარ კანკალებდა, ქალების ფეხებში შეფუთულს ტკბილად ეძინა. დადგა საღამო ხანი, ქარავანი ტყეში გაჩერდა, ტყვეები ურემებიდან ჩამოიყვანეს, ურემები წრეში ჩაამწკრიეს და მათ ირგვლივ შემოეხვივნენ, რათა მგლები ან სხვა მტაცებელი ცხოველი არ დასხმოდა თავს ხარებს და ცხენებს. გარშემო დაინთო კოცონი. ბააგრას ურემს ვაჭარ-მეომარი მიუახლოვდა, დახედა, პატარას ყბის ქვეშ თითები ამოსდო, სახე ოდნავ ზემოთ ააწევინა და ჩაილაპარაკა: „ცოცხალია...“ და თავისიანებისკენ გაემართა. ქალებს ხელები აღარ ჰქონდათ შეკრული და გოგონას უკეთესად უვლიდნენ. სიკვდილმა ქედი მოიდრიკა მის წინაშე. ქალები ხარობდნენ პატარას გადარჩენით, ყველას მომლიმარი სახე ჰქონდა და ერთმანეთში ლაღად საუბრობდნენ, ბააგრას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ჩუმად იწვა, მეტყ-

ველებს უნარი თითქოს დაჰკარგვოდა, გარინდებული იყო. საერთო მხიარულებას მხოლოდ ერთი ქალი მოშორებოდა, ის განზე იჯდა მორცხვად, ჩუმად, მას ძუძუზე კბენა დააბრალებს... ცილისმნამებელი კი მის მოპირდაპირედ იჯდა, დროდადრო გამოხედავდა და გაულიმებდა.

წმინდა მიწის, მეფე ბოლდვინის გაგზავნილი რაინდები, შონი და შავი ალმასი რამდენიმე დღე ბააგრას ქალაქში ჩასულიყვნენ, დაზუსტებით ვერაფერს გებულობდნენ და იქ დარჩენას უაზროდ თვლიდნენ, რა გზას დასდგომოდნენ არ იცოდნენ, ვერ გადაეწყვიტათ.

ამ დროისთვის ჩუმი და ვინსენტი ქალაქს მიუახლოვდნენ, ცხენები გზაში მიატოვეს: დაღამებას ელოდნენ, რომ ქალაქში ჩუმად შეეღწიათ. ისინი ზუსტად იმ ადგილას იმყოფებოდნენ, სადაც ერთ დროს მათთან ერთი მათი მეგობარი ერისი იმყოფებოდა, როცა დედოფალი და მისი ვაჟები ქალაქის ზღუდიდან ჩამოხსნეს. კლდის ძირას მყუდროდ მოკალათდნენ, ვინსენტმა ქისა ამოიღო, რომელშიც ოქროვერცხლი და ძვირფასი ქვები ეყარა, შემდეგ მიწა ამოთხარა და ქისასთან ერთად კაპიტან ნინოს საჩუქარი პატარა მშვილდი დამარხა, ამ ყველაფერს კი ზედ ლოდი დაადო. ჩუმი ვინსენტს აკვირდებოდა, მონყენილი იყო, ხმას არ იღებდა; ვინსენტმა საქმე მოათავა და ჩუმს მიუჯდა: „მდინარის მხრიდან შევალთ; ვიცი, ვისთანაც უნდა მივიდეთ, ერის და ბააგრას ამბავი გავიგოთ. ეს ქისა კი იმიტომ დავმალე, თუ ვინიცობაა რომელიმე დაგვიჭირეს, ვინც გადარჩება ის მიხედავს; მაგრამ გახსოვდეს, ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად შევხვდებით კაპიტან ნინოსთან. მას ეცოდინება სად იქნება ერთ-ერთი ჩვენგანი, სხვა გზა მაინც არ გვაქვს.“ ჩუმი დუმდა, ვინსენტმა კი ისევ მიუგო დაღლილმა: „გაიგე, რაც გითხარი?!“ ჩუმმა თავის დაქნევით ანიშნა თანხმობა, შემდეგ წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო, რამდენიმე წუთს გარინდებული შესცქეროდა ცას. ვინსენტი აკვირდებოდა

მას, ბოლოს ჩაილაპარაკა თავისთვის: „თუ გინდა აქ დარჩი, მე შევალ მარტო, ასე უფრო უსაფრთხო იქნება და მეორე ლამეს დავბრუნდები.“ ვინსენტი პასუხს არც დალოდებია და თვითონაც წამოწვა. ჩუმი პასუხის გაცემას არც აპირებდა, ცისკენ იყურებოდა. ვინსენტისთვის ეს ჩვეული მოვლენა იყო და აღარც უკვირდა ჩუმისგან. ვინსენტი დულდა შურისძიებისთვის, ფიქრობდა ერისზე, ბააგრაზე, მამამისზე და თვალები სისხლით ევსებოდა, ფიქრი დედოფალზე და მის ვაჟებზე ყელს უშრობდა. საკმაოდ ჩამობნეულა, თვალი არცერთს მოუხუჭავს, ფიქრებმა შორს გაიტაცეს, ვინსენტი წამოჯდა, მშვიდად იყო, ჩუმს გადახედა, მისი სახე ბუნდოვნად მოჩანდა, მაგრამ თვალები აშკარად გახელილი ჰქონდა. ვინსენტმა მეგობარს გახედა და ჩუმი ხმით მიუგო: „დროა, ჩუმი!“ ჩუმი უსიტყვოდ წამოჯდა, ვინსენტმა შეხედა, რომელიც დარიგებებს ისევ იძლეოდა: „გახსოვდეს, როცა წავალთ, გზაზე ერთმანეთს არ უნდა დაველაპარაკოთ, სანამ გლეხის სახლს არ მივადგებით. ჩუმი წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა, მტვერი ჩამოიფერთხა, ხმალი და დანა საიმიდოდ მიიმაგრა. ვინსენტმაც იგივე გაიმეორა, ქალაქის კარიბჭეს გახედა, შემდეგ ჩუმს ხელით ანიშნა და გზას გაუყვა. ჩუმი კვალდაკვალ მისდევდა. კარიბჭესთან არავინ ჩანდა, მდინარის ნაპირს აჰყვნენ და უცებ ქალაქში აღმოჩნდნენ. ცაზე მთვარე კაშკაშებდა და სინათლეს ჰფენდა არემარეს. ქალაქი დაუსუფთავებელი იყო, სახლები ნახევრად დამწვარი, ზოგი მიწასთან გასწორებული. ქალაქში მოსიარულეებს ხელში ჩირალდნები ეკავათ და ეს უადვილებდა ვინსენტს და ჩუმს საფრთხის გადალახვას. ისინი ერთ-ერთ სახლს მიუახლოვდნენ და ვინსენტი შეჩერდა. სახლი ერთ-სართულიანი იყო, ქოხზე ოდნავ უკეთესი, მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, ხის მასალით აგებული, ტალახით იყო შელესილი, ალაგ-ალაგ ფანჯრებში მინის ნაცვლად ფიცრები იყო მიჭედებული, მაგრამ შუქი მაინც აღწევდა

გარეთ. სახლის გვერდით მეორე შენობაც იყო, მაგრამ უფრო ბოსელს წააგავდა, ფანჯრები არ ჰქონდა. ვინსენტი სახლისკენ გაემართა და თან გარემოს ყურადღებით ათვალთვლებდა, ჩუმიც ფრთხილად მიჰყევებოდა. ვინსენტი სარკმელს მიუახლოვდა და ფიცრებს შუა შეიჭყიტა. ოთახი პატარა იყო, უბრალო და ღარიბული. კედელზე პატარა ჩირაღდანი ენთო, იქვე მაგიდა იდგა, მაგიდასთან კი მამაკაცი სასმელს სვამდა. ვინსენტმა იცნო ის. კიდევ ერთხელ შეათვალთვლა ირგვლივ ყველაფერი. დარწმუნდა, რომ არავინ იყო და ორჯერ დააკაკუნა. ჩუმიც დაძაბული სახლის კედელს მიყრდნობოდა. მამაკაცმა ხმაზე ფანჯრისკენ გამოიხედა, მაგრამ არ ადგა, ყურადღება არ მიაქცია და სმა განაგრძო. ვინსენტმა ისევ დააკაკუნა. მამაკაცი, რომელიც შუახნის, მაღალი და ზორბა იყო, წამოდგა და ბორძიკით ფანჯრისკენ გამოემართა, იატაკზე დააფურთხა, პერანგი აინია, ცხვირი მოინმინდა ხმაურით და ფანჯარა გააღო; მთვრალმა თავი გამოყო გარეთ. მთვრალმა ხრინწიანი ხმით გასძახა: „რომელი ხარ? რა გინდა?!“ ვინსენტი სიბნელიდან სინათლეზე გამოვიდა და წინ დაუდგა მთვრალს, რომელიც მის დანახვაზე თითქოს წყალი გადაასხესო, ერთბაშად გამოფხიზლდა და გაოცებულს აღმოხდა: „რაა?!“ ვინსენტმა ტუჩზე თითი მიიღო: „ჩუ–ჩუ, ხო, მე ვარ, მე!“ მამაკაცმა მერე ჩუმს მოკრა თვალი, დააკვირდა, ჩუმიმ თვალები გაუხსნორა, შემდეგ ვინსენტს გამოხედა ისევ და სასწრაფოდ კარისკენ ანიშნა შემოდითო და ფანჯარა მიხურა. ასე აღმოჩნდნენ ჩუმი და ვინსენტი გლეხის სახლში. გლეხი აღტაცებული გადაეხვია ვინსენტს და მიუგო: „სად ხარ, ჩემო ჭკვიანო ბიჭუნა, სად ხარ, მომენატრე, საყვარელო.“ შემდეგ ხელი მხრებზე დაადო, ახედ-დახედა, შეათვალთვლა, უკან დაიხია და ისევ გახარებულმა მიუგო: „აბა, დამენახე, ჩემო ბიჭუნა!“ ვინსენტთან მოსიყვარულების შემდეგ ჩუმს გახედა, გაუღიმა და ისევ მხიარულად თქვა: „ამას ვიცნობ, მაგრამ

სახელი არ მახსოვს.“ ვინსენტმა უთხრა: „ჩემი მეგობარია, ჩუმი.“ გლახმა თითქოს თავისუფლად მიუგო, მაგრამ, იმავე დროს, მის ხმაში დაბნეულობა შეიმჩნეოდა: „ძალიან კარგი, ბატონო.“ და ხელი გაუწოდა. შემდეგ ისევ მარდად და ხალისიანად მიიპატიჟა მაგიდასთან, ამით კი თავის დაბნეულობა დამალა. „რას ვდგავართ კარებთან, მოდით, მაგიდას შემოვუსხდეთ, ახლავე ღვინოს მოვიტან.“ გლახი მეორე ოთახში გავიდა. ის ცოლთან ერთად ცხოვრობდა, შვილები არ ჰყავდა. სახლში ოთახები კედლის მაგივრად ფარდებით იყო გამოიჯნული. ერთ-ერთი ფარდა გაიწია და გამოჩნდა ყმანვილის ნამძინარევი სახე. გლახმა ბიჭს გვერდი აუარა, დოქი მაგიდაზე დადო და ბიჭს შეუტრიალდა: „რას დაყუდებულხარ შტერივით, გაინძერი და რაც გაგვანჩია მისაყოლებელი, ყვლაფერი გამოიტანე.“ ბიჭი უცებ გამოფხიზლდა, ფარდას ხელი გაუშვა და ოთახში ჩირაღდანი აანთო, მან ვინსენტი იცნო და ჩაფიქრებული საკვების გამოტანას შეუდგა. გლახმა ღიმილით მიუგო ვინსენტს: „ეს ჩემი მსახურია, ყველა მოუკლეს, არავინ ჰყავს და ჩემთან ცხოვრობს — სახელად „ზაგანი.“ ვინსენტს გაუკვირდა გლახის მსახური, მაგრამ არ შეიმჩნია. ვინსენტმა: „ბააგრა სადაა, ერისის ხომ არ გაგიგია რამე, მამაჩემი სადაა?!“ გლახმა დაღვრემილმა თავი წამოსწია და თვალცრემლიანმა მიუგო: „ერისი მოკლეს და ისიც, დედოფლის და მისი ვაჟების მსგავსად, ქალაქის გალავანზე ჩამოკიდეს.“ ვინსენტი გაშეშდა, ღრმად და აღელვებულად სუნთქავდა, გლახს მრისხანე თვალებს არ აშორებდა. შემდეგ ღუმილი დაარღვია და ისევ იკითხა: „ბააგრა სადაა ან მამაჩემი?!“ გლახმა უფრო თამამად შეხედა ვინსენტს და დაამშვიდა: „ნუ ღელავ, მათზე ჯერ არაფერი ისმის.“ ზაგანმა საჭმელი მაგიდაზე დაანყო და კედელთან აიტეხა, სიბრაღულით და სიყვარულით აღსავსე თვალეებით შეჰყურებდა ვინსენტს. ჩუმი გლახს აკვირდებოდა, რომელმაც ბიჭს უბრძანა: „ნადი ახლა, ამაღამ მეგობრებ-

თან დარჩი, ოღონდ კრინტი არავისთან დაძრა, ვინსენტი და ჩუმი ჩემთან დარჩებიან, დილით არდე მოდი.“ ბიჭი 12 წლის იყო და სიყრმიდანვე თაყვანს სცემდა ვინსენტს. ვინსენტმა ბიჭს გამოხედა, ზაგანი ისე უყურებდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა, ვინსენტმა იგრძნო მისგან სითბო და უთხრა: „მიცნობ?“ ზაგანი არც დაფიქრებულა, სიხარულით მიუგო: „არა ჩემო, ბატონო!“ ვინსენტს გაუკვირდა — ბიჭი აშკარად ატყუებდა. გლემმა არ აცალა ვინსენტს ჩაფიქრება, ბიჭს დაუცაცხანა: „წადი, რას დგახარ?! დილით ადრე მოდი, არ დაგავინყდეს!“ ბიჭი მკვირცხლად გაეცალა იქაურობას. გლემმა უთხრა: „ვინსენტი, შეგიძლია ჩემთან დარჩეთ, რამდენ დღესაც ჩათვლით საჭიროდ.“ გლემი წამოდგა, ბიჭს უკან გაჰყვა, კარი ჩაკეტა, ფანჯარა გააღო, გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ ფანჯარაც ჩარაზა და სერიოზული სახით მაგიდას მიუჯდა. ვინსენტს ეჭვი შეეპარა: „რაღაც დამაეჭვა ამ ბავშვმა, არ გვიღალატოს.“ „არა, მისი მშობლები ცოფიანმა მეომრებმა დახოცეს, ლალატი გამორიცხულია.“ ვინსენტმა თქვა: „კარგი, მაშინ ყველაფერი მომიყევი ერისზე და დანარჩენებზე, რაც იცი.“ გლემმა დაიწყო მოყოლა: „ერისი მკვდარი მოიყვანეს. ჯერ თავის სახლის კედელზე ჩამოახრჩვეს ხალხის დასანახად და შემდეგ ქალაქის გალავანზე ჩამოკიდეს. რამდენიმე დღეში მისი სხეული აყროლდა და მდინარეში ჩააგდეს. მამაშენზე და რაინდებზე ჯილდოა გამოცხადებული, საკმაოდ დიდი.“ გლემი გაჩუმდა, თვალეები გაუფართოვდა. ვინსენტმა წარბებშეკრულმა მკაცრად გადახედა და ჰკითხა: „რა ხდება, რატომ გაჩუმდი?!“ გლემმა საუბარი გააგრძელა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს: „ყველა რაინდის ოჯახის წევრი ამოხოცეს, ზოგმა თავს უშველა და გაიქცა, ქალაქში არცერთი არ არის. ო, მართლა, ბააგრების ნათესავეები, ხუთი ოჯახი აქ არის, ქალაქში და ჟორდანს ემონებიან და ცოფიან მეომრებს.“ ვინსენტმა გაოცებულმა ჰკითხა: „რომლები?“ გლემმა ჩამოთ-

ვალა მათი სახელები. ვინსენტს ირონია აღებეჭდა სახეზე და თქვა: „ესენი მაშინაც არ ვარგოდნენ, მონები იყვნენ და მონებად დარჩებიან მთელი ცხოვრება, სად ბააგრები და სად ესენი.“ გლახმაც ირონიულად მიუგო: „კი არიან ნათესავეები.“ „ხეზე ყოველთვის ხმება ტოტი, ეს არ ნიშნავს რომ ტოტი ფესვია!“ — მკაცრად მიუგო ვინსენტმა. გლახი შეცბა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: „იცოცხვათა შორის, შენზეც არის ჯილდო დაწესებული. ერისი რო მოიყვანეს მკვდარი, მთელი ქალაქი იმას ამბობდა, რომ შენ ჩამოხსენი დედოფალი და მისი ვაჟები კედლიდან.“ გლახი ფარისევლობას ვერ მალავდა, ვინსენტი კი ვერ ცნობდა იმ კეთილ და მოსიყვარულე გლახს და ფიქრობდა, დარდმა და სასმელმა შეცვალაო. ვინსენტი დუმდა, მისი ფიქრები დედოფალს და მის ვაჟებს გადანვდა, მისი თვალეხი ნაპერწკლებს ყრინდა და გლახი შეწუხდა, თითქოს მას ახრჩობდნენ ეს თვალეხი, მან ღვინო დაუსხა, ვინსენტმა ჭიქა გასწია და თქვა: „მერე დავლიოთ, ახლა კი თხრობა განაგრძე. ყველაფერი უნდა ვიცოდე, რაც არ გითქვამს.“ ჩუმიც ყურადღებით ისმენდა ყველაფერს. გლახმა განაგრძო თხრობა.

პატარა ბიჭი ზაგანი გავიდა თუ არა სახლიდან, გზას დაადგა. ის კარის მოხურვის ხმას ელოდა, ისიც იცოდა, რომ გლახი შეამონმებდა ყველაფერს, ამიტომ ნელა მიდიოდა. როცა ყველაფერი მიიხურა, მიირაზა, უცებ შეჩერდა, უკან შემობრუნდა და იქვე ახლოს მდებარე სახლისკენ გაიქცა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, აღელვებული კედელს მიეყრდნო და იქვე ჩაიცუცქა. ზაგანი თვალს არ ამორებდა გლახის სახლს, ნერვიულობა ემატებოდა, ხელები უკანკალებდა.

გლახი საუბარს აგრძელებდა, მისი თხრობა დასასრულს უახლოვდებოდა: „გახსოვს „ბალანჩის“ დინასტიიდან ბიზონი?!“ „როგორ არ მახსოვს!“ გლახმა ამაყად მიუგო: „დედოფალი და მისი ვაჟები რომ დაეცნენ, ცოფიანებმა აღ-

ყაში მოაქციეს ყველა, ბრძოლას აზრი არ ჰქონდა; ყველა, ვინც ცოცხალი გადარჩა, ჩაბარდა. დარჩნენ „ბალანჩის“ დინასტიიდან რვანი, „ბააგრას“ დინასტიიდან — ოთხნი, ხოლო „ერისის“ დინასტიიდან — ორნი, მოკლედ ზუსტად თოთხმეტი კაცი. შემდეგში როგორც გაირკვა, დრო უნდა მოეგოთ. ბიზონის დედა, თინათინი, გახსოვს?“ „კი, ჯმუხი ქალი... ძლიერი გამოხედვა ჰქონდა.“ გლეხი დაეთანხმა: „თინათინს ხალხი უნდა გაეყვანა, სანამ იქ აურზაური იყო, ცოფიანი მეომრები ხმლების დაყრას უბრძანებდნენ. ბიზონი შენი ტოლი იყო თითქმის. ის შუაში იდგა, რაღაცას საუბრობდა ალყაში მყოფებთან. ცოფიან მეომრებს მიზანში ჰყავდათ აყვანილი. „ბალანჩის“, „ბააგრების“ და „ერისის“ დინასტიებმა ხმლები მიწაზე დაალაგეს, ცოფიანებმა მშვილდ-ისარი დაუშვეს. ტყვედ აყვანილნი მიწაზე დანვნენ, ერთადერთი ბიზონი იდგა ფეხზე. ცოფიანებმა ხარხარი ატეხეს და მოდუნებულნი მათკენ გაემართნენ. მათთან მიახლოებისას ბიზონმა მიწაზე ორ ხმაღს სტაცა ხელი და ცოფიანების ჩეხვა დაიწყო, მიწაზე მწოლიარენიც მას აჰყვნენ, ცოფიანები დაიბნენ, ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და თითქმის სამი ასეული ჩახოცეს. ბიზონი მართლაც რომ გამირულად დაეცა, მას მკერდში ისარი მოხვდა.“ ვინსენტი აღელვებული უსმენდა, ყელში გაჩხერილი სათქმელი ძლივს ამოღერდა: „მკვდრებს რა უქნეს? თინათინი გაიქცა?“ გლეხმა გულდანყვეტით უპასუხა: „მკვდრები დანვეს, თინათინი გააპარა ხალხმა, ვერ იპოვეს ვერსად.“ ვინსენტმა ჩაილაპარაკა თავისთვის: „ბალანჩი“, „ბააგრა“, „ერისი“... და ჩუმის გადახედა სევდიანი თვალებით. ჩუმი დუმდა. გლეხმა ორივეს გადახედა და მიმართა: „თქვენ ერთად დაგანვენთ, მალე გათენდება, შეგიძლიათ მთელი დღე იძინოთ, საღამოს გადანყვეტეთ რას იზამთ, ახლა კი ცოტა დავლიოთ.“ „არა, არა შენ ნადი დაისვენე, ჩვენ მივხედავთ ჩვენს თავს.“ ამ სიტყვებით ვინსენტმა დოქს ხელი

ნაავლო, წყნარად წამოდგა, კედელს მიუახლოვდა, ჩამოჯდა აუჩქარებლად, ჩუმის დააკვირდა, ცივ კედელს თავი მიაცურდნო და ღვინით სავსე დოქი მოიყუდა. გლეხი მდუმარედ გავიდა ოთახიდან, ზაგანის დანთებული ჩირაღდანი ჩამქრალიყო, მოისმა გლეხის ხმა: „გძინავს საყვარელო? გაიჭვარტლა სახლი, ფანჯარას გავაღებ.“ ხმაური გაისმა გლეხისა და მისი ცოლის ოთახში, ფანჯარა გაიღო, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმი წამოდგა და ვინსენტს მიუახლოვდა. ვინსენტმა მას მეორე დოქის მიწოდება სთხოვა, ჩუმად უსიტყვოდ მიაწოდა და მის გვერდით ჩამოჯდა. ჩუმმა ჩასჩურჩულა: „ეს გლეხი სანდო არ არის!“ ვინსენტს არც გადაუხედავს მისკენ, ისე მიუგო: „ვიცი, მეც მიკვირს, ძალზე შეცვლილია, მაგრამ არა უშავს ის აქ არის, სახლიდან გავა თუ არა, ჩვენც გზას გავუდგებით.“ ვინსენტმა ისევ შესვა დოქით ღვინო, ჩუმი კი ჩურჩულით განაგრძობდა: „ბააგრას ნათესავებზე რომ თქვა, ჟორდანს და ცოფიან მეომრებს ემსახურებიანო, მაგათ კი ყველას ბავშვები და ჩვილი ბავშვები ჰყავთ და რა ექნათ საწყლებს?!“ ვინსენტი დუმდა. ჩუმმა თავი მხარზე დაადო და თვალები დახუჭა. ჩირაღდანი ძლივსლა ბჟუტავდა, ვინსენტი გაქვავებული იჯდა, ჩირაღდანს მიშტერებოდა ცრემლიანი თვალებით.

გლეხი მძინარე ცოლის გვერდით იწვა, მაგრამ მთელი ყურადღება ვინსენტის ოთახისკენ ჰქონდა, დაძაბული და ზამბარასავით დაჭიმული იყო. ღრმა ფიქრებში წასულ ვინსენტს კი თვალები ეხუჭებოდა. ზაგანი ჩამალული იყო, ფეხს არ იცვლიდა, მისი მზერა გლეხის სახლს არ შორდებოდა. გლეხმა სუნთქვა შეიკრა, ფრთხილად წამოჯდა ლოგინზე და მთელი ძალები მოიკრიბა, რათა გაეგო ეძინა თუ არა მის სტუმრებს. ოდნავ მიუახლოვდა გვერდით ოთახს, საიდანაც მშვიდი სუნთქვის ხმა ისმოდა. გლეხი ძალზე ფრთხილად შევიდა ზაგანის ოთახში, ის ისევ გაშემდა, ფანჯარას გახედა უხმაუროდ, მისკენ გაი-

ნია, იატაკმა ოდნავ გაიჭრაჭუნა, გლახმა ადგილი შეიცვალა და ფანჯარას მიუახლოვდა, ხელებით კედელს მიეყრდნო, შემინებული სუნთქავდა, დაისვენა, ოდნავ დამშვიდდა და ფანჯრიდან გაიხედ-გამოიხედა, შეათვალა გარემო, შემდეგ ისევ მიაყურადა სტუმრების სუნთქვას. პატარა ზაგანმა დაინახა გლახი და შიშისგან უმაღლესი მინაზე დანვა. ის უკვე იმ ფანჯარას გაჰყურებდა, საიდანაც გლახი გამოჩნდა, ზაგანი ჩაუფიქრდა: „იქნებ გლახი არ იყო და სტუმრები იყვნენ, იქნებ შემეშალა.“ გაურკვეველობაში იყო და დაიძაბა. გლახი ფანჯარასთან იდგა, დაძაბული პირით სუნთქავდა; და აი, ცალი ფეხი ფანჯრიდან გადაყო, ფანჯრის შუალედში ისევ გაჩერდა, ძალზედ ფრთხილად, თან ფიქრობდა: „ხმაური თუ გაიგეს, გაქცევას მაინც მოვასწრებ.“ მან მეორე ფეხიც კანკალით გადმოდგა, ძლივს სუნთქავდა. როგორც იქნა მინაზე დადგა. ზაგანმა უკან დაიხია ცოცხლად. მინას თავს არ აშორებდა, გლახი ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ჩერდებოდა; როგორც კი მოშორდა სახლს, სირბილი დაიწყო. ზაგანმა მას თვალი გააყოლა, გლახი აღარსად ჩანდა. ბიჭმა იცოდა, რომ გლახი ვერცხლის გულისთვის ყველაფერს იკადრებდა. ზაგანი დაიბნა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა მისულიყო თუ არა ვინსენტიან. ბოლოს გადანწყობა, გლახს დადევნებოდა კვალდაკვალ. ნახევრად დაბნელებულ და დამწვარ ქალაქს ღრმად ეძინა. გლახი სასახლესთან ახლოს მდგომ მდიდრულ სახლს მიუახლოვდა, სადაც ცოფიანი მეომრები ცხოვრობდნენ; ეს უკანასკნელი ისე გათამამებულიყვნენ ამ მცირე დროის მანძილზე, რომ დარაჯს მხოლოდ ქალაქის კარიბჭესთან აყენებდნენ. გლახმა კარზე მძლავრად დააკაკუნა. ზაგანი აღარც დაფიქრებულა, უმაღლესი ვინსენტის გასაფრთხილებლად გაიქცა, გათენებამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი, ბიჭუნა მთელი ძალ-ღონით ცდილობდა სწრაფად ევ-

ლო, გული ამოვარდნაზე ჰქონდა; როგორც იქნა გლეხის სახლს მიაღწია, უსიტყვოდ შეხტა იმ ფანჯარაში, საიდანაც გლეხი გამოვიდა. ხმაურზე ქალმა ყვირილი დაიწყო, ჩუმი სწრაფად წამოხტა, ხმალი იშიშვლა. ოთახში შუქი ჩამქრალიყო, ზაგანი გამწარებული ყვირილით შევარდა ვინსენტის ოთახში: „გიღალატეს, ბიჭებო!“ ვინსენტი ფეხზე წამოხტა, ნახევრად გაბრუებული, გაურკვევლობაში მყოფი დაბნეული იდგა. შეშინებული ზაგანი კედელს მიეკრა და იყვირა: „არ მომკლათ, ზაგანი ვარ, ვინსენტი, შენ გიცნობ!“ ვინსენტი უცებ გამოერკვა, გონს მოვიდა და ჩირაღდნის ანთება ბრძანა. ზაგანი მივარდა ჩირაღდანთან, აანთო, ოთახი გაანათა. გვერდით ოთახიდან ქალის შეშინებული ხმა ისმოდა. ვინსენტი ჯერ ზაგანს მიუახლოვდა, შემდეგ ოთახისკენ გაიხედა და ქალს მკაცრად უთხრა: „გაჩუმდი!“ მრისხანე სახით ზაგანს მიმართა: „რა ხდება?!“ ზაგანი მუხლებში ჩაუვარდა მას, თავი მაღლა ასწია და კანკალით მიუგო: „გლეხი ცოფიანებთან მივიდა.“ ვინსენტმა განრისხებულად იღრიალა: „ლორი!“ ხმალი ფარდას ჩამოკრა და ჩუმს მიუგო: „წავედით!“ ვინსენტი კარს მიუახლოვდა, ზაგანი არ შორდებოდა მას. ჩუმი ქალს მიუახლოვდა, ტუჩებზე თითი დაიდო. ქალმა თავი დაუქნია ტირილით. შემდეგ ვინსენტთან მივიდა, ზაგანს ხელი დაადო თავზე და ჰკითხა: „ჩვენთან წამოხვალ?“ ბიჭს შიში გაუქრა, სიხარულით აივსო, ვინსენტი სახლიდან გავარდა. ცხენოსნების ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა, მათი ჩირაღდნები ქალაქს უფრო და უფრო ანათებდა, სულ რამდენიმე ნაბიჯი იყო დარჩენილი მათ გამორჩენამდე. ვინსენტმა ბიჭუნას მხრებში ჩაავლო ხელი და მტკიცედ უთხრა: „არ შეშინდე!“ ზაგანს შიში კი სრულეებით დავინწყებოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ის თვით ვინსენტის გვერდით იდგა. მას სახე გაბადროდა, აღტაცებულმა პასუხის გაცემაც ვერ მოახერ-

ხა. მალე მეომრებიც გამოჩნდნენ, განრისხებულნი, დამ-
შეული მგლებივით აცეცებდნენ თვალებს. გლეხი ერთ-
ერთი მეომრის უკან იჯდა ცხენზე, აქეთ-იქით იყურებო-
და და უცებ ხელი მარჯვნივ გაიშვირა და იყვირა: „იქით,
იქით... გარბიან!..“ ხმაურზე მოსახლეობა გარეთ გამოც-
ვივდა, ყველა სახლში ჩირაღდანი აინთო, გაურკვევლო-
ბაში მყოფი ხალხი დაბნეული კითხულობდა რა ხდებოდა.
იქვე, ერთ-ერთ სახლში ოთახი ქირავდებოდა. იქ იყვნენ
„შავი აღმასი“ და რაინდი შონი. ქაოსში მყოფმა ვინსენტ-
მა ზაგანს უბრძანა: „გაიქეცი!“ თვითონ კი ჩუმთან ერ-
თად სხვა მიმართულებით აიღო გეზი, გაქცევას აზრი არ
ჰქონდა, ალყაში აღმოჩნდნენ, ზურგით ერთმანეთის პი-
რისპირ დადგნენ და მძიმე ბრძოლისთვის მოემზადნენ.
ცოფიანი მეომრები ირგვლივ წრეს არტყამდნენ, დასტ-
რიალებდნენ, მაგრამ ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა.
ყველა ცხენოსანი გაჩერდა. ანთებული ჩირაღდნებისგან
გარემო განათდა. ზაგანი მეომრების უკან აღმოჩნდა და
გაშეშებული ვინსენტს შეჰყურებდა. მოულოდნელად
ვინსენტმა მრისხანედ დასჭექა: „დავინყოთ ჩუმ!“ და
უმალ იერიში მიიტანა ცოფიანებზე. სასტიკი ბრძოლა
ატყდა. ამ აურზაურში მოღალატე გლეხი არ ჩაერია. გან-
ზე გამდგარმა თვალი მოჰკრა ზაგანს, მივარდა და უსიტყ-
ვოდ ცემა დაუწყო საწყალ ბიჭუნას, ზაგანი მიწაზე დაეცა
და ყვირილი მორთო. ვინსენტმა დაინახა გლეხი, რომე-
ლიც ფეხებს უმონყალოდ ურტყამდა ბავშვს და ყვიროდა:
„ამისთვის გაჭმევდი, ღორის შვილო?! ასე გადამიხადე
სამაგიერო?!“ ვინსენტს სისხლი აემღვრა, ამის შემყურემ
უფრო გამეტებით განაგრძო ბრძოლა. ამ დროს ხალხიც
გამოვიდა, ირგვლივ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.
ერთ-ერთმა მთელი ხმით იყვირა: „შეხედეთ, ეს ხომ მენის
ბიჭია!“ ამას მეორეს ხმაც მოჰყვა: „ჰო, ჰო, ეს ვინსენტი
და მის გვერდით ჩუმი დგას!“ გაისმა ქალის შემზარავი

კივილი: „ჩახოცავენ ბავშვებს!“ მამაკაცებმა ქალები სახლში შეიყვანეს. ბრძოლა გრძელდებოდა, დასასრული არ უჩანდა. ვინსენტმა არაერთი მხედარი დასცა მიწაზე უსულოდ, ჩუმი იგერიებდა დარტყმებს და ზურგს უმაგრებდა, რომელიც ცდილობდა გზა გაეკვლია გლახისკენ, მოლაღატე კი ბავშვის ცემას თავს არ ანებებდა და საგანგებოდ თავში ურტყამდა ფეხებს, ზაგანი უგონოდ იყო. მეომრები ცხენებიდან ჩამოხტნენ, ვინსენტი მიწაზე დაეცა, რამდენჯერმე გადატრიალდა და მხედრებს ფეხები მოჰკვეთა, შემდეგ მარდად წამოდგა, წინ მდგომ მოსისხლეს ხმალი ყელში გაუყარა და შეატოვა, თვითონ კი მეომრის ხმალი აიღო, გვერდი აუარა და გლახთან მივიდა. გლახი უგონოდ ჰგვემდა მკვდარ ბიჭუნას, ვინსენტს ზურგიდან მეომარი მოუახლოვდა, მაგრამ ეს მოძრაობა არ გამოპარვია მას და უკან მოუხედავად ხმალი მუცელში გაუყარა, სისხლი სახეში აწვეებოდა, არაადამიანური ფერი გადაჰკვროდა, განრისხებულმა გლახს დაუყვირა: „შემოტრიალდი, შე ღორო!“ უცებ გლახი გონს მოეგო, ბიჭს თავი დაანება და გაფითრებულმა ყვირილი მორთო: „მიშველეთ!“ მას ხელები წინ ჰქონდა განვდილი და თვალეში სიკვდილის შიში ჩასდგომოდა. ვინსენტი ჩაიმუხლა და ხმალი ორივე ხელით გამოუსვა ფეხებში, გლახის სხეული მისკენ წამოვიდა, განწირულად ღმუოდა, გლახი პირქვე მიწაზე დაეცა, ხოლო მისი ფეხები ცალცალკე ეყარა. ვინსენტმა ამოატრიალა, რათა თვალეები დაეთხარა პატარა სატევრით. როცა სატევრის წვეტი გლახის თვალში აღმოჩნდა, ვინსენტმა იგრძნო ძლიერი დარტყმა თავში, ის გვერდზე გადავარდა, არ დაიბნა, დაცემული მეომრების ხმლები ჩაიგდო და ცოფიანებს ეცა. უცებ გვერდიდან ხმალი გაჰკრეს და ცალი ხმალი გაუვარდა, მისი მხრიდან სისხლმა იჩქეფა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, მეორე ხმალი კი მიწაში ჩაარჭო, ეცადა წამომდგარიყო, მაგრამ სახეში

წიხლი მოხვდა, უკან გადავარდა, უხმლოდ დარჩა. გაგუ-
ლისებული მეომრები წიხლებით შედგნენ ვინსენტს. ჩუმი
ერთ-ერთი სახლის კედელთან მოიმწყვდიეს, შონი და ალ-
მასი მოთმინებას კარგავდნენ, მათ ბევრი რამ სმენოდათ
რაინდ მენიზე, რაინდების მეთაურზე, მაგრამ რომელი
იყო მისი შვილი არ იცოდნენ. ბრძოლაში ჩაბმა ძალზედ
სახიფათო იყო, ჩუმი ძალას კარგავდა. თითქმის ერთდ-
როულად შონიმ და ალმასმა ერთმანეთს შეხედეს და ერ-
თდროულად თქვეს: „კარგი!“ ალმასმა ხელით გააჩერა
შონი და უთხრა: „ერთი უნდა დაბრუნდეს.“ პასუხს აღარ
დაელოდა, ხანჯალი იშიშვლა და გახევებული ცოფიანი
მეომრებისკენ გაქანდა. ერთ-ერთ ცხენს უკნიდან მოახ-
ტა, მეომარს ყელი გამოსჭრა, მისი ხმალი ხელში ჩაიგდო
და ჩუმის დასახმარებლად გაემართა. ალმასი ჩუმის გა-
დაეფარა, მის გვერდით მოულოდნელად შონიც აღმოჩნ-
და, შეკრებილმა ხალხმა უკან დაიხია, ბრძოლა კვლავ
გრძელდებოდა. ცოფიანი მეომრების რაოდენობა ორ
ათეულს აღემატებოდა თავიდან, მაგრამ ახლა რამდენი-
მელა იყო დარჩენილი. ბიჭები ბრძოლას ვაჟკაცურად აგ-
რძელებდნენ. შონიმ მათ შუაში მყოფ ჩუმის მიმართა:
„ცხენს შემოახტი!“ ჩუმის არც შეუხედავს, გმირულად იბ-
რძოდა და ისე უპასუხა: „არა, ვინსენტს ვერ დავტოვებ!“
შონი გამწარდა, ცხენი წინ წაიგდო, ერთ-ერთი მეომარი
სიცოცხლეს გამოასალმა და მეორეზე მიიტანა იერიში,
ალმასს გვერდით ამოუდგა, მათი თვალები ერთმანეთს
გაუსწორდნენ. ალმასი წინ წაინია, შონი უკან ჩამორჩა,
ხმალი წელზე მიიმაგრა და უსიტყვოდ ეცა ჩუმს. მას წელ-
ზე შემოახვია მკლავები და ცხენისკენ წაიყვანა, ცხენზე
შეაგდო და ყვირილით მიმართა ალმასს: „წავედით! აქე-
დან წავედით!“ ამ სიტყვების შემდეგ შონმა ცხენი შემო-
ატრიალა და ქალაქის ქუჩებში გაუჩინარდა. ალმასი უკან
მიჰყვებოდა, ცოცხლად დარჩენილი მეომრები დაიბნენ.

ცხენზე შემოგდებული ჩუმი ფართხალებდა, თავის დაღ-
წევას ცდილობდა, მას ვინსენტთან სურდა დარჩენა. შონი
გაბრაზდა, მოთმინების ფიალა აევსო და მუშტი ღონივ-
რად ჩაარტყა ჩუმს, რომელმაც გონება დაკარგა. ცოფიანი
მეომრები უცებ გამოფხიზლდნენ და გაქცეულთ დაედევ-
ნენ. ალმასი და შონი ქალაქის ლაბირინთ ქუჩებში დარ-
ბოდნენ, მათ უნდა ჩამოეშორებინათ მდევარნი. ქალაქში
ყოფნისას შონმა და ალმასმა ზედმინევნით შეისწავლეს
ყველა ჩიხი და გზა და მიზანმიმართულად ურევდნენ
კვალს მეომრებს. უკვე გათენდა, ქალაქი საკმაოდ კარგად
ჩანდა, მაგრამ მოსახლეობას მაინც ეძინა. ცოფიანების
ყვირილზე სახლებში ფორიაქი ტყდებოდა. ვინსენტი ძირს
ეგდო უგონოდ, მაგრამ მისი ცემა მაინც არ წყდებოდა, მი-
სი ხუჭუჭა, ნაბლისფერი თმა სისხლისგან განითლებული-
ყო, უმანკო სახე მისი სისხლით შეღებილიყო. მის გვერ-
დით ეგდო აგონიაში მყოფი დასახიჩრებული გლეხი. ცო-
ფიანები შეჩერდნენ, ვინსენტს თოკი ფეხებზე მოაბეს და
ერთ-ერთმა მხედარმა აუჩქარებლად ქალაქის ქუჩისკენ
წაათრია. ის ფრთხილად მიდიოდა, ეშინოდა თავს არ დასხ-
მოდა ვინმე. ვინსენტი ისევ უგონოდ იყო. ბრძოლის ად-
გილზე ორი ცოფიანი მეომარი დარჩენილიყო — ამონმებ-
დნენ, ცოცხალი ხომ არ გადარჩა ვინმე ჩვენთანებიდანო.
შეშინებული ხალხი სახლში შებრუნდა, ერთმანეთთან სა-
უბარიც კი ვერ გაეხდებოდათ. ცოფიანი მეომრები აშკარად
დამარცხდნენ. ვინსენტი მეომარმა სასახლის გვერდით
მდგომ მდიდრულ სახლთან მიათრია, ცოფიანებს უხმო,
მეომრები გარეთ გამოცვივდნენ. როდესაც გაიგეს ვითა-
რება, ფეხებით შესდგნენ ისევ. გაღიზიანებულები ყვი-
როდნენ: „დავწვათ, ეს ღორი!“ მეომრებმა გადაწყვიტეს
უცნობი ციხეში წაეყვანათ, გაეგოთ ვინ იყო და რა უნდო-
და ქალაქში. ახლა უკვე რამდენიმე მხედარი აცილებდა
ვინსენტის მათრეველს. ცხენები ქალაქში გარბოდნენ. ვინ-

სენტის სახე სახეს აღარ ჰგავდა, გონს ვერ მოდიოდა, პირიქით — მისი გულის ფეთქვა ნელ-ნელა სუსტდებოდა.

ციხე-ქალაქი ერთ-ერთი კუთხის ბოლოში მდებარეობდა. ის დიდი ქვებით აშენებული ერთსართულიანი შენობა იყო. რამდენიმე ათეული საკანი ჰქონდა, მინის ქვეშ კი სარდაფი, მასში ჩასასვლელი გზა ციხის შუალედში გადიოდა, იატაკზე დიდი რკინის კარი იყო გაკეთებული, რომელიც სარდაფს კეტავდა. ციხე სიგრძეში 200 მეტრს აღემატებოდა, სიგანეში კი 50 მეტრი იყო; სარდაფი მის ნახევარს უდრიდა, სიმაღლეში კი 10 მეტრი იყო. დაახლოებით იგივე სიმაღლე ჰქონდა ციხის სართულსაც. დერეფანში ჩირაღდნები ენთო, სარდაფი კი სრულებით ჩაბნელებულიყო. ციხის სართულზე პატიმრები გარკვეული დროის მანძილზე იმყოფებოდნენ. სარდაფში სასიკვდილოდ განწირული ჩაჰყავდათ.

ცოფიანი მეომრები მიუახლოვდნენ ციხეს, ცხენებიდან ჩამოხდნენ, ერთ-ერთმა ზიზლით გადახედა ვინსენტს და იკითხა: „ხომ არ ჩაძალდა საქონელი?“ მეორე მეომარმა მკერდზე ფეხი დაადო ფრთხილად და ფეხით შეანჯღრია. გაისმა ხვნეშის ხმა, მეორემ პირველს უთხრა: „ცოცხალია შენი საქონელი. იდი, კარზე დააბრაახუნე, თვითონვე შეათრიონ!“ ციხის კარი სქელი რკინისგან იყო დამზადებული, ძალზე მძიმე, ის მსგავსი იყო იმ კარისა, რომელიც ქალაქის კედელში ჰქონდათ ჩამაგრებული, საიდანაც გადიოდა გზა მდინარისკენ. იქ ერთი დარაჯი იდგა მხოლოდ. ხმაურზე ციხიდან ორი ბადრაგი გამოვიდა, შუბებით შეიარაღებულნი; ორივე ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთ-ერთმა წიხლი ჩაარტყა ტყვეს და შეუღრინა ცოფიანებს: „რას მოათრევთ და მოათრევთ ამათ?! ვერ კლავთ?! თუ სხვა საქმე აღარ გაქვთ და ერთობით?!“ ერთ-ერთმა ბრაზით მიუგო: „მიდი, მიდი, შეათრიე! შენც გამომიხვედი დიდი საქმიანი. ჭამა-სმის მეტს ნეტავ რას აკეთებთ აქ,

ასეთები რომ არ მოვიყვანოთ მშივრები მოკვდებით!“ ბადრაგმა წაავლო თოკს ხელი, მეომრებს შემოუტრიალდა და ისევ ბრაზით მიუგო: „თქვენი საქმე არაა რას ვჭამთ! აქედან წაეთრიეთ, თორემ ყველას ციხეში ჩაგყრით.“ მეორე ბადრაგს სიცილი აუტყდა. მეომრები გამწარდნენ და ლანძვრა-გინება დაუწყეს. ბადრაგები სიცილით მოათრევდნენ ვინსენტს და თან მეომრებს დასცინოდნენ: „იომეთ, იომეთ, დებილებო.“ მეომრები ვერ ბედავდნენ ბადრაგების ცემას, მათ სხვა მხედართმთავარი ჰყავდათ. ერთ-ერთმა მეომარმა მიაძახა ბადრაგს: „სარდაფში ჩააგდეთ ის, სარდაფში!“ შემდეგ თავისიანებს მიუბრუნდა და გზას გაუდგინა მშვიდად. ბადრაგები მიათრევდნენ ვინსენტს დერეფანში, თან ერთმანეთს სიცილით ესაუბრებოდნენ: „დებილებს თავი ვაჟკაცებად მოაქვთ... კვდებიან დებილები.“ მათი სიცილი მთელ ციხეს ესმოდა, მიუახლოვდნენ ციხის შუალედს, დიდი გაჭირვებით ძლივს გახსნეს ჟანგმოკიდებული კარი, გამოჩნდა ქვის კიბეები და სარდაფიდან შმორის სუნი ამოვარდა, ბადრაგმა ცხვირზე ხელი მოიჭირა და მეორეს დასახმარებლად უხმო: „დროზე მომეხმარე თორემ დავიხრჩვი.“ ვინსენტი კიბეზე დააგორეს და უცებ დახურეს კარი. სარდაფში არაფერი ჩანდა, იქ დიდხანს მყოფნი, სიბნელეს მიჩვეულნი, ადგილმდებარეობას არჩევდნენ. სარდაფის აყროლებულ სუნს სინესტის სუნიც დაკრავდა და ლამის გონებას აკარგვინებდა კაცს. დაგორებული სხეული სადღაც გაჩერდა. სარდაფში სრული სიჩუმე იდგა, ისმოდა მხოლოდ ხვრინვის, ტკივილის და შიშის სულისშემზარავი ხმები. მეომრები, რომლებმაც ვინსენტი მოიყვანეს, შეჩერდნენ. ერთ-ერთმა მიმართა დანარჩენებს: „ისინი მთვრალეები იყვნენ, არ გაგვიფუჭდეს საქმე, ვინმე დაბრუნდით და აცნობეთ, რომ რაინდის შვილია და ჩვენები დახოცა, ყველაზე კარგი ჯაშუში მოგვიკლა-თქო. ერთ-ერთმა სიტყვა შეუბრუნა: „ადექი და შენ წადი, ახლა გა-

გახსენდა?!“ პირველმა ბრაზით შემოაბრუნა ცხენი და ციხისკენ გაემართა. მეომარი დიდხანს ურტყამდა წიხლებს ციხის კარს, როგორც იქნა ბადრაგიც გამოჩნდა, მეომრის დანახვისას ბადრაგს სიცილი აუტყდა და მიუგო: „რა ხდება, მეომარო, მარტო რატომ ხარ? შენი თავი თვითონვე ხომ არ დააპატიმრე?“ ამ სიტყვის მერე ყვირილით მეორე ბადრაგს დაუძახა. მეომარმა უკან დაიხია, შემცბარმა სასწრაფოდ გადასცა მოსვლის მიზეზი: „წელან რომ მოვიყვანეთ, რაინდის შვილია, ჩვენები დაგვიხოცა და საუკეთესო ჯაშუში მოგვიკლა, ამის სათქმელად მოვბრუნდი“. ამ დროს მეორე ბადრაგიც გამოჩნდა და იკითხა: „რა ხდება?“ ბადრაგი სიცილისგან იგრიხებოდა და თითს მეომრისკენ იშვერდა. როდესაც გული იჯერა სიცილით, ამოღერდა ძლივძლივობით: „ჰკითხე ერთი, ვინ მოკლა იმ ტყვემ-თქო, ახლა რომ მოიყვანეს, ჰკითხე.“ ამის თქმაზე ისევ სიცილი დაიწყო, მეორე იღიმოდა. მეომარი დუმდა, გაბრაზებული შეტრიალდა და ცხენზე შეჯდომა დააპირა. ბადრაგმა დამცინავად შესძახა: „ჯაშუში მოუკლავს, გესმის შენ? ჯაშუში.“ მეორეს სიცილი აუტყდა და ესლა წარმოთქვა: „რაა? ვინ?“ მეომარმა დაცინვა ველარ აიტანა, ხმალი იშიშვლა და ბადრაგისკენ გაემართა, ჩაკეცილი ბადრაგი უცებ წამოხტა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და შუბი მუცელზე მიაბჯინა. „გაგხვრიტავ, ინტელიგენტო მეომარო.“ მეომარმა უკან დაიხია აღრენილმა, შეახტა ცხენს, მათრახი ჰკრა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. ბადრაგი ისევ ირონიული სიცილით დაედევნა უკან და თქვა: „ჯაშუში... ხომ?“ ორივე ბადრაგი დასცინოდა მეომარს: „მართლა რა დებილები არინ, ეს მეომრები. მათ დანახვაზე ვირი არ გახსენდება?“ მეორემ ხელი გადახვია პირველს: „რაც მეტი დებილი და ვირი იქნება ამ ქვეყანაზე, მით უკეთესი ჩვენთვის, ახლა კი წამოდი, ძმა, გავაგრძელოთ სმა-ჭამა.“ ბადრაგმა ახედა თავის მეგობარს და უთხრა: „იცი რა

ვიფიქრე? ის რომ მოიყვანეს, ჩემი შვილი ყოფილა.“ მეორემ უცებ სიცილი შეწყვიტა და გაოცებულმა იკითხა: „რატო?“ ბადრაგმა გაიმეორა: „ჰო, ჩემი შვილია მე ხომ რაინდი ვარ, შენ ასე არ მლოცავ?“ ამის გაგონებაზე ისევ სიცილი ატეხეს და მხიარულად შევიდნენ ოთახში. ვინსენტს მკლავიდან სისხლი სდიოდა, ჭრილობა არც თუ ისე დიდი იყო. სახე მთლიანად დასისხლიანებოდა, სუნთქვა უჭირდა, თითქმის ხროტინებდა. სიბნელეში ჩურჩული გაისმა, რამდენიმე პატიმარი ამოდრავდა, ისინი საკმაოდ კარგად არჩევდნენ ირგვლივ ყველაფერს, სიბნელისთვის თვალი უკვე მიეჩვიათ. რამდენიმე პატიმარი კიბეს მიუახლოვდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, მომაკვდავის ხმა უფრო ამძაფრებდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას. ერთ-ერთი პატიმარი მიუახლოვდა კიბეს. საფეხურზე ჩამოვდა და მისი ნაიარევი თავი მუხლებზე დაიდო. სიბრაღით ჰკითხა: „ცოცხალი ხარ?“ პასუხი არ ისმოდა, ვინსენტი ისევ ხროტინებდა, მეორე პატიმარმა მიუგო: „ხომ ხედავ ძლივს სუნთქავს, რაღას ეკითხები. ხელში ავიყვანოთ და ჩვენ გვერდით დავანვინოთ, ჯობია.“ ვინსენტი კედელთან თივაზე წამოაწვინეს, სახე მობანეს, იარები შეუხვიეს, თუმცა ვერ არჩევდნენ მოხუცი იყო თუ ახალგაზრდა, ერთმანეთში ჩუმად ჩურჩულით საუბრობდნენ.

შონის და ალმასს ამ დროს თავი ერთ-ერთ სახლისთვის შეეფარებინათ, ჩუმი გონს მოეყვანათ და ცხენები იქვე დაეებათ. ისინი ელოდნენ ცოფიანების გამოჩენას. ჩუმი მიწაზე თავზე ხელებშემოხვეული იჯდა, ღრმა ფიქრებში წასული. ქალაქში განათდა, ღამე თითქოს დამარცხდა, მაგრამ მზეს პირი არ უჩანდა. ალმასი კედელს ამოფარებოდა და გარემოს ზვერაავდა. შონმა ჩუმს გახედა და უთხრა: „ფხიზლად იყავი!“ ჩუმმა მდუმარედ შეხედა. პასუხი არ გასცა. მცირე ხნის შემდეგ შონმა მას ვინაობა ჰკითხა, ჩუმმა დუმილის შემდეგ ვინსენტის ამბავი იკითხა: „ვინსენტი სადაა?“

„ცოცხალი იქნება. შენ ის თქვი ქალაქიდან როგორ გავალ-
ნოთ, მთელ ჯარს ფეხზე დააყენებენ.“ ჩუმმა ნაღვლიანად
მიუგო: „სასახლის გვერდით გზა არის, მდინარისკენ მიუყ-
ვება, იქიდან თუ გავალთ, სხვა გზა არ არის“. აღმასი ყურს
უგდებდა მათ საუბარს, ბოლოს ისიც ჩაერთო და თქვა: „მა-
შინ ნავიდეთ, ვიჩქაროთ.“ არც შემოტრიალებულა შონის-
კენ, თვალს არ აშორებდა მიდამოს. ქალაქის ბილიკს დაად-
გნენ, სამივე მირბოდა სასახლისკენ. როდესაც იქამდე მი-
აღწიეს, იქვე მდებარე შენობას ამოეფარნენ. აღმასმა: „ეხ-
ლა რა ვქნათ?“ სასახლის შესასვლელთან რამდენიმე ცო-
ფიანი მეომარი იმყოფებოდა, რომლებსაც ამხედრებული
მეომრები მიუახლოვდნენ, რაღაც გადაულაპარაკეს ერთ-
მანეთს და გზა განაგრძეს. ჩუმმა ჩაილაპარაკა: „დაგვიჭე-
რენ, ველარ გავალთ ქალაქიდან.“ შონი ჩაფიქრებული უს-
მენდა, შემდეგ კი მიუგო: „სხვა გზა არ გვაქვს, პირდაპირ
წავალთ. ჩუმი შენ მიწაზე დანვები, ჩვენ ფეხებში ჩაგავ-
ლებთ და გაგათრევთ, ვითომ მკვდარი ხარ, რამდენჯერმე
დავინახე როგორ ყრიდნენ მიცვალებულებს მდინარეში.“
შონმა აღმასს გახედა და ჰკითხა: „შენ რას იტყვი?“ მან
სწრაფად მიუგო: „ვიჩქაროთ! ვიჩქაროთ!“ შონი ჩუმის შე-
მოუტრიალდა, მის წინ დადგა, ხელი თავზე დაადო, უკან გა-
დაუნია და მიუგო: „დამუნე პირი, ცხვირი უნდა გაგიტეხო,
სისხლმა კარგად რო იდინოს.“ ჩუმმა გაკვირვებით შეხედა
შონს და აღმოხდა: „რა?!“ შონმა არაფერი მიუგო, ელვის
სისწრაფით ხმალი იშიშვლა და ხანჯლის ტარით ცხვირი გა-
უტეხა, თან შესძახა: „პირი დამუნე!“ ჩუმი უგონოდ დაეცა.
აღმასმა შეხედა მათ და თქვა: „ყოჩაღ, კარგია!“ ისინი უმაღ-
ფეხებში წვდნენ ჩუმის და სასახლისკენ მიმავალ ბილიკს
დაადგნენ. შონმა გახედა ჩუმს და მრისხანედ მიუგო:
„ცხვირს ხელი გაუშვი, თორემ მოგკლავ!“ მეომრებს მათი
მოძრაობა არ გამოპარვიათ, შუბები მოიმარჯვეს. შონი და
აღმასი უსიტყვოდ აგრძელებდნენ გზას, გლეხის შესამო-

სელში მყოფნი, მართლაც გლეხებს წააგავდნენ. ალმასს დამალული ხმალი გამოუჩნდა, შონმა თვალი მოკრა და გაჩერდა: „დავიღალე, ადგილები შევცვალათ.“ უცებ მეომრის ხმა გაისმა: „რატომ გაჩერდით, ვინ ხართ?!“ ალმასი გადავიდა შონის მხარეზე, შონმა ჩასჩურჩულა: „ხმალი გიჩანს.“ ალმასი დაიძაბა, გვერდულად დადგა და ისე მიათრევდა ჩუმს. შონმა მეომარს ხელი აუწია და მიაძახა: „დავიღალე ამის თრევით.“ მეომრები აფორიაქდნენ, შონი და ალმასი უახლოვდებოდნენ. მეომარმა შუბი შონს მკერდზე მიადო, ალმასი გაშეშდა: „გაჩერდით!“ ცოფიანებმა თვალიერება დაუწყეს მეგობრებს. ჩუმს წიხლი ჩაარტყა ერთ-ერთმა: „ვინ არის ეს?!“ შონი არ დაიბნა, მშვიდად მიუტრიალდა მეომარს, ხელი ჩუმისკენ გაიშვირა, ისე რომ მეორე ხელი ფეხისთვის არ გაუშვია და უკმაყოფილოდ მიუგო: „არ ვიცი, ვინ არის. თქვენებმა ცემით მოკლეს და ჩვენ გვიბრძანეს მდინარეში გადაგვეგდო. მეომარმა გაკვირვებით ჰკითხა: „თქვენ იქ რა გინდოდათ? იქ საიდან მოხვდით?“ „ჩვენ ღამის გასათევში გვეძინა და იქ შემოვიდნენ თქვენები; როცა გამოვედით ეს იქვე ეგდო, უსულოდ.“ მეომრები დააკვირდნენ შონს და მის უკან მდგომმა შუბი ფეხებში მოარტყა, თვალეები დაუბრიალა, მრისხანედ დაუღრინა: „თქვენ ეს დღეები სულ გხედავდით. აქაურები არ ხართ, ხომ?!“ „აქაურები არ ვართ, ღვინის საყიდლად ჩამოვედით, ფული კი მოგვპარეს და ვიფიქრეთ ცოტა გვემუშავა, შინ ხელცარიელი დაბრუნება არ გვინდოდა...“ ცოფიანმა შეანყვეტინა და ზიზღით მიუგო: „მიდი, გაათრიეთ აქედან, მალე!“ უსიტყვოდ მოშორდნენ მეომრებს შონი და ალმასი. მათ უკან ერთი მეომარი გაჰყვა, თვალს არ აშორებდა ჩუმს. შონი და ალმასი დაძაბული მიიკვლევდნენ გზას. ცოფიანი დუმდა, თან ფიქრობდა: „მკვდარია! ამდენი სისხლი რატომ სდის?“ ცოფიანმა ყურადღება შონზე და ალმასსზე გადაიტანა. მას არ გამოპარვია მათი დაძაბულობა და უყვირა: „გაჩერდით!“

მცირე ადგილი იყო დარჩენილი ხეივნის დამთავრებამდე. სასახლესთან მდგომმა მეომრებმა ყურადღება გაბრაზებულ მეომარს მიაქციეს და ნელი სვლით მისკენ გაემართნენ. შონი და ალმასი გაშეშებული შესცქეროდნენ მეომარს. მეომარი მიუახლოვდა ჩუმს, შუბი მინაში ჩაარჭო, ნვეტით მალლა, ჩუმს დააკვირდა და თქვა: „ეს მკვდარი არ არის!“ და განრისხებულმა მკერდში ფეხი ჩაარტყა, თან თვალს არ აშორებდა. ჩუმმა ველარ მოითმინა, სიმწრისგან განწირული ხმა აღმოხდა და მეომარს თვალები გაუსწორა, ორივე ხელით მეომრის შუბს ჩააფრინდა; მეომარი დაიბნა, მაგრამ შუბს ხელს არ უშვებდა, ნიხლებით შედგა ჩუმს და გარშემო მყოფთ ყურადღებას ვერ აქცევდა. ალმასი მივარდა მეომართან, ცალი ხელით შუბს ჩაეჭიდა, მეორე ხელით მუშტი დაარტყა ყელში. ცოფიანმა უცებ ხელი გაუშვა შუბს და მინაზე დაეცა. ალმასმა მყისვე ამოატრიალა შუბი და ცოფიანს მკერდში ჩასცა. სასახლესთან მყოფი მეომრები ყიჟინით გამოექანენ მათკენ, ჩუმი უსიტყვოდ წამოხტა, ალმასმა შუბი ხელთ იგდო და სამივე მდინარისკენ გაიქცა. მეომრები შუბებს ესროდნენ. ერთ-ერთი ნასროლი შუბი შონმა იხელთა, თან მეგობრებს შესძახა: „წყალში რომ ჩავხტებით, ეცადეთ არ ამოყვინთოთ!“ სამივემ მოასწრო მდინარეში ჩახტომა. ცოფიანი მეომრები ნაპირს ჩაუყვინ — ნავებისკენ მიისწრაფოდნენ. მალე სამივემ ამოყვინთა და ცურვით განაგრძო გზა. ალმასი ზურგზე იწვა და ისე მიცურავდა, თან აკვირდებოდა ხომ არ მოსდევდნენ. შონი კი ყვიროდა: „იჩქარეთ, იჩქარეთ!“ ჩუმი ყველაზე სწრაფად მიცურავდა. მცირე ხანში ნავიც გამოჩნა. ალმასი ამოტრიალდა, შუბს ორივე ხელი ჩაავლო და შონს მიუგო: „დინებას მიყევით, როცა ვერ დამინახავთ, ნაპირს შეაფარეთ თავი, ამათ მე მივხედავ, დამელოდეთ.“ შონმა ჩუმს შეხედა: „უკან ნუ იყურები გაცურე.“ შონი და ჩუმი მიცურავდნენ. ალმასმა ცოტა ადროვა და შემდეგ შუბით ხელში, წყალში ჩაყვინთა. ცოფი-

ანი მეომრები გრძელ და ვინრო ნავში ისხდნენ. ოთხი მეომარი ნიჩაბს მარჯვედ უსვამდა, ყოველ მოქნევაზე ღრიალებდნენ. ისინი შუბებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი და კარგად ხედავდნენ მცურავ შონსა და ჩუმს. მხოლოდ ერთი ნავი მისდევდა, რომელიც დიდი სისწრაფით მოძრაობდა. წყლის ქვეშ მყოფი ყურადღებით ელოდა ნავის დანახვას და ამოყვინთვას არ აპირებდა. ნავი უახლოვდებოდა ალმასის ადგილსამყოფელს, ალმასს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, დაძაბული იყო და სწორედ ამ დროს ნავიც დაინახა, ორივე ხელი შუბს ნაავლო, ხმალი ნელზე მოისინჯა და უცებ ნავის ქვეშ აღმოჩნდა, ადროვა წამიც და მთელი ძალით, რაც დარჩენოდა, შუბით ნავის ძირი გახვრიტა, შუბის წვერმა ერთ-ერთი მეომარი დაჭრა. სწრაფი დინების გამო, ალმასმა ნავის შეჩერება ვერ შეძლო, ალმასმა შუბს ხელი არ უშვა და შუბმა ნავის ნაწილი გამოიყოლა, მეომრები დაიბნენ, წყალი ნავში შევარდა, ალმასმა ამოყვინთა, მთელი მისი სხეული თითქმის გამოჩნდა, ამოისუნთქა და შუბი სამიზნისკენ გაისროლა, წამის მეასედში წყალში ჩაყვინთა. შუბი მეომარს შუბლში მოხვდა და ნავიდან გადავარდა. ალმასმა ხმალი იშიშვლა და ყვინთვით ნავს დაედევნა. ნავი ნელ-ნელა ანელებდა მოძრაობას, წყლით ივსებოდა... ალმასი მიუახლოვდა ნავს ერთი მხრიდან, ამოყვინთა და ხმალი მეომარს გადაუსვა. უმაღლ შუბები მოუქნიეს, მაგრამ მან წყალში გაუჩინარება მოასწრო, ეგრევე მეორე მხარეს გამოჩნდა მისი სხეული და ხმალი სხვა მეომარს გადაუსვა, კვლავ მიიმალა. ცოცხლად დარჩენილი ორი მეომარი წყალში გადახტა, დაჭრილი მეომარი ნავს მიჰყვებოდა. ალმასი ერთ-ერთ მეომარს მიუახლოვდა და ფეხში დაჭრა, დაჭრილი ფსკერისკენ დაეშვა და მეორე ჭრილობა მუცელში მიიღო. ალმასმა ამოყვინთა, მარტოდ დარჩენილი მეომარი დინებას მიჰყვებოდა. ალმასმა მშვიდად ამოისუნთქა, მეომარს დააკვირდა, ხმალი წყლიდან ამოიღო, ოდნავ შემოტრიალ-

და და ყვირილით გაისროლა, თვითონ წყლის ქვეშ აღმოჩნდა. უკვე დაღლილი მდინარეს გასცქეროდა. ორი მიცვალებული მდინარეს მიჰქონდა, თვითონ ზურგზე ამოტრიალდა და დინებას გაჰყვა.

შონი და ჩუმი ისევ მიცურავდნენ, შონი ხშირად იყურებოდა უკან. მან დაინახა ალმასის ბრძოლის დაწყება, კარგა მანძილის მერე კი არეალიდან დაეკარგა. რაინდი ჩუმს მიუახლოვდა და უთხრა: „ალარ ჩანან, ნაპირზე გავიდეთ.“ ბიჭმა უსიტყვოდ ნაპირისკენ შეუხვია. შონი გაჩერდა, რამდენიმე ხანს გაჰყურებდა მდინარეს. მიუახლოვდა თუ არა ჩუმი ნაპირს, რაინდიც მისკენ გაემართა. ორივე დაქანცული იყო, ბიჭს კი ცხვირის ტკივილიც ემატებოდა. კარგი ამინდი იდგა, მზე ძალას იკრებდა. ჩუმი ნაპირს მიუახლოვდა, მუხლებამდე წყალში გაჩერდა, რაინდს გახედა და ნაპირისკენ განაგრძო გზა. ნაპირზე მრავლად ეყარა ქვები, ზოგიერთს ნაწილობრივ მიწა ფარავდა, ირგვლივ პატარა გორაკები იყო. მოპირდაპირე მხარე მთლიანად ტყით იყო დაბურული. ჩუმი ბუნების სილამაზით ტკბებოდა, შონი მიუახლოვდა, არ გაჩერებულა და ისე უთხრა: „რას გაჩერებულხარ, წამოდი, გორაკზე ავიდეთ და ალმასს იქ დაველოდოთ.“ შონი გორაკისკენ გაემართა. ჩუმის ყურადღება ბუნებისკენ იყო გადატანილი და ცხვირის ტკივილი თითქოს დავინწყებოდა, მაგრამ, როდესაც თავი მკვეთრად შემოატრიალა, მწვავე ტკივილი ისევ განახლდა, სიმწრისგან წამოიყვირა, რაინდი შეკრთა, მაგრამ როცა მიხვდა რა იყო ჩუმის ყვირილის მიზეზი, გაეცინა. ჩუმსაც გაელიმა და უკან გაჰყვა თანამგზავს. მალე ისინი ადგილის შერჩევას შეუდგნენ ჩასასაფრებლად. მცირე დუმისის შემდეგ შონს ვინაობა ჰკითხა დაბნეულად, და თან ღრმა ოხვრა ამოაყოლა. შონმა ღიმილით გამოხედა, მის ცხვირს შეხედა და სიცილით მიუგო: „გამომყევი, აქვე სადმე ჩავიმალოთ, მდინარე რომ ჩანდეს კარგად.“ ამ სიტყვებით ის მყუდრო

ადგილს მიუახლოვდა, მდინარეს გადახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „კარგია!“ შემდეგ ტანზე გახდა დაიწყო. ჩუმი მის გვერდით ჩამოჯდა, თან გასივებულ ცხვირს ელოლიავებოდა, ცდილობდა ტკივილი დაეამებინა. შონმა ღიმილით შეხედა და უპასუხა: „ჩვენ წმინდა მიწიდან ვართ, ბააგრას ვეძებთ!“ ჩუმმა გაოცება ვერ დამალა და უთხრა: „ჩვენც ბააგრას ვეძებთ, მაგრამ მხოლოდ ის ვიცით, რომ რაინდებთან ერთად არის გაქცეული.“ „შენთან რომ არის, ის მენის შვილია?“ მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. „რაც იცი, მომიყევი.“ და თან ტანსაცმელი განურა. „მე უკან უნდა დავბრუნდე!“ შონი აკვირდებოდა ახალგაზრდა ბიჭს, რომელმაც ტანსაცმელი განურა და ქვებზე დადო გასაშრობად. შონი მდინარეს გაჰყურებდა, თვალს არ აშორებდა, ასე მივიდა ჩუმთან და მის გვერდით ჩამოჯდა: „მე რაინდი ვარ და რასაც გეტყვი, იმას გააკეთებ; შენ მეგობარზე ლაპრაკიც ზედმეტია, თუ ვაჟკაცია თვითონ მიხედოს თავის თავს.“ შონი მუხლებზე დადგა და გარემოს გაჰყურებდა, ჩუმი ხმას არ იღებდა. შონმა: „აღმასი რატომღაც იგვიანებს!“ ბიჭმაც მდინარეს დაუწყო ყურება, ყველაფერს აკვირდებოდა: „რამდენი მეომარი იყო, თავის დაღწევას შეძლებდა?“ შონი იგივე მდგომარეობაში იყო და ისე უპასუხა: „მართალია, ის რაინდი არ არის. აღმასს არ ჭირდება მათგან თავის დაღწევა, საკვირველი ის იქნება ერთმა ცოფიანმა მაინც თუ დააღწია მისგან თავი“. ჩუმმა გაოცებით შეხედა შონს: „შენ ხომ თქვი რაინდი ვარო?!“ ღიმილით გამოსხედა და უთხრა: „ამით რისი თქმა გინდა?“ ბიჭი უფრო გაოცდა და თქვა: „შენ რაინდი ხარ, ის არა და ის რაინდზე ძლიერია?“ შონმა მზერა ისევ მდინარისკენ გადაიტანა, ხელები გაშალა და თქვა: „რას იზამ, სიმართლე ესაა!“ ჩუმს სულ დაავიწყდა გატეხილი ცხვირი, ინტერესით შეჰყურებდა მდინარეს და ფიქრობდა: „ის რაინდებზე ძლიერია, იქნებ ვინსენტის გადარჩენაში და-

ვითანხმო. ფიქრებში წასულს შონმა მხარზე ხელი დაადო. რაინდი იცინოდა და თან მდინარეს უყურებდა: „შეხედე, გამოჩნდა, ის მოცურავს, აქ დამელოდე!“ თან მდინარეს აკვირდებოდა, ვინმე ხომ არ მოჰყვებოდა და მდინარისკენ გაიქცა. აღმასი ისე თავისუფლად მოცურავდა, რომ გეგონებოდა მდინარე თვითონ უკვლევდა მას გზას. ჩუმი ისევ ვინსენტიზე ფიქრობდა. ამ დროს შონმა მდინარემდე მიაღწია, წყალში შევიდა და მოცურავს ხელი ჩაავლო. აღმასს დაღლილობა ეტყობოდა და ძლივს აღმოხდა: „დავიღალე.“ „არაფერია, ძმაო, წამო, აქვე ვართ.“ აღმასმა ძლივს ამოაღწია ნაპირზე, სველი ტანსაცმელი გაიხადა და ჩუმის ადგილსამყოფელისკენ გაემართა. ბიჭი, მის დანახვაზე, განზე გაიწია და ადგილი დაუთმო. სამივენი მიწაზე დასხდნენ. აღმასმა ჩუმს გაუღიმა და ჩექმის გახდას შეუდგა: „წყალში საშინლად დამძიმდა, მაგრამ არ გავიძრე, ახლა უჩექმოდ ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებოდი.“ შონი იცინოდა, ჩუმი კი სიბრალულით უყურებდა. ჩუმმა ვედრებით წარმოთქვა: „ვინსენტი არ მივატოვოთ, გთხოვ!“ აღმასმა სიბრალულით შეხედა ბიჭს, მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და დაუყვავა: „პატარა ბიჭო, საიდან დავაღწიეთ თავი დაგავინყდა?“ თავი დახარა და საბრალო ხმით მიუგო: „თუ არ ვუშველეთ, მოკლავენ.“ ამ დროს რაინდი ჩაერთო საუბარში: „ერთ დღეს ყველა წავალთ ამ ქვეყნიდან.“ აღმასმა განაგრძო: „მოხერხებული თუ არის შენი მეგობარი, თავს აუცილებლად დააღწევს; მანდ ჩვენი დაბრუნება კი თვითმკვლელობის ტოლფასია.“ ჩუმი დადუმდა, ნერვიულობისგან ხელები დაეყინა და გაუსივდა. აღმასმა შონს გახედა: „ყველა დავხოცე და შეგვიძლია გზას მშვიდად გავუდგეთ.“ რაინდმა სინანულით შეხედა ბიჭს: „ხომ გითხარი, ყველას ჩახოცავს-მეთქი.“ ჩუმმა თავი აწია, მისი ცრემლებისგან ჩანთლებული თვალები გულს უწვავდა მათ. შონი დასერიოზულდა, აღარ იცინოდა. ბიჭმა ძლივსლა

ამოღერღა სათქმელი: „მე მოღალატე გამოვღივარ, ის ჩემი მეგობარია.“ აღმასი გაბრაზღა, ჩუმს მრისხანედ გადახეღდა, მანაც გაუსწორა მას თვალეღი. „ახლა რა სიტყვაც წარმოთქვი, შეცდომა იყო. შენ შეურაცხყვე შენი მეგობარი. შენ ბოლომდე იბრძოლე და კიდეე ერთხელ გავიღმეორეღ, დაბრუნეღა თვითმკვლელობის ტოლფასია ახლა! გასაგეღბია?!“ ჩუმი დუმღა, ხმის ამოუღებლად დაეთანხმა. შონი ცდილობღა ბიჭის დამშვიდებას: „ახლა საუბრის დრო არ არის, გზაზე ვიღაპარაკოთ.“ ბიჭს ნერვიულობისგან აკანკალეღბღა. მის შემხედვარე აღმასს გული ეწვოღა, აღელღდა თვითონაც, თავი ხელში აიყვანა და სიყვარულით მიუგო: „დარწმუნებული ვარ, თავს დააღწევს განსაცდელს.“ ჩუმი ცრემლებს ვეღარ იკავეღბღა, ქვითინით წარმოთქვა: „დეღდოფალი და მისი ვაჟეღი, ვინსენტიღსა და ჩვენი მეგობრის ვაჟკაცობით ჩამოვხსენით ქალაქის გაღავნიღდან და მინას მივაბარეთ. მეგობარი ცოფიანეღბმა მოკლეს. ვინსენტივით უკან დახევა არ იცოღდა.“ აღმასმა არ აცაღდა გაგრძელება, ფეხზე წამოღდგა, ჩუმს ზემოღდან დახეღდა გამწარებულმა: „აღექი! წავეღდით! შევაკლათ თავი! აღექი! რომ გეუბნეღბი!“ შონი გაოცღდა, ჩუმი ფეხზე დგებოღდა, რაინღდმა მხარზე ხელი დააღდო და ისეე მინაზე დასვა: „აღექი!“ აღმასს შეხეღდა: „დანყნარღდი.“ გამწარებულმა განაგრძო: „ეს რატომ თქვა? განა ვაჟკაცობა გვაკლია? გასაკეთებელს არ ვაკეთებთ?..“ ჩუმი გაისუსა, დაფიქრღდა, მართლაც უაზრობა იყო ქალაქში დაბრუნეღბა: „მართლაც მართლები ხართ.“ აღმასმა ამოისუნთქა: „გაგეხსნა გონეღბა?“ „მაშინ დროა წავიღდეთ!“ ამ სიტყვებით რაინღდი ფეხზე წამოღდგა. ქალაქიღდან საძებრად რამღდენიღმე წავით ცოფიანი მეომრეღი ძალზე სწრაფად დინეღბას მიჰყვებოღდნენ...

